საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

დ. გოგოლაძე

კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში

(1830—1864 წწ.)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი
1959

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომის მიზანს შეადგენს გვიჩვენოს რეფორმამდელ საქართველოში, ძველი ფეოდალური ურთიერთობის წიაღში, ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა და განვითარება. საკითხის შესწავლისას ჩვენ ვეყრდნობით მარქსისტულ მოძღვრებას საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ. მარქსიზმი გვასწავლის, რომ „კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა წარმოიშვა ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურიდან"[1]. აღებული თემის შესწავლისას ჩვენ განსაკუთრებით ვეყრდნობოდით იმ სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც მოცემულია მარქსის „კაპიტალში" და ლენინის შრომაში — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში".

ნაშრომის პირველ თავში განხილულია მეფის რუსეთის ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში; მეორე თავში — სასაქონლო მეურნეობის განვითარება და ნატურალური მეურნეობის რღვევა რეფორმამდელ საქართველოში; მესამეში — საბატონო მეურნეობის ბურჟუაზიული ევოლუცია და ბურჟუაზიული მეურნეობანი სოფლად, მეოთხეში — კაპიტალისტური სამრეწველო საწარმოები და მათი განვითარება, რეფორმამდელი ხანის სამრეწველო საწარმოთა სოციალ-ეკონომიური ბუნება და სხვა საკითხები.

კაპიტალისტური საწარმოების შესწავლას რეფორმამდელი საქართველოს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენ იგი გვეხმარება რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საკითხის სწორად გაშუქებაში. შესასწავლი პერიოდი მოიცავს XIX ს. მეორე მესამედს — 30-იანი წლებიდან საგლეხო რეფორმამდე (1830—1864 წწ.). შესასწავლი მონაკვეთი 30-იანი წლებიდან იმიტომ დავიწყეთ, რომ ამ დროს, 30-იანი წლების დასაწყისისათვის რუსეთი წარმატებით ამთავრებს ომებს სპარსეთთან, თურქეთთან და ადგილობრივ სამთავრო-სახანოებთან ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. ამიერიდან აქ ხელსაყრელი მშვიდობიანი პირობები იქმნება ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის. სწორედ ამ დროიდან —

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I თბ., 1954, გვ. 898.

XIX ს. 30-იანი წლებიდან გაცილებით მძლავრად იჩენს თავს ახალი საწარმოო ძალები წინა ხანასთან შედარებით.

ნაშრომი ძირითადად ემყარება საარქივო მასალებს, რომლებიც ინახება საქართველოსა და ლენინგრადის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივებში. ამას გარდა შრომაში გამოყენებულია რიგი გამოქვეყნებული სტატისტიკური კრებულები და პერიოდული გამოცემანი, ასევე სპეციალური ლიტერატურა — ისტორიკოსთა და ეკონომისტთა შრომები, რომლებიც აღებულ საკითხს შეეხებიან.

რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების საკითხი თავისთავად ახალი არ არის. ამ საკითხს სწავლობენ ისტორიკოსები და ეკონომისტები. ჯერ კიდევ 1934 წელს. აკად. ნ. ბერძენიშვილი შეეხო საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების გენეზისის საკითხს და იგი სავსებით სწორად გააშუქა (იხ. „სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში"). საქართველოში კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების საკითხზე XIX საუკუნეში, წლების მანძილზე სისტემატურად მუშაობს პროფ. პ. გუგუშვილი, რომელმაც აღნიშნულ პრობლემას სპეციალური მეცნიერული გამოკვლევები მიუძღვნა. აღებულ საკითხს ეხებიან აგრეთვე რიგი მკვლევრები: შ. ჩხეტია, ა. კიკვიძე, ი. ანთელავა, შ. მესხია, მ. დუმბაძე, ზ. ანჩაბაძე და სხვები. ცხადია, საკითხის შესწავლისას ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა მათი შრომები.

შრომაში ჩვენ არ შეგვეძლო მიზნად დაგვესახა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების მთლიანი პროცესის მოცემა, როგორიცაა ფეოდალური სისტემის რღვევა, ე. წ. კაპიტალის პირველანდელი დაგროვება — უშუალო მწარმოებლის საწარმოო საშუალებებისაგან მოწყვეტა, გლეხობის დაშლა და მათთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები და სხვ. ჩვენი შრომის მიზანია ვუჩვენოთ რეფორმამდელ ხანაში სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების შედეგად, ქვეყნის ეკონომიკაში ნიადაგის თანდათანობითი მომზადება წარმოების კაპიტალისტური წესისათვის. ვუჩვენოთ კაპიტალისტური საწარმოების წარმოშობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, მათი რიცხობრივი გადიდება, დაქირაველული შრომის თანდათანობითი გავრცელება და აქედან გამომდინარე კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდაც. შრომის ერთ-ერთი ძირითად მიზანს შეადგენს რეფორმამდელი ხანის სამრეწველო საწარმოთა (ძირითადად მანუფაქტურების) სოციალ-ეკონომიური ბუნების დახასიათება.

რეფორმამდელი ხანის შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების შესწავლის გვერდით, მოგვიხდა აგრეთვე შეგვესწავ-

ლა ზოგიერთი რაციონალიზებული საბატონო მეურნეობანი, რომ-ლებიც კაპიტალისტური ევოლუციის გზას ადგნენ და მსხვილი სახა-ზინო საწარმოები. რიგი სტატისტიკური წყაროების (საარქივო) სა-ფუძველზე, შრომაში ნაჩვენებია სამრეწველო საწარმოთა და მათ ბიერ გამომუშავებული პროდუქციის ზრდა საქართველოში ბატონ-ყმობის გაუქმებამდე; ასევე დაქირავებული შრომისა და სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდა. ნაშრომის ბოლოს ვეხებით კაპი-ტალიზმის წარმოშობისა და განვითარების გზებს რეფორმამდელი საქართველოს მრეწველობაში.

მონოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ რეფორმამდელ საქართველო-ში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების მიუ-ხედავად, მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალურ-ბატონყმური სისტე-მა ირღვეოდა და კრიზისს განიცდიდა, ეს ძველი ურთიერთობა ჯერ კიდევ გაბატონებულ ძალას წარმოადგენდა ქვეყანაში და ხელს უშლიდა ახალი მწარმოებლური ძალების განვითარებას. სათანადო მასალებით ირკვევა, რომ ბატონყმობის გაუქმების წინ, საქართვე-ლო, სოციალ-ეკონომიური განვითარებით, რუსეთის იმპერიაში შე-შავალ ოლქებს შორის ერთ-ერთი დაწინაურებული ქვეყანა იყო. 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში საქართ-ველოში მომწიფებული იყო ნიადაგი ბატონყმური წყობის ლიკვი-დაციისათვის.

რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთო-ბის ჩასახვა-განვითარების საკითხზე მუშაობა დავიწყე 1953 წელს, მეცნიერ-ხელმძღვანელის, აკად. ნ. ბერძენიშვილის უშუალო რჩე-ვით. მისი მითითებანი დიდ დახმარებას მიწევდა აღნიშნული საკით-ხის შესწავლაში, რისთვისაც ჩვენ მას უღრმეს მადლობას მოვახ-სენებთ.

დაბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ პრეტენ-ზიას არ ვაცხადებთ აღებული საკითხის ამომწურავად შესწავლა-გა-შუქებაზე.. რეფორმამდელი საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების შესწავლის საქმეში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასა-კეთებელი. ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ მომავალი კვლევა-ძიების პროცესში აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო მეტი მეცნიერული სიღრმით შეისწავლება.

თავი პირველი

რუსეთის ცარიზმის კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში

ჯერ კიდევ შეერთებამდე რუსეთის პოლიტიკური მოღვაწეები საქართველოს იცნობდნენ, როგორც მდიდარსა და ნაყოფიერ ქვეყანას, სადაც ბუნება უხვად აჯილდოებდა ადამიანის შრომას. მათი წარმოდგენით სიმდიდრე ამ ქვეყანაში კიდევ უფრო გაიზრდებოდა მშვიდობიანობის დამყარებისა და რუსეთის მთავრობის „მზრუნველობის“ მეოხებით. ისინი ეჭვის გარეშე იმედს გამოთქვამდნენ, რომ საქართველო გადაიქცეოდა რუსეთის ინდოეთად, ხოლო ზოგიერთ მათგანს საქართველო წარმოდგენილი ჰქონდა „ახალ ელდორადოდ“. რუსეთთან შეერთების შემდეგაც მათ ოდნავადაც არ შეუცვლიათ ასეთი შეხედულება საქართველოს მიმართ. 1828 წელს თბილისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალი სიპიაგინი, მთავარმართებელ პასკევიჩისადმი წარდგენილ ბარათში აღნიშნავდა, რომ „საკუთარი ჩვენი პროვინციები (საქართველო და ამიერკავკასია — დ. გ.) შეადგენენ ნედლ მასალათა ამოურწყველ წყაროებს და ჩვენ ამ მხრივ არასოდეს არ დაგვჭირდება უცხო ქვეყნები, თუ მათ აღმოჩენას მიექცევა სათანადო ყურადღება“[1]. ასევე, იმპერიის ფინანსთა მინისტრ კანკრინისადმი გაგზავნილ მიმართვაში იგი აღნიშნავდა, რომ „საქართველოს საუცხოო კლიმატი, ჩინებული ნიადაგი და ბუნების მდიდარი ნაყოფი აქ უხვად აჯილდოებს შრომას“[2].

რუსული მმართველობის შემოღების პირველი დღიდანვე რუსეთის ცარიზმი საქართველოს თვლიდა თავის კოლონიად, მაგრამ გარკვეული პოლიტიკური და დიპლომატიური მოსაზრებებით იგი ამას ოფიციალურად არ აცხადებდა მე-19 საუკუნის პირველი მესამედის მიწურულამდე.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე რუსეთი ამიერკავკასიაში მეტწილად გართული იყო განუწყვეტელი ომებით, როგორც სპარსეთთან და თურქეთთან, ისე ადგილობრივ ფეოდალურ სამთავროსახანოებთან. 30-წლიანი ბრძოლა ამიერკავკასიისათვის რუსეთის

---

[1] Акты, т. VII, გვ. 128.

[2] იქვე, გვ. 156.

გამარჯვებით დამთავრდა. მან შეძლო ამ პერიოდში ძირითადად დაემთავრებინა ამიერკავკასიის შემოერთება. ვიდრე რუსეთი აწარმოებდა განუწყვეტელ ომებს ამიერკავკასიაში მისი შემომტკიცების მიზნით, ვიდრე იგი ვართული იყო საგარეო საკითხების გადაწყვეტით ახლო აღმოსავლეთში, მას არ შეეძლო საქართველოს ეკონომიური ათვისების ამოცანა დაესვა. თურქმანჩაისა (1828 წ.) და ადრიანეპოლის (1829 წ.) ზავით რუსეთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ამიერკავკასიაში, განმტკიცდა მისი პოლიტიკური და სტრატეგიული მდგომარეობა.

ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობის შემდეგ, რუსეთის ცარიზმმა და მისმა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა სისტემად ჩამოაყალიბეს მეფის რუსეთის კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ.

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაზე, როგორც „კოლონიაზე“, თავისი შეხედულება ოფიციალურად გამოთქვა ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა. 1827 წლის აპრილში მან სახელმწიფო საბჭოში წარადგინა პროექტი (კანონი საქართველოს შესახებ), სადაც ნათლად არის აღნიშნული ის, თუ როგორ უნდა უყურებდეს რუსეთის მთავრობა ამიერკავკასიას და როგორი მიზნები უნდა ჰქონდეს დასახული მის მიმართ. ეს პროექტი იმპერატორ ნიკოლოზ 1-ის მიერ დამტკიცებულ იქნა იმავე წელს. კანკრინი წერს: „ამიერკავკასიის პროვინციები არ შეიძლება უსაფუძვლოდ იწოდოს ჩვენს კოლონიად, რომელმაც სახელმწიფოს უნდა მოუტანოს სამხრეთის ჰავის ნაყოფებით ფრიად მნიშვნელოვანი სარგებლობანი. თუმცა აქამდე ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა, რამდენადაც დროის სიმოკლით, ამდენადვე სხვა მთელი რიგი მიზეზების გამოც“[1]. „სხვა მთელ რიგ მიზეზებში“ იგი უმთავრესად გულისხმობდა იმ შფოთსა და არეულობას, რომელიც წლების განმავლობაში ხდებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რუსეთის შემოსვლის დროიდან და იმ ბრძოლებსა და ომებს, რომელსაც რუსეთის მთავრობა აწარმოებდა ამიერკავკასიის სამთავრო-სახანოებისა და ირან-თურქეთის წინააღმდეგ, რაც საშუალებას არ აძლევდა რუსეთს ამიერკავკასიის ეკონომიურ ათვისებაზე ეფიქრა. იგი მოითხოვდა გაეზარდათ მხარის სახალხო დოვლათი: განევითარებინათ მიწათმოქმედება, მეაბრეშუმეობა, მოეშენებინათ ბამბა, ბრინჯი, ზეთოვანი ხეები და ჰავის შესაფერი სხვა მცენარეები; ყურადღება უნდა მიექციათ სახაზინო ქონებათა მოწყობის საქმისათვის, სამთო

[1] ПСЗРИ т. II, собрание второе 1827, СПБ, № 1019.

საქმისათვის და სხვ. ამრიგად, საქართველო „ექსპლოატაციის სათანადო პირობებით“ „რუსეთის ინდოეთად“ უნდა გადაქცეულიყო.

ფინანსთა მინისტრის შეხედულებას სავსებით დაუჭირა მხარი საქართველოს მთავარმართებელმა პასკევიჩმა. მან უფრო აშკარად და გარკვევით გამოთქვა თავისი შეხედულება მეტროპოლიისა და კოლონიის როლისა და ადგილის შესახებ.

1830 წლის 5 ოქტომბრის მიმართვაში იგი ფინანსთა მინისტრს კანკრინს სწერდა: „ქარხნებისა და ფაბრიკების დამაარსებელთათვის ზოგიერთი პრივილეგიების მინიჭება საეჭვოა რომ საჭირო იყოს; რადგან მე გადაუწყვეტელი მგონია საკითხი — საქართველოში ფაბრიკებისა და ქარხნების (განსაკუთრებით ზოგიერთთა) წახალისების სარგებლიანობის შესახებ. განა არ უნდა ვუყურებდეთ საქართველოს, როგორც კოლონიას? რომელიც ჩვენს ფაბრიკებს მოაწვდიდა ნედლ მასალას (აბრეშუმს, ბამბას და სხვ.), ხოლო რუსეთისაგან მიიღებდა მანუფაქტურულ ნაკეთობას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში ასეთი მანუფაქტურების დაარსებით ბუნებრივად ხომ არ შესუსტდება მისი კავშირი რუსეთთან?“[1]

ზემოთ მოყვანილ კანკრინისა და პასკევიჩის შეხედულებებში ნათლად ჩანს ის როლი, რომელიც საქართველოს უნდა ეთამაშა მეტროპოლიის მიმართ: იგი უნდა დარჩენილიყო სოფლის მეურნეობის ქვეყნად, რომელიც მეტროპოლიის (რუსეთის) გადამმუშავებით მრეწველობას მიაწვდიდა ნედლეულს. რუსეთის მთავრობას საქართველოში არ უნდა განევითარებინა საფაბრიკო-საქარხნო წარმოება, „განსაკუთრებით ზოგიერთთა“, რომლებიც მეტოქეობას გაუწევდნენ მეტროპოლიის მრეწველობას და გაუძნელებდნენ მას კოლონიაში სამრეწველო საქონლის გასაღებას. სამრეწველო საქონელი საქართველოს რუსეთისაგან უნდა მიეღო, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა მის დამოკიდებულებას რუსეთისადმი.

ფინანსთა მინისტრი თავის პასუხში სავსებით ეთანხმებოდა პასკევიჩს და წერდა, რომ იგი წინათაც სავსებით ასეთი აზრისა იყო[2].

ასეთივე აზრებია გატარებული მთავარმართებელ პასკევიჩისა და სენატორების — კუტაისოვისა და მეჩნიკოვის მონაწილეობით შედგენილ, ე. წ. „ამიერკავკასიის მმართველობის სისტემის გარდაქმნის პროექტში“, რომელიც ეკონომიური პოლიტიკის მხარესაც შეიცავს[3]. განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ საქართველოს

---

[1] Акты, т. VII, გვ. 140.

[2] ოქვე, გვ. 144.

[3] Колониальная политика российского царизма в Азербайджане в 20—60-х гг. XIX в., ч. I, 1936 г. М.-Л., გვ. 272—236.

კოლონიზაციას (მისი უცხო ელემენტებით დასახლებას), რომელიც თითქოს დიდად შეუწყობდა ხელს ქვეყნის სამეურნეო განვითარებას[1].

კანკრინის, პასკევიჩისა და მათ მომხრეთა შეხედულებებმა საქართველოში ცარიზმის ეკონომიურ პოლიტიკაზე, შემდგომი განვითარება მიიღო სენატორ განის მიერ 1837 წელს შედგენილ მოხსენებით ბარათში, რომელიც ნიკოლოზ 1-ს წარედგინა. მისი აზრითაც საქართველო რუსეთის კოლონია უნდა იყოს და მთავრობის პოლიტიკა მის მიმართ მეტროპოლიის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

განის ხელმძღვანელობით შემდგარ კომისიას უნდა შეედგინა ამიერკავკასიის მხარის მმართველობის დებულებანი, რომელთა საფუძველზე უნდა გარდაქმნილიყო მისი მმართველობის სისტემა. მოხსენებით ბარათში დასახულია მომავალი ეკონომიური ღონისძიებანიც, რომელიც მისი აზრით მთავრობას ცხოვრებაში უნდა გაეტარებინა.

განი მიუთითებს, რომ საქართველო და ამიერკავკასია გამოსადეგია ტროპიკული და ჩრდილოეთის მცენარეთა გაშენებისათვის და შესაძლებელია, გაათავისუფლოს რუსეთი უცხოეთის ნაწარმთა დიდი ნაწილის მიღების აუცილებლობისაგან[2]. განი იმედს გამოთქვამდა, რომ რუსეთს დიდ სარგებლობას მოუტანდა ეს „მშვენიერი მხარე".

სენატორი განი გადაჭრით სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ შეურნეობის რომელი დარგი უნდა განავითაროს რუსეთმა ამიერკავკასიაში. მისი აზრით, საქართველოსა და ამიერკავკასიაში უნდა განავითაროს „მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ" სოფლის მეურნეობა. ფაბრიკებისა და მანუფაქტურების დაარსება იქ ძალას წაართმევს და შეასუსტებს სოფლის მეურნეობის განვითარებას და ზიანს მიაყენებს რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობასო[3]. რაც შეეხება ამიერკავკასიაში მოყვანილ ნედლეულს, მისი გამოყენება და გადამუშავება მხოლოდ რუსეთის მრეწველობას შეუძლია, ხოლო იქ გადამუშავებული ნედლეული საქონლის სახით, მისი აზრით, უნდა მიეღო საქართველოსა და ამიერკავკასიას[4].

იმისათვის, რათა განხორციელებულიყო რუსეთის მიერ საქართველოს ეკონომიური ათვისება და ცარიზმის ეკონომიური პოლი-

---

[1] იქვე, გვ. 286.
[2] იქვე, გვ. 303.
[3] იქვე, გვ. 314.
[4] იქვე.

ტიკა იმ სახით, როგორსაც მას მისი ოფიციალური წარმომადგენლები თავაზობდნენ, საჭირო იყო ქვეყნის სოციალ-ეკონომიური შესწავლა, სად რა ბუნებრივი სიმდიდრენი არსებობდა და სად რა შეიძლებოდა განვითარებულიყო.

ამ მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ ამიერკავკასიაში გამოგზავნა სპეციალური ექსპედიცია ლეგკოპეტოვის, ზუბარევისა და ცარიზმის სხვა მოხელეთა შემადგენლობით. კომისიას უნდა შეესწავლა მხარის სახალხო მეურნეობის მდგომარეობა და გამოეკვლინებინა რუსეთის მანუფაქტურული და ფაბრიკული მრეწველობისათვის საჭირო რესურსები. ამ კომისიის გამოკვლევის შედეგად 1836 წელს გამოქვეყნდა 4-ტომიანი ნაშრომი: „რუსეთის სამფლობელოთა მიმოხილვა ამიერკავკასიაში" („Обозрение Российских владений за Кавказом"), რომელსაც, მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ერთ-ერთი პირველი ცდა იყო ამიერკავკასიის სოციალ-ეკონომიური გამოკვლევისა.

მთელ რიგ ნაკლოვანებებთან ერთად, ერთი დიდი ნაკლოვანება ამ შრომისა, როგორც ამ წიგნზე „შენიშვნების" ავტორი მიუთითებს, ისაა, რომ სულ არ არის მოხსენებული და შესწავლილი ამიერკავკასიის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილები, როგორიცაა იმერეთი, გურია და სამეგრელო, ამიტომ „უფრო სწორი იქნებოდა ამ წიგნისათვის ეწოდებინათ „რუსეთის ზოგიერთ სამფლობელოთა მიმოხილვა ამიერკავკასიაში"[1].

წიგნში გატარებულია ცარიზმის ოფიციალური წარმომადგენლების — კანკრინის, პასკევიჩისა და სხვათა დებულებების დამასაბუთებელი რეაქციული ინტელიგენციის შეხედულებანი. შრომის ავტორები აღნიშნავენ იმ უდიდეს სარგებლიანობას, რაც რუსეთს ხვდა ამიერკავკასიის დაუფლებით: „ამიერკავკასიაში რუსეთის მფლობელობის განმტკიცებით იგი მაგარ ფეხებზე დადგა აზიაში და მით მოიპოვა გადამწყვეტი პოლიტიკური ზეგავლენა ორ ძლიერ მეზობელ სახელმწიფოზე: სპარსეთზე და თურქეთზე"[2]. აქაც, ზემოთ აღნიშნული „ზოგიერთი შენიშვნების" ავტორი სამართლიანად მიუთითებს იმის შესახებ, რომ აქ აღნიშნული არ არის აგრეთვე ის დიდი და მისი აზრით მთავარი სარგებლობა, რომლითაც რუსეთი ამიერკავკასიის ფლობით სარგებლობდა: „ამიერკავკასიის პროვინციათა დაუფლებით დონის კაზაკთა ქვეყანა შიდა გუბერნიად იქ-

---

[1] Некоторые замечания на книгу «Обозрение Российских владений За-Кавказом». Санктпетербург. 1840. გვ. 135.

[2] «Обозрение Российских владений За-Кавказом» ч. I, 1836, გვ. 6—7.

ცევა: სიწყნარე და უშიშროება განმტკიცებულია კავკასიის ოლქში და ასტრახანისა და ეკატერინოსლავის გუბერნიებში; რუსეთს რომ ამიერკავკასიის პროვინციები არ ეკუთვნოდეს, მაშინ მისი სამხრეთი გუბერნიები დღემდე საფრთხეში იქნებოდნენ მთიელი მტაცებლების თავდასხმებით, როგორც XV და XVI საუკუნეებში"[1].

„რუსეთის ამიერკავკასიის სამფლობელოთა მიმოხილვის" ავტორები სავსებით დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ამიერკავკასიასა და საქართველოს სავსებით შეუძლიათ უზრუნველყონ რუსეთის მრეწველობა საჭირო ნედლეულით[2]. წიგნში განვითარებულია შეხედულება, რომ რუსეთის მთავრობა ამიერკავკასიას უნდა უყურებდეს, როგორც კოლონიას, და ამ თვალსაზრისიდან უნდა გამომდინარეობდეს იქ მისი ყოველგვარი მოქმედებაო[3].

რუსეთის ცარიზმმა თავისი ოფიციალური წარმომადგენლებისა და რეაქციული ინტელიგენციის შეხედულებანი სახელმძღვანელოდებულებებად გაიხადა თავის კოლონიალურ-ეკონომიურ პოლიტიკაში.

ცარიზმის რეაქციული წარმომადგენლების გარდა საქართველოს ეცნობიან და მასზე წერას იწყებენ იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები — პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეები, ლიტერატორები, მოგზაურები, სწავლულნი და სხვ. ესენიც თავიანთ მხრივ გამოთქვამდნენ შეხედულებებს საქართველოს მიმართ და შემდეგ წერილების, ოფიციალურ მოხსენებათა თუ სხვა სახით წარუდგენდნენ მთავრობას.

მათ შორის ყველაზე უფრო გამოირჩევა გრიბოედოვისა და საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ზავილეისკის მიერ შედგენილი „რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის დაფუძნების პროექტი"[4]. ეს იყო ამიერკავკასიისა და საქართველოს ეკონომიური და კულტურული გარდაქმნის ფართო პროგრამა. პროექტი შედგენილ იქნა 1828 წელს და იმავე წელს განსახილველად წარედგინა საქართველოს მთავარმართებელს გენერალ გრაფ პასკევიჩს. თვით „რუსეთის ამიერკავკასიის დაფუძნების წესდების პროექტი", როგორც ჩანს, დაკარგულია, გადარჩენილია მისი ნაწილი — შესავალი წესდების პროექტისათვის.

გრიბოედოვი და ზავილეისკი პასკევიჩისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში წერენ, რომ „ამიერკავკასიის ყურადღებით და-

---

[1] «Некоторые замечания...», გვ. 3.
[2] «Обозрение..,» გვ. 65.
[3] იქვე, გვ. 13.
[4] რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, თბ., 1949, გვ. 67—90.

ოვალიერებისას, ყველა დარწმუნდება, რომ იქ ბუნებას ყოველივე გაუმზადებია ადამიანისათვის"[1], რომ ამიერკავკასიის დოვლათიან პროვინციებში მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის, მებამბეობის, კოლონიალურ სამღებრო და სხვა პროდუქტის წარმოების შემოღებისა და გაუმჯობესების მიზნით მათ შეადგინეს კომპანიის დაარსების გეგმა, რათა ამ გეგმის განხორციელებით რუსეთის სახელმწიფომ აღნიშნული პროვინციებიდან მიიღოს უდიდესი სარგებლობა.

აქამდე რუსეთს, „ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზების გამო" (ევროპული და აზიური ომების გამო — დ. გ.), არ შეეძლო გაეშალა თავისი სამეურნეო მოღვაწეობა აქ, რადგან „როდესაც რუსებმა კავკასიონს გადააბიჯეს, უწინარეს ყოვლისა ზრუნავდნენ, რათა მაგიად მოეკიდებინათ ფეხი საქართველოში..."[2]. რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში წარმოებულმა ომებმა დიდად შეაფერხა მხარის სამეურნეო განვითარება. განსაკუთრებით ომის მძიმე ტვირთი, ავტორების სიტყვით, ყველაზე მეტად ზიდა საქართველომ, რომელმაც „1826 წლიდან დღევანდელ დრომდე... პურით, სასაპალნე და გამწევი პირუტყვით, გადამრეკებით და სხვა საერთო ანგარიშით მეტი დახარჯა თავისი ქონებიდან, ვიდრე ამის გაკეთებას შესძლებდა რუსეთის ყველაზე უფრო აყვავებული ოლქთაგანი"[3]. ეს გარემოება არ აძლევდა საშუალებას ამიერკავკასიის მცხოვრებთ თავისი მეურნეობის გაუმჯობესებაზე ეფიქრა.

იმისათვის, რომ მრეწველობისა და ვაჭრობის საქმე მაღალ საფეხურზე იქნას აყვანილი, ავტორების აზრით, საჭიროა მთავრობისა და ერთ საზოგადოებაში გაერთიანებულ მწარმოებელთა ძალღონის შეერთება; საჭიროა „ერთ საზოგადოებაში გაერთიანდეს საკმაო რიცხვი მწარმოებელ კაპიტალისტებისა, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ერთი მეორეს თავისი ცოდნით, ფულადი სახსრებით და შრომით. ამისათვის საჭიროა დაარსდეს სამიწათმოქმედო, სამანუფაქტურო და სავაჭრო კომპანია, რომელიც შესძლებს შეუდგეს ბუნების ყველა იმ სიმდიდრეთა მოპოვებას, რომელთა წარმოება, დამუშავება და გაუმჯობესება და აგრეთვე გასაღება შორეულ სახელმწიფოებში ყოველ ცალკეულ კერძო პირის საშუალებებს აღემატება"[4].

ავტორები ამ კომპანიისათვის მთავრობისაგან ითხოვდნენ მთელ რიგ პრივილეგიებს: სამეურნეო საწარმოთა და ფაბრიკების მოწყო-

---

[1] იქვე, გვ. 67.
[2] იქვე, გვ. 74.
[3] იქვე, გვ. 76—77.
[4] იქვე, გვ. 81.

ბის საქმეში, სათანადო მიწების შეძენისათვის, კომპანიის მიერ დამზადებული საქონლის ქვეყნის შიგნით და უცხოეთში გასაღებისათვის და სხვ. კომპანიის მოქმედება, მათი აზრით, ააყვავებდა მხარის სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას. ამიერკავკასიის სამეურნეო განვითარება კი უდიდეს სარგებლობას მოუტანდა რუსეთის სახელმწიფოს[1].

გრიბოედოვისა და ზავილეისკის შეხედულებანი ამიერკავკასიისა და საქართველოს ეკონომიური და კულტურული გარდაქმნის შესახებ, რომელიც „რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის დაფუძნების პროექტშია“ მოცემული, შედარებით ყველა დანარჩენ შეხედულებებთან, რომლებიც ამ საკითხზე ოფიციალურ მოხსენებათა, ბარათების, შრომებისა და სხვათა ფორმით გამოითქვა, გაცილებით პროგრესულია.

პროექტის ავტორებს განზრახული ჰქონდათ განევითარებინათ საქართველოში მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მეღვინეობა, ბამბის წარმოება, მოეშენებინათ სამღებრო და სააფთიაქო მცენარეები. დაენერგათ სოფლის მეურნეობაში ტექნიკური ჩვევები, ამასთანავე ითვალისწინებდნენ მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების — ფაბრიკებისა და ქარხნების აშენებას, უცხოეთიდან მანქანების შემოტანას, გადამამუშავებელ მრეწველობაში ტექნიკის სრულყოფას, ახალი გზების გაყვანას, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასა და ღონისძიებებს: სკოლების გახსნას, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას — ყველაფერი ეს პროგრესულ ხასიათს ატარებდა, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ამიერკავკასიაში საწარმოო ძალების სწრაფი ზრდა, რაც თავის მხრივ დააჩქარებდა ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარებას.

ცარიზმის ბატონობის პირობებში ამ პროექტს განხორციელება არ ეწერა. გრიბოედოვისა და ზავილეისკის მიერ შედგენილი ამიერკავკასიის საწარმოო ძალების განვითარების პროექტი შეეჯახა ცარიზმის კოლონიალურ-ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც გარკვევით ჩამოაყალიბეს და გამოთქვეს ცარიზმის ოფიციალურმა და რეაქციული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: კანკრინმა, პასკევიჩმა, ხოლო შემდეგ „რუსეთის ამიერკავკასიის საპფლობელოთა მიმოხილვის“ ავტორებმა და სენატორმა განმა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთს საქართველოში არ უნდა განევითარებინა მრეწველობა — არ უნდა აეგო ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც მომავალში კონკურენციას გაუწევდნენ მეტროპოლიის

---

[1] იქვე, გვ. 87—88.

მრეწველობას; ამიტომ საქართველო ამ პოლიტიკით უნდა დარჩენილიყო სოფლის მეურნეობის ქვეყნად, რუსეთის მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნად და მისი საქონლის კოლონიალურ ბაზრად. ცარიზმის მოხელეები (პასკევიჩი, ჟუკოვსკი) მტრულად შეხვდნენ გრიბოედოვისა და ზავილეისკის პროექტს და მან ცარიზმისა და კოლონიალური რეჟიმის პირობებში პრაქტიკული განხორციელება ვერ ჰპოვა.

ქართველ მოწინავე საზოგადოებრივ მოღვაწეთა შორის, რომლებიც საქართველოს სამეურნეო განვითარების საკითხზე თავიანთ შეხედულებებს გამოთქვამდნენ, აღსანიშნავია პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე. მან დაწერა „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“ და წარუდგინა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ 1, 1836—1837 წლებში. ამ პატარა ისტორიული ნარკვევის ბოლოში იგი ეხება საქართველოს იმდროინდელ სამეურნეო მდგომარეობას და სახავს მისი განვითარების გზას.

„ნარკვევში“ აღნიშნულია ის უდიდესი სარგებლობა, რაც რუსეთმა საქართველოს შეერთებით მიიღო: „ამ ქვეყნის შემოერთება, ჯერ ერთი, ამიერკავკასიაში რუსეთის მფლობელობის კანონიერების საფუძველს ჰქმნის; მეორე მხრით, ამიერკავკასია ერთადერთი სამხედრო პოსტია სპარსეთსა და ოსმალეთზე უშუალო გავლენის მოსახდენად; მესამე მხრით, საქართველოს შეერთებით, რუსეთმა ალყა შემოარტყა კავკასიის მთიელებს, რომელნიც აუცილებლად მის ქვეშევრდომთა რიცხვს გაამრავლებენ, ხოლო წინანდელ მდგომარეობაში რომ დარჩენილიყვნენ, საშიშარნი შეიქნებოდნენ იმპერიის სამხრეთი ნაწილებისათვის; მეოთხე ისაა, რომ ამკავკასია ფრიად ნიშვნელოვანია რუსეთისათვის საფინანსო მხრით თავისი უზომო სტატისტიკური საშუალებანითა და ვაჭრობის დარგებით“[1]. ახლა, როდესაც რუსეთის მიერ წარმოებული ომები ამიერკავკასიაში წარმატებით დამთავრებულია და განმტკიცებულია მისი საერთაშორისო პოზიცია ახლო აღმოსავლეთში, უკვე აღარაფერი ეღობება წინ მთავრობას თავისი მუშაობა წარმართოს „სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის გასაუმჯობესებლად იმ დალოცვილ ქვეყანაში, სადაც ადამიანის შრომა უხვად ჯილდოვდება მიწათმოქმედების ახლანდელი მდგომარეობის დროსაც კი“[2].

ალ. ჭავჭავაძე გარკვევით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ქართველ ხალხს გააჩნია საკმაო უნარი ქვეყნის სამეურნეო და კულ-

---

[1] ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზ., თბ., 1940, გვ. 253—254.
[2] იქვე, გვ. 254.

ტურული განვითარებისათვის, თუ საამისო პირობები იქნება; რომ კოლონიზაციის გარეშე შეუძლია საქართველოს სამეურენო-ეკონომიური აღორძინება: „ა/კავკასიაში — წერს იგი — ფრიად ნაკლებია დასამუშავებლად გამოუსადეგარი ადგილები; მის ნიწათა უმეტესობაზე შესაძლებელია ტროპიკულ მცენარეთა გაშენებაც კი. მაგრამ მის ნაყოფიერ სივრცესთან შედარებით, მუშახელის ნაკლებობა ფრიად გასაოცარია. რუსეთიდან მიწათმოქმედთა გადმოსახლება ვერ დააკმაყოფილებს უმთავრეს მიზანს, ვინაიდან ისინი ვერ შესძლებენ ტროპიკულ ნაწარმოებთა დამუშავებას, რომელნიც ხარობენ ჩრდილოელ მცხოვრებთათვის დამლუპველ, ფრიად სიცხიანი ადგილებში. ამ სასარგებლო საქმისათვის ადგილობრივი მცხოვრებნი უნდა გამოვიყენოთ"[1]. იგი დარწმუნებულია, რომ „მრეწველობა, რომლის კვალიც კი გამქრალა გამუდმებული ომიანობის გამო, საბოლოო მშვიდობიანობის დამყარებისთანავე კვლავ აღორძინდება"[2]. როგორც ჩანს, არც ალ. ჭავჭავაძის მოსაზრებებს გაუწია ანგარიში მთავრობამ.

უცხოელ „კაპიტალისტურ მეთაოსნეებს" შორის, რომლებიც საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისებისა და კოლონიალური ექსპლოატაციის საქმეში ცარიზმის მრჩევლის როლში გამოდიოდნენ, აღსანიშნავია ფრანგი მორენასი. გენერალ-ადიუტანტმა ეომინიმ, იმპერატორ ნიკოლოზ 1-ს წარუდგინა პარიზში მცხოვრები მორენასის პროექტი — ამიერკავკასიის ოლქებში მტკვრისა და რიონის ნაპირებზე ინდიგოს, ბუკლენდის, შაქრის ლერწმის, თუთის ხის, ბამბის, ჩაის, ყავის, ფორთოხლის, ზეთის ხის და სხვ. ტროპიკულ მცენარეთა გაშენების შესახებ[3]. რუსეთში მორენასის პროექტი სასარგებლო საქმედ ჩათვალეს და საჭიროდ ცნეს მისი განხორციელება. იგი ასევე მოიწონა თბილისის სამხედრო გუბერნატორმა, გენერალმა სიპიაგინმა. ამის შემდეგ, მორენასი მოიწვიეს რუსეთში. იმპერატორის ბრძანებით იგი გამოგზავნილ იქნა ამიერკავკასიაში. მასთან ერთად ამიერკავკასიაში მივლინებული იქნა ფინანსთა სამინისტროს მოხელე პელჩინსკი.

მორენასს უნდა მიმოეხილა ამიერკავკასიის მხარე, გაცნობოდა საქართველოს და თავისი შენიშვნებით წარედგინა მოხსენებითი ბარათი. მას მისცეს სათანადო ინსტრუქცია და აღჭურვეს მოქმედების ფართო უფლებებით.

---

[1] იქვე.
[2] იქვე.
[3] ПСЗРИ т. IV, собрание второе, № 2706, СПБ 1830, зз. 136.

მორენასი და პელჩინსკი საქართველოში ჩამოვიდნენ 1829 წ., და იმავე წელს ისინი თბილისიდან გაემგზავრნენ ამიერკავკასიის პროვინციებში.

1830 წლის 5 ივნისს მორენასმა მთავარმართებელ პასკევიჩს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი[1]. მასში მორენასი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის პროვინციები თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით უდიდეს სარგებლობას მოუტანს რუსეთს. ამისათვის საჭიროა მთავრობის გაბედული და მიზანშეწონილი მოქმედება. მისი აზრით მთავრობამ უხვად უნდა გაიღოს ხარჯები მხარის განვითარებისათვის. არ უნდა შეჩერდეს გაღებული თანხების დანაკარგის წინაშე. „მთავრობა კრედიტორი არაა — წერს იგი — თანხას აძლევდეს საწინდრის ქვეშ. იგი ვალდებულია მხარის გაუმჯობესების მიზნით ხარჯების რისკი გასწიოს"[2]. შეიძლება ხშირად, ქვეყნის სამეურნეო განვითარების მიზნით გაღებულ ხარჯებს ნაყოფი არ მოყვეს, მაგრამ ამან ოდნავადაც არ უნდა შეაშინოს და შეაჩეროს მთავრობა, რადგან ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მორენასს ამ მხრივ მოჰყავდა მაგალითები საფრანგეთის ისტორიიდან.

შემდეგ იგი მიუთითებს საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებაზე, ტროპიკულ მცენარეთა მოშენების აუცილებლობაზე, ვაჭრობის, მიწათმოქმედების და ფაბრიკების განვითარების მნიშვნელობაზე და სხვ. მორენასს საქართველოში უნდა გაეშალა ფართო სამეურნეო მოღვაწეობა, მაგრამ მოგზაურობის დროს იგი 1830 წლის 25 ოქტომბერს გარდაიცვალა სამეგრელოში.

საქართველოს გეოგრაფიული, ბუნებრივი პირობების, სიმდიდრეების და სამეურნეო მდგომარეობის მთელი რიგი მიმოხილვისა და შესწავლის და მასთან ერთად მისი კოლონიალური ექსპლოატაციის პროექტების შემუშავების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ მიიღო პირველი ზომები საქართველოში სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მისი ისეთი დარგების განვითარებისათვის, რომლებიც მეტროპოლიის მრეწველობას საჭირო ნედლეულს მისცემდა. აწარმოებენ ცდებს საქართველოში ბამბის, ინდიგოს, შაქრის ლერწმის, თამბაქოს და სხვა კულტურის მოშენებისათვის, ცდილობენ სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებას და სხვ.

1833 წელს თბილისში მთავრობა აარსებს „სოფლის მეურნეობის, მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის წამხალისებელ საზოგადოებას". ამის შემდეგ მალე დაარსებულ იქნა კიდევ „მეაბრეშუმეობის და სავაჭრო მრეწველობის გამავრცელებელი საზოგა-

---

[1] Акты, т. VII, გვ. 195.
[2] იქვე.

დოება ამიერკავკასიაში". მაგრამ მეფის მოხელეების მექრთამეობისა და გულგრილობის შედეგად ამ ღონისძიებებს მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია და ეს „საზოგადოებანი" დაშლილ იქნენ.

სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, ვორონცოვის მმართველობის დროს, 1850 წელს დაარსებულ იქნა „ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება". მის წევრებად უმთავრესად ირჩევდნენ გამოცდილ და მეურნეობის მცოდნე მემამულეებს. საზოგადოება გამოსცემდა სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურას, გააჩნდა თავისი ჟურნალი (ЗКОСХ). ამავე დროს აწყობდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს.

მიღებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ახალი ტექნიკური კულტურების მოშენებისათვის. საზოგადოება ცდილობდა განეევითარებინა საქართველოში მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მებამბეობა, მოეშენებინა სამღებრო მცენარეები. იგი იწერდა საზღვარგარეთიდან გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს (გუთანს, სალეწს და სხვ.) და ცდილობდა დაენერგა მისი გამოყენება სოფლის მეურნეობაში. მან შექმნა სათესლე დეპო, რომლის საშუალებით იგი ამარაგებდა მოსახლეობას სხვადასხვა მცენარეთა თესლეულით.

მთავრობის ღონისძიებებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, მიუხედავად ცარიზმის საერთო კოლონიალური პოლიტიკისა, დადებითი, პროგრესული როლი შეასრულა.

ცარიზმის კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მხარეს საქართველოში მისი კოლონიზაცია შეადგენდა. ცარიზმი საქართველოში ასახლებდა რუს სექტანტებსა და რასკოლნიკებს, გერმანელებს, თურქეთიდან გადმოსახლებულ სომხებსა და ბერძნებს, სამხედრო ბეგარამოხდილ ჯარისკაცებს, კაზაკებს და სხვ. კოლონისტებს საქართველოში ასახლებდნენ საუკეთესო მიწებზე და თანაც, მათ მიწებს დიდი რაოდენობით აძლევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი მიწების ფონდი ცოტა იყო და ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით გლეხები, ძლიერ საჭიროებდნენ მას. გარდა ამისა, გერმანელ და რუს კოლონისტებს მთავრობა აძლევდა მთელ რიგ შეღავათებს გადასახადის გაწერის, კრედიტის მიცემისა და სხვა საქმეში, მაშინ როცა ადგილობრივი მოსახლეობა ყოველივე ამას მოკლებული იყო. ამასთან ერთად, ხდებოდა „თავისუფალი" მიწების დატაცება ცარიზმის მაღალი ბიუროკრატიული მოხელეების მიერ, ანდა ჩალის ფასად მათი გაყიდვა (ასე მაგალითად, უცხოელ ვაჭარ გამბას მთავრობამ 16.000 დესეტინა მიწა მიყიდა: 1 დესეტინა 25 კაპიკად).

ცარიზმის აზრით, საქართველოში დასახლებულ კოლონისტებს უნდა გაეუმჯობესებინათ და განევითარებინათ სოფლის მეურნეობა, მოეშენებინათ ახალი კულტურები და დაენერგათ მიწის დამუშავების სრულყოფილი ხერხები. მაგრამ მთავრობის იმედები ამ მხრივ არ გამართლდა, რადგან ზოგიერთი კოლონისტი, როგორც მაგალითად, თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები და ბერძნები სამეურნეო და კულტურული განვითარების დონის მხრივ ქართველებზე დაბლა იდგნენ. რაც შეეხება გერმანელებს, მათ მიერ სოფლის მეურნეობაში და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების საქმეში შეტანილი გაუმჯობესება მე-19 საუკუნის რეფორმამდელ ხანაში მეტად უმნიშვნელო იყო და ისიც მხოლოდ მთავრობის უშუალო ხელმძღვანელობით, მატერიალური დახმარებისა და პრივილეგიების მინიჭების შედეგად ხდებოდა. ხოლო ხშირ შემთხვევაში, კოლონისტები თვით ქართველებისაგან სწავლობდნენ მეურნეობის წესებს. გერმანელი ავგუსტ ჰაკსტჰაუზენი, რომელმაც საქართველოში 1843 წელს იმოგზაურა, წერს, რომ გერმანელმა კოლონისტებმა ბევრი სასარგებლო და კარგი რამ გადაიღეს ქართველებისაგან; „იქ, ჩემდა გასაკვირვებლად ვნახე ლეწვის ქართული ხერხი, კოლონისტების მიერ გადაღებული"[1]. გერმანელმა კოლონისტებმა ქართველებისაგან ისწავლეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და იარაღების კეთება, გადაიღეს ქართული „ქევრი" და სხვ. რაც შეეხება გერმანელების მიერ მოხდენილ ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობაზე, ჰაკსტჰაუზენი წერს, რომ „აქამდე გერმანელმა კოლონისტებმა ცოტა გავლენა მოახდინეს მათ გარემომცველ ქართველებზე და თათრებზე განათლების საქმეში"-ო.[2] ასევე ფერმერი ბარონ ნიკოლაი 1856 წელს აღნიშნავდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას გერმანელი კოლონისტებისაგან არაფერი არ გადაუღიათო[3]. ცარიზმის იმედები იმის შესახებ, რომ დასახლებული კოლონისტები საქართველოში განავითარებდნენ სოფლის მეურნეობას, მოაშენებდნენ მხარისათვის უცნობ კულტურებს, გამოიყენებდნენ ახალ სასოფლო-სამეურნეო იარაღებსა და მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ წესებს და ასეთი საშუალებებით გავლენას მოახდენდნენ და აამაღლებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო და კულტურულ დონეს, არ გამართლდა.

ამგვარად, 30-იანი წლებიდან რუსეთი შეუდგა საქართველოს

---

[1] П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. I, 1938, გვ. X.

[2] იქვე.

[3] ЗКОСХ, 1857, გვ. 29.

ეკონომიური ათვისების ამოცანის განხორციელებას. ამ პერიოდში გარკვეულ სისტემად ჩამოყალიბდა ცარიზმის კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკა, რის თანახმად, საქართველო მეტროპოლიის მრეწველობისათვის უნდა ყოფილიყო გასაღების ბაზარი და ნედლეულის ბაზა.

ამიტომ, ცარიზმი დაინტერესებული იყო საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებით, განსაკუთრებით მისი ზოგიერთი დარგების, რომლებიც რუსეთის მრეწველობას საჭირო ნედლეულს მიაწვდიდნენ.

ცარიზმი არ იყო დაინტერესებული საქართველოში მრეწველობა განევითარებინა. იგი თანხმდება მხოლოდ ნედლეულის ნაწილობრივ გადამუშავებაზე. განსაკუთრებით იგი ხელს უშლიდა აქ მრეწველობის ზოგიერთი დარგების განვითარებას, რომელთაც შეეძლოთ მომავალში მეტოქეობა გაეწიათ მეტროპოლიის მრეწველობის ასეთივე დარგებისათვის. ამის მკაფიო მაგალითები იყო რუსეთის მთავრობის დამოკიდებულება თბილისის შაქრის ქარხნისა და განსაკუთრებით დრეის მაუდის ფაბრიკისადმი.

მიუხედავად ამისა, ცარიზმის სურვილებისა და კოლონიალური პოლიტიკის დამოუკიდებლად, ახალი საწარმოო ძალები საქართველოში მაინც იზრდებოდა და ვითარდებოდა. ვითარდებოდა არა მარტო სოფლის მეურნეობა, არამედ მრეწველობაც, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ცარიზმის კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში, ადგილობრივ მწარმოებლურ ძალებთან და მისი ზრდის ტენდენციებთან შედარებით სუსტი აღმოჩნდა და საბოლოოდ მან მარცხი განიცადა.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

სასაქონლო მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარება. ნატურალური მეურნეობის რღვევა

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, მშვიდობიანობის დამყარებისა და მდიდარი ბუნებრივი პირობების შედეგად ქვეყნის მეურნეობა სწრაფად დაწინაურდა. გაფართოვდა და განვითარდა ვაჭრობა, გაიზარდა სასაქონლო წარმოება. ვაჭრობა და სასაქონლო წარმოება საქართველოში იზრდება XIX საუკუნის 30-იანი და განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან. პირველ რიგში აღსანიშნავია მარცვლეულის, მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის და მეურნეობის სხვა დარგთა განვითარება. იზრდება. ბაზარზე მარცვლეულის (პური, ქერი. სიმინდი), ღვინის, არყის, აბრეშუმის, ბამბის, თამბაქოს, ენდროს, ბოსტნეულის გამოტანა და გაყიდვა.

ვაჭრობა გაიზარდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთთან. გაიზარდა საქონლის შემოტანა და გატანა. გატანილ ნაწარმთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავი იყო პური, სიმინდი, ღვინო, აბრეშუმი, ენდრო და სხვ.

სასაქონლო წარმოების, საშინაო და საგარეო ვაჭრობის ზრდასთან ერთად, თანდათან ირღვეოდა ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობა. ნატურალური მეურნეობის რღვევა აშკარა ხდება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

მ ა რ ც ვ ლ ე უ ლ ი მეურნეობის განვითარებას საქართველოში ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა და იგი სათანადო სიმაღლეზე იდგა. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ პურის მოყვანას, რადგან იგი ხელსაყრელად იყიდებოდა, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საზღვარგარეთ. მიუხედავად იმისა, რომ მას ადგილობრივი ხაზინა დიდი რაოდენობით ყიდულობდა არმიის მომარაგებისათვის, რიგ წლებში პურს გატანილ საქონელთა შორის პირველი ადგილი ეკავა. ასე მაგალითად, 1847 წ. გატანილ საქონელთა შორის პურმა პირველი ადგილი დაიჭირა კავკასიაში. ამ წელს იგი გატანილ იქნა 170.916 მანეთისა, მაშინ როდესაც, 1846 წელს — 94.689 მანეთისა[1], ე. ი. წინა წელთან შედარებით პურის გატანა თითქმის 2 ჯერ გაი-

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 2, д. 977, л. 8.

ზარდა. თბილისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი გუბერნიის 1849 წლის ანგარიშში მარცვლეულო მეურნეობის შესახებ აღნიშნავდა: „В настоящее время более внимания как помещиков, так и крестьян, обращено на распространение хлебопашества, ибо хлеб здесь составляет верный источник наличного дохода и народного богатства. Хлеб кроме сбыта подрядчикам для поставки на продовольствие войск вывозится для продажи заграницу“[1].

1845 წელს თბილისის მაზრაში პური მიიღეს 267.113 ჩეტვერტი[2], აქედან გაყიდულ იქნა 58,680 ჩეტვერტი — 131.708 მანეთისა. ქერი მიიღეს 132.407 ჩეტვერტი, აქედან გაყიდულ იქნა 32.148 ჩეტვერტი — 47.122 მანეთის[3].

გორის მაზრაში 1843 და 1845 წლების ცნობებით მცხოვრებნი პურს ყიდდნენ კომისიონერებზე და გაჰქონდათ თბილისის, ქუთაისისა და ახალციხის მაზრებში[4].

თელავის მაზრაში 1845 წელს მიიღეს 171.295 ჩეტვერტი პური, აქედან გაყიდეს 19.852 ჩეტვერტი 59.556 მანეთის. ქერი მიიღეს 24.070 ჩეტვერტი, აქედან გაყიდეს 5.343 ჩეტვერტი 10.686 მანეთის[5]. აქ უფრო მეტად პური იყიდებოდა სხვა ნაწარმთა შორის, რადგან მას ხაზინის მოიჯარადრეები ყიდულობდნენ: „Легче всего сбыть хлеба, потому что в большом количестве закупается оний у жителей казенными подрядчиками“[6]. ასევე დიდი რაოდენობით იყიდებოდა პური სიღნაღის მაზრაში[7].

ახალციხის მაზრაში აღნიშნულ წელს მოიყვანეს 40.300 ჩეტვერტი პური. გაყიდეს 1148 ჩეტვერტი — 2296 მანეთისა. ქერი მოიყვანეს 35910 ჩეტვერტი, გაყიდეს 4010 ჩეტვერტი — 4.880 მანეთის[8].

ქუთაისის მაზრაში 1845 წელს მიიღეს 56.343 ჩეტვერტი პური. აქედან გაყიდეს 11.343 ჩეტვერტი 45372 მანეთისა[9].

საქართველოში პურისა და ქერის გარდა, დიდი რაოდენობით მოჰყავდათ სიმინდი და ღომი, განსაკუთრებით დასავლეთში. მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით იზრდებოდა მისი საქონლიანობა, ბაზარზე გატანა.

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 41, д. 2203, л. 874.
[2] ჩეტვერტი დაახლოებით უდრის 9 ფუთს.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 45—47.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6244, ფურც. 104, საქმე 8888, ფურც. 6.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 61.
[6] იქვე, ფურც. 58.
[7] იქვე, ფურც. 15—16.
[8] იქვე, ფურც. 75—76.
[9] იქვე, ფურც. 132.

1845 წელს ქუთაისის მაზრაში მოიყვანეს 59.000 ჩეტვერტი სიმინდი, აქედან გაყიდეს 7.600 ჩეტვერტი — 17.500 მანეთის. ღომი მიიღეს 50.000 ჩეტვერტი, აქედან გაყიდეს 3.000 ჩეტვერტი — 15.000 მანეთის[1].

გურიის მაზრაში მოიყვანეს 93.270 ჩეტვერტი სიმინდი, გაყიდეს 3.000 ჩეტვერტი — 6.000 მანეთის. ღომი მოიყვანეს 30.000 ჩეტვერტი, გაყიდეს 100 ჩეტვერტი — 300 მანეთის[2]. გურიიდან სიმინდი გაჰქონდათ საზღვარგარეთ, თურქეთში[3]. გურიაში (ოზურგეთში) სიმინდის საყიდლად ყოველწლიურად მოდიოდნენ თურქები[4]. ღომი გურიიდან გასაყიდად მიჰქონდათ გორსა და თბილისში[5].

სიმინდი და ღომი საზღვარგარეთ გაჰქონდათ აგრეთვე სამეგრელოდან: „Доставляемые Мингрелией произведения от земли: кукуруза, гоми, орехи, хурма, деревья: ореховое, пальмовое и чинар составляют промысел Редут-кальских торговцев — все эти произведения вывозятся заграницу“[6]. სამწუხაროდ, ზემოთ აღნიშნული 1845 წლის სტატისტიკური მონაცემები სამეგრელოს მიმართ არ გაგვაჩნია.

1846 წელს დასავლეთ საქართველოდან სიმინდი დიდი რაოდენობით იქნა გატანილი ირლანდიაში[7]. 1847 წელს რედუტ-კალედან და შეკვეთილიდან საზღვარგარეთ გატანილ იქნა 320.000 ფუთი სიმინდი — 112.000 მანეთისა[8].

კიდევ უფრო გაიზარდა სიმინდის გატანა საზღვარგარეთ 50-იან და განსაკუთრებით 60-იან წლების დასაწყისში. იგი გაჰქონდათ არა მარტო მეზობელ თურქეთში, არამედ ევროპაშიც. 1862 წელს გურიიდან და სამეგრელოდან ევროპაში გატანილ იქნა მილიონი მანეთის სიმინდი. „ჩვენი კორესპონდენტი გვწერს, რომ შარშან ანგლიისათვის გაუტანიათ გურიითგან და სამეგრელოთგან ერთი მილიონის მანეთის სიმინდი. ეს დიდი საქმეა ამ მხარისათვის“[9] — წერდა ივ. სერებრიაკოვი „გუთნის დედაში“ 1863 წელს. „თუ გურიამ და სამეგრელომ ამისთანა მუშტარი დაიმკვიდრა, როგორც არის ანგლია, მაშინ იმათ ვეღარ შაედრება ვერც ერთი კავკასიის მხარედგანი მიწის გამორჩომითა და სხვა ყოველისფერის წარმატებითა“[10]. 60-იან

---

[1] ი ბ ი ვ ე.
[2] ი ბ ი ვ ე, ფურც. 100—102.
[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1. д. 250, л. 18.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 8093, ფურც. 16.
[5] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 250, л. 18.
[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 242, л. 15.
[7] «Кавказский календарь», 1853, გვ. 310.
[8] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 2, д. 977, л. 8.
[9] „გუთნის დედა“, 1863 წელი, № 4, გვ. 69.
[10] ი ბ ი ვ ე.

წლებში შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებიდან საზღვარგარეთ წლიურად გაჰქონდათ მილიონ ფუთამდე სიმინდი. აქედან ნახევარი სამეგრელოზე მოდიოდა.[1] უმთავრესად სიმინდს აგზავნიდნენ ირლანდიაში და შოტლანდიაში. დიდ ბრიტანეთში სიმინდზე მოთხოვნილების ზრდამ გაზარდა სიმინდის წარმოება სამეგრელოში[2].

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ მარცვლეულის მოსავლიანობის ზრდა რეფორმამდელ საქართველოში უმთავრესად ხდებოდა ნათესი ფართობის გადიდების შედეგად. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში 1821—1841 წლებში სათესი ფართობი გაიზარდა 2-ჯერ, ხოლო 1861 წლისათვის 3, 3-ჯერ.

მოსავალი 1841 წელს 1821 წელთან შედარებით მიღებულ იქნა 2,5-ჯერ მეტი, ხოლო 1861 წელს 3,2-ჯერ მეტი[3].

მარცვლეულის ნათესი ფართობი და ასევე მოსავლიანობა აღნიშნულ ხანაში იზრდება აგრეთვე დასავლეთ საქართველოშიც[4].

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ 40-იან წლებიდან საქართველოში მარცვლეულ მეურნეობას აშკარად ემჩნევა სასაქონლო ხასიათი, რომ მოყვანილი მარცვლეულის მნიშვნელოვანი რაოდენობა, დაახლოებით ¼ ნაწილი, ბაზარზე გადის და იყიდება.

მ ე ღ ვ ი ნ ე ო ბ ა საქართველოში ოდითგანვე ფართოდ იყო განვითარებული. საქვეყნოდ ცნობილია ვაზის მრავალი ქართული ჯიში. განსაკუთრებით ამ მხრივ, როგორც ყოველთვის გამოირჩეოდა კახეთი. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში მარტო თელავის მაზრაში 2 მილიონამდე ვედრო ღვინოს აყენებდნენ[5], აქედან 1300000 ვედრო ღვინოს ყიდდნენ[6], მეტწილად თბილისში, რომლის 23000 მოსახლეობა წლიურად 700000 ვედრო ღვინოს ხარჯავდა[7]. ამავე წლებში თელავის მაზრაში ხდიდნენ 75000 ვედრო არაყს[8]. მაგრამ ღვინოს დაყენების და არყის გამოხდის ოდენობა სხვადასხვა წლებში მეტ-ნაკლები იყო და მერყეობდა. ასე მაგალითად, 1841 წელს თელავის მაზრაში დაუყენებიათ 1.300.000 ვედრო ღვინო და გამოუხ-

---

[1] «Кавказ», 1862, № 99.

[2] ი ქ ვ ე.

[3] Э. Х о ш т а р и я, Наемный труд в Грузии во второй половине XVIII в. и в первой половине XIX в. 1955, автореферат кандидатской диссертации, გვ. 7.

[4] ი ქ ვ ე.

[5] Обозрение Российских владений за Кавказом. ч. 1, СПБ, 1836, გვ. 52, 375. საერთოდ კახეთში მე-19 საუკუნის რეფორმამდელ ხანაში სამუალოდ წლიურად მოჰყავდათ 2 მილიონამდე ვედრო ღვინო.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 383.

[7] ი ქ ვ ე, გვ. 52—53.

[8] ი ქ ვ ე, გვ. 52.

დიათ 25.000 ვედრო ჭაჭის არაყი[1], ე. ი. წინა წლებთან შედარებით ნაკლები.

თელავის მაზრის დიდ ნაწილში მოსახლეობა მხოლოდ მეღვინეობას მისდევდა: ყვარელში, კონდოლში, რუისპირში, ფშაველში, გულგულაში, ახმეტაში, წინანდალში და სხვ.[2]

სიღნაღის მაზრაში მეღვინეობას ყველაზე მეტად მისდევდნენ ყარდანახსა და ველისციხეში, სადაც ღვინოს დიდი რაოდენობით აყენებდნენ გასაყიდად[3]. 1858 წლის ცნობით, ამ წელს სიღნაღის მაზრაში გაყიდულა 1.350.000 ვედრო ღვინო — 1.350.000 მანეთის და 100.000 ვედრო არაყი — 180.000 მანეთის[4].

კახური ღვინო მთელ მხარეში საღდებოდა[5]. 40-იან წლებიდან კახურ ღვინოზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდებოდა და ამის შედეგად ბაზრებზე მისი გატანა. ასევე ყოველწლიურად იზრდებოდა კახური ღვინის გატანა რუსეთში.[6] ღვინით ვაჭრობა კახეთში დიდხანს შემსყიდველების ხელში იყო, მაგრამ თანდათან ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს თვით მემამულეებმაც და თბილისში საკუთარი საწყობები მოაწყვეს[7]. 40-იან წლებში ღვინის ასეთი საწყობები ჰქონდათ თბილისში თავად ალ. ჭავჭავაძეს,[8] თავად სოლომონ გურგენიძეს[9] და სხვებს. მიუხედავად ამისა ღვინის შემსყიდველები კახეთში კვლავ დიდი რაოდენობით რჩებოდნენ.

ღვინოს დიდი რაოდენობით ამზადებდნენ დასავლეთ საქართველოშიც, მაგრამ ბაზარზე იგი შედარებით ნაკლებად გაჰქონდათ. 50-იან წლებში იმერეთიდან გასაყიდათ გაჰქონდათ 50.000 ვედრო ღვინო. იგი უფრო მეტად გაჰქონდათ ქართლსა და ახალციხეში. ღვინო დიდი რაოდენობით საღდებოდა ქ. ქუთაისში, რომლის მოსახლეობა წლიურად საშუალოდ 60.000-მდე ვედრო ღვინოს ხარჯავდა.[10] ასევე, 50-იან წლებში, სამეგრელოდან გასაყიდათ გაჰქონდათ 50.000-მდე ვედრო ღვინო.[11] აფხაზეთში იმავე წლებში, ასევე გასა-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, 235, л. 36.
[2] Обозрение Росс...., გვ. 377—378.
[3] იქვე, გვ. 342.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 26, აღწერა 6, საქმე 119, ფურც. 52—53.
[5] «Кавказ», 1849, № 19.
[6] Акты, т. X, გვ. 835.
[7] «Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, 1869, отд. 1, გვ. 70.
[8] «Кавказский календарь» 1846, გვ. 236.
[9] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6774, ფურც. 16, 100—111.
[10] «Кавказский календарь» 1853, გვ. 311.
[11] Статистическое описание губернии и областей Российской империи, т. XVI, ч. V. СПБ, 1858, გვ. 89.

ყიდათ ამზადებდნენ 50.000-მდე ვედრო ღვინოს[1]. აქედან 10—12 ათასამდე ვედრო ღვინო რუსეთში იგზავნებოდა[2]. აქ ღვინოს გასაყიდათ ამზადებდნენ შემსყიდველები დაქირავებული მუშების საშუალებით, რომლებიც მოსახლეობისაგან შესყიდულ ყურძენს წურავდნენ[3].

შემდგომ წლებში მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესების შედეგად ქართულ ღვინოზე მოთხოვნა და მისი გასაღება განუხრელად იზრდებოდა. განსაკუთრებით იზრდებოდა მისი გატანა რუსეთში.

მეაბრეშუმეობა საქართველოში ძველი დროიდანვე განვითარების ძაღალ დონეზე იდგა და მოსახლეობა მეურნეობის ამ დარგს კარგად იცნობდა. ჩვენში აბრეშუმს წარმატებით აშენებდნენ როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში. წარმოებული აბრეშუმი ქართველ ვაჭრებს ძველ დროშივე დიდი რაოდენობით გაჰქონდათ უცხოეთში.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში მეაბრეშუმეობა ჩვენში ახალ განვითარებას აღწევს. განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია მან დასავლეთ საქართველოში, საიდანაც განუხრელად იზრდებოდა აბრეშუმის გატანა საზღვარგარეთ, უფრო მეტად 40-იან წლებიდან. მეტწილად იგი ნედლეულის (პარკი და ამოხვეული ძაფი) სახით გაჰქონდათ. გურიისა და სამეგრელოს აბრეშუმი 40-იან წლებში რედუტ-კალედან იქნა გატანილი:

1845	წელს	954	ფუთი	და 30	გირვანქა	— 64.545 მანეთის
1846		1652		25		— 97.325
1847		947		—	—	— 48.320
1848		551		29		— 25.397
1849		955		18		— 51.391
1850[4]	„	1018		—		— 63.540

სულ აღნიშნული პუნქტიდან 1845—1850 წლებში გატანილ იქნა 6.095 ფუთზე მეტი აბრეშუმი — 349.516 მანეთის.

ამის გარდა, შეკვეთილის საკარანტინო საბაჟო პუნქტიდან 1845—49 წლებში გატანილ იქნა 208 ფუთი და 20 გირვანქა აბრეშუმი — 8.360 მან. ოზურგეთიდან (სახმელეთო გზით) 1845—49 წლებში გატანილ იქნა 444 ფუთი და 30 გირვანქა — 18930 მანეთისა.

---

[1] ЗКОСХ. 1855, გვ. 72.
[2] იქვე, გვ. 75—76.
[3] იქვე, გვ. 69—70.
[4] 1850 წლის 10 აპრილამდე.
[5] «Кавказ», 1853, № 32.

სულ ზემოთ აღნიშნული სამი პუნქტიდან 1845—1850 წლებში გურიიდან და სამეგრელოდან გატანილ იქნა 7.748 ფუთი და 32 გირ. აბრეშუმი — 376.806 მან. ღირებულების[1].

განსაკუთრებით აღსანიშნავია აბრეშუმის წარმოების ზრდა იმერეთში მე-19 საუკუნის 50-იან წლებში. იგი აქ მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ საგნად იქცა. 40-იან წლებში იმერეთში აბრეშუმი შედარებით ნაკლები მზადდებოდა და შესაბამისად საზღვარგარეთ მცირე რაოდენობით გაჰქონდათ[2]. 50-იან წლებში კი აქ საგრძნობლად გაიზარდა აბრეშუმის წარმოება და ამის შედეგად მისი გატანაც. გაჰქონდათ, როგორც ამოხვეული აბრეშუმი, ისე პარკის სახით. 1856 წელს იმერეთიდან ამოხვეული აბრეშუმი საზღვარგარეთ გატანილ იქნა 5147 ½ ფუთი — 459070 მანეთის; პარკი გაიტანეს 120 ფუთი — 8000 მანეთის; სულ 5267 ½ ფუთი აბრეშუმი — 467070 მან. ღირებულებისა[3]. 1848—50 წლებში კი საშუალოდ, მთელი ამიერკავკასიიდან წლიურად გაჰქონდათ 3.566 ფუთი აბრეშუმი.[4]

რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, იზრდებოდა აბრეშუმის ხარისხი და შესაბამისად მისი ფასიც. 1848—50 წლებში ამიერკავკასიის ფუთი აბრეშუმის საშუალო ფასი იყო 47 მანეთი, ხოლო 1856 წელს იმერეთისა და სამეგრელოს ფუთი აბრეშუმი გაყიდულ იქნა 100 მანეთამდე, ე. ი. ორჯერ მეტად, ხოლო ფუთი საუკეთესო აბრეშუმი მოსკოვსა და მარსელში იყიდებოდა 150—200 მანეთად[5].

ამ მეტად მნიშვნელოვანი მონაცემების გამო, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გუბერნიის ანგარიშში აღფრთოვანებით აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის აბრეშუმი მალე შეცვლის რუსეთის ფაბრიკებში ევროპის აბრეშუმის ნაწილს, ხოლო სპარსეთისა და თურქეთისას მთლიანად, რომელიც რუსეთს წლიურად 3 მილიონ 600 ათას მანეთამდე უჯდებაო[6].

აბრეშუმის წარმოება შემდეგ წლებშიც ვითარდებოდა: „Возделивание вина и шелка, а в особенности последнего, начинает

---

[1] იქვე.
[2] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 8, д. 132, л. 26.
[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. (1858 г.) д. 101 л. 163.

ეს ციფრობრივი მონაცემები აღებულია რედუტ-კალეს საკარანტინო-საბაჟო სამმართველოს წიგნიდან. საზღვარგარეთ აბრეშუმის გატანის აღნიშნულ რაოდენობას 50-იან წლებში, დაახლოებით სწორად ადასტურებს „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ ნამდვილი წევრი ფედოტ ბობილევი (იხ. ЗКОСХ, 1856 г. გვ. 342).

[4] იქვე, ფურც. 164.
[5] იქვე, ფურც. 165.
[6] იქვე, ფურც. 166.

заметно развиваться"[1]. აღნიშნულია ქუთაისის გუბერნიის 1862 წლის ანგარიშში.

საერთოდ, მეაბრეშუმეობამ ფართო განვითარება ჰპოვა საქართველოში. აგრონომ დეიჩმანის გამოკვლევით 60-იანი წლების დასაწყისში კახეთში ღებულობდნენ 1200 ფუთ აბრეშუმს, იმერეთსა და სამეგრელოში 16000 ფუთს (რვა-რვა ათასს ფუთს)[2]. 50-იან წლებში ამიერკავკასია, ცნობილი მეაბრეშუმე რაიკოს განცხადებით, აწარმოებდა 30000 ფუთ აბრეშუმს[3]; მთელ კავკასიაში კი ღებულობდნენ 50000 ფუთზე მეტს[4]. მაშასადამე, როგორც ვხედავთ საქართველოს წილი აბრეშუმის წარმოების დარგში დიდი იყო.

მეაბრეშუმეობის ფართოდ განვითარებამ რეფორმამდელ ხანაში გამოიწვია საქართველოში რიგი აბრეშუმსახვევი საწარმოების, „ფაბრიკების" დაარსება, რომლებსაც შემდეგ შევეხებით.

ფართოდ განვითარდა საქართველოში მ ე თ ა მ ბ ა ქ ო ე ო ბ ა. თამბაქოს სხვადასხვა ჯიშების დანერგვა ჩვენში იწყება გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან. აქ ნიადაგი მის გასაშენებლად საუცხოო აღმოჩნდა. მის დანერგვას ხელი შეუწყო მთავრობის ღონისძიებებმა, რადგან მოსკოველი მრეწველები დიდად საჭიროებდნენ თამბაქოს ნედლეულს.

საქართველოში მისი გავრცელების მიზნით, 40-იან წლებში, სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გამოიწერა ვირგინიის, მარილანდის, ხენტუსკის, ჰავაის, კუბის, მაკედონიის, ალბანეთის, პერგამის, მაგნეზიისა და სხვა ქვეყნების თამბაქოს ჯიშების თესლეული და იგი დაურიგეს მთელ რიგ ქართველ მემამულეებს: სამეგრელოს მთავარ დადიანს, აფხაზეთის მფლობელ შერვაშიძეს; დიასამიძეს, მამაცაშვილს, ერისთავს, ივ. აბაშიძეს, ზაქრო ციციშვილს, ესტატე თარხნიშვილს, ამილახვარს (გორის მაზრა); ორბელიანს, ქაიხოსრო მუხრან-ბატონს, ზაქრო და ყარამან მელიქოვებს (თბილისის მაზრა); გრიგოლ ვაჩნაძეს (სიღნაღის მაზრა), ქობულოვს (თელავის მაზრა), ჯორჯაძეს (ელისავეტპოლის მაზრა), ნიკო ჩიჯავაძეს (ქუთაისის მაზრა), მიხეილ ერისთავს (ოზურგეთის მაზრა) და სხვებს. მოსავლის შედეგები კარგი აღმოჩნდა. სავაჭრო მიწათმოქმედების ეს კულტურა თანდათან გავრცელდა ჩვენში და 50-იან წლებში ვაჭრობის ერთ-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1862 г.), д. 134, л-109.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქ. 4479, ფურც. 7. „კავკასიის სოფლის მეურნეობისა საზოგადოების" მიერ 1864 წელს შედგენილ ბარათში მეაბრეშუმეობის საკითხზე აღნიშნულია, რომ ეს რიცხვი (16.000 ფუთი აბრეშუმი) „გადაუჭარბებლად არის მოცემული", პირიქით, იგი „უფრო შემცირებულია"-ო.

[3] «Кавказ», 1854, № 61.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქ. 4479, ფურც. 7.

ერთ საგნად იქცა. 50-იანი წლებიდან ეწყობა თამბაქოს დიდი და პატარა საწარმოები („ფაბრიკები"), სადაც ახდენდნენ მის გადამუშავებას. მრავლად გაჩნდნენ თამბაქოს დიდი და პატარა დუქნები, სადაც ხდებოდა მისი გაყიდვა.

თბილისის მაზრაში, სტატისტიკური ცნობებით, 1859 წელს თამბაქო მოიყვანა 475 კაცმა — 9.705 ფუთი. აქედან მწარმოებლებმა თავისთვის დაიტოვეს 2.087 ფუთი, ხოლო 7.618 ფუთი გაყიდეს (უფრო მეტად თბილისში) — 45.708 მანეთის.[1] თიანეთის ოკრუგში აღნიშნულ წელს მოიწიეს 1.638 ფუთი თამბაქო[2]. სულ თბილისის გუბერნიაში (ელისავეტპოლის მაზრის ჩათვლით) 1859 წელს მოიყვანეს 11.772 ფუთზე მეტი. აქედან მწარმოებლებმა გაყიდეს 7.944 ფუთი თამბაქო,[3] აღნიშნულ წელს თბილისის გუბერნიაში მეთამბაქოეობას მისდევდა 1600-ზე მეტი კაცი[4].

წარმატებით განვითარდა მეთამბაქოეობა კახეთში, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან. 1864 წელს კახეთში მოყვანილი იქნა 10.000 ფუთზე მეტი თამბაქო, რომლის ნაწილი გაიყიდა თბილისში, ნაწილი კი კახელმა მემამულეებმა გაგზავნეს მოსკოვში გასაყიდად[5]. „გუთნის დედა" 1864 წელს აღნიშნავდა, რომ „ახლა თითქმის ყველაფერი მომზადებულია. რომ ოსმალოდან აღარ შემოვიდეს ჩვენში თამბაქო". კორესპონდენტს საჭიროდ მიაჩნდა კახეთის ერთ-ერთი კუთხე — „წინამხარი" გადაქცეულიყო „თამბაქოს პლანტაციად" და თავი დაენებებინათ იქ პურის თესვისათვის. იგი მოითხოვდა ვაჭრებსა და „მეპაპიროსეებს" ადგილობრივი თამბაქო შეეძინათ, ხოლო მთავრობისაგან ითხოვდა — დაედო „მძიმე ბაჟი ოსმალოს თუთუნზე"[6].

წარმატებით და ფართოდ ვითარდებოდა მეთამბაქოეობა დასავლეთ საქართველოშიც: იმერეთში, აფხაზეთში, სამეგრელოსა და გურიაში. 40-იანი წლებიდან აქაც დაიწყეს თამბაქოს სხვადასხვა ჯიშების მოშენება. მოსავლის შედეგები თითქმის ყველგან კარგი იყო. საინტერესოა ამ მხრივ აფხაზეთის მთავარ შერვაშიძის წერილი მოხელე საფონოვისადმი. იგი წერდა: „თამბაქოს ძლიერი, საუცხოო აღმოცენება მე იმედს მაძლევს, რომ იგი წარმატებით გაშენდება აფხაზეთში და დროდადრო გახდება მომავალი მრეწველობის ერთ-ერთი მთავარი დარგი, მით უფრო, რომ აქაური მეურნენი

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 225, საქ. 1479, ფურც. 55—56.
[2] იქვე, ფურც. 64—65.
[3] იქვე, ფურც. 66—69.
[4] იქვე.
[5] «Кавказ», 1865, № 41.
[6] „გუთნის დედა", 1864 წელი, № 24, გვ. 184.

ძველი დროიდანვე მისდევდნენ თამბაქოს გაშენებასა და დამუშავებას"[1].

სტატისტიკური ცნობებით 1859 წელს ქუთაისის გუბერნიაში მეთამბაქოეობას მისდევდა 1000-ზე მეტი კაცი. თამბაქოს მოსავლის უმეტეს ნაწილს ყიდდნენ[2].

იმერეთში უფრო მეტად თამბაქო მოჰყავდათ ქუთაისის მაზრაში, განსაკუთრებით ბაღდადის უბანში და სოფელ ხონში. 50-იან წლებში სოფელ ხონში იგი მეურნეობისა და ვაჭრობის მთავარი საგანი გამხდარა: „Жители селения Хони занимаются, почти исключительно разведением табаку для продажи"[3]. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იგი სავაჭრო მიწათმოქმედების ისეთ განვითარებაზე მიუთითებს, როდესაც ხდება მიწათმოქმედების სპეციალიზაცია. ამ შემთხვევაში სოფლის მეურნენი სპეციალურად ამა თუ იმ კულტურას მისდევენ, მისი გაყიდვის მიზნით. თამბაქოს გაყიდვის მიზნით 1850 წელს ხონში იხსნება „თამბაქოს იარმუკა".

ყველაზე უკეთესი ხარისხის თამბაქო ქუთაისის გუბერნიაში მოდიოდა, ქუთაისის მაზრის ბაღდადის უბანში და ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის უბანში, ერისთავების მიწებზე[4].

დიდი რაოდენობით მოჰყავდათ თამბაქო სამეგრელოში. 40-იან წლებში აქ ინერგება ამერიკული თამბაქო. მოსკოველი მრეწველები აქ მოყვანილ თამბაქოს მაღალ შეფასებას აძლევდნენ[5]. ყველაზე მეტად თამბაქო სამეგრელოში მოჰყავდათ ჯვრის ოკრუგში, სადაც 50-იან წლებში, უხვმოსავლიანობის დროს, წლიურად მოდიოდა 20.000-მდე ბათმანი თამბაქო[6]. უკეთესი თამბაქო მოჰყავდათ წალენჯიხაში, ჩხოროწყუში და მუხურში[7]. თამბაქო სამეგრელოდან გაჰქონდათ თბილისში, რუსეთსა და საზღვარგარეთ. ოფიციალური ორგანო „კავკაზ"-ი იმედს გამოთქვამდა, რომ სამეგრელოს თამბაქო შეცვლიდა ამერიკულს[8].

მეთამბაქოეობა გაცილებით უფრო ვითარდება საქართველოში რეფორმისშემდგომ ხანაში.

---

[1] Акты, т. X, გვ. 161.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 255, საქ. 1467, ფურც. 50—51, 66—69.
[3] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 9 (1858 г.), д. 101, л. 190.
[4] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 10 (1865 г.), д. 127, л. 145.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწ. 5, საქმე 9, ფურც. 38.
[6] Статист. опис. губ. и обл. Росс. имп., т. XV. ч. V: СПБ. 1858. გვ. 95—96.
[7] «Кавказ», 1862, № 99.
[8] «Кавказ», 1849, № 21.

რეფორმამდელ საქართველოში მნიშვნელოვნად იყო განვითარებული მ ე ბ ა მ ბ ე ო ბ ა ც. ბამბის მოსავლის ნაწილს მწარმოებელი მოსახლეობა-თავისთვის იტოვებდა საკუთარი საჭიროებისათვის (გლეხურ ოჯახებში მისგან ქსოვდნენ ხამს), ნაწილს კი ჰყიდდა.

საქართველოში ბამბა უფრო მეტად მოჰყავდათ დასავლეთში. საგლეხო რეფორმამდე აქ იგი მეტწილად მოჰყავდათ ქუთაისის მაზრის დაბლობ ადგილებში, შორაპნის მაზრის არგვეთისა და ჩხარის უბნებში, ოზურგეთის მაზრის ლანჩხუთისა და ჩოხატაურის უბნებში[1] და სხვაგან.

40-იან წლებში თავადმა გურიელებმა ეგვიპტური ბამბის მნიშვნელოვანი პლანტაციები გააშენეს და ამ საქმისათვის ეგვიპტიდან გამოცდილი ხალხი გამოიწერეს[2].

50-იან წლებში იმერეთში წლიურად მოჰყავდათ 5000-მდე ფუთი ბამბა[3]. აქედან მარტო ხონში წლიურად იყიდებოდა 1000 ფუთამდე[4]. 60-იან წლებში კი ბამბის წარმოება და მისი გაყიდვა საგრძნობლად გაიზარდა. 1864 წელს გაყიდულ იქნა 150000 მანეთის ბამბა[5]. გუბერნიის ანგარიშში ამის შესახებ ვკითხულობთ: „Хлопок производится здесь отличного качества, в Озургетском, Кутаисском и юго-западной части Шорапанского уездов. Всю продажу состоявшуюся в 1864 году оценивают до 150.000 руб. серебр"[6]. ფუთი ბამბა იყიდებოდა 10-დან 18 მანეთამდე. თუ საშუალო ფასად ავიღებთ 15 მანეთს, მაშინ, 1864 წელს იმერეთში გაუყიდიათ 10.000 ფუთი ბამბა ადგილობრივ მოყვანილი. მხედველობაში თუ მივიღებთ იმას რომ მწარმოებლები მოსავლის ნაწილს, ერთ მესამედს მაინც თავისთვის დაიტოვებდნენ, მაშინ 1864 წელს იმერეთში მოუყვანიათ 15.000-მდე ფუთი ბამბა, ხოლო მთელ საქართველოში ცხადია გაცილებით მეტი. იმერეთის გუბერნიაში საუკეთესო ხარისხის ბამბა მოჰყავდათ სიმონეთში, ამაღლებაში (დღევანდელ ვანის რაიონშია სოფელი), სეფეკესა და ვარციხეში[7]. საქართველოში მიღებულ ბამბას ყიდდნენ როგორც ადგილობრივ ბაზრებზე, ასევე საზღვარგარეთ.

საქართველოში მნიშვნელოვანი რაოდენობით მოჰყავდათ

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10(1865 г.), д. 127, лл. 144—145.

[2] ЗКОСХ, 1855, зз XXXIV.

[3] Статист. опис. губ. и обл. Росс. имп., т. XVI, ч. V, зз, 96; «Кавказ» 1862. № 66.

[4] Статист. опис. губ. зз. 96.

[5] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1865 г.), д. 127, л. 145.

[6] Ибз.

[7] Ибз.

აგრეთვე ენდრო (საღებავი), რომელსაც წარმატებით ასაღებდნენ ადგილობრივ და უცხოეთის ბაზრებზე.

30-იან და განსაკუთრებით 40-იან წლებიდან მნიშვნელოვნად ვითარდება მ ე ბ ა ღ ე ო ბ ა და მ ე ბ ო ს ტ ნ ე ო ბ ა. საქართველოში ამ მხრივ წინ იდგნენ თბილისისა და გორის მაზრები. 40-იან წლებში თბილისის მაზრაში ყოველწლიურად იყიდებოდა 500-მდე ურემი კომბოსტო, და 150-მდე ურემი ჭარხალი[1], გორის მაზრასა და იმერეთში — 16000-მდე ფუთი კომბოსტო და 13.000-მდე ფუთი კარტოფილი[2]. 40-იან წლებიდან საქართველოში დაიწყეს კარტოფილის თესვა, 50-იან წლებში იგი ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრაში მოჰყავდათ[3].

დიდი რაოდენობით იყიდებოდა საქართველოში სხვადასხვა ხილი. ქალაქების ზრდასთან დაკავშირებით მებაღეობა და მებოსტნეობა საქართველოში ყოველწლიურად ფართოვდებოდა და ვითარდებოდა.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ დარგს საქართველოში წარმოადგენდა მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა. რეფორმამდელ ხანაში იზრდებოდა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის გამოყვანა ბაზარზე გასაყიდად[4]. ასევე, იზრდებოდა მესაქონლეობის სხვადასხვა პროდუქტის გაყიდვა, როგორიც იყო ყველი, ერბო, კარაქი, ქონი, მატყლი, ტყავი და სხვ. მესაქონლეობის ნაწარმი საქართველოდან საზღვარგარეთაც გაჰქონდათ.

ზემომოყვანილი მონაცემებიდან კარგად ჩანს საქართველოში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარება XIX საუკუნის მეორე მესამედში. ბაზარზე უკვე გაჰქონდათ მიღებული პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობა, რაც ნატურალური მეურნეობის რღვევის მაჩვენებელი იყო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საერთოდ სტატისტიკური მონაცემები სრული არ არის და ზემომოყვანილი ცნობებიც ამ მხრივ გამონაკლისი არაა.

ჩვენ ხელთ გვაქვს რეფორმამდელი ხანის თბილისისა და ქუთაისის გუბერნატორთა წლიური ანგარიშები, რომლებიც მიუხედავად დიდი ნაკლოვანებებისა საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ იმდროინდელი საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების ვითარებაში. გუბერნატორების ანგარიშებში რიგ საკითხებთან ერთად მოცემულია სტატისტიკური ცნობები საქართველოში სოფლის მეურნეობის,

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 8093, ფურც. 17.
[2] ◦ქ ვ ე, ფურც. 31—32.
[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1860 г.), д. 170, л. 87.
[4] П. Г у г у ш в и л и, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. I, Тб., 1938, зз. 114—118.

მრეწველობისა და ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ. მათში გარკვევით ჩანს სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის ზრდა-განვითარება აღებულ ხანაში.

გუბერნიის ანგარიშები და სხვა სტატისტიკური მონაცემები ჩვენ უფრო მოგვეპოვება 40-იანი წლებიდან. მდიდარი სტატისტიკური ცნობები გვაქვს 1845 წლისა, მაგრამ აქ აღწერილი ქვეყნის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა დამახასიათებელი იყო მთელი რეფორმამდელი ხანისათვის. სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის სურათი აქ ცალკეული მაზრების მიხედვით არის მოცემული და ჩვენც მას ასე განვიხილავთ.

მე-19 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში საშინაო ვაჭრობის მთავარი საგნები იყო სხვადასხვა მარცვლეული (პური, ქერი, სიმინდი, ღომი), მესაქონლეობის პროდუქტები (რძე, ყველი, ერბო, კარაქი), ღვინო, არაყი, ნედლი აბრეშუმი, ბამბა, ხილი და სხვადასხვა ბოსტნეული; ხელოსნური და „შინამრეწველური" ნაწარმიდან: სხვადასხვა შალეული, ნოხები, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილები და სხვ.

თბილისის გუბერნიის თ ბ ი ლ ი ს ი ს მ ა ზ რ ი ს მცხოვრებთა მთავარ საქმიანობას შეადგენდა მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა. ამავე დროს სახლებში ქსოვდნენ ნოხებს, გლეხურ მაუდს, ტილოს და სხვ. ვაჭრობდნენ პურით, პირუტყვით, ღვინით, ხილით, ბოსტნეულით, „შინამრეწველური" ნაწარმით და სხვ. 1845 წელს მაზრაში მოწეული პური და ქერი გაიყიდა 90.828 ჩეტვერტი — 178910 მანეთის (როგორც აღნიშნული გვაქვს ამ წელს თბილისის მაზრაში მიღებულ იქნა 267113 ჩეტვერტი პური, აქედან გაყიდეს 58.680 ჩეტვერტი. ქერი მიღებულ იქნა 132.407 ჩეტვერტი, აქედან გაყიდეს 32148 ჩეტვერტი), ღვინო გაიყიდა 106090 ვედრო — 53400 მანეთის, არაყი — 75600 ვედრო, (ვედრო არაყი ღირდა დაახლოებით 2 მანეთამდე), ყურძენი — 93000 ფუთი 21070 მანეთის, მესაქონლეობის ნაწარმი გაიყიდა 23541 მანეთის, ბოსტნეული — 16654 მანეთის, დიდი რაოდენობით გაიყიდა აგრეთვე ხილი. სულ, 1845 წელს ზემოაღნიშნული ადგილობრივი პროდუქტები გაყიდულ იქნა 403013 მანეთისა[1].

რა თქმა უნდა, ამით არ შემოიფარგლებოდა მთელი ვაჭრობა. აქ არ შედის ხელოსნური და „შინამრეწველური" ნაწარმი, (გლეხური მაუდი, ტილო, ნოხები, აბრეშუმის ქსოვილი და სხვ.).

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი საქ. 8888, ფურც. 45—47.

ამ სტატისტიკურ მონაცემებში არ შედის მაზრის ცენტრი — თბილისი. ვაჭრობა კი რეფორმამდელ ხანაში ყველაზე მეტად იყო განვითარებული თბილისში, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრი და საერთო ბაზარი იყო. თბილისში ბაზრობა ყოველდღიურად იმართებოდა. ფულადი-სავაჭრო კაპიტალის დიდი რაოდენობა აქ იყრიდა თავს. 1846 წელს თბილისში არსებულ სავაჭრო კაპიტალის რაოდენობას 5-მილიონ მანეთამდე ანგარიშობდნენ: „В Тифлисе его (სავაჭრო კაპიტალი — დ. გ.) можно предполагать на сумму 5 миллионов руб. серебром"[1]. 1851 წელს თბილისში ითვლებოდა 5—6 მსხვილი ვაჭარი, თითოეულ მათგანს გააჩნდა 100.000 მანეთი[2]. წვრილი და საშუალო ვაჭართა რიცხვი კი თბილისში ათეულობით ითვლებოდა. 1862 წლის ანგარიშში თბილისის პოლიცმეისტერი წერდა: „Торговля постоянно развивается", „Лица принадлежащие к сословию дворян и почетных граждан более занимаются подрядами и поставками на значительную сумму"[3]. თბილისში ამ წელს 15- გილდიის ვაჭარი ითვლებოდა. 1862 წელს თბილისში ვაჭრობის საერთო ბრუნვა 2 მილიონამდე მანეთს აღწევდა (1988200 მანეთს)[4]. ვაჭრობისა და საქონელწარმოების მხრივ საქართველოში ყველაზე წინ იდგა თბილისის მაზრა ქალაქ თბილისით. თბილისში დამზადებული ნაწარმი გაჰქონდათ ქუთაისის, შემახიის, დერბენდის[5] და სხვა გუბერნიებში, აგრეთვე საზღვარგარეთ.

გორის მაზრაში მეურნეობის მთავარი დარგები იყო მიწათმოქმედება, მებაღეობა, მესაქონლეობა და მებოსტნეობა. ეს უკანასკნელი, მაზრაში განსაკუთრებით ვითარდება 40-იანი წლებიდან. მას მისდევდა თითქმის მთელი გლეხური მოსახლეობა. წარმატებით მოჰყავდათ კომბოსტო და კარტოფილი. ბოსტნეულს ყიდდნენ თვით გორის მაზრაში და იმერეთში. 1845 წელს გაყიდულ იქნა 180000-მდე ფუთი კომბოსტო და 4000-მდე ფუთი კარტოფილი[6].

პურს მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყიდდნენ ხაზინის კომიხიონერებზე და თბილისში. მაზრაში მზადდებოდა და იყიდებოდა ხელოსნური და „შინამრეწველური" პროდუქცია. ბაზარზე გაჰქონდათ აგრეთვე მესაქონლეობის პროდუქტები, ხილი და სხვ.

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268 оп. 2, д. 775, л. 14.
[2] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 8, (1854 г.), д. 21, л. 33.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 17, საქ. 8957, ფურც. 144.
[4] ი ბ ე ვ ე, ფურც. 214.
[5] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, д. 134, л. 19.
[6] საქ. ცსსა ,ფონდი 16, საქ. 8888, ფურც. 6.

გორელი ვაჭრები ხშირად მიემგზავრებოდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის ბაზრებზე და იქიდან მოჰქონდათ სხვადასხვაგვარი საქონელი. ვაჭრების ნაწილს კი გაჰქონდა ადგილობრივი საქონელი. 40-იან წლების დასაწყისში მათ სავაჭრო ბრუნვაში მნიშვნელოვანი კაპიტალი ჰქონდათ მოქცეული. „Из горийских жителей — ведут торговлю мануфактурными изделиями, ведут коммерцию частью с Лейпцигом, Москвою, Закавказскими провинциями, Персиею, отчасти с Турциею; каждогодно ездят на Макарьевскую ярмонку и доставляют отсюда разные товары, имея в обороте капитала до 250 т. рублей серебром; другие занимаются продажею местных товаров"[1].

1845 წლის ცნობით გორში ითვლებოდა 196 ვაჭარი. ყველა ისინი ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ. აქედან საზღვარგარეთ ყოველწლიურად მიემგზავრებოდა 10-მდე გორელი ვაჭარი. ისინი მიდიოდნენ თურქეთში, სპარსეთში, ლაიპციგში, ლონდონში და სხვაგან; რუსეთში—მოსკოვისა და ნიჟეგოროდის ბაზრებზე მიდიოდა 50-მდე ვაჭარი[2]. საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან მათ მოჰქონდათ სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი: შალი, მაუდი, ტილო, აბრეშუმის ქსოვილები, ჩითი, შაქარი, შაქრის ყინული, ყავა, თამბაქო, გალანტერიული ნივთები, მინისა და ბროლის ნაკეთობანი და სხვ. 1845 წელს გორელმა ვაჭრებმა საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან მოიტანეს 55.750 მანეთის საქონელი. აქედან გაყიდეს 41527 მანეთის საქონელი[3]. ვაჭრების ნაწილს მახლობელი მაზრებიდან მოჰქონდათ და ჰყიდდნენ აგრეთვე ადგილობრივ საქონელს.

40-იან წლებიდან გორის მაზრაში წელიწადის გარკვეულ დროს იმართებოდა ე. წ. „იარმარკები" („არბობა"). იარმუკები იმართებოდა მეჯვრისხევში, არბოში, საღოლაშენში, რუისში და სურამში. აქ ყიდდნენ მაუდს, ნარმას, სასმელებს, სურსათ-სანოვაგეს და სხვ.; ვაჭრობდნენ მთიელებთან[4]. 1845 წლის სტატისტიკურ ცნობებში აღნიშნულია ვაჭრობის ზრდა გორის მაზრაში, „წინა წლებთან შედარებით"[5].

ისე როგორც თბილისის მაზრაში, აქაც ვაჭრობა და სასაქონლო წარმოება ყოველწლიურად იზრდებოდა.

თ ე ლ ა ვ ი ს მ ა ზ რ ა შ ი მეურნეობის მთავარი დარგები იყო მიწათმოქმედება და მეღვინეობა. ვაჭრობის მთავარ საგნებს

---

[1] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 1. д. 245. л. 27.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქ. 8888, ფურც. 7—8.
[3] იქვე, ფურც. 104—107.
[4] იქვე, ფურც. 112—113.
[5] იქვე, ფურც. 107.

მაზრაში შეადგენდა პური, ღვინო, არაყი, პირუტყვი-საქონელი და აბრეშუმი. ღვინის გარდა, რომელიც შემსყიდველებს მიჰქონდათ, დიდი რაოდენობით ხდებოდა პურის გაყიდვაც, რადგან მას ხაზინის მოიჯარადრეები ყიდულობდნენ. ასევე იყიდებოდა პირუტყვი-საქონელი, მას პოლკის მარკიტანტები და ვაჭრები ყიდულობდნენ.

1845 წელს თელავის მაზრაში მოწეული პური და ქერი გაიყიდა 25195 ჩეტვერტი 70242 მანეთისა[1] (როგორც აღნიშნული გვაქვს, ამ წელს თელავის მაზრაში მიღებულ იქნა 171.295 ჩეტვერტი პური, აქედან გაყიდეს 19852 ჩეტვერტი, ქერი მიიღეს 24070 ჩეტვერტი, აქედან გაყიდეს 5343 ჩეტვერტი), ღვინო, არაყი და ხილი გაყიდულ იქნა 84282 მანეთის[2], თამბაქო (მოიყვანეს 81 ჩეტვერტი, აქედან გაყიდეს 21 ჩეტვერტი), ენდრო (მიიღეს 43 ჩეტვერტი), ბოსტნეული და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტები გაყიდულ იქნა 8996 მანეთის[3], მესაქონლეობის პროდუქტები გაიყიდა 34.780 მანეთის, მეფუტკრეობის (თაფლი) — 5.720 მანეთისა[4]. სულ, ზემოაღნიშნული ადგილობრივი წარმოების პროდუქტები გაყიდულ იქნა 204.020 მანეთისა.

მაზრაში განვითარებული იყო ხელოსნობა და შინამრეწველობა. აქ იყვნენ სხვადასხვა დარგის ხელოსნები: ბამბისმქსოველები, აგურისმკეთებლები, ოქრომჭედლები, მჭედლები, ზეინკლები, მეჩექმეები, მეპურეები, მელუდეები და სხვ. ვაჭრობითა და ხელოსნობით გამოირჩეოდა მაზრის ცენტრი — თელავი. ქ. თელავში მცხოვრებთა მეტი ნაწილი მისდევდა ვაჭრობასა და ხელოსნობას („Большая часть жителей принадлежат к торговому и ремесленному сословию")[5].

1845 წელს ხელოსანთა რიცხვი თელავის მაზრაში შეადგენდა 438 კაცს, აქედან ქ. თელავში ითვლებოდა 54 ხელოსანი; „მუშების" რიცხვი მაზრაში შეადგენდა 1028 კაცს (ეს „მუშები" შესაძლებელია იყვნენ ნებითდაქირავებულნი სახელოსნოებში და გლეხურ სარეწებში, თუმცა საქმეში მათი ვინაობის შესახებ არაფერია ნათქვამი). მათ აღნიშნულ წელს დაამზადეს 52.297 მანეთის სხვადასხვა ხელოსნური ნაწარმი[6]. ე. წ. „სოფლის ნაწარმი"—ნოხები, გლეხური მაუდი, შალეული, ტილო და სხვა, მაზრაში გაყიდულ იქნა 4.512 მანეთის[7].

---

[1] იქვე, ფურც. 61.
[2] იქვე, ფურც. 62.
[3] იქვე, ფურც. 61.
[4] იქვე, ფურც. 62—63.
[5] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 235, л. 30.
[6] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქ. 8888, ფურც. 64—65.
[7] იქვე, ფურც. 65.

1845 წელს მაზრაში ვაჭართა რიცხვი შეადგენდა 250 კაცს[1]. ვაჭრებს მოჰქონდათ უცხოური და უფრო მეტად რუსული საქონელი, რომელიც თბილისიდან შემოდიოდა.

სიღნაღის მაზრა რეფორმამდელ ხანაში თავისი მიწათმოქმედებით, მევენახეობით, ხელოსნობით, შინამრეწველობითა და ვაჭრობით ერთ-ერთი დაწინაურებული კუთხე იყო საქართველოში. დიდი რაოდენობით იყიდებოდა აქ პური, ქერი, ღვინო, არაყი, ხელოსნური და „შინამრეწველური" პროდუქცია და სხვ. 1845 წელს მაზრაში ვაჭრობიდან მიღებული ფული შეადგენდა 491961 მანეთს[2] (თითქმის ნახევარ მილიონს). „ვაჭრობა" სიღნაღის მაზრაში „საუცხოო მდგომარეობაშია"[3], აღნიშნულია სტატისტიკურ ცნობებში. ვაჭართა რიცხვი ათეულობით ითვლებოდა. აქ იყვნენ წვრილი, საშუალო და მსხვილი ვაჭრები. 1851 წელს მსხვილ ვაჭართა შორის გამოირჩეოდა 4 კაცი, თითოეულ მათგანს გააჩნდა 100.000-მდე მანეთი ფულადი კაპიტალი. ამათ რიცხვში არ შედიოდნენ მრეწველი კაპიტალისტები, რომელნიც მაზრაში 8—9 კაცი ითვლებოდა 300.000 მანეთით[4].

ვაჭრობა და სასაქონლო წარმოება კიდევ უფრო იზრდება და ვითარდება სიღნაღის მაზრაში 50-იან წლებში. 1858 წლის სტატისტიკური მონაცემებით ამ წელს მაზრაში გაიყიდა: ღვინო 1350000 ვედრო — 1350000 მანეთის, არაყი 100.000 ვედრო — 180000 მანეთის, ძმარი — 5000 ვედრო — 3000 მანეთის, აბრეშუმი — 250 ფუთი — 18250 მან. ბამბა — 250 ფუთი, ენდრო — 300 ფუთი, თამბაქო — 250 ფუთი, ტყავი გაიყიდა 20000 მანეთის, აგური — 31200 მანეთის, სპილენძის ჭურჭლეული — 10000 მანეთის და მრავალი სხვ. 1858 წელს სიღნაღის მაზრაში სხვადასხვა სამიწათმოქმედო, ხელოსნური და „მანუფაქტურული" ნაწარმი გაიყიდა 2.023.150 მანეთის[5]. ე. ი. 1845 წელთან შედარებით ვაჭრობა 4-ჯერ და მეტჯერ გაზრდილა. ზემოთ აღნიშნული პროდუქტები და ნაწარმი ძირითადად ადგილობრივი წარმოებისაა.

ზემოაღნიშნულის გარდა მაზრაში იყიდებოდა მარცვლეული, შალი, ტილო, საპონი, ზეთი და სხვ. ასე მაგალითად, 1862 წელს მაზრაში პური გაიყიდა 40.000 მანეთის, შალი — 27000 მანეთის,

---

[1] იქვე, ფურც. 61.
[2] იქვე, ფურც. 15—16.
[3] იქვე, ფურც. 15.
[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 8, (1854 г.), д. 21, л. 33.
[5] საქ. ცსა, ფონდი 26, აღწერა 6. საქ. 119, ფურც. 52—53.

საპონი — 15000 მანეთის[1] და სხვ. რა თქმა უნდა, სტატისტიკური მონაცემები სრული როდია, და როგორც სიღნაღის მაზრის უფროსი მიუთითებს, ზემოთ აღნიშნული ნაწარმის გარდა, უამრავი სხვა საქონელი იყიდებოდა.

შემოტანილი საქონლის შესახებ ცნობა გვაქვს 1862 წლისა. ამ წელს სიღნაღის მაზრაში გაიყიდა შემოტანილი საქონელი 45.000 მანეთისა[2]. როგორც თელავის მაზრაში, აქაც უფრო მეტად შემოდიოდა რუსეთის საქონელი, რომელიც ბითუმად და ცალობით იყიდებოდა[3].

ახალციხის მაზრაში 1845 წელს მარცვლეული (პური, ქერი) მიიღეს 76.210 ჩეტვერტი, აქედან გაყიდეს 5.158 ჩეტვერტი — 7166 მანეთის[4], მესაქონლეობის პროდუქტები გაყიდულ იქნა 39892 მანეთის, თაფლი — 5420 მანეთის[5]; მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის, და მებაღეობის პროდუქტები გაყიდულ იქნა 10544 მანეთის[6], ბოსტნეული და სხვა პროდუქტები — 7259 მანეთის. სულ, აღნიშნულ წელს გაყიდულ იქნა 70.281 მანეთის ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტები. ახალციხის მაზრაში ენდრო მოჰყავდათ აწყურის და ხერთვისის უბნებში და მას ქ. ახალციხეში ყიდდნენ[7].

მაზრაში მნიშვნელოვანი რაოდენობით მზადდებოდა ხელოსნური და შინამრეწველური პროდუქცია. აქ იყვნენ სხვადასხვა ხელოსნები: ფეიქრები, მეტყავეები, ხარაზები, მეაგურეები, მეჭურჭლენი, მჭედლები, ოქრომჭედლები და სხვ. მათი რიცხვი შეადგენდა 745 კაცს, აქედან 594 ხელოსანი ქ. ახალციხეში მუშაობდა. „მუშების“ და „ოსტატების“ რიცხვი მაზრაში შეადგენდა 368 კაცს[8]. 1845 წელს ხელოსნური და შინამრეწველური ნაწარმი დამზადებულ იქნა 57755 მანეთის[9]. ხელოსნური და შინამრეწველური პროდუქცია გაჰქონდათ მაზრის გარეთაც.

1845 წ. ვაჭრების რიცხვი ახალციხეში 30-ს უდრიდა. ამ წელს შემოტანილ იქნა 85.000 მანეთის საქონელი[10]. მაზრაში შემოდიოდა რუსული და უფრო მეტად უცხოური საქონელი.

ქუთაისის გუბერნიაში მეურნეობის ძირითადი დარგები იყო

---

1 საქ. ცსსა ფონდი 17, საქ. 8957, ფურც. 236:
2 იქვე.
3 საქ. ცსსა. ფონდი 16, საქ. 8888, ფურც. 15—16:
4 იქვე, ფურც 75—76.
5 იქვე, ფურც. 71—72.
6 იქვე, ფურც 75—76.
7 საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწ. 5, საქმე 87, ფურც. 15—21.
8 იქვე, ფურც. 73—74.
9 იქვე.
10 იქვე, ფურც 75—76.

მიწათმოქმედება და მევენახეობა. 30—40-იან წლებიდან აქ მნიშვნელოვანი რაოდენობით იყიდებოდა მარცვლეული (პური, სიმინდი, ღომი), თამბაქო, ბამბა, ღვინო, აბრეშუმი, ხე-ტყე და სხვ.; ასევე ხელოსნური და შინამრეწველური პროდუქცია.

ქუთაისის მაზრაში 1845 წელს მარცვლეული მოიწიეს 165343 ჩეტვერტი (პური — 56343 ჩეტ., სიმინდი — 59000 ჩეტ., ღომი — 50.000 ჩეტ.), აქედან გაიყიდა 21943 ჩეტვერტი 77872 მანეთის[1]; თამბაქო მიიღეს 150 ჩეტვერტი, აქედან გაიყიდა 50 ჩეტ. 600 მანეთის. სულ სამიწათმოქმედო პროდუქტები გაყიდულ იქნა 79.907 მანეთის[2]. მესაქონლეობის პროდუქტები გაიყიდა 19620 მანეთის[3]; მებაღეობის, მეაბრეშუმეობის პროდუქტები და ღვინო გაიყიდა 33212 მანეთის[4]; მეფუტკრეობის — 2100 მან.[5] სულ ზემოთ აღნიშნული სასოფლო სამეურნეო პროდუქტები გაყიდულ იქნა 134.839 მანეთის.

თანდათან იზრდებოდა სავაჭრო მიწათმოქმედების კულტურების (თამბაქო, ბამბა, ენდრო და სხვ.) მოყვანა. მიღებული პროდუქციის ნაწილს, ხშირად ორ მესამედს მცხოვრებნი ყიდდნენ. ასე მაგალითად: 1847 წლის ცნობით ქუთაისის მაზრაში მიღებული ენდროს ორი მესამედი გაუყიდიათ[6]. ენდრო მოჰყავდათ სოფელ სიმონეთში, ძევრში და სხვაგან (ასევე შორაპნის მაზრაში, განსაკუთრებით არგვეთის უბანში).

სათანადო დონეზე იდგა მაზრაში ხელოსნობა და შინამრეწველობა. 1845 წელს მაზრაში ითვლებოდა 732 ხელოსანი-ოსტატი, აქედან ქუთაისში მუშაობდა 76 კაცი. „მუშების“ რიცხვი შეადგენდა 421 კაცს[7]. აღნიშნულ წელს ხელოსნური და „შინამრეწველური“ პროდუქცია გაყიდულ იქნა 16980 მანეთის[8].

ვაჭართა რიცხვი ქუთაისში 1845 წელს აღწევდა 72 კაცს. დროებით მოსული ვაჭრები ითვლებოდა 30 კაცი. ამ წელს ვაჭრებმა ქუთაისში მოიტანეს 53.000 მანეთის უცხოური და ადგილობრივი

---

[1] თუმცა ამავე სტატისტიკური ცნობარის სხვა ადგილას აღნიშნულია, რომ 1845 წელს გაიყიდა 80000-მდე ჩეტვერტი „სხვადასხვაგვარი პური“ — 140000 მანეთისა (იგივე საქმე, ფურც. 17). ჩვენის აზრით, ამ ციფრობრივ მონაცემში შედის, როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა კუთხეებიდან შემოზიდული და გაყიდული მარცვლეული.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 132.

[3] იქვე, ფურც. 134—135.

[4] იქვე, ფურც. 133.

[5] იქვე ფურც. 136.

[6] საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5. საქმე 87, ფურც 15—21.

[7] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 128.

[8] იქვე ფურც. 130.

საქონელი[1]. 1847 წელს კი — 170.000 მანეთის საქონელი; აქედან გაიყიდა 150.000 მანეთის საქონელი[2]. ე. ი. 1845 წელთან შედარებით საქონლის შემოტანა და გაყიდვა ქუთაისში სამჯერ გაიზარდა. უცხოეთის საქონელი მეტწილად შემოჰქონდათ რედუტ-კალედან, ნაწილობრივ — თბილისიდან. დიდი ბაზრობა მაზრაში იმართებოდა ონში და ხონში[3].

გურიის მაზრაში ვაჭრობის საგნებს შეადგენდა სიმინდი, ღომი, თამბაქო, ღვინო, მესაქონლეობის პროდუქტები, ხელოსნური და შინამრეწველური პროდუქცია და სხვ. პროდუქციის ნაწილი გურიის მაზრის გარეთ და საზღვარგარეთაც გაჰქონდათ.

1845 წელს გურიაში მარცვლეული მოიყვანეს 123270 ჩეტვერტი (სიმინდი — 93270 ჩეტ., ღომი — 30000 ჩეტ.) აქედან გაყიდეს 3100 ჩეტ. 6300 მანეთის; ბოსტნეული — 433 მან.; მესაქონლეობის პროდუქცია — 5000 მან. მებაღეობის, მეაბრეშუმეობის პროდუქტები და ღვინო გაიყიდა 2154 მან., მეფუტკრეობის — 3848 მან.[4] სულ ზემოთ აღნიშნული პროდუქცია გაიყიდა 17735 მანეთის. ხელოსნური და „შინამრეწველური“ პროდუქცია მაზრაში დამზადებულ იქნა 4893 მანეთის[5].

მთელ გუბერნიაში, ხელოსნური, „შინამრეწველური“ და გლეხური სარეწების (რომელსაც გუბერნატორი „სახალხო სარეწებს“ უწოდებს) მიერ დამზადებული პროდუქციის შესახებ ცნობა გვაქვს 1853—54 წლების. 1853 წელს ქუთაისის გუბერნიაში მათ დაამზადეს 150000 მანეთის საქონელი[6], 1854 წელს კი — 158000 მანეთის[7].

გუბერნიის ბაზრების წლიური სავაჭრო ბრუნვის შესახებ ციფრობრივი მონაცემები გვაქვს 1847—48 წლების. 1847 წელს ქუთაისის გუბერნიაში არსებული ყველა ბაზრის წლიური სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 361000 მანეთს[8], 1848 წელს კი იგი აღწევდა 390400 მანეთს[9]. 1850 წელს ქუთაისის გუბერნიაში შემოიტანეს 419000 მანეთის საქონელი, აქედან გაიყიდა 367300 მანეთისა[10]. ყოველკვირეული ბაზრები არსებობდა ქუთაისში, რედუტ-კალეში, ხონში, ჩხარში, საჩხერეში, ონში, წევში და სხვაგან.

---

[1] იქვე, ფურც. 125—126.
[2] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, д. 132, л. 54.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 125—126.
[4] იქვე, ფურც. 100—102.
[5] იქვე, ფურც. 98—99.
[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 8 (1854 г.), д. 340, л. 37.
[7] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 8 (1855 г.), д. 335, л. 20.
[8] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, д. 132, л. 25.
[9] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, д. 148, л. 18.
[10] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 5, д. 99, л. 55.

ქუთაისის გუბერნიიდან რუსეთსა და საზღვარგარეთ გაჰქონდათ მარცვლეული, ღვინო, არაყი, თამბაქო, თაფლი, ნედლი აბრეშუმი, აბრეშუმის ქსოვილები, იმერული უხეში მაუდი[1], ძვირფასი ხე-ტყე და სხვ[2].

ჩვენ მიერ მოტანილ რეფორმამდელი საქართველოს სასაქონლო წარმოების — სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციაში შედის იმ ხანის ხელოსნური და წვრილი სასაქონლო წარმოების პროდუქცია და ასევე მცირე ნაწილი კაპიტალისტური წარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქციაც. რეფორმამდელ ხანაში, სასაქონლო წარმოების ძალიან დიდი ნაწილი, ცხადია, მოდიოდა ხელოსნურ და წვრილ სასაქონლო (ე. წ. „შინამრეწველურ") მრეწველობაზე, რომლებიც მაშინ წარმოების გაბატონებულ ფორმებს წარმოადგენდნენ. ხელოსნური და წვრილი სასაქონლო წარმოების გვერდით ჩასახული იყო და ვითარდებოდა კაპიტალისტური წარმოებაც და მას ქვეყნის ეკონომიკაში გარკვეული ადგილი ეკავა. მაგრამ სასაქონლო წარმოების რა ხვედრითი წონა მოდიოდა მასზე ამის დადგენა შეუძლებელი ხდება სათანადო მასალების უქონლობის გამო. ცხადია, რომ კაპიტალისტურ წარმოებას რეფორმამდელ ხანაში ჯერ კიდევ ძალიან მცირე ადგილი ეკავა. ამიტომ, როგორც ზემოთ აღინიშნა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის დიდი ნაწილი ხელოსნურ და წვრილ სასაქონლო წარმოებას ეკუთვნოდა. პროდუქციის მცირე ნაწილი კი მოდიოდა კაპიტალისტურ წარმოებაზე, რომელსაც ჩვენ შრომის შემდგომ თავებში განვიხილავთ.

სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებამ საქართველოში გამოიწვია ბაზრების ზრდა და გაფართოება. 50-იანი წლებიდან იხსნება ე. წ. „იარმუკები" გორის მაზრაში, იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ჩვეულებრივი, ყოველკვირეული ბაზრები, რომლებიც. საქართველოში უამრავი იყო. „იარმუკებზე" ვაჭრობა დროის გარკვეულ რიცხვსა და მონაკვეთში წარმოებდა. ჩვენ ხელთ გვაქვს ამ „იარმუკებზე" სავაჭრო ბრუნვის შესახებ ზოგიერთი წლის ცნობა.

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, д. 132, л. 26.

[2] ავტორს საჭიროდ მიაჩნია აღინიშნოს, რომ ასეთი ცნობები, ცალკეული მაზრების მიხედვით რომ არის მოცემული, არ გააჩნია მას საქართველოს ისეთი მდიდარი რაიონების შესახებ, როგორიც სამეგრელო და აფხაზეთია; ასეთი სტატისტიკური მონაცემები კი, უდავოდ, შეავსებდა და სრულყოფდა საკითხს, უფრო ნათელს განდიდა რეფორმამდელი ხანის საქართველოში საქონელწარმოებისა და ვაჭრობის დონეს. ასეთი ცნობები სამეგრელოსა და აფხაზეთის მიმართ (ასევე სვანეთის მიმართაც) იმიტომ არ გაგვაჩნია, რომ ეს კუთხეები მაშინ (40-იან წლებში, სახელდობრ 1845 წელს), ჯერ კიდევ არ იყვნენ შეერთებული რუსეთთან და დამოუკიდებელ სამთავროებს წარმოადგენდნენ.

თბილისის გუბერნიაში „იარმუკები“ გორის მაზრაში არსებობდა. მათი რიცხვი აქ 9-ს აღწევდა. ცნობები ამ იარმუკებზე, წარმოებული ვაჭრობის შესახებ გაგვაჩნია 60-იან წლებისა: 1860 წელს ამ იარმუკებზე მოტანილ იქნა 46.258 მანეთის საქონელი, აქედან გაიყიდა 30974 მანეთისა[1]; 1861 წელს მოიტანეს 40910 მან. საქონელი, გაიყიდა 31496 მანეთის[2]; 1862 წელს მოიტანეს 42196 მან. საქონელი, გაიყიდა 31126 მანეთის[3]; 1865 წელს მოიტანეს 41300 მან. საქონელი, გაიყიდა 33925 მანეთის[4]. როგორც ვხედავთ აქ შეიმჩნევა (თუმცა ნელა) მოტანილი საქონლის გაყიდვის ზრდა.

ქუთაისის გუბერნიაში 8-მდე იარმუკა არსებობდა. 1856 წელს ამ იარმუკებზე მიიტანეს 10.496 მან. საქონელი, აქედან გაიყიდა 5.260 მანეთის[5]; 1857 წელს მოიტანეს 15.700 მან. საქონელი, გაიყიდა 6830 მანეთის[6]; 1858 წელს მოტანილ იქნა 18200 მან. საქონელი, გაიყიდა 6819 მანეთის[7]. გაცილებით დიდი რაოდენობით იქნა მოტანილი და გაყიდული საქონელი 1860 წელს. ამ წელს მოტანილ იქნა 276.017 მან. საქონელი, გაიყიდა 73853 მანეთის[8]. შემდეგ წლებში კი საქონლის მოტანა და გაყიდვა მცირდება: 1861 წელს მოიტანეს 48630 მან. საქონელი, გაიყიდა 38659 მანეთის[9]; 1862 წელს მოიტანეს 45530 მან. საქონელი, გაიყიდა 33898 მანეთის[10]; 1863 წელს მოიტანეს 44799 მან. საქონელი, გაიყიდა 31334 მანეთის[11]; 1864 წელს მოიტანეს 34895 მან. საქონელი, გაიყიდა 21834 მანეთის[12]. 60-იან წლებში ქუთაისის გუბერნიის იარმუკებზე ვაჭრობის შემცირების მიზეზი შეიძლება იყო ჩვეულებრივ ბაზრებზე სავაჭრო ბრუნვის გაზრდა, ან ახალი სავაჭრო ცენტრების წარმოქმნა, ასე რომ ვაჭრები შესაძლებელია „იარმუკების“ დროს არ უცდიდნენ. ასევე შესაძლებელია საამისო მიზეზები სხვა გარემოებაც ყოფილიყო.

ცალკე, გურიაში არსებულ იარმუკებზე (ნაგომარის, ბასილეთისა და ჯუმათის) სავაჭრო ბრუნვის შესახებ ცნობა გვაქვს 1865 წლისა, ხოლო სამეგრელოს იარმუკებისა — 1860 წლის.

---

1 ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 10 (1861). д. 228. л. 117.
2 საქ. ცსსა. ფონდი 17, საქმე 8954, ფურც. 19.
3 ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 10 (1863). д. 108. л. 109.
4 ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 11 (1866). д. 142. л. 69.
5 ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 9 (1858), д. 101. л. 245.
6 ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 9 (1858). д. 311. л. 72.
7 ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 10 (1860). д. 170. л. 104.
8 ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 10 (1861). д. 228. л. 150.
9 ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 10 (1862). д. 134. л. 127.
10 ЦГИАЛ. ф.1268, оп 10 (1863). д. 108. л. 149.
11 ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 10 (1864). д. 137. л. 226.
12 ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 10 (1865). д. 127. л. 209.

1865 წელს გურიაში ჯრსებულ იარმუკებზე მოიტანეს 28800 მან. საქონელი, აქედან გაყიდეს 8400 მანეთის[1].

1860 წელს სამეგრელოში არსებულ იარმუკებზე (სენაკის, ცაგერის, ახალჩალახის, ხობისა და ჯერის იარმუკებზე) მოიტანეს 156536 მან. საქონელი, აქედან გაიყიდა 74523 მან. საქონელი[2].

მოცემული ცნობებით, როგორც ვხედავთ, იარმუკებზე საგაჭრო ბრუნვა, საერთოდ ქვეყანაში არსებულ საგაჭრო ბრუნვასთან შედარებით უმნიშვნელოა, იმიტომ, რომ ჩვეულებრივ დიდ და პატარა ბაზრებზე ვაჭრობა ყოველდღე და ყოველკვირეულად ხდებოდა, მაშინ როდესაც „იარმუკებზე", (გარდა იმისა, რომ მათი რიცხვი ჩვეულებრივ ბაზრებთან შედარებით მეტად უმნიშვნელო იყო), იგი წელიწადის გარკვეულ რიცხვში წარმოებდა.

იარმუკებზე იყიდებოდა როგორც ადგილობრივი საქონელი, ისე უცხოური.

რეფორმამდელ ხანაში იზრდებოდა ამიერკავკასიის საგაჭრო ურთიერთობა უცხოეთთან. ყოველწლიურად მატულობდა უცხოეთის საქონლის შემოტანა და ადგილობრივი ნაწარმის გატანა საზღვარგარეთ. ამიერკავკასიაში კი უცხოეთთან ვაჭრობის წარმოების მხრივ პირველი ადგილი, ცხადია, საქართველოს ეკავა, და ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გატანილი საქონლის დიდი ნაწილი მასზე მოდიოდა, თუმცა სათანადო ანგარიშებში საქართველო ამ მხრივ ცალკე არაა მოცემული. თითქმის მთელ რეფორმამდელ ხანაში უცხოეთიდან ამიერკავკასიაში შემოტანილ საქონელთა შორის პირველი ადგილი შაქარს ეჭირა. მეორე ადგილზე მოდიოდა შალეული, ხოლო შემდეგ სხვა ნაწარმი. ზუბალაშვილის მიერ თბილისში შაქრის ქარხნის მოწყობის შემდეგ შაქრის შემოტანა ამიერკავკასიაში საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ იგი ამ ქარხნის დახურვის შემდეგ კვლავ წლითი-წლობით იზრდებოდა. იგი ხშირად ევროპიდან შემოტანილი მთელი პროდუქციის ნახევარს შეადგენდა. შაქრისა და შალის გარდა ამიერკავკასიაში შემოჰქონდათ ბროლისა და მინის ნაწარმი, ფუფუნების საგნები, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, ყავა, კაკაო და მთელი რიგი სხვა ნაწარმი. უცხოეთიდან საქონლის შემოტანა ყოველწლიურად იზრდებოდა და იგი სჭარბობდა ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გატანილ ადგილობრივი ნაწარმის რაოდენობას. მაგრამ ადგილობრივი ნაწარმის გატანაც თანდათან იზრდებოდა, რაც სასაქონლო წარმოების განვითარებისა და ნატურალური მეურნეობის რღვევის მაჩვენებელი იყო. ამიერკავკასიიდან

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 11 (1866), д. 142, л. 184.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 1103, ფურც. 113—116.

გაჰქონდათ აბრეშუმი, ღვინო, პური, სიმინდი, ბამბა, ხე-ტყე და-მრავალი სხვ. მოვიყვანთ ზოგიერთ ციფრობრივ მონაცემებს.

საზღვარგარეთიდან ამიერკავკასიაში შემოტანილ იქნა საქონელი:

1843	წელს	407437	მანეთის
1844	„	388244	„
1845	„	377204	„[1]
1846	„	3892768	„
1847	„	3966116	„[2]
1848	„	4174941	„[3]
1854	„	3526822	
1855	„	3942589	
1856		4350061	
1857		4774962	
1858		5356760	
1859	„	4956259	
1860	„	5049758	
1861		5507643	
1862		5682259	
1863		5707879	
1864		7476108	
1865		7348448	

ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გატანილ იქნა რუსეთიდა და ამიერკავკასიის საქონელი:

1846	წელს	755456	მანეთის
1847		832590	„
1848		780789	„[5]
1850		1005996	„
1851		1104800	„
1852		1616673	
1853	„	1346504	
1854	„	502315	

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 2, д. 977 л. 4 ამ წლებში (1843—45) აღნიშნულია მხოლოდ ევროპიდან შემოტანილი საქონელი.
[2] «Кавказ», 1848, № 7.
[3] «Кавказ», 1849, № 11.
[4] Сборн. статист. свед. о Кавказе, 1869, т. I отд. II, гл. 100.
[5] «Кавказ», 1849, № 11.

1855	წელს	595766	მანეთის
1856		1307262	
1857		1756207	
1858		1687701	
1859		1935865	
1860		2318326	
1861		2524242	
1862		2959910	
1863		5170330	
1864		4650255	„
1865		5845343	„[2]

აქედან საკუთრივ ამიერკავკასიის საქონელი გატანილ იქნა:

1848	წელს	505036	მანეთის[3]
1851		924271	„
1852		1354905	
1853		1174944	
1854		278250	
1855		372232	
1856		908647	
1857		1309562	

ევროპასთან ვაჭრობის ზრდასთან დაკავშირებით „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ ორგანო (ЗКОСХ) 1863 წელს აღნიშნავდა: „ამიერკავკასია დღითი-დღე სულ უფრო და უფრო უკავშირდება ევროპას“[5].

რეფორმამდელ საქართველოში იზრდებოდა ადგილობრივ დამზადებული და უცხოეთის საქონლით ვაჭრობა, მრავლდებოდა ვაჭართა რიცხვი და ბაზრები. ამას აღნიშნავენ იმ დროის მთელი რიგი წყაროები: სხვადასხვა სტატისტიკური უწყისები, გუბერნატორთა ანგარიშები, ჟურნალები, პრესა და სხვ.

თბილისის გუბერნიის 1849 და 1851 წლების ანგარიშებში ამის შესახებ აღნიშნულია: „საჯარო ვაჭრობა და ბაზრები ყოველდღიურად იმართება ქალაქებში და ხალხმრავალ სოფლებში, რომლებიც

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268. оп. 9 (1853), д. 259, л. 8.
[2] Сборн. статист. овед. о Кавказе, 1869, т. I отд. II, гз. 100.
[3] «Кавказ, 1849, № 11.
[4] ЦГИАЛ, ф. 1268. оп. 9 (1858), д. 259, л. 8.
[5] ЗКОСХ, 1863 г., № 3, гз. 4.

სავსებით აკმაყოფილებენ სათანადო მოთხოვნილებებს"[1]; და შემდეგ, „ვაჭრობა თბილისის გუბერნიაში დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. საქმიანობისა და მეწარმოების სურვილი წლითი-წლობით იზრდება, მრავლდება ვაჭართა კლასი"[2], ხოლო ამავე გუბერნიის 1857 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „საშინაო ვაჭრობა კარგ მდგომარეობაშია. გუბერნიის ერთი ნაწილი მუდმივ გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს მეორე ნაწილთან თავისი ნაწარმოებითა და ნაკეთობით[3].

ქუთაისის გუბერნიაში წარმოების ზრდის შედეგად, ვაჭრობის განვითარებამ მე-19 ს. 50-იან წლებში ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ მან თავის სფეროში მოსახლეობის ყველა ფენა მოაქცია. მეტწილად კი ვაჭრობას მოქალაქეები მისდევდნენ. ამას აღნიშნავდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გუბერნიის 1858 წლის ანგარიშში: „ქუთაისის გუბერნიაში... ვაჭრობას ეწევა ყველა წოდება, მაგრამ უმთავრესად ქალაქელები"[4].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ შეუძლებელი ხდებოდა ქვეყნის წლიური სავაჭრო ბრუნვების სრულად განსაზღვრა, რადგან ვაჭრები თავიანთ ფულად კაპიტალებს არ აცხადებდნენ[5].

აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი ვაჭრები ფულადი კაპიტალის დაგროვებისა და გამდიდრების შემდეგ ყიდულობდნენ უძრავ ქონებას, მამულებს, ტოვებდნენ ვაჭრობას და მოიჯარადრეები ხდებოდნენ. ამის შესახებ თბილისის გუბერნიის 1856 წლის ანგარიშში აღნიშნულია: „ვაჭრებმა, რომლებმაც მოასწრეს ხელსაყრელ ვითარებაში დაეგროვებინათ კაპიტალი... მიატოვეს ვაჭრობა და შეიძინეს რა უძრავი სიმდიდრენი, ხელი მიჰყვეს მეიჯარადრეობასა და დამზადებებს"[6]. მაშასადამე, ვაჭრები არ კმაყოფილდებოდნენ წმინდა ვაჭრული საქმიანობით და გადადიოდნენ წარმოების სფეროში, ხელს ჰკიდებდნენ მეწარმეობას.

ასეთია ზოგადი სურათი რეფორმამდელ საქართველოში სოფლის მეურნეობის რიგი დარგების განვითარების, სავაჭრო კულტურებისა და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების დონის შესახებ, სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების და უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ.

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 41, д. 2203, л. 874.
[2] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 8, (1854), д. 21, л. 35.
[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9 (1858), д. 311, л. 6.
[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1860), д. 170, л. 84.
[5] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1860), д. 170, л. 9 და სხვ.
[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9 (1858), д. 101, л. 7.

მოტანილი სტატისტიკური ცნობები, მიუხედავად მეტ-ნაკლები ზუსტობისა (ცხადია, ბევრი მათგანი დაახლოებითია და ზუსტად არ შეესაბამება სინამდვილეს), უდავოდ მეტყველებენ საქონელწარმოებისა და ვაჭრობის განვითარებაზე, ცხადჰყოფენ შედარებით მოკლე დროში ქვეყნის ეკონომიურ დაწინაურებას, ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის რღვევას XIX საუკუნის მეორე მესამედში.

სასაქონლო მეურნეობის განვითარება ხდებოდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგად, რადგან იგი, როგორც მარქსი გვასწავლის „ყოველი საქონელწარმოების საყოველთაო საფუძველს შეადგენს"[1] და „სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის განვითარების მთელი პროცესის საფუძველი"-ა[2].

სასაქონლო მეურნეობის განვითარება იწვევდა ბატონყმური ურთიერთობის რღვევას. საქონელწარმოების ზრდა ვერ ურიგდებოდა ბატონყმურ სისტემას, რადგან ეს უკანასკნელი დამყარებულია ნატურალურ მეურნეობაზე, რუტინულ ტექნიკაზე და უშუალო მწარმოებლის მიწაზე მიმაგრებაზე. „სასაქონლო მეურნეობისა და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებაში გადადგმული ყოველი ნაბიჯი" (ლენინი) ძირს უთხრიდა ბატონყმური ურთიერთობის არსებობის პირობებს. რეფორმამდელ ხანაში სულ უფრო მეტად ებმებოდნენ გაცვლაში გლეხური და მემამულური მეურნეობანი და სულ უფრო მეტად უკავშირდებოდნენ ისინი ბაზრებს.

სასაქონლო მეურნეობის განვითარება, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან იწყება. მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოაქვთ ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნაწარმი: პური, სიმინდი, ღვინო არაყი, ხილი, ბოსტნეული, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი და მათი ნაწარმი, აბრეშუმი, ბამბა, შალი, ლითონისა და მინის ნაკეთობანი და მრავალი სხვ. აღნიშნულ ნაწარმს არა მარტო ქვეყნის შიგნით ყიდიან, არამედ საზღვარგარეთაც გაიქვთ.

რეფორმამდელ ხანაში თანდათან შეიმჩნეოდა მიწათმოქმედების სპეციალიზაციაც, მიწათმოქმედების სხვადასხვაგვარი რაიონების გამოცალკევება, ე. ი. ცალკეული რაიონები ერთმანეთისაგან გამოირჩეოდნენ მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებით: მევენახეობის, მეაბრეშუმეობის, მებამბვობის, მებოსტნეობის, პუოის, სიმინდის, თამბაქოს, ენდროს და სხვათა მოყვანით რაც ძირითადად საქართველოს ადგილობრივი ბუნებრივი თავისებურებით

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, თბ., გვ. 446.
[2] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 24.

იყო გამოწვეული. ფართოვდება ამ რაიონებს შორის საქონელ-მიმოქცევა და პროდუქტთა გაცვლა. მიწათმოქმედების სპეციალიზაცია იწვევს გაცვლას სხვადასხვა სამიწათმოქმედო რაიონებს შორის, სხვადასხვა სამიწათმოქმედო მეურნეობებს შორის, სხვადასხვა სამიწათმოქმედო პროდუქტებს შორის. სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდას ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი იწვევდა გლეხობის ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავებასა და დაშლას და კაპიტალიზმისათვის შინაური ბაზრის გაჩენას.

სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება საქართველოში აღნიშნულ პერიოდში იწვევდა სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდას. იზრდებოდა ქალაქები და მათი მოსახლეობა. ასე მაგალითად, 1821 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 12, 2 %, 1847 წ. 14 %, ხოლო 1865 წელს 18,8 %.[1]

ქალაქის მოსახლეობა სოფლის მოსახლეობასთან შედარებით გაცილებით სწრაფად იზრდებოდა. 1821—1847 წლებში აღ. საქართველოში სოფლის მოსახლეობა გაიზარდა დაახლოებით 62,2%-ით, ქალაქის მოსახლეობა კი 94,8%-ით. 1847—1865 წლებში სოფლის მოსახლეობა გაიზარდა 49, 9 %-ით, ხოლო ქალაქის მოსახლეობა 110,5 %-ით[2].

ქალაქი იზრდებოდა როგორც ბუნებრივი გამრავლებით, ასევე სოფლებიდან მოსული სხვადასხვა კატეგორიის ხალხით. ქალაქში მოსულთა შორის იყვნენ სხვადასხვა კატეგორიის გლეხები: სახელმწიფო, საბატონო, საეკლესიო და სხვ. ნაწილი მათ შორის იყვნენ თავდახსნილნი, ნაწილი ნებართვით წასულნი, ნაწილი სასამართლოში თავისუფლების ძიებით ყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულნი და ა. შ. მაგალითად, XIX ს. 50-იან წლებში თბილისში მოსული 1000 კომლი გლეხიდან 600 კომლი იყო სახელმწიფო, 200 კომლამდე ყმური დამოკიდებულებისაგან თავდახსნილი და ნებართვით წამოსული გლეხი, 100 კომლი საეკლესიო, 70 კომლი საბატონო და 30 კომლი სასამართლოს წესით ყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული გლეხი[3].

ქალაქში ჩამოსული გლეხების დიდი ნაწილი დაქირავებულ შრომას ეწეოდა სხვადასხვა სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე და სხვაგან. შედარებით მცირე ნაწილი კი ხელს ჰკიდებდა

---

[1] Э. Хоштария, დასახელებული ნაშრ., გვ. 5.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 6.

ვაჭრობასა და მეწარმეობას. ასე მაგალითად, მე-19 ს. 50-იან წლებში ქ. სიღნაღში მოსული 620 კაციდან შავი მუშა იყო 323, ხელოსნობას ხელი მოჰკიდა 169 კაცმა, ვაჭრობას 114, დანარჩენმა 14 კაცმა სხვა საქმიანობას[1]. ამავე პერიოდში ქ. გორში სოფლებიდან მოსული 187 შრომისუნარიანი მამაკაციდან 107 შავი მუშაა, ხელოსანი, 11, ვაჭრობას მისდევს 27, სხვადასხვა საქმიანობას ეწევა 13 კაცი, 28 კი არ ჩანს რას აკეთებს. ქ. თელავში სოფლებიდან მოსული 273 შრომისუნარიანი მამაკაციდან 163 შავი მუშაა, ხელოსანია 50, ვაჭრობას მისდევს 36, სხვადასხვა საქმიანობას ეწევა 10, ხოლო 14 კაცი არ ჩანს რას აკეთებს. დუშეთში 1848—49 წლებში სოფლებიდან მოსულა 68 შრომისუნარიანი მამაკაცი. აქედან 22 შავი მუშა იყო, 7 ხელოსანი, 12 ვაჭარი, 27 კი სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდა[2].

ქალაქად გლეხობის ასეთ ლტოლვას იწვევდა მათი მცირემიწიანობა, ხოლო ხშირად უმიწობაც, რაც ფეოდალური ურთიერთობითა და ექსპლოატაციით იყო გამოწვეული. უმიწაწყლო გლეხთა რიცხვი რეფორმამდელ ხანაში თანდათან იზრდებოდა და ბატონყმობის გაუქმების წინა წლებში მნიშვნელოვან სიდიდეს მიაღწია.

ასე მაგალითად, 1860 და 1861 წლების კამერალური აღწერით თბილისის გუბერნიაში (ელისავეტპოლის მაზრის გამოკლებით) 8103 უმიწაწყლო სახაზინო გლეხი (29.743 მამაკაცი), რაც თითქმის საბატონო ყმათა რიცხვის ნახევარს შეადგენდა, დასახლებული იყო მემამულეთა მიწებზე „ხიზნების" უფლება-მოვალეობით[3]. უმიწობას განიცდიდნენ ასევე საბატონო გლეხებიც. თბილისის გუბერნიაში 1860 და 1861 წლების კამერალური აღწერით ამ დროს ითვლებოდა 1751 მემამულე (თავადი და აზნაური), აქედან 214 მემამულის ყმებს არ. გააჩნდათ მიწები[4]. სულ თბილისის გუბერნიაში უმიწო გლეხთა რაოდენობა რეფორმამდე შეადგენდა 1830 კომლს ანუ 14%-მდე[5]. მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხები იძულებულნი იყვნენ საარსებო საშუალებანი დაქირავებული შრომით მოეპოვებინათ გარესაშოვრებზე გასვლით.

---

[1] ედ. ხოშტარია, „დაქირავებული შრომა საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში (საკანდიდატო დისერტაცია), 1955, გვ. 26.

[2] იქვე, გვ. 26—27.

[3] შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ. 1950, გვ. 228.

[4] П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. I, 1938, გვ. 432.

[5] შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 21.

ფეოდალური ურთიერთობიდან თავის დაღწევისა და გლეხობის მიერ საარსებო სახსრებისათვის გარესაშოვრებზე ქალაქად ლტოლვის ცხადი მაჩვენებელია გაცემული „პასპორტებისა“ და ყმა-ვლეხთა ყმური დამოკიდებულებისაგან გამოსყიდვის ფაქტები. გარესაშოვრებზე ლტოლვა უფრო ძლიერი იყო დას. საქართველოში. აქაური გლეხები ილტვოდნენ აღ. საქართველოში. ოფიციალური ცნობებით ქუთაისის გუბერნიაში მე-19 ს. 60-იანი წლების დასაწყისში ყოველწლიურად იცემოდა 2800-ზე მეტი „პასპორტი“. განსაკუთრებით გამსვლელ გლეხთა რიცხვი იზრდებოდა რაჭის მაზრაში. აქ 1862 წელს გაიცა 1252 პასპორტი, 1863 წელს კი 1326 პასპორტი[1].

გლეხები გარესაშოვრებზე გადიოდნენ ნებართვის გარეშეც, თვითნებურად და აღსანიშნავია, რომ მათი რიცხვი გაცილებით სჭარბობდა ნებართვით წასულ გლეხებს.

გამსვლელი გლეხები ძალიან ხშირად არ ბრუნდებოდნენ უკან, წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე, რადგან არ სურდათ დაბრუნებოდნენ ყმურ ურთიერთობას, რის გამოც იმერელი მემამულეები 1838 წელს პროტესტს აცხადებდნენ მთავრობის წინაშე და მოითხოვდნენ ასეთი გლეხების უკან დაბრუნებას[2].

გლეხობის დიდი ნაწილი თავისუფლების მოპოვებას ცდილობდა სასამართლოში თავისუფლების ძიების გზით. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს 1836 წ. 28 სექტემბრის კანონის გამოცემის შემდეგ. ეს კანონი, როგორც ცნობილია, გლეხს უფლებას აძლევდა თავისუფლება ეძია სასამართლოში თუ მებატონე მასზე უფლების სათანადო საბუთს არ წარმოადგენდა. მე-19 ს. 30—40-იან წლებში სასამართლოს გზით გლეხთა თავისუფლების ძიებამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ მთავრობა იძულებული გახდა შეეცვალა ეს კანონი 1849 წელს. ამიერიდან გლეხს უნდა წარმოედგინა საბუთი ყმური დამოკიდებულებისაგან თავისუფლების შესახებ. მიუხედავად ამისა გლეხთა ლტოლვა თავისუფლებისაკენ კვლავ გრძელდებოდა.

თავისუფლების მოპოვებას გლეხები აღწევდნენ აგრეთვე თავის გამოსყიდვის საშუალებით. ეს პროცესი რეფორმამდელ ხანაში განსაკუთრებით ძლიერდება 40-იანი წლებიდან და იგი მთელ საქართველოს ეხება. მარტო ქუთაისის გუბერნიაში 1850 წლიდან 1864 წლამდე ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს მიერ დამტკიცებულ იქნა ასეთი „განთავისუფლების“ (თავდახსნის) 1314 შემთხვევა[3],

---

[1] ე. ხოშტარია, დაქირავებული შრომა..., გვ. 155.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 2, საქმე 3229, ფურც. 133—144.
[3] Сборник статистических сведений о Кавказе т. I, 1869, отд. I. გვ. 43.

რამდენმა კომლმა და სულმა მიიღო თავისუფლება ამ ზემოთ აღნიშნული 1314 შემთხვევიდან ცნობილი არ არის.

თავის გამოსყიდვა ყმის მიერ ხდებოდა როგორც მიწით ასევე უმიწოდაც. ასე მაგალითად, 1858 წლიდან 1863 წლამდე ამავე ქუთაისის გუბერნიაში მოხდა ყმა გლეხის მიწიანად თავდახსნის 351 შემთხვევა, უმიწოდ თავდახსნისა კი 117. თავის გამოსყიდვის ამ 468 შემთხვევით თავისუფლება მიიღო 1600-მდე მამაკაცმა და 1150-მდე ქალმა[1]. ამ ექვსი წლის მანძილზე ყმებმა თავდახსნისათვის მემამულეებს გადაუხადეს 201544 მანეთი. მიწიანად განთავისუფლებულ ერთ ყმაზე თავდახსნის საშუალო ფასი უდრიდა 435 მან., უმიწოდ განთავისუფლებულზე კი 243 მანეთს[2].

მაშასადამე, რეფორმამდელ ხანაში სასაქონლო წარმოების განვითარების შედეგად თანდათან იქმნებოდა სოფლად და ქალაქად ბურჟუაზიული ურთიერთობისათვის საჭირო თავისუფალი მუშახელის კონტინგენტი, რომელიც დაქირავებულ შრომას ეწეოდა სხვადასხვა სამეურნეო და სამრეწველო საწარმოებში. კაპიტალისტური ურთიერთობისათვის საჭირო ეს კონტინგენტი შედგებოდა ყმური დამოკიდებულებისაგან თავისუფალი გლეხებისა და ხელოსნებისაგან, თვითნებურად წასული ყმა-გლეხებისაგან, გარესაშოვრებზე ნებართვით წასული ყმა-გლეხებისაგან და ხელოსნებისაგან, თავისუფალი მოქალაქეებისაგან და სხვა კატეგორიათა ადამიანებისაგან. მიუხედავად ბატონყმური ურთიერთობის ბატონობისა ქვეყანაში, კაპიტალისტური ურთიერთობისათვის საჭირო დასაქირავებელ მუშათა და ხელოსანთა ეს კონტინგენტი რეფორმამდელ ხანაში მაინც მნიშვნელოვან სიდიდეს აღწევდა.

ჩვენ განვიხილეთ სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება რეფორმამდელ საქართველოში. ამის ჩვენება პირველად აუცილებელია, რათა ვუჩვენოთ, რამდენად იყო მომზადებული ნიადაგი და პირობები ქვეყნის ეკონომიკაში წარმოების კაპიტალისტური წესის ჩასახვისა და განვითარებისათვის, რადგან „საქონელწარმოება და განვითარებული საქონელმიმოქცევა, ვაჭრობა, წარმოადგენენ კაპიტალის წარმოშობის ისტორიულ წინამძღვრებს“[3]. XIX ს. 30-იანი წლებიდან საქართველოში ნატურალური მეურნეობა სწრაფად განიცდის ევოლუციას ფეოდალი-სასაქონლო მეურნეობისაკენ. ადგილი აქვს კაპიტალის ე. წ. „პირვანდელ დაგროვე-

---

[1] იქვე, გვ. 44.
[2] იქვე.
[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 188.

ბას“: კაპიტალისტური წარმოებისათვის გროვდება სათანადო ფულადი კაპიტალი და ამავე დროს მნიშვნელოვან სიდიდეს აღწევს საწარმოო საშუალებებისაგან (მიწისაგან) მოწყვეტილი უშუალო მწარმოებელთა მასა. ეს უკანასკნელი პროცესი — უშუალო მწარმოებლის მიწისაგან მოწყვეტა რეფორმამდელ საქართველოში მარადიალია ძალიან ნელა, მაგრამ მაინც წარმოებს. ამავე დროს მემამულური მეურნეობის წინაშე ისმება ამოცანა: ან ბურჟუაზიული ევოლუცია ან დაღუპვა. გლეხურ მეურნეობაში ღრმავდება ქონებრივი და კლასობრივი დიფერენციაცია. უკეთეს პირობებში მყოფი გლეხები თანდათან აგროვებენ სიმდიდრეს, ხდებიან ვაჭრები და შესაძლებლობა აქვთ ბურჟუა-კაპიტალისტებად იქცნენ. საგრძნობი ნაწილი გლეხობისა მცირემიწიანი და უმიწო ხდება და იძულებულია დაქირავებულ შრომას მიმართოს.

სასაქონლო მეურნეობის ზრდამ, ქალაქსა და სოფელს შორის შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარებამ, გამოიწვია საქართველოს სხვადასხვა რაიონებს შორის ეკონომიური კავშირის გაძლიერება. რეფორმამდელ საქართველოში ძველი ფეოდალური ურთიერთობის წიაღში ვითარდება წარმოების ახალი, კაპიტალისტური წესი, რაც გამოიხატა ბურჟუაზიულ მეურნეობათა და კაპიტალისტურ საწარმოთა წარმოშობასა და ზრდა-განვითარებაში.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

საბატონო მეურნეობათა ბურჟუაზიული ევოლუცია და ბურჟუაზიულ მეურნეობათა წარმოშობა

საქართველოს სამეურნეო დაწინაურებას საუკუნეების მანძილზე განუწყვეტელი საგარეო და საშინაო ომები უშლიდა ხელს. რუსეთთან შეერთების შემდეგ, განსაკუთრებით XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც განუწყვეტელი ომები ამიერკავკასიაში რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა და მშვიდობიანობა დამყარდა, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ქვეყნის სამეურნეო წინსვლისათვის. ზემოთ, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ცხადვყავით ეს სასაქონლო მეურნეობის განვითარების დახასიათების დროს. აქ ჩვენ შევეხებით რიგ მემამულეთა მიერ საკუთარ მეურნეობათა გაუმჯობესებასა და ბურჟუაზიულ მეურნეობათა გაჩენას. მოკლედ შევეხებით აგრეთვე ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებას გლეხურ მეურნეობაში.

ქვეყნის ეკონომიური დაწინაურება, სასაქონლო მეურნეობის განვითარება და ნატურალური მეურნეობის რღვევა ქართველ მემამულეებს რომელთა მფლობელობაში ითვლებოდა მიწების დიდი ნაწილი, აიძულებდა მეურნეობის გაუმჯობესებაზე ეფიქრა. პროგრესულად მოაზროვნე მემამულეთა ნაწილმა ხელი მიჰყო მეურნეობის რაციონალურად მოწყობას, აქა-იქ კი გაჩნდა ბურჟუაზიული მეურნეობანიც.

ს ო ლ ო მ ო ნ გ უ რ გ ე ნ ი ძ ი ს, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს და დ ი მ ი ტ რ ი ა ფ ხ ა ზ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ნ ი. ერთ-ერთი პირველი მემამულე, რომელმაც ფართოდ მოჰკიდა ხელი მეურნეობის გაუმჯობესებას კახელი მემამულე სოლომონ გურგენიძე იყო.

მან მეურნეობის „ევროპულ წესზე" მოწყობა დაიწყო მე-19 ს. 30-იან წლებში. 1832—33 წლებში თავის მამულ შილდაში (თელავის მაზრა) გააშენა ვენახი, გაიყვანა შიგ კარგი გზები, ბაღში დარგო სხვადასხვა ჯიშის ვენახი და ხე; 1832—37 წლებში მან პირველად გააშენა კახეთში თუთის დიდი პლანტაციები[1], რომელიც 300

[1] «Кавказ» 1861, № 65.

დესეტინა მიწას იჭერდა. გამოკვება აბრეშუმის ჭიები სპეციალურად მოწყობილ ქვის შენობებში და თვით გამოიგონა „მანქანა“ აბრეშუმის მისაღებად. მის მიერ მიღებული აბრეშუმი ევროპულს არ ჩამოუვარდებოდა[1]. გააშენა საღებავი მცენარეები, ინდიგოსაგან მან მიიღო მაღალი ხარისხის საღებავი. ჩაატარა ცდები ამერიკული[2] და ჰოლანდიური თამბაქოს მოშენებისა და მისგან სიგარების გაკეთებაზე[3]. 1838 წელს მის მეურნეობაში დაუმზადებიათ 15000 კარგი ხარისხის სიგარი. აქ დამზადებულ სიგარებს ჰყიდდნენ კახეთსა და თბილისში 100 ცალს 1 მანეთად[4].

განსაკუთრებით გამოირჩეოდა მის მიერ გაშენებული ზვარი. 1842 წელს მასში ითვლებოდა 500000 ძირი ვაზი და ღებულობდა საუცხოო ღვინოს. მოიწვია ოსტატები და გააკეთა 200-მდე დიდი და პატარა საღვინე კასრი[5]. მისი ვენახი კახეთში „ყველაზე უკეთესად“ ითვლებოდა[6]. მას სურდა ღვინის ფართო მასშტაბით გაყიდვა შოეწყო. ამ მიზნით თბილისში მოაწყო სამსართულიანი სარდაფი. უმთავრესად მისი ღვინო აქ იყიდებოდა. ღვინის ფართო გასაღების მიზნით გურგენიძე თბილისის მოსახლეობას დაბეჭდილი განცხადებით აუწყებდა თავისი ღვინის გაყიდვას[7]. ამავე დროს განიზრახა შოეწყო ღვინის „მუდმივი“ გასაღება რუსეთში[8]. 1838 წელს სტავროპოლელმა ვაჭარმა პოვალევმა გურგენიძის ღვინო გაიტანა რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში. ღვინო სარფიანად იქნა გასაღებული. ამიტომ პოვალევმა გადაწყვიტა შემდეგი წლისათვის გურგენიძისაგან ეყიდა 2000 ვედრო პირველი ხარისხის ღვინო რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში გასატანად[9]. აღსანიშნავია, რომ გურგენიძის შეურნეობაში არსებობდა ღვინის ჭურჭლის წარმოება, სადაც აკეთებდნენ ღვინის შესანახ ქვევრებს[10]. სოლ. გურგენიძის განცხადებით, მან, მეურნეობის გაუმჯობესებას მოახმარა 30000 მანეთი[11]. გააუმჯობესა მებაღეობა, მეფუტკრეობა, მეღვინეობა, მიწათმოქმედება. თავად გენ. ლეიტ. ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულთან

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. I, д. 258, л л. 6, 13—14.
[2] იქვე.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6774, ფურც. 16.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწ. 1, საქ. 9141, ფურც. 3.
[5] იქვე, ფურც. 2.
[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 258, л. 13—14.
[7] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწ. 1, საქ. 9141, ფურც. 2.
[8] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6774, ფურც. 16, 110—111.
[9] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწ. 1, საქმე 9141, ფურც. 2.
[10] იქვე. ფურც. 242.
[11] იქვე, ფურც. 16.

ერთად მისი მეურნეობა „სანიმუშოდ“ ითვლებოდა მთელს კახეთში[1].

სოლომონ გურგენიძემ განიზრახა მეურნეობის გაფართოება. 1837 წელს მთავრობას მან 200000 მანეთი ასიგნაცია სთხოვა სესხად 25 წლით[2]. მის მეურნეობას კარგი დახასიათება მისცეს თელავის მაზრის რიგმა მემამულეებმა: ივანე ჯანდიერმა, გულბაათ ჭავჭავაძემ, გიორგი ჩოლოყაშვილმა, თომა ჯორჯაძემ და სხვებმა. ასევე კარგი დახასიათება მისცა მას საქართველოს ღვინის კომპანიის დირექტორმა ივანე ლენცმა. მაგრამ მაშინ სესხზე უარი უთხრეს. 1842 წელს მან მიმართა ამიერკავკასიაში სარევიზიოდ ჩამოსულ პოზენს მიეცათ მისთვის 80000 მანეთი ვერცხლი სესხად[3]. ამჟამად თხოვნა შეუსრულეს და აღნიშნული თანხა მისცეს საზოგადოებრივი მზრუნველობის უწყებიდან, მხოლოდ 3 წლის ვადით. მაგრამ ამ დროში მან სესხი ვერ დაფარა და მამული დაკარგა. მთავარი მიზეზი ამისა ის იყო, რომ სოლომონ გურგენიძემ ძალიან ფართო სამეურნეო წამოწყებას მოჰკიდა ხელი, თავი ვერ გაართვა მას და მარცხი განიცადა. დ. ყიფიანი 1856 წელს აღნიშნავდა, რომ სოლ. გურგენიძემ თავის მამულში მძიებელი გონებით და განსაკუთრებული ენერგიით შეუდგა მეურნეობის გაუმჯობესებას, ხელი მოჰკიდა მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის და მეთამბაქოეობის განვითარებას, მაგრამ ისეთ „ფარგლებში“, რომელიც „აღემატებოდა თავის შესაძლებლობებს“[4]. ამავე დროს, იგი, როგორც ჩანს, დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა ღვინის დიდი ოდენობით გასაღების საქმეში. ღვინოს მის მეურნეობაში პირველი ადგილი ეჭირა და მის გაყიდვაზე იყო დამოკიდებული მეურნეობის წინსვლა. ამიტომ იყო, რომ თელავის მაზრის მემამულეები და გლეხები მთავრობას სთხოვდნენ, დახმარებოდა გურგენიძეს, რათა ღვინის „მუდმივი გასაღება“ მოეწყო რუსეთში[5]. მიუხედავად ასეთი ფართო სამეურნეო წამოწყების მარცხისა, სოლ. გურგენიძეს შემდეგ წლებშიც არ აუღია ხელი მეურნეობის გაუმჯობესებაზე.

ასევე, სოლ. გურგენიძის გარდა, ერთ-ერთი პირველი მემამულე, რომელმაც ხელი მოჰკიდა მეურნეობის რაციონალურად მოწყობას, იყო ქართველი მწერალი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე. განსაკუთრებით მან გააფართოვა და გაუმჯობესა მევენახეობა. წინანდალში დიდი რაოდენობით აწარმოებდა ღვინს გასაყიდად,

---

[1] ი ქ ვ ე, ფურც. 110—111.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწ. 1, საქმე 4787, ფურც. 1—4.
[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 258, л. 8.
[4] ЗКОСХ, 1857 г.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 26, აღწ. 6, საქმე 26, ფურც. 5.

საამისოდ თბილისში მოაწყო ღვინის დიდი საწყობი[1]. ამავე დროს მან ხელი მიჰყო მეაბრეშუმეობის განვითარებას. ნაფარეულში გააშენა თუთის დიდი პლანტაციები[2]. ალ. ჭავჭავაძე ენერგიულად აგრძელებდა მეურნეობის ევროპულ ყაიდაზე მოწყობას, მაგრამ იგი, როგორც ცნობილია, უდროოდ გარდაიცვალა 1846 წელს. შემდეგ მისი სამეურნეო საქმიანობა წარმატებით გააგრძელა მისმა შვილმა დავით ჭავჭავაძემ. მან განავითარა მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, გააშენა ენდროს პლანტაცია და სხვ. 1850 წელს გაზეთი „კავკაზი" მაღალ შეფასებას აძლევდა მის სამეურნეო საქმიანობას[3].

ერთ-ერთ სანიმუშო მეურნეობად კახეთში ითვლებოდა აფხაზის მეურნეობა. 1639 წელს სიღნაღის მემამულემ, შტაბს-კაპიტანმა ივან. დავით აფხაზმა, საქართველოს მთავარმართებელს სთხოვა მიეცათ მისთვის 400 დესეტინა მიწა მდ. იორის ნაპირებზე, სანიმუშო მეურნეობის მოსაწყობად. ერთდროულად მან ითხოვა 100 დესეტინა მიწა ელისავეტპოლის ოლქში ინდიგოს გასაშენებლად, მაგრამ მას უარი უთხრეს, რის შემდეგ მან თვითნებურად დაიკავა 7 დესეტინა მიწა ელდარის ველზე და გააშენა თუთის პლანტაცია, რომელიც შეიცავდა 60000 ძირ თუთას[4]. მას განზრახული ჰქონდა გაეფართოებინა მეურნეობა და სანიმუშოდ გაეხადა, მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა. დაწყებული საქმე განაგრძო მისმა ძმამ, დიმიტრიმ.

1853 წელს დიმიტრი აფხაზს იმავე ადგილას მისცეს 50 დესეტინა მიწა. მან გააფართოვა და წესრიგში მოიყვანა ძმის მიერ გაშენებული თუთის ხის პლანტაცია. პლანტაციას ეჭირა 35 დესეტინა და შიგ გაშენებული იყო 600.000 ძირი თუთის ხე. 3 დესეტინა ეჭირა თამბაქოსა და სორგოს, დანარჩენი — ხორბალს. მან მდ. იორიდან გაიყვანა სარწყავი არხი; მოაწყო დიდი ფარდული აბრეშუმის ჭიის აღსაზრდელად და აღზარდა ჩინური ჯიშის საუცხოო აბრეშუმის ჭია. იგი თანდათან ავითარებდა მეურნეობას. 1861 წელს თბილისის საგუბერნიო სამმართველომ აღნიშნული მიწა დიმიტრი აფხაზს სრულ მემკვიდრეობით მფლობელობაში გადასცა, რადგან მან აღებული ვალდებულება კარგად შეასრულა[5].

ამას გარდა, დიმ. აფხაზმა თავის მამულში, სოფელ კარდანახში, გააშენა საუცხო ზვარი, მოაწყო ჩინებული ქვითკირის მარანი და

---

[1] «Кавказский календарь» 1846, გვ. 236.
[2] «Кавказ» 1861, № 65.
[3] „Кавказ" 1850, № 2. სამწუხაროდ, სათანადო მასალების უქონლობის გამო, ალ. ჭავჭავაძის მეურნეობას დაწვრილებით ვერ განვიხილავთ.
[4] «Кавказ» 1861, № 65.
[5] საქ. ცსსა., ფონდი 26, აღწერა 6, საქმე 26, ფურც. 72.

აქაც მეურნეობას ყოველწლიურად აუმჯობესებდა. სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე წარდგენილი ღვინისა და სხვა ნაწარმისათვის მას არაერთხელ მიუღია ჯილდო.

„ცისკრის“ რედაქტორი ივ. კერესელიძე, რომელმაც 1860 წელს სიღნაღს იმოგზაურა, დაათვალიერა აფხაზის მეურნეობა. იგი მის შესახებ წერდა: „აფხაზის ჩამომავალს თ. დიმიტრის თავისის მეცადინეობით და მხნეობით ისეთი ზვარი გაუკეთებია, თვით მცირეს ვენახითგან სხვა მხრით მომატებულის მამულებითგან, რომ მრთელს წინამხრის კახეთში ამის მზგავს კაცი ძნელად ნახავს“[1], და იქვე დასძენს: „ძალიანი კარგი იქნებოდა, რომ ზოგი ერთს გარემო სოფლების მებატონეებს მიებაძვათ ამ მამულის მართვისათვის“[2]. ასევე დ. ყიფიანი მაღალი შეფასებას აძლევდა აფხაზის მეურნეობას[3].

ზემოთ განხილულ ალ. ჭავჭავაძისა და აფხაზის მეურნეობებში თუ რამდენად იყო გამოყენებული ექსპლოატაციის ახალი წესი, ე. ი. თავისუფალი, დაქირავებული შრომა, ჩვენ, ამის შესახებ სათანადო ცნობები არ გვაქვს. გურგენიძის მეურნეობაში კი ამ მეურნეობის 1843 წლის აღწერისას ვხვდებით 4 კაცს, თავისუფალი შრომის წარმომადგენელს[4]. ამის გარდა როგორც ვიცით საღვინე კასრებს ამზადებდნენ დაქირავებული ოსტატები. ეს ფაქტი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქ ხშირად იყენებდნენ დაქირავებულ შრომას, განსაკუთრებით დღიური მუშებისას, რომელიც იმ დროის ფრიად დამახასიათებელი მოვლენა იყო. განსაკუთრებით დაქირავებული შრომა გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობაზე, საღვინე კასრების დამზადებაზე, აბრეშუმის წარმოებაზე და სხვა სამუშაოებზე. უფრო მეტად დაქირავებული შრომა გამოყენებული უნდა ყოფილიყო აფხაზის მეურნეობაში, რადგან მან სანიმუშო მეურნეობა მოაწყო არა თავის მამულში, არამედ სახაზინო მიწაზე. აქ კიდევ მეტად იქნებოდა საჭირო დაქირავებული შრომის გამოყენება.

ბ ა რ ო ნ ნ ი კ ო ლ ა ი ს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ლ ო ჭ ი ნ ჯ ს ი. 1845 წელს გენ. ლეიტ. თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლეს ლოჭინჯში გამოუყვეს 8-9 დესეტინა მიწა, რათა მასზე 3 წლის განმავლობაში მოეწყო სასტუმრო ბაკები[5], 1846 წელს ვორონცოვმა ნება დართო ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის

---

[1] „ცისკარი“, 1861, № 11, გვ. 234.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 235.

[3] ЗКОСХ, 1857, გვ. 56.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6774, ფურც. 35.

[5] საქ. ცსსა, ფონდი 26, აღწერა 6, საქმე 28, ფურც. 40, 147—148.

შიეცათ 50 დესეტინა მიწა ძველი ლოჭინის გზის ქვემოთ, თუთის ხის, ენდროსა და სხვა სამღებრო მცენარეთა გასაშენებლად.

ალ. ჭავჭავაძის სიკვდილის (1846 წ.) შემდეგ, ეს მიწა იმავე წელსვე გადაეცა მის შვილს, კაპიტან დავით ჭავჭავაძეს, რომელმაც თავის მხრივ ორივე ნაკვეთი 1850 წელს თავის დას სტატსკი სოვეტნიცა ბარონესა სოფიო ნიკოლაის (ბარონ ნიკოლაის მეუღლეს) გადასცა ვორონცოვის ნებართვით[1]. აღნიშნული მიწის ნაკვეთები (60 დესეტინამდე) სართიჭალის უბანში მდებარეობდა. იმავე 1850 წელს ბარონესა სოფიო ნიკოლაიმ ვალდებულება აიღო მიცემულ მიწაზე 10 წლის განმავლობაში მოეწყო სანიმუშო მეურნეობა: გაეშენებინა სხვადასხვა მცენარეები, ვენახი, ხეხილი[2] და სხვ.

მალე, მეურნეობის მოწყობა აღნიშნულ მიწაზე თავს იდო სოფიოს ქმარმა ბარონ ნიკოლაიმ. მოგზაურობის დროს დერბენტში იგი შეხვდა გერმანელ ფიეგეს, რომელსაც კარგად ცოდნია ენდროს გაშენება. ბარონ ნიკოლაიმ იგი თავისთან მიიწვია.

1851 წელს ლოჭინში მიცემულ მიწაზე გაიყვანეს ნაკადული, რომელიც სათავეს სახაზინო სოფელ მარტყოფიდან იღებდა[3]. ფიეგეთან ერთად მან დაიწყო ენდროსა და კარდის გაშენება. მაგრამ მიწის რაოდენობა სანიმუშო მეურნეობის მოსაწყობად არასაკმაოდ შეიჩნია და იმავე 1851 წელს მთავრობას სთხოვა აღნიშნული ნაკვეთის გვერდით მიეცათ 200 დესეტინა სახაზინო მიწა „მანუფაქტურულ“ მცენარეთა გასაშენებლად. ეს მიწა სოფელ ნორიოში შედიოდა. იმავე წელს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და მისცეს 200 დესეტინა მიწა სოფ. ნორიოში მდ. მარტყოფის მარჯვენა ნაპირზე[4]. ამრიგად, ბარონ ნიკოლაის ჰქონდა მიწის ორი ნაკვეთი: 60 დესეტინიანი და 200 დესეტინიანი.

რადგან ბარონ ნიკოლაის ყმები არ ჰყავდა, მეურნეობაში მხოლოდ ნებითდაქირავებულ შრომას მიმართავდა.

1851 წელს მიწის პირველ ნაკვეთზე (60 დესეტინიან) დახნეს 20 დესეტინა, ჩაჰყარეს დერბენტიდან გამოწერილი ენდროს საუცხოო თესლი და 1852 წელს მიიღეს პირველი მოსავალი. მაგრამ ენდროს განვითარებას ხელს უშლიდა სარწყავ საშუალებათა უქონლობა. 1852 წელს მათ გააკეთეს სარწყავი არხი და დაიწყეს ენდროს მორწყვა, მაგრამ ამან ბალახი გაახშირა და გაზარდა. 3 წელი ებრძოდნენ ბალახს; ბოლოს, 1854 წელს დახნეს და ხორბალი დათე-

---

[1] იქვე. ფურც. 60, 90, 147—148.
[2] იქვე, ფურც. 71—72.
[3] იქვე, ფურც. 66—67.
[4] იქვე, ფურც. 90, 94.

ხეს. ამრიგად, ენდროს მოშენების პირველი ცდა წარუმატებლად დამთავრდა.

ერთდროულად ბარონ ნიკოლაი და ფივეგი აწარმოებდნენ კარდის თესვას, რომლის მოსავალი კარგი იყო.

1852 წელს გააშენეს ვენახის ბაღი, რომელიც შეიცავდა 80000 ძირ ვაზს და 4000 ძირ ხეხილს. ახლა საჭირო იყო ბაღის დაცვა ძლიერი ქარისაგან. ამ მიზნით მათ ბაღის გარშემო დარგეს 6000 ძირი ხე და ამგვარად შექმნილი ხელოვნური ტყე კარგად იცავდა ბაღს ქარისაგან. ბარონ ნიკოლაიმ მალე შეიძინა კიდევ 40 დესეტინა სარწყავი მიწა, სადაც პურს თესდა და 5000 ფუთი თივა ითიბებოდა.

სოფიო ჭავჭავაძისათვის მიცემულ 60 დესეტინა მიწაზე მოწყობილი მეურნეობა ბარონ ნიკოლაის განცხადებით დაჯდა 25000 მანეთი[1]. რადგან სოფიო ჭავჭავაძის მიერ ნაკისრი ვალდებულება შესრულებულ იქნა, 1853 წელს ბარონ ნიკოლაიმ ითხოვა აღნიშნული მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით მფლობელობაში გადაეცათ. ჩინოვნიკებმა: ილიაშევიჩმა და ლორის-მელიქოვმა შეამოწმეს იგი, რის შემდეგ მიწა მას მემკვიდრეობით მფლობელობაში გადასცეს[2].

რადგან ამ ნაკვეთზე ენდროს გაშენება წარუმატებლად დამთავრდა, ბარონ ნიკოლაიმ გადაწყვიტა იგი გაეშენებინა მიწის მეორე 200 დესეტინიან ნაკვეთზე. 1852 წელს ამ მიზნით ამ ნაკვეთზე დაამუშავეს 10 დესეტინა მიწა. ბარონ ნიკოლაის სურდა, რომ ენდროს ხელოვნური მორწყვის გარეშე ეხარა, რადგან არხების გაყვანა დიდ ხარჯებს ითხოვდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ აქაც, მორწყვის გარეშე ენდრო ვერ იხარებდა. 1855 წელს მან ითხოვა გაეყვანა არხი პლანტაციაში მდინარე მარტყოფიდან. არხს მეტწილად სახაზინო მიწაზე უნდა გაევლო, რომლითაც სოფელ ნორიოს მცხოვრებნი სარგებლობდნენ. დიდი დავის შემდეგ ნება დართეს გაეყვანა არხი. არხის გაყვანა საბოლოოდ დამთავრდა 1857 წელს. ამით ენდროს პლანტაცია წყლით უზრუნველყოფილ იქნა. 1858 წელს შეუდგნენ ენდროს პირველი მოსავლის აღებას. პირველად ბარით იწყეს ენდროს ამოღება, როგორც ეს დერბენტში ხდებოდა. მაგრამ დარწმუნდნენ, რომ ასე მათ ძვირი დაუჯდებოდათ, რადგან მუშის დაქირავება დღეში 34—40 კაპიკამდე ჯდებოდა თბილისის გუბერნიაში და ეს მათ ძვირად მიაჩნდათ, მაშინ როდესაც დერბენტში, ბარონ ნიკოლაის განცხადებით, მუშის დაქირავება დღეში 10 კაპიკს არ აღემატებოდა. ამიტომ ფივეგმა გადაწყვიტა ენდრო მიწიდან ამოეღო.

---

[1] ЗКОСХ, 1860, № 3 გვ. 101.
[2] საქ. ცსსა., ფონდი 26, აღწერა 6, საქმე 28, ფურც. 146.

ქართული გუთნით. გუთანს უკან მისდევდნენ დაქირავებული ქალები და ბავშვები და ენდროს კრეფდნენ. მაგრამ ქართული გუთანი დიდ ბელტებს ყრიდა და ენდროს ნაწილს მიწაში აყოლებდა. ამიტომ მათ განიზრახეს ქართულ გუთანზე გაეკეთებინათ ისეთი ხელსაწყო, რომელიც ბელტებს დაამტვრევდა.

მიუხედავად ამისა, ქართული გუთნით ენდროს აღება, ბარონ ნიკოლაის აზრით, გაცილებით იაფი ჯდებოდა, ვიდრე ბარით. 1 ფუთი ენდროს ამოღება და გახმობა უჯდებოდათ 1 მანეთი და 20 კაპიკი. საბოლოო ჯამში ამგვარი ოპერაცია 50 %-ით იგებდა[1].

ენდროს ახმობდნენ იმ წესით, როგორც ეს დერბენტში ხდებოდა: ამოთხრიდნენ ორმოს 1 საჟენის სიღრმითა და სიგრძით და 1 არშინის სიგანით; დაანთებდნენ ცეცხლს, როდესაც ორმოს კედლები საკმაოდ გახურდებოდა, ენდროს დაასველებდნენ წყლით და ჩაყრიდნენ შიგ. როცა ორმოს აავსებდნენ ენდროთი, შემდეგ მას ქეჩებით დახურავდნენ. ამ წესის მიმდევართა აზრით, ამით ძლიერდებოდა ენდროს საღებავის ხარისხი. აღსანიშნავია, რომ ეს წესი არ იცოდნენ ევროპაში და შესაძლებელია მოსკოველი ვაჭრები ამიტომ ამჯობინებდნენ დერბენტულ ენდროს ევროპულს. ბარონ ნიკოლაის აზრით, ლოჭინსკში ერთ დესეტინა მიწაზე შეიძლებოდა მოსულიყო 80 ფუთი ენდრო.

ენდროს მოსავლის აღების შემდეგ საჭირო იყო მისი გასაღება. რადგან მოსკოვისა და ნიჟეგოროდის ბაზრებზე მისი წაღება ძვირი დაჯდებოდა, ბარონ ნიკოლაიმ გადაწყვიტა იგი ერევანში გაესაღებინა. მაგრამ იქ ბითუმად არ წარმოებდა მისი გაყიდვა, რის გამო საჭირო იყო ჰყოლოდა კომისიონერი, ჰქონოდა საწყობი და დუქნები. მარსელში (საფრანგეთი) კი ამ დროს ენდროს ფასები დაწეული იყო და თანაც ფოთამდე სახმელეთო გზით მისი მიტანა ძვირად მიიჩნიეს. ასეთ მდგომარეობაში ჩვენს ფერმერს გამოეცხადა ერთ-ერთი თბილისელი ვაჭარი და წინადადება მისცა მიეყიდა მთელი ენდრო. ბარონ ნიკოლაი დათანხმდა და მთელი ენდრო მიყიდა, ფუთი 6½ მანეთად[2]. ამან წაახალისა ბურჟუა. შემდეგ წლებში თბილისში მყოფმა უცხოელმა ვაჭრებმა, შესთავაზეს მას სამსახური კომისიონერის სახით. 1860 წელს კი სთხოვეს მიეცათ ენდრო ევროპაში გასაყიდად. ეს უკანასკნელი წინადადება ფერმერმა არ მიიღო, რადგან მისი აზრით, მაშინ ენდროს ფასები ევროპაში დაწეული იყო[3].

---

[1] ЗКОСХ, 1860, № 3 გვ. 112.

[2] იქვე, გვ. 114.

[3] იქვე, გვ. 126—127.

ბარონ ნიკოლაის ენდროს გასაღება ყველაზე სარფიანად მიაჩნდა თბილისში, რადგან სხვაგან წაღების შემთხვევაში გზები დიდ ბარჯებს ითხოვდა. ბურჟუა-ფერმერი ენდროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მას მრეწველობის „ერთ-ერთ საარსებო პურს“ უწოდებდა. რუსეთის ფაბრიკები, მისი აზრით, საჭიროებდნენ 300000 ფუთ ენდროს; ამიერკავკასია კი აწარმოებდა ამის ნახევარზე ნაკლებს, დანარჩენი უცხოეთიდან მოჰქონდათ. ფერმერი ამიერკავკასიის ენდროს უცხოურს ამჯობინებდა. იგი მოითხოვდა მისი დიდი რაოდენობით წარმოებას, საზღვარგარეთული ენდროს შევიწროების მიზნით[1]. საქართველოში მიღებული ენდროს მოსკოვში გასაღების საშუალებად მას მიაჩნდა რუსეთ-საქართველოს შორის სახმელეთო და საზღვაო გზების გაუმჯობესება, რაც, მისი აზრით, ეფექტურად მოხდებოდა.

ბარონ ნიკოლაიმ თავის მეურნეობაში გაავრცელა სორგო და მისგან ხდიდა სპირტს. მან თავის მამულში ინჟინერ-ტექნოლოგ ლემკულს, მოაწყობინა სპირტსახდელი ქარხანა და ამით გაუმჯობესა სპირტის წარმოების საქმე. 1859 წელს მან თავისი ბურჟუაზიული მეურნეობის კიდევ უფრო გაფართოება დაიწყო[2].

1860 წელს ფერმერის თხოვნის თანახმად, მიწის მეორე ნაკვეთიც (200 დესეტინა) მას მემკვიდრეობით მფლობელობაში გადასცეს, რადგან ნაკისრი ვალდებულება შესრულებულად სცნეს[3].

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოში ცდილობენ მანქანა-იარაღების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში. უფრო მეტად ამას მემამულეები ეტანებიან, განსაკუთრებით კი ბურჟუაზიულ მეურნეობათა მეპატრონენი. კიდევ უფრო ძლიერდება სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენება 60-იანი წლებიდან. საზღვარგარეთიდან მას დიდი რაოდენობით იწერდნენ. მანქანა-იარაღები შეიტანეს თავიანთ მეურნეობაში ბარონ ნიკოლაიმ, ჩიჯავაძემ, ბაგრატიონ-მუხრანსკიმ, კუჩენბახმა, ანანოვმა და სხვებმა.

ბარონ ნიკოლაის მეურნეობა ბურჟუაზიულ-ფერმერულ ყაიდაზე იყო მოწყობილი: თავისუფალი დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია, მანქანების გამოყენება მეურნეობაში, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნიკური გადამუშავება — ყველაფერი ეს ასეთი მეურნეობის ძირითადი ნიშნებია.

ბარონ ნიკოლაი, რომელსაც ყმები არ გააჩნდა, თავის მეურ-

---

[1] იქვე, გვ. 127.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 241, აღწერა 3, საქმე 13, ფურც. 1—4.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 26, აღწერა 6, საქმე 28, ფურც. 227.

ნეობაში დაქირავებულ შრომას იყენებდა. მისი განცხადებით დაქირავებულ შრომას იყენებდნენ აგრეთვე რიგი სხვა მიწათმფლობელნიც, რომელთაც ყმები არ გააჩნდათ, ანდა, რომელთაც ისინი არასაკმარისად ჰყავდათ[1]. 50-იან წლებში ნებითდაქირავებული შრომის გამოყენება საქართველოში გავრცელებული მოვლენა იყო.

მაგრამ ბატონყმური ურთიერთობის ბატონობის პირობებში, როდესაც უშუალო მწარმოებელს (გლეხს) პირადი თავისუფლება არ ჰქონდა და მიწაზე იყო მიმაგრებული საბატონო ვალდებულებებით, ძლიერ ჭირდა თავისუფალი შრომის გამოყენება, თავისუფალი მუშა-ხელის შოვნა. ამიტომ ბურჟუაზიული და მსხვილი რაციონალური მეურნეობანი ხშირად განიცდიდნენ მის ნაკლებობას. ბარონ ნიკოლაი ერთი იმ ბურჟუათაგანი იყო, რომელიც ხშირად ჩიოდა სათანადო და თავისუფალი მუშახელის უკმარობაზე[2]. თანაც მას თბილისის გუბერნიაში დაქირავებული მუშის დღიური ხელფასი (35—40 კაპიკი) ძვირად მიაჩნდა. იგი უფრო ხელსაყრელად თვლიდა იმერეთიდან და სპარსეთიდან სეზონურად მოსული მუშები დაექირავებინა. მაგრამ ეს სრულებით არ კმაროდა მისი აზრით, რადგან ეს სეზონური მუშები შორეული ადგილებიდან წელიწადის გარკვეულ დროს მოდიოდნენ და მიდიოდნენ, ამდენად მეურნეობა ამ მხრივ უზრუნველყოფილი არ იყო[3].

ბარონ ნიკოლაი, რა თქმა უნდა, ყმის შრომაზე მაღლა აყენებდა ნებითდაქირავებულ შრომას, რომელიც, მისი აზრით, გაცილებით რენტაბელური იყო და ბოლოს და ბოლოს უნდა გაბატონებულიყო. 1860 წელს, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების წლიურ კრებაზე წაკითხულ მოხსენებაში, სადაც სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღების მნიშვნელობაზე ლაპარაკობს, იგი აღნიშნავდა: „Благоразумие требует заблаговременно приготовить переход к свободному труду, долженствующему во всяком случае, сделаться рано или поздно единственным и исключительным промышленным орудием“[4]. მოხსენების ამ ნაწილში იგი სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღების მნიშვნელობაზე ლაპარაკობს. მაგრამ მანქანა-იარაღების ფართოდ და წესიერად გამოყენება სოფლის მეურნეობაში სწორედ თავისუფალ დაქირავებულ შრომას გულისხმობდა და არა ყმებისას, რომლებიც ამ მანქანა-იარაღებს ვერ მოემსახურებოდნენ. ლაპარაკობს რა ისევ მანქანა-იარაღების გამოყენების მნიშვნელობაზე იგი აცხადებს: „Очевидно какое влияние это

---

[1] ЗКОСХ, 1857, გვ. 12.
[2] იქვე, გვ. 16, 17.; ЗКОСХ, 1860, გვ. 111.
[3] იქვე, გვ. 16.
[4] ЗКОСХ, 1860, № 3, გვ. 123.

должно иметь на возвышение ценности земель, заменяющую мнимую и уже осужденную общественным мнением ценность крепостных людей"[1]. ბურეუა აქ აშკარად კიცხავს და უვარგისად აცხადებს ყმების შრომას მეურნეობაში. იგი ბატონყმური მეურნეობის სისტემაში ვერ თავსდება და გამოსავალს ეძებს. ჯერ ბარონ ნიკოლაი, მუშახელის ნაკლებობის ანაზღაურების მიზნით მიუთითებდა რუსებისა და უცხოელების დასახლებას. ე. ი. კოლონიზაციას[2]. თუმცა იგი იქვე აღნიშნავს, რომ უკვე დასახლებულმა უცხოელებმა (გერმანელებმა) ვერავითარი დადებითი გავლენა ვერ მოახდინეს მხარის ეკონომიურ განვითარებაზეო. „Нужно сознаться, — წერდა იგი, — что... переселенцы эти... народ непромышленный, малодеятельный, часто не трезвый: они приобрели здесь наклонность к вину и незаметно, чтобы соседственное с ними население переняло хотя что-нибудь от них"[3].

ყველაზე დიდ საშუალებად მას სოფლის მეურნეობაში მუშახელის ნაკლებობის თავიდან აცილების მიზნით, მიაჩნდა სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღების გამოყენება. მაგრამ ამავე დროს იგი მოითხოვდა ქართული სამიწათმოქმედო იარაღებისათვის პატივი ეცათ, იმათ წინააღმდეგ (განსაკუთრებით რუსი ჩინოვნიკების შეხედულებათა წინააღმდეგ), ვინც მათ გამოყენებას უარყოფდა. იგი მოითხოვდა ახალი მანქანა-იარაღების შემოღებას და ქართული სამიწათმოქმედო იარაღების გაუმჯობესებას[4]. მანქანა-იარაღების გამოყენება სოფლის მეურნეობაში ბარონ ნიკოლაის მით უფრო მიაჩნდა საჭიროდ, რომ მრეწველობის განვითარება ქალაქებში სოფლის მუშა ხალხს იზიდავსო[5]. სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღების გამოყენების აუცილებლობაში, მისი განცხადებით, დარწმუნებულნი იყვნენ სხვებიც, „განათლებული" მიწისმფლობელები, რომლებიც საამისოდ ენერგიულ ცდებს ატარებდნენ[6]. ფუთი ენდროს ღება მის მეურნეობაში მუშახელის გამოყენებით, ბარონ ნიკოლაის აზრით დაჯდებოდა 4 მანეთი, ხოლო ქართული გუთნის საშუალებით იგი დაჯდა 1 მანეთი და 20 კაპიკი. გარდა ამისა სამიწათმოქმედო იარაღების გამოყენება მიწათმფლობელებს მუშახელის დამოკიდებულებისაგან გაანთავისუფლებსო: „Независимо от экономического вопроса, употребление орудий ставит земле-

---

[1] იქვე, გვ. 125.
[2] ЗКОСХ, 1857, გვ. 29.
[3] იქვე.
[4] ЗКОСХ, 1860, № 3, გვ. 122.
[5] ЗКОСХ, 1857, გვ. 11.
[6] ЗКОСХ, 1860, № 3, გვ. 123.

владельца в совершенную независимость от того класса, который снабжает поденщиками"[1]. ეს დრო, უკანასკნელი წლებია საგლეხო რეფორმამდე, როდესაც რუსეთში და საქართველოში მემამულეები მიეტანენ საზღვარგარეთიდან სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოწერასა და ყიდვას, რათა მათი მეშვეობით თავიდან აეცილებინათ ყმების შრომის გამოყენება და მუშების დაქირავების სიძნელენი. „ეს ცდა, რასაკვირველია, მარცხით დასრულდა"[2], მართალია, ზოგიერთი ბურჟუა და მსხვილი მემამულე რაციონალიზატორი და მათ შორის ბარონ ნიკოლაიც თავს ართმევდა მეურნეობაში მანქანა-იარაღების გამოყენების საქმეს, მაგრამ ეს მაშინ დამახასიათებელი მოვლენა არ იყო, რომელსაც ჩვენ შემდეგ შეეხებით.

ბურჟუაზიულ მეურნეობას ესაჭიროებოდა გასაღების ბაზარი, რათა მას ეარსება და განვითარებულიყო. ბატონყმური ურთიერთობის დროს გასაღების ბაზარი საერთოდ სუსტი იყო. ამიტომ ბარონ ნიკოლაი ამაზე, ისე როგორც თავისუფალი მუშახელის შოვნაზე, ხშირად ჩიოდა. და აქ მას მოჰყავს მაგალითი, როდესაც 1856 წელს თავისი ბოსტნეული თბილისში ვერ გაასაღა[3]. მართალია, სასაქონლო წარმოების შედეგად ნატურალური მეურნეობა სწრაფად ირღვეოდა, თანდათან ფართოვდებოდა და იზრდებოდა გასაღების ბაზრები და მოთხოვნილებები სოფლის მეურნეობის ნაწარმზე, მაგრამ იგი მსხვილი და განსაკუთრებით ბურჟუაზიული მეურნეობის მოთხოვნებს მაინც ვერ აკმაყოფილებდა. ხშირად მსხვილ და ბურჟუაზიულ მეურნეობაში ესა თუ ის პროდუქტი დიდი რაოდენობით მზადდებოდა და წინ უსწრებდა ბაზრის მოთხოვნებს. ამაში მდგომარეობდა ერთ-ერთი წინააღმდეგობაც და შეუსაბამობა ბურჟუაზიულ მეურნეობასა და ბატონყმური ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს შორის.

ბარონ ნიკოლაის ბურჟუაზიულ-ფერმერული მეურნეობა ბატონყმური ურთიერთობის სისტემაში იყო მოქცეული. თუმცა ეს უკანასკნელი სწრაფად ირღვეოდა, მაგრამ ჯერ კიდევ გაბატონებულ ძალას წარმოადგენდა ქვეყანაში. ბურჟუა-ფერმერი ვერ ეგუებოდა მას, ვერ თავსდებოდა მასში და გამოსავალს ეძებდა. ასეთი მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო იყო ბატონყმური ურთიერთობის მოსპობა.

---

[1] იქვე, გვ. 124.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 243.
[3] ЗКОСХ, 1857, გვ. 40—41.

კუჩენბახის ბურჟუაზიული მეურნეობა. ალექსანდრე კუჩენბახმა თავისი ფერმერული მეურნეობა მოაწყო ერთი ბაშკიჩეთში (თრიალეთი) და მეორე, სოფელ ელფიაში, კოჯრის ახლოს — 1863 წელს. ბაშკიჩეთში და ელფიაში მას ჰქონდა შვეიცარული ყველის საწარმოო ქარხნები. ბაშკიჩეთში მის მეურნეობას ეჭირა 15 დესეტინამდე მიწა. მეურნეობაში მოწყობილი იყო ქვის შენობები შვეიცარული ყველის გასაკეთებლად, მუშებისათვის, რძისა და ყველის შესანახად, პირუტყვის სადგომად, რომელიც ითავსებდა 100 სულ მსხვილ რქოსან საქონელს და სხვ. კუჩენბახს ჰყავდა 84 ძროხა, მრავალი ხბო, ხარები და სხვა საქონელი. მის მეურნეობაში მუშაობდნენ მწყემსები, ძროხების მწველავები, მთიბავები და სხვ. ყველა ისინი ნებით დაქირავებულნი იყვნენ[1].

კუჩენბახმა შვეიცარიიდან დაიბარა ყველის მკეთებელი ოსტატები. 1863 წელს ისინი ჩამოვიდნენ და თან ჩამოიტანეს ყველა იარაღი, რომელიც საჭირო იყო შვეიცარული წესით ერბოსა და ყველის მისაღებად. ამ დროს შვეიცარული ყველი საქართველოში რუსეთიდან მოჰქონდათ და აქ დიდი წარმატებით საღდებოდა. ამიტომ კუჩენბახის დაწყებულ საქმეს თავიდანვე კარგი შედეგი მოჰყვა. მისი ყველი ფართოდ და სარფიანად საღდებოდა თბილისში. ფერმერის განცხადებით, ყველის მკეთებელი ქარხნების მოწყობა დაუჯდა 11000 მანეთი[2].

რძის მეურნეობის გვერდით მან ბალ-ბოსტნებიც გააშენა, გამოიწერა საზღვარგარეთიდან საქონლის ჯიშები და მეურნეობას აფართოებდა. მან განიზრახა საქართველოში მოეწყო რძის დიდი ფაბრიკები, როგორიც იყო ინგლისსა და საფრანგეთში. საამისოდ მთავრობისაგან სესხს თხოულობდა, მაგრამ აგრონომებმა დეიჩმანმა და ხატისოვმა, რომლებმაც მისი მეურნეობა შეამოწმეს და იგი სანიმუშოდ ჩათვალეს, ასეთი ფაბრიკების მოწყობა ამიერკავკასიაში მაშინ ნაადრევად სცნეს[3].

იმდროინდელი გაზეთი „გუთნის დედა" დიდად აფასებდა ბარონ კუჩენბახის ბურჟუაზიულ მეურნეობას, მის ბურჟუაზიულ თვალსაზრისს. „გუთნის დედა" აღნიშნავს, რომ შვეიცარიაში ყველის წარმოებისათვის კომლები ერთდებიან და აკეთებენ საერთო ქარხანას[4], ე. ი. იქმნება „ამხანაგობანი[5]. ასეთი „ამხანაგობანი" შვეიცარული ყველის საწარმოებლად შეიძლება საქართველოშიც მოე-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 241, აღწერა, 3, საქმე 11, ფურც. 32—33.
[2] იქვე, ფურც. 43—44.
[3] იქვე, ფურც. 62.
[4] „გუთნის დედა", 1863, № 12, გვ. 136.
[5] „გუთნის დედა", 1863, № 13, გვ. 144.

წყოს, რადგან ჩვენ გვაქვს ამის მაგალითი ხვნა-თესვის საქმეშიო. ჩვენში ხვნა-თესვა, განაგრძობს „გუთნის დედა“, „ამხანაგობით“ სრულდება, რადგან გუთნეული საქონელი ძვირი საშოვნელია და სოფლელები თავს უყრიან: ზოგისა გუთანია, ზოგისა ხარია, ზოგისა შეხრე, და ისე ხნავენ ანეულსა. თუკი ხვნა-თესვაში შეიძლება ეს „ამხანაგობა“, — კითხულობს „გუთნის დედა“, — რატომ არ შეიძლება მოეწყოს იგი შვეიცარული ყველის გასაკეთებლად[1]. „გუთნის დედა“ მოუწოდებდა ქართველებს წასულიყვნენ ელფიაში, კოჯრის ახლოს და გაცნობოდნენ შვეიცარული ყველის მწარმოებელ ქარხანას.

1863 წელს კუჩენბახის შვეიცარული ყველი გაგზავნილ იქნა თბილისში, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სადაც მაღალი შეფასება მიიღო. გამოფენის ერთ-ერთ ოთახში, სადაც წარმოდგენილი იყო ღვინო, ყველი, თევზეული, თაფლი და სხვ., ყველაზე უკეთესი იყო კუჩენბახის ქარხანაში დამზადებული ყველი. მასზე ივანე სერებრიაკოვი წერდა: „ყველაზე შესანიშნავი იყო შვეიცარიის ყველი, პირველად გაკეთებული საქართველოში ბარონ კუჩენბახისაგან. შარშან ჩვენს გაზეთში დავბეჭდეთ ამბავი, რომ ბარონ კუჩენბახს მოეყვანა შვეიცარიიდამ ყველის გამკეთებლები და სურდა აქ ტფილისის ახლო გამართვა შვეიცარული ყველის ქარხნისა. ეს საქმე მოხერხდა ძალიან კარგად და ჩვენს მხარეში დაიბადა ახალი ხელობა, რომელმაც დიდი სარგებლობა უნდა მისცეს ხალხსა, თუმცა იქნება თვითონ ბარონმა კუჩენბახმა მაგთენი ხეირი ვერა ნახოს რა“[2], რადგან „ბარონ კუჩენბახი უცხო ქვეყნის კაცია, აქ არც მიწები აქვს საკუთარი, არც საქონელი ჰყავს თავისი, არც შესანახავი ადგილი. ყველა უნდა იქირაოს... ყველგან ფული უნდა ხარჯოს. დაჭერილი კაცებიც (დაქირავებული მუშები — დ. გ.) უნდა ნასყიდი პურით და ხორაგით გამოჰკვებოს და ჯამაგირი აძლიოს“[3], და ამდენ ხარჯს როგორ აუვა ქარხანაო — კითხულობს სერებრიაკოვი. იგი მოუწოდებს ქართველ მიწათმფლობელებს თვით მათ მოჰკიდონ ხელი ასეთ მეურნეობას და წარმოებას, რადგან საამისოდ მყარი საფუძველი აქვთ და დიდ მოგებას მიიღებენო: „აბა აქაურმა მამულის პატრონმა იკისროს ეს საქმე, მამულის პატრონმა, ვისაც არც საძოვარში გაუვა ფასი, არც ძროხის ქირის დაჭერა უნდა, არც გომების აშენება, არც გოსტინნიცაში ცხოვრება და ნახოს რა სარფა ექნება მშვენიერის ყველის გაკეთებასა“[4].

---

[1] იქვე.
[2] „გუთნის დედა“, 1864, № 1, გვ. 6.
[3] იქვე.
[4] იქვე.

კუჩენბახის სასოფლო-სამეურნეო დაწესებულება, ბარონ ნიკოლაის მეურნეობის მსგავსად, კაპიტალისტური იყო. იგი ყველა სამუშაოზე (საქონლის მოვლა, ყველისა და ერბოს გაკეთება, თივის აღება და სხვ.) მხოლოდ დაქირავებულ შრომას იყენებდა. წარმოების თვალსაზრისით აქ ყველაზე უფრო დამახასიათებელი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნიკური გადამუშავება. ბურჟუა კუჩენბახი თანდათან აფართოებდა თავის მეურნეობას. თბილისის გუბერნიის 1864 წლის ანგარიშში ამის შესახებ აღნიშნულია: „Барон Кученбах расширяет свое сыроварное производство и в настоящее время снабжает Тифлис хорошим дешевым сыром и превосходным маслом"[1].

ანანოვის ბურჟუაზიული მეურნეობა ვარციხეში. 1860 წელს ვაჭარმა ანანოვმა ქუთაისის მაზრაში, სოფელ ვარციხეში, იქ სადაც მდინარეები ყვირილა და რიონი ერთდებიან, მამული იყიდა. ქუთაისიდან იგი 15 ვერსით იყო დაშორებული. მამული შეიცავდა 5.000 დესეტინა მიწას. აქედან 4.700 დესეტინა ტყეს ეჭირა, 300 დესეტინა კი მინდორი იყო. აქ მოაწყო ანანოვმა ფერმერული მეურნეობა.

პირველ რიგში ანანოვმა ბამბა და თამბაქო (ტრაპიზონისა და მარილანდის)[2] გააშენა. სავაჭრო მიწათმოქმედების ეს კულტურები დიდი რაოდენობით მოჰყავდა მას. ამასთან ერთად მან ხელი მიჰყო მეცხოველეობის განვითარებას: მოაყვანინა ჰოლანდიური ჯიშის ძროხები, გაამრავლა ვარციხეში ლეისტერის (ინგლისური) ჯიშის ღორები და ცხვრები.

მიწის დასამუშავებლად იმერული გუთანი მან არახელსაყრელად სცნო. ამიტომ ანანოვმა მეურნეობაში მოიტანა 20 გომენგეიმის გუთანი, რომელთაც, თითოეულს სჭირდებოდა ერთი უღელი ხარი. შეიძინა აგრეთვე სიმინდის საცეხვი მანქანა, რომელიც დღეში 100 ფუთ მარცვალს აშორებდა ღეროს. ბამბის გასაწმენდად მან მოატანინა ინგლისური ბამბის საწმენდი მანქანა, რომელიც ქ. მანჩესტერში იყო გაკეთებული, დენლოპის ქარხანაში. ივანე სერებრიაკოვის აზრით, რომელმაც ანანოვის „ფერმა" აღწერა, დენლოპის მანქანა სჯობდა ვიტნეისას, რადგან მისგან მიღებული ბამბა ქუთაისის ბაზარზე მეტად ფასობდა. სამაგიეროდ, მანქანის თვლის დაბრუნებას დიდი ძალა სჭირდებოდა. 3—4 კაცი დღეში ფუთნახევარ ბამბას არჩევდა. გარდა ამისა, ფერმაში იყო გერრატის პურის გასანიავებე-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, (1865), д. 127, л. 9.

[2] «Кавказ, 1861, № 99.

ლი ძახჭახა და ტერნერის ხელწისქვილი, რომელიც ერთი მუშის შემწეობით დღე-ღამეში 12 ფუთ მარცვალს ფქვავდა.

ფერმის გამგედ ანანოვმა მიიწვია აქაური აგრონომი ხატისოვი.

ანანოვის ბურჟუაზიულ მეურნეობაში გამოყენებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ნებითდაქირავებული შრომა. იგი წარმატებით ავითარებდა სავაჭრო მიწათმოქმედებას, აწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტექნიკურ გადამუშავებას. როგორც ბარონ ნიკოლაის, ივანე მუხრან-ბატონის, ნიკო ჩიჯავაძის, ალექსანდრე კუჩენბახისა და სხვათა მეურნეობანი, მისი მეურნეობაც სავაჭრო-სამრეწველო ხასიათს ატარებდა. მეურნეობის ნაწარმს ანანოვი ასაღებდა როგორც ამიერკავკასიაში, ისე საზღვარგარეთ. განსაკუთრებით ეს ითქმის ბამბასა და თამბაქოზე. სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია ცნობები ბურჟუაზიულ მეურნეობათა და მათ შორის ანანოვის მეურნეობის შემოსავლის შესახებ. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ორგანოს (ЗКОСХ) რედაქცია ამ გარემოებას შენიშნავდა კიდეც ანანოვის ფერმის გამგის — აგრონომ ხატისოვის სტატიასთან (ферма Ананова близ сел. Варцыхе) დაკავშირებით: ჩვენი მიწათმფლობელები არ გვაწვდიან ცნობებს შემოსავლის შესახებ და საიდუმლოდ ინახავენ[1].

თავის სამეურნეო ნაწარმს — ბამბას, სიმინდს, თამბაქოს და სხვა, ანანოვი გზავნიდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თბილისში, რისთვისაც არა ერთხელ მიუღია ჯილდო, 1862 წელს კი, მან ლონდონის მსოფლიო გამოფენაზე წარადგინა გაწმენდილი ბამბა და თამბაქო, რისთვისაც გამოუგზავნეს ჯილდო — მედალი და ქების სიგელი.

„გუთნის დედა“ დიდად აფასებდა ანანოვის ფერმერულ მეურნეობას. ივანე სერებრიაკოვი მის შესახებ წერდა: „წარსულმა წელიწადმა (1861 წელმა — დ. გ.) დაგვიტოვა ორი საქმე, რომელთაცა ღიდი შემატება უნდა მისცენ ჩვენის მამულის კეთებასა. ეს არის აშენება, ორის ფერმისა, ერთისა ქართლში მუხრანის — ახლო, ქსანისა პირზედ, მეორე ქუთაისის ახლო, იმერეთში“[2]. მისი აზრით, არც ერთი საშუალება არ არის ისეთი ძლიერი მეურნეობის გაუმჯობესებისათვის, როგორც კერძო „სამაგალითოფერმების“ მოწყობა, რადგან ფერმაში მეურნეობის წარმოება წესიერადაა დაყენებული და შეუძლიათ სხვებმა გადაიღონ, როდესაც თვალით ნახავენ და დარწმუნდებიან მის უპირატესობაში: „რაც უნდა ძლიერი იყოს კაცის სიყვარული ძველი წესდებულებისათვის, რაც უნდა ღრმად

[1] ЗКОСХ. 1863. გვ. 61.
[2] „გუთნის დედა“, 1862, № 1, გვ. 5.

გაედგას იმაში ძირკვი ცრუ მორწმუნეობისა, თუკი — თვალით დაინახავს ახალი რიგის უმჯობესობასა, თუკი თავისივე გონებით შეიტყობს, რომ სასარგებლოა ძველი წესის გამოცვლა, მაშინ რაღა დააბრკოლებს მიბაძვაში"[1] — წერდა ივ. სერებრიაკოვი. „ამგვარი ფერმები ჩვენში... უნდა შეიქმნან, მაგალითად, მამულის კეთების აყვავილებისა როგორც... სახელმწიფო ფერმები რუსეთში"[2]. „ამასთან უნდა ვჰსთქვათ ,— განაგრძობს სერებრიაკოვი, — რომ კერძო პირთაგან აშენებული ფერმა უფრო ადვილად ასრულებს იმ საქმესა, რომლისათვისაც შენდება სახელმწიფო ფერმა, ე. ი. პირველი უფრო მალე ასწავლის ხალხსა ჯეროვანსა მამულის კეთებასა, ვიდრე ბოლონდელი"[3], რადგან კერძო პირები ვერ მიბაძავენ სახელმწიფო ფერმას, იმ აზრით, რომ სახელმწიფოს ასეთი ფერმების მოწყობა ადვილად შეუძლია, რადგან გააჩნია საამისო ძალები, ხოლო კერძო ფერმები იმის მაჩვენებელია, რომ კერძო პირებს შეუძლიათ მათი მოწყობაო.

მიუხედავად იმისა, რომ ანანოვის ბურჟუაზიული მეურნეობა სანიმუშოდ იყო მოწყობილი, ჩანს, რომ დაბრკოლებებსაც აწყდებოდა. ჩვენ არ გაგვაჩნია მასალები, სადაც ანანოვი თავისუფალ მუშახელის სიმცირეს ან ბაზრების სივიწროვეს უჩიოდეს. მაგრამ მისი მეურნეობის გამგე ხატისოვი, თავისუფალი მუშახელის უკმარობას უჩივის, და იგი მიაჩნია მას ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების მთავარ დაბრკოლებად[4]. ცხადია, ასეთი მეურნეობა ბატონყმური ურთიერთობის ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა და მასთან წინააღმდეგობაში იმყოფებოდა.

ივ. მუხრან-ბატონის მეურნეობა. ივანე კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონის მეურნეობა მუხრანში, ქსნის ნაპირას, ყველაზე უფრო მსხვილი ფერმერული მეურნეობა იყო საქართველოში. სამხედრო სამსახურში ყოფნის მიუხედავად, 50-იან წლებში მას სანიმუშო მეურნეობა გააჩნდა მუხრანში. 1856 წელს დიმიტრი ყიფიანი სხვებთან ერთად მიუთითებდა ივ. მუხრან-ბატონის სანიმუშო მეურნეობაზე, რომელმაც მთელ რიგ სიძნელეებს გაუძლო და თანდათან გაუმჯობესდა. მალე ივ. მუხრან-ბატონმა სამხედრო სამსახურს თავი გაანება და სანიმუშო მეურნეობა მოაწყო ევროპულ ყაიდაზე ,რადგან, მისი აზრით, საქართველოში არსებულ მამულებს

---

[1] ი ბ ი ვ ე, გვ. 6.
[2] ი ბ ი ვ ე, გვ. 7.
[3] ი ბ ი ვ ე, გვ. 8.
[4] ЗКОСХ, 1863, № 2, გვ. 71.

სათანადო შემოსავალი არ მოჰქონდა. 1862 წელს იგი „გუთნის დედაში“ წერდა: „დიდად ვჰმეცადინეობდი სოფლისა მუშაობისა საქმე როგორმე მიმეყვანა იმა წესსზედ, როგორიცა მიღებულია ევროპაში და სხვათა ადგილთა. აქამდინ მაბრკოლებდა სამსახური და ეხლა შევუდექ პირველად გუთანსა“[1].

სანიმუშო „ფერმა“ მუხრან-ბატონმა 1861 წელს მოაწყო. „ფერმაში“ მან მიიწვია სწავლული ფრანგი აგრონომი ოდანი, გამოიწერა საუკეთესო მანქანები და იარაღები ევროპიდან, ააგო სათანადო სამეურნეო ნაგებობანი და სხვა; ივ. სერებრიაკოვის განცხადებით მას ყველაფერი გაუკეთებია იმისათვის, რაც საჭირო იყო კარგად მოწყობილი ევროპული ფერმისათვის[2].

ივ. მუხრან-ბატონმა პირველად ყურადღება მიაქცია მთავარ სამიწათმოქმედო იარაღს, გუთანს. მან ქართული გუთანი სრულყოფილად ვერ მიიჩნია. „კარგი გუთანი ის არის, რომელიც მოხნავს მიწასა არა ბევრისა უღლებითა. ქართულსა გუთანში უნდა შეებას ამდენი უღელი, რამდენსაც არსად არ შეაბამენ სხვათა ქვეყნებში“[3], აცხადებდა იგი. მან მრავალი ევროპული გუთანი გამოსცადა თავის მამულში. ჯერ ხმარობდა დომბალის გუთანს, შემდეგ შუმანის გუთანი ამჯობინა მას.

შუმანის გუთანი მუხრან-ბატონმა პირველად მის სოფელ დიღომში გამოსცადა. გამოცდას ამ სოფლის გლეხები ესწრებოდნენ. გუთანი ყველას მოეწონა. მას ორი უღლით იმდენი მიწა მოუხვნია, რამდენსაც ქართული გუთანი რვა უღლით ხნავდა[4]. რადგან დიღომის მიწა ქვიშიანი იყო და მსუბუქად მიაჩნდათ, მუხრან-ბატონმა გუთანი მუხრანს წაიღო, სადაც მიწა თიხიანი და მაგარი იყო. მაგრამ აქაც ადვილად მოხნა მიწა გუთანმა და ყველას მოეწონა. ამის შემდეგ მუხრან-ბატონმა მრავალი გუთანი შეიძინა შუმანისა. ეს გუთანი მას ჩვენი ქვეყნისათვის მეტად სასარგებლოდ მიაჩნდა, რადგან, მისი აზრით, მას 4-ჯერ ნაკლები შრომა სჭირდებოდა, ვიდრე ქართულ გუთანს. განსაკუთრებით იგი სჭირდება ქართველ გლეხობას, რომლებსაც იშვიათად აქვთ საკუთარი გუთანი და არც საკმაო საქონელი გააჩნიათო. ფერმერი მსურველებს იწვევდა თავის მამულში, მუხრანში, რათა გაცნობოდნენ შუმანის გუთანს[5].

---

[1] „გუთნის დედა“, 1862, № 1, გვ. 2.
[2] იქვე. გვ. 5.
[3] იქვე, გვ. 2.
[4] იქვე. გვ. 3.
[5] იქვე.

ევროპული გუთნების გამოცდის შემდეგ მუხრან-ბატონმა თავის ფერმერულ მეურნეობაში მოიტანა სხვა ევროპული სამიწათმოქმედო იარაღები. 1862 წელს მან გამოსცადა სალეწი და სანიავებელი მანქანები და საფქვავი წისქვილი. რათა ეს მანქანები მოძრაობაში მოეყვანა, გაჭრა დიდი არხი მუხრანში რამდენიმე ვერსის სიგრძისა და წყლის საშუალებით აამოძრავა ისინი. წყლის თვალი ერთდროულად სამივე მანქანას ამოძრავებდა. სალეწი და საფქვავი მანქანები გაკეთებული იყო ინგლისში რომსონისა და სიმსის ქარხნებში, ხოლო სანიავებელი მანქანა გაკეთებული იყო თვით მუხრანში, ინჟინერ-ტექნოლოგ ბიხოლდტის ზედამხედველობით. საფქვავი მანქანა ერთ საათში ფქვავდა 1 კოდს, სალეწი მანქანა კი თითო ძნას წუთში ლეწავდა, დღეში — 540 ძნას. სალეწ მანქანას მომსახურეობას უწევდა 5 კაცი. 540 ძნის გალეწვას ჩვეულებრივად უნდებოდა 25 უღელი ხარი და 24 მუშა, რომლის დროსაც გალეწვა 10-ჯერ მეტი ჯდებოდა, ვიდრე მანქანის საშუალებით[1]. ამათ გარდა მუხრანის ფერმაში სხვა მრავალი ევროპული მანქანა-იარაღებიც იყო: სამკალი, სათიბი, სიმინდის საბეგვი მანქანა და სხვ.

მუხრან-ბატონის მეურნეობაში სათანადო სიმაღლეზე იდგა მეღვინეობა, მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, მეფუტკრეობა და სხვ. აქ დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ ღვინოს, მოყავდათ კარტოფილი, ბამბა, ჭარხალი და სავაჭრო მიწათმოქმედების სხვა კულტურები; თესდნენ პირუტყვის საკვებ ბალახს და სხვ. მეურნეობაში დიდი ადგილი ეკავა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნიკურ გადამუშავებას: ერბოსა და ყველის მიღებას, არაყისა და სპირტის გამოხდას. მეურნეობის ნაწარმი დიდი რაოდენობით გადიოდა ბაზარზე.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე (თბილისსა და მოსკოვში) წარდგენილი საუცხოო ღვინის, კარტოფილის, ხორბლის, ბამბისა და სხვა ნაწარმისათვის მას არაერთხელ მიუღია მაღალი ჯილდო[2]. იგი განუწყვეტლივ აუმჯობესებდა მეურნეობას და მიღწეულ წარმატებებს ქართველ მიწათმფლობელებს გაზეთ „გუთნის დედის“ საშუალებით აცნობდა.

მუხრან-ბატონის მეურნეობაში საგლეხო რეფორმამდე ძირითადად გამოყენებული იყო ყმების შრომა, მაგრამ იგი მის გვერდით მიმართავდა დაქირავებულ შრომას. როგორც ჩანს, დაქირავებულ შრომას იგი იყენებდა ისეთ სამუშაოებზე, როგორიც იყო მანქანა-

---

[1] „გუთნის დედა“, 1863, № 11, გვ. 131.

[2] ЗКОСХ, 1863. № 3. ЗКОСХ, 1865.

იარაღების მართვა, მათი შეკეთება, სამეურნეო ნაგებობათა მოწყობა (საჭირო შენობებისა და ფარდულების აგება, არხების გაყვანა და სხვ.) და სხვ. სალეწი მანქანის გამოცდის შესახებ აღნიშნულია, რომ იგი დღე'ში ლეწავდა 540 ძნას. „კევრებით რომ ელეწათ ხუთა'ს ორმოც ძნას მოუნდებოდა ოცდა ოთხი კევრი, ესე იგი ოცდა ხუთი უღელი ხარი და ოცდა ოთხი მუშა, რომლის ქირა ერთი ათად მაინც არი მეტი იქნება იმაზე, რაც ხარჯი მოუნდება მაშინასა[1]. „ქირა" დაქირავებული მუშების ხელფასს ნიშნავს. აქ უნდა ვიფიქროთ, რომ სალეწი მანქანის გამოყენებამდე, მუხრან-ბატონი პურის ლეწვასაც დაქირავებული შრომითაც აწარმოებდა (შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე ყმების საშუალებით). ზემოთ კი გარკვევით არის ნათქვამი, სალეწი მანქანა რომ არ იყოს, მაშინ საჭირო იქნება დაქირავებული მუშების ყოლა, რომელთა დღიური ხელფასი („ქირა") 10-ჯერ მეტი მაინც დაჯდება, ვიდრე მანქანით პურის გალეწვაო. ზემონათქვამში, როდესაც ლაპარაკია „კევრებით" ძნის გალეწვაზე, არაფერია ნათქვამი ყმების შრომაზე. კევრებით ძნის გალეწვა, აქ დაკავშირებულია 24 მუშის დღიურ ხელფასთან („ქირასთან"). ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მუხრანის მეურნეობაში საგლეხო რეფორმამდე, ყმების შრომის გვერდით გამოყენებული იყო დაქირავებული შრომაც, განსაკუთრებით დღიური მუშებისა.

მუხრან-ბატონი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ბატონყმურ მეურნეობას ესაჭიროებოდა ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა. ევროპულ ყაიდაზე მეურნეობის მართვა კი მოითხოვდა სათანადო ცოდნას, განსაკუთრებით როცა იგი ეხებოდა ევროპული სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღებით მეურნეობაში მუშაობას. ცხადია, ასეთი საქმისათვის ყმების შრომა გამოუსადეგარი იყო. თუ მუხრან-ბატონი ძირითადად მაინც ყმების შრომას იყენებდა მეურნეობაში, ეს იმიტომ, რომ იგი მისთვის მუქთი იყო, თუმცა იგი დარწმუნებული იყო მის არარენტაბელობაში. ევროპულ მეურნეობაზე მითითება და მეურნეობის მისებურად მოწყობა ბოლოს და ბოლოს სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა ბურჟუაზიულ მეურნეობას.

მუხრანის მეურნეობაში ფართოდ იყო განვითარებული სასაქონლო წარმოება, სავაჭრო მიწათმოქმედება, სოფლის მეურნეობის ნაწარმის ტექნიკური გადამუშავება. ამავე დროს აქ გამოყენებული იყო ექსპლოატაციის ახალი ფორმა—ნებითდაქირავებულ შრომა. ეს მეურნეობა მოწყობილი იყო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების მსგავსად. იგი ბურჟუაზიული მეურნეობის ნიშნებს უფრო მეტად

[1] „ჟურნალი დედა", 1863, № 11, გვ. 131.

შეიცავდა, ვიდრე საბატონო მეურნეობისას. ამიტომ, მუხრანის მეურნეობა თავისი შინაარსით ახალი ტიპისა იყო. მზარდი სასაქონლო წარმოება, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნიკური გადამუშავება, მანქანა-იარაღების გამოყენება, დაქირავებული შრომა — ყველაფერი ეს უცხოა რუტინული ტექნიკით დამახასიათებელ კარჩაკეტილი (ნატურალური) ბატონყმური მეურნეობისათვის. მართალია, ეს კაპიტალისტური შინაარსი ამ მეურნეობაში ჯერ კიდევ ფეოდალურ გარსში იყო გახვეული, რაც ძირითადად ყმების ექსპლოატაციაში გამოიხატებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია შინაარსი და იგი განსაზღვრავდა მუხრან-ბატონის მეურნეობის ეკონომიურ ბუნებას. საგლეხო რეფორმის შემდეგ მუხრან-ბატონის მეურნეობა კიდევ უფრო განვითარდა და საბოლოოდ იქცა ბურჟუაზიულ მეურნეობად.

ს ო ლ ო მ ო ნ ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. ერთ-ერთი სანიმუშო მეურნეობა რეფორმამდელ საქართველოში ჰქონდა კახეთის მემამულეს, სოლომონ ივანეს ძე ანდრონიკაშვილს.

1845 წელს სოლ. ანდრონიკაშვილმა ავადმყოფობის გამო თავი გაანება სამხედრო სამსახურს და დაბრუნდა თავის მამულში, კახეთში. 1848 წელს სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობამ იგი წინამძღოლად აირჩია. 1853 წელს დანიშნულ იქნა ალაზნის კორდონის ხაზის უფროსად და ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა, ვიდრე რუსეთი კავკასიის დაპყრობას არ დაამთავრებდა. სამსახური ხელს უშლიდა მას მეურნეობისათვის საფუძვლიანად მოეკიდა ხელი. მიუხედავად ამისა „დროის მოთხოვნილებამ", როგორც მან განაცხადა, „საკუთარმა სარგებლობამ და გრძნობამ" აიძულა იგი მის გაუმჯობესებაზე ეფიქრა[1].

1855—56 წლებში, მან სოფ. ბაკურციხეში მოაწყო მეურნეობა, გააშენა დიდი ბაღი. ბაღი დაყოფილი იყო ნაწილებად. ბაღში გაშენებული იყო ვენახი, სხვადასხვაგვარი ხეხილი, თუთის ხე. თუთის ხეს ეჭირა 100 დესეტინა მიწა და ორ პლანტაციად იყოფოდა. მარტო ერთ პლანტაციაში გაშენებული იყო 70000 თუთის ხე. სოლომონ ანდრონიკაშვილმა კომპანიაც კი დააფუძნა თუთის პლანტაციების ფართოდ გაშენების მიზნით. მისთვის ყველა მებატონეს მუშები უნდა მიეცა, ფულადი თანხა კი მას უნდა გაეღო. მაგრამ კომპანიონებს შორის უთანხმოება წარმოიშვა და ეს „საზოგადოება" დაიშალა.

---

[1] „გუთნის დედა", 1862, № 7, გვ. 56.

სოლ. ანდრონიკაშვილმა თავის მამულში მოაწყო აბრეშუმის ჭამოსახვევი ქარხანა, რისთვისაც შეიძინა სათანადო მანქანები. მისი აზრით, ღვინოს შემდეგ, კახეთში მეაბრეშუმეობას უნდა სჭეროდა პირველი ადგილი. მემამულე ხშირად კითხულობდა სათანადო საზეურნეო წიგნებს, ცოდნას იძენდა და წარმატებაც გააჩნდა.

იგი თავისი მეურნეობის ნაწარმს ხშირად გზავნიდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე თბილისსა და მოსკოვში, რომელიც მაღალ შეფასებას იმსახურებდა. 1861 წლის გამოფენაზე, თბილისში, მან წარადგინა ნედლი აბრეშუმი, რაზედაც „ცისკარი" წერდა: „აბრეშუმთაგან ყოველთზედ მოსაწონი იყო, ორის კახეთის მებატონისა: თ. დიმიტრი აბხაზისა და თ. სოლომონ ანდრონიკოვისა, რომელნიცა ღირსნი არიან შენიშვნისა თავიანთ შრომის მოყვარეობისა გამო ამ ადგილ-მამულის მართვაში"[1]. ასევე მაღალი შეფასება მიიღო მისმა აბრეშუმმა 1862 წლის გამოფენაზე თბილისში, რომლის შესახებ ესტატე მალალაშვილი წერდა: „კახეთიდან იყო წარმოდგენილი მშვენიერი ნიმუშები თავად ანდრონიკაშვილისა და თავად ჭაგჭავაძისა. ამ ნიმუშებთან კარგი იქნებოდა თვით მაშინაც, რაზედაც კეთდება ამისთანა მშვენიერი აბრეშუმი"[2]. 1863 წლის გამოფენაზე წარდგენილი აბრეშუმისა და ხილის საუცხოო ნიმუშებისათვის სოლ. ანდრონიკაშვილს ოქროს მედალი მისცეს[3]. მოსკოვის გამოფენაზე წარდგენილი საუცხოო ღვინოსათვის კი ვერცხლის მედალი გამოუგზავნეს.

მეღვინეობისა და მეაბრეშუმეობის შემდეგ მის ფერმაში დიდი ადგილი ეკავა მეხილეობას. მის დიდ ბაღში გაშენებული იყო აურაცხელი ვაშლი, მსხალი, ატამი, ჭერამი, ნუშისა და ალუბლის ხეები და სხვ. სულ აქ იყო 500-მდე სხვადასხვა ქვეყნის ხეხილი და 900-მდე ჩვენი ქვეყნისა[4]. ანდრონიკაშვილმა დაიწყო სორგოს თესვა და მისგან სპირტის გამოხდა. თავის მამულში, ალაზნის პირას, მოჰყავდა საუცხოო თამბაქო, რომლის შესახებ „გუთნის დედაში" ვკითხულობთ: „თ. სოლომონ ანდრონიკოვმა ცხადად დაგვიმტკიცა, რომ კახეთის მიწასაც შეუძლიან იმისთანა არომატიანი თამბაქოების მოყვანა, როგორიც მოგვდის ოსმალოდამ და რომლისათვის ყოველ წელიწადს ვგზავნით გრანიცის გარეთ რამდენიმე ათას პოლუიმპერიალსა. არამცთუ მარტო კახელებისათვის არი სარგო ეს საქმე, თვით მთავრობისათვისაც, რომელიც მოვალეა, რომ ამისთანა შემთხვევა-

---

[1] „ცისკარი", 1861, № 12, გვ. 365.
[2] „საქართველოს მოამბე", 1863, № 2, გვ. 197.
[3] ЗКОСХ ,1864, გვ. 47.
[4] „გუთნის დედა", 1862, № 7, გვ. 59.

ში გამოიჩინოს ყოველივე თავის მოსარჩლობითი უფლება. ახლა თითქმის ყველაფერი მომზადებულია, რომ ოსმალოდამ აღარ შემოვიდეს ჩვენში თამბაქო"[1]. ავტორი მოითხოვს, მთელი წინამხარი გადააქციონ თამბაქოს პლანტაციად და თავი დაანებონ იქ პურის თესვას. იგი ვაჭრებსა და „მეპაპიროსეებს" მოუწოდებს იყიდონ კახეთის თამბაქო, ხოლო მთავრობას ურჩევს მძიმე ბაჟი დააადოს „ოსმალოს თუთუნზე"[2].

„ცისკრის" რედაქტორი ივანე კერესელიძე, რომელმაც 1860 წელს კახეთში იმოგზაურა, ესტუმრა სოფელ ბაკურციხეს, სადაც გაშენებული იყო სოლ. ანდრონიკაშვილის „ფერმა". ფერმამ კერესელიძე აღფრთოვანებაში მოიყვანა. იგი წერდა: „ამ ყოვლად მშვენიერის სოფლის (ბაკურციხის — დ. გ.) და ყოვლად ჩინებულის გარდა ნახავთ ძვირფას ფერმას, რომელიც ეკუთვნის და რომელიცა დიდის ღვაწლით და შრომით გაკეთებულია, შრომისმოყვარის თ. სოლომონ ანდრონიკოვისაგან... შესავალს ალაგს, რა წამს შეხვალთ, დაგხვდებათ სწორე ევროპული ხეივანი, რომლის ორივე მხარეს იხილავთ ევროპიელს ყვავილევს, აქ ნახავთ ყოვლის მხრის და ყოვლის სახელმწიფოს ვაზს, ყოვლის კუთხის მსხალს და ვაშლს..., აქ ნახავთ ბაღნონიას, ციტიზუს, ამელიას, კიპაროზს, ტუს, ცერცის, ბობისკუს, პალნიას, გინიეს, იაპონიკას, აკაციას სხვადასხვაგვარს, მიმოზას, ტეტმას, ჟისმიას და სხვა და სხვას"[3].

თუ რამდენად იყო გამოყენებული ანდრონიკაშვილის ფერმერულ მეურნეობაში დაქირავებული შრომა, ჩვენ სათანადო ცნობები არ გაგვაჩნია. მემამულე ძირითადად ყმების შრომის ექსპლოატაციას ეწეოდა, მაგრამ ასეთ სასაქონლო-მეურნეობაში დაქირავებული შრომაც ხშირად იქნებოდა გამოყენებული. ეს მეურნეობა უფრო და უფრო უკავშირდებოდა ბაზარს და ებმებოდა საქონელგაცვლაში. სოლომონ ანდრონიკაშვილს სწორად ესმოდა „დროის მოთხოვნილება" — ევროპული მეთოდების დანერგვა სოფლის მეურნეობაში და მისი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებად მოწყობა, ე. ი. საბატონო მეურნეობის ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნის აუცილებლობა.

ნ ი კ ო ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. ცნობილი იმერელი მემამულე და ბურჟუაზიული მეთაოსნე ნიკო ჩიჯავაძე საქართველოში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მეურნეობის რაციონალურად მოწყობა დაიწყო.

---

[1] „გუთნის დედა", 1864, № 24, გვ. 184.
[2] იქვე.
[3] „ცისკარი", 1861, № 12, გვ. 362—363.

40-იანი წლების დასაწყისში იგი აქტიურად შეუდგა სხვადასხვა სავაჭრო და სამრეწველო კულტურების გაშენებას თავის მამულში, სოფელ სებეკაში (ქუთაისის მაზრა), როგორიც იყო თუთის ხე, ენდრო, თამბაქო, კარტოფილი, სორგო და სხვ. მან იმერეთში პირველად დანერგა კარტოფილის კულტურა და მოსახლეობას დაეხმარა მის გავრცელებაში, რის გამო ნიკო ჩიჯავაძე ადგილობრივმა ხელისუფლებამ ორდენზე წარადგინა[1]. ასევე წარმატებით გააშენა მან სხვა კულტურები: ბამბა, ენდრო, თამბაქო და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი მოღვაწეობა მეაბრეშუმეობის დარგში.

მან დიდი რაოდენობით დარგო თუთის ხე და აბრეშუმის ჭიის მოსავლელად მოაწყო სპეციალური სახლი. 1850 წელს კი თავის მეურნეობაში, სებეკაში, აამუშავა აბრეშუმსახვევი „ფაბრიკა". საწარმო წელიწადში საშუალოდ უშვებდა 1500 მანეთის პროდუქციას. ამოხვეულ აბრეშუმს ყიდდნენ იმერეთში და საზღვარგარეთ — კონსტანტინეპოლში[2]. მალე მან „სოფლის მეურნეობის საზოგადოებისაგან" შეიძინა რამდენიმე აბრეშუმსახვევი მანქანა და გააუმჯობესა აბრეშუმის ამოხვევა. თავის გლეხებს დაურიგა უკეთესი აბრეშუმის თესლი, ხოლო ძველი, ცუდი ჯიშები მოსპო. რათა თავის მეურნეობაში აბრეშუმის სწორი ამოხვევა სცოდნოდათ, მან მიიწვია თბილისის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის ყოფილი მმართველი ემერიხი, რომელმაც თავისი მოვალეობა კარგად შეასრულა. ერთდროულად იმერეთში მოღვაწეობდა ცნობილი მეაბრეშუმე ტრაიკო, რომელიც საუცხოო აბრეშუმს ავრცელებდა. მას მეორე აბრეშუმსახვევი საწარმო მოუწყვია სოფელ ლაჩინოში, თავის მამულში. 1852 წელს, აქ მას 10 ფუთი აბრეშუმი ამოუხვევია. ეს საწარმო ზუგდიდში არსებულ როზმორდიუკის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მსგავსად ყოფილა მოწყობილი. ჩიჯავაძის ამ საწარმოში აბრეშუმის ამოხვევას ეწეოდნენ ამ მხრივ ნასწავლი 20 ახალგაზრდა ბიჭი[3].

აბრეშუმსახვევ საწარმოსთან ერთად ჩიჯავაძემ მოაწყო ბამბისა და თამბაქოს „ფაბრიკები". 1850 წელს თამბაქოს საწარმოში დაუმზადებიათ 500 მანეთის პროდუქცია[4]. შემდეგ წლებში იგი ბამბისა და თამბაქოს საწარმოებიდან წლიურად საშუალოდ ღებულობდა 400 მანეთის პროდუქციას, რომელსაც ყიდდნენ ქუთაისის გუბერ-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6885, ფურც. 1.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 125, ფურც. 56. 82, 94, 101.

[3] Статистические описания губерний и областей Российской империи, т. XVI, ч. 5, Кутайсское генерал-губернаторство, СПБ. 1858 г., гл. 101.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 125, ფურც. 57.

ნიაში[1]. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩიჯავაძის „ფაბრიკების“ პროდუქციის ციფრობრივი მონაცემები სწორი არ უნდა იყოს. ეს საწარმოები გაცილებით მეტ პროდუქციას ამზადებდა და ამდენად წლიური შემოსავალიც გაცილებით მეტი გააჩნდათ, ვიდრე „ფაბრიკა-ქარხნების“ უწყისებშია იგი მოცემული, რადგან ჩვენ ვიცით იმ დროს საყოველთაოდ დამახასიათებელი მოვლენა: მიწისმფლობელები და ბურჟუაზიული მეურნეობის მქონენი მრეწველების მსგავსად თავიანთ შემოსავალს აცხადებდნენ მეტად შემცირებული სახით.

ნ. ჩიჯავაძე ენერგიულად აუმჯობესებდა მეურნეობას. მისი მეურნეობა იმ დროს სანიმუშო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება იყო, მაგრამ მას ხელი შეუშალა რუსეთ-თურქეთის ომმა (1853—55 წწ). ომის დაწყებისთანავე გამოშვებული პროდუქცია შემცირდა, განსაკუთრებით აბრეშუმისა, რადგან კონსტანტინეპოლში მისი წაღება შეუძლებელი აღმოჩნდა[2]. 1854 წელს გამოშვებული პროდუქცია კიდევ უფრო შემცირდა[3], ხოლო 1855 წელს დას. საქართველოში საომარ მოქმედებათა შედეგად აბრეშუმსახვევ, ბამბისა და თამბაქოს საწარმოებში პროდუქციის გამოშვება შეწყდა[4], რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ საწარმოებმა კვლავ განაახლა მუშაობა.

ნიკო ჩიჯავაძემ დიდად შეუწყო ხელი დას. საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებას. წლითი-წლობით იზრდებოდა იმერეთიდან სხვადასხვა საქონლის გატანა საზღვარგარეთ. პირველი ადგილი მათ შორის 50-იანი წლებიდან აბრეშუმს ეკავა. შემდეგ მოდიოდა სიმინდი, ბამბა, თამბაქო და ღვინო. ზემოთ, როდესაც ჩვენ სასაქონლო მეურნეობის განვითარებას ვეხებოდით, აღვნიშნეთ. რომ 1856 წელს იმერეთიდან საზღვარგარეთ გატანილ იქნა 5267 ½ ფუთი აბრეშუმი 467070 მანეთისა[5] (აქედან ამოხვეული აბრეშუმი 5147 ½ ფუთი 459070 მანეთის და პარკი აბრეშუმი 120 ფუთი 8000 მანეთისა), მაშინ როცა 1848—50 წლებში მთელი ამიერკავკასიიდან საშუალოდ გაჰქონდათ 3.566 ფუთი აბრეშუმი[6]. ამავე დროს თანდათან იზრდებოდა იმერეთისა და სამეგრელოს აბრეშუმის ფასი მოსკოვისა და მარსელის ბაზრებზე[7]. მართალია, 1856

---

[1] იქვე, ფურც. 56, 82, 94, 101.
[2] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 5, д. 177, л. 36.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 8, д. 335, л. 21.
[4] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 6, д. 165, л. 24.
[5] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, (1858 г.), д. 101, л. 163.
[6] იქვე, ფურც. 16.
[7] იქვე, ფურც. 165.

წლის ცნობებს ყველა წლებზე ვერ გავავრცელებთ, მაგრამ იგი უეჭველად აბრეშუმის წარმოების დიდ ზრდაზე მიგვითითებს. მეაბრეშუმეობის ასეთ განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა ჩიჯავაძეს. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი კოლიუბაკინი, თავის ანგარიშში წერს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი შედეგებისათვის მხარე დავალებულია: რაიკოს, თავად ჩიჯავაძისა და როზმორდიუკისაგან. რაიკომ გაავრცელა აქ აბრეშუმის ჭიის საუკეთესო ჯიშები, ხოლო ჩიჯავაძემ და როზმორდიუკმა იმერეთსა და სამეგრელოში შეიტანეს ახალი აბრეშუმსახვევი მანქანებიო[1]. აქვე, კოლიუბაკინი დიდ იმედს გამოთქვამდა, რომ ამიერკავკასიის აბრეშუმი მალე შეცვლიდა რუსეთის ფაბრიკებში უცხოეთის აბრეშუმის დიდ ნაწილს[2]. 50-იან წლებში იმერეთში არსებულ საწარმოებს შორის ყველაზე უკეთესი სწორედ ჩიჯავაძის აბრეშუმსახვევი საწარმო ყოფილა. ამაზე კოლიუბაკინი იმავე 1856 წლის ანგარიშში წერს: „ფაბრიკებიდან ყველაზე უფრო საუცხოო — აბრეშუმსახვევი (თავად ჩიჯავაძის) დახურული იქნა ომის დროს“[3].

ომის დამთავრებისთანავე, როგორც აღვნიშნეთ, მან აღადგინა აბრეშუმსახვევი, ბამბისა და თამბაქოს საწარმოები. 1856 წელს ამ საწარმოებმა გამოუშვეს 800 მანეთის პროდუქცია[4], ხოლო შემდეგ წლებში გამოშვებული პროდუქცია გაიზარდა. 1860 წელს მათ გამოუშვეს 2.500 მანეთის პროდუქცია[5].

ნ. ჩიჯავაძემ გააშენა ჰავაის, მარილანდისა და კენტუკის საუცხოო თამბაქო. მოჰყავდა ენდრო და სორგო. სორგოსაგან აწარმოებდა სპირტის გამოხდას[6]. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოჰყავდა ბამბა. ჩიჯავაძეს ყოველწლიურად მოჰყავდა 600 ფუთი ბამბა, 1852 წელს კი მოიყვანა 1000 ფუთამდე[7]. იმერეთში, ვარციხის გარდა, საუცხოო ბამბა მოდიოდა სებეკაში, ნ. ჩიჯავაძის მამულში.

თავისი მეურნეობის ნაწარმი არა ერთხელ წარუდგენია მას სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თბილისში, მოსკოვსა და ლონდონში, და არა ერთხელ ყოფილა იგი დაჯილდოებული. ასე, მაგალითად: ლონდონის გამოფენაზე წარდგენილი საუცხოო ბამბისათვის მას მედალი გამოუგზავნეს[8]. თბილისის გამოფენებზე წარდგენი-

---

1 იქვე, ფურც. 165—166.
2 იქვე, ფურც. 166.
3 იქვე, ფურც. 170.
4 იქვე, ფურც. 244.
5 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, (1861), д. 228, л. 149.
6 ЗКОСХ, 1862, № 2, зз. 22—23.
7 Статист. опис. губ. и обл. Росс. им. т. XVI, ч. V, зз. 96.
8 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, (1858 г.), д. 101, л. 175.

ლი საუცხოო ნაწარმოთათვის მრავალჯერ მიუღია ჯილდო, ხოლო 1863 წელს წარდგენილი აბრეშუმის, ბამბისა და თამბაქოსათვის დაჯილდოებული იქნა ოქროს მედლით[1], ასევე მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის ნაწარმს რუსეთის გამოფენაზე.

როგორც ვხედავთ, ნიკო ჩიჯავაძის მეურნეობას ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთთან. იგი ძლიერად იყო დაკავშირებული ბაზრებთან და, მაშასადამე, ფართოდ იყო ჩაბმული საქონელბრუნვაში. როგორც რიგი მეურნეობათა მიმართ, აქაც არა გვაქვს პირდაპირი ცნობები დაქირავებული შრომის (ექსპლოატაციის კაპიტალისტური წესის) გამოყენებაზე ჩიჯავაძის მეურნეობაში. მაგრამ სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება — თამბაქოს, ბამბის, ენდროს, სორგოს და სხვათა მოყვანა და მათი ტექნიკური გადამუშავება და ბოლოს მნიშვნელოვანი საწარმოების (აბრეშუმსახვევი, ბამბის და თამბაქოსი) მოწყობა ასეთ შრომას მოითხოვდა. ჩვენ მიგვაჩნია რომ ჩიჯავაძის აბრეშუმსახვევ საწარმოში მომუშავე 20 ახალგაზრდა ამომხვევი, ნებითდაქირავებულნი იყვნენ, რომლებიც გარკვეულ საზღაურს ღებულობდნენ. ამას ამტკიცებს ისიც რომ, როგორც ცნობაშია აღნიშნული, ისინი ამ საქმეში დაოსტატებულნი იყვნენ. ასეთივე ნებითდაქირავებული შრომა უნდა ყოფილიყო გამოყენებული მის ბამბისა და თამბაქოს საწარმოებში („ფაბრიკებში"). მაშასადამე, ჩიჯავაძის მეურნეობაში არათავისუფალ შრომასთან ერთად, ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ნებითდაქირავებული შრომაც.

სავაჭრო-სამრეწველო ხასიათის მქონე ნ. ჩიჯავაძის მეურნეობა, ისე როგორც მუხრან-ბატონისა, ახალი ტიპისაა ფეოდალურ ქვეყანაში. იგი ახალი ბურჟუაზიული შინაარსისაა, თუმცა ისევე ფეოდალურ ფორმაშია გახვეული, როგორც პირველი. ნ. ჩიჯავაძის მეურნეობა კიდევ უფრო მეტად შეიცავდა ბურჟუაზიული მეურნეობის ნიშნებს, როგორიც იყო ფართო სასაქონლო წარმოება, დაქირავებული შრომა, სამრეწველო საწარმოთა — მანუფაქტურების მოწყობა და სხვ. ჩიჯავაძის მეურნეობა გარდამავალი მეურნეობაა. მას გააჩნდა როგორც ბატონყმური, ასევე ბურჟუაზიული მეურნეობის ნიშნები.

ზემოთ განხილულ მსხვილ ბურჟუაზიულ და რაციონალიზებულ სამამულო მეურნეობათა გარდა საქართველოში საგლეხო რეფორმამდე არსებობდა რიგი გაუმჯობესებული და განვითარებული მეურნეობანი: მარის, მ. ერისთავის, ნაკაშიძისა და ბებურიშვილის

[1] ЗКОСХ, 1864, გვ. 47.

გურიაში, ნ. დადიანის სამეგრელოში, ქორქაშვილისა და კ. ერისთავის იმერეთში, ამილახვარის და ერისთავების მეურნეობანი ქართლში, რევაზ და დონიკე ანდრონიკაშვილებისა კახეთში და სხვ. „დროის მოთხოვნილებამ“ დაარწმუნა ისინი, რომ საჭირო იყო საბატონო მეურნეობის ევროპულ წესზე გარდაქმნა, კარჩაკეტილ — ნატურალური მეურნეობიდან გამოსვლა. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა XIX ს. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ მიზნით მემამულეები მთავრობას ხშირად თხოვდნენ ფულად დახმარებას. 1860 წელს გურიის დიდმა მემამულემ თავად მიხეილ ნაკაშიძემ, რომლის მამული ოზურგეთიდან შავ ზღვამდე ვრცელდებოდა, მეფისნაცვალ ბარიატინსკის 10.000 მანეთი თხოვა სესხად მეურნეობის გასაუმჯობესებლად. იგი ვალდებულებას იღებდა განევითარებინა სავაჭრო-სამრეწველო კულტურები, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა, მეფუტკრეობა, გაეშენებინა თუთის პლანტაციები და სხვ.[1] ნაკაშიძის მამული აღწერა აგრონომმა საასკიმ[2], რის შემდეგ მთავრობამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა[3]. ასევე, ოზურგეთის მაზრის მემამულემ გიორგი ბებურიშვილმა მეურნეობის გასაუმჯობესებლად 1863 წელს მთავრობას დახმარება სთხოვა[4]. ამავე წელს შორაპნის მაზრის მემამულემ კონსტანტინე ერისთავმა ასეთივე დახმარება სთხოვა მთავრობას[5]. 1862 წელს ასევე მოიქცა კახეთის მემამულე ზაქრო ანდრონიკაშვილი[6] და სხვ.

ზემოთ განხილულ ბურჟუაზიულ და ამავე გზაზე მდგარ სამამულო მეურნეობათა მთავარ მიზანს შეადგენდა სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ტექნიკური გადამუშავება. ამ მეურნეობებში მოჰყავდათ ღვინო, თამბაქო, ბამბა, ენდრო, სორგო, კარტოფილი, აწარმოებდნენ აბრეშუმს, ხდიდნენ არაყსა და სპირტს, ანვითარებდნენ მესაქონლეობას, მეფუტკრეობას, ამზადებდნენ ყველს, ერბოს, კარაქს და სხვ. 50-იანი წლებიდან მეურნეობის რენტაბელობის გაზრდის მიზნით მიწათმფლობელები ატარებდნენ ევროპულ სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღების გამოყენების ცდებს. ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი პროდუქტი დაემზადებინათ გასაყიდად. უფრო და უფრო უკავშირდებოდნენ ბაზრებს და ებმებოდნენ საქონელგაცვლაში. ცხოვრების პირობების განვითარებამ გაზარდა მემამულეთა მოთ-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 241, აღწერა 3, საქმე 12, ფურც. 1—3.
[2] იქვე. ფურც. 8—18.
[3] იქვე. ფურც. 209.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 238, საქმე 180, ფურც. 1—4.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 238, საქმე 181.
[6] საქ. ცსსა, ფონდი 238, საქმე 118.

ხოვნილებები ფულზე. ამიტომ მათ სურდათ, მამულებს რაც შეიძლება მეტი ფულადი შემოსავალი მოეცა. მეორეს მხრივ, ფულის შოვნის მიზნით მთელი რიგი მემამულეები ცდილობდნენ საბატონო ნატურალური გადასახადი (ღალა) ფულადი გადასახადით შეეცვალათ. „С тех пор — ამბობდა ბარონ ნიკოლაი 1857 წელს. — как потребности жизни увеличились, как с образованием родилось множество нужд, удовлетворение которых возможно только через посредство звонкой монеты, появилась и нужда в оной и желание ее приобрести. Поэтому многие из здешних помещиков уже начинают понимать, что работа крепостными людьми имеет свою положительную ценность и есть такие, которые желали бы и даже пытались заменить эту повинность денежным оброком, — явное доказательство того, что эта работа дорога и может быть дороже работы посредством наемных рук".[1]

განხილულ მეურნეობათა ეკონომიური ბუნების დახასიათებისას, მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ მათ შინაარსს, მიზნებს და ეპოქის ხასიათს.

როგორც აღნიშნულია, ეს მეურნეობანი ახალი ტიპის იყვნენ ფეოდალურ ქვეყანაში. საბატონო-ნატურალური მეურნეობათაგან განსხვავებით, მათ მთავარ მიზანს შეადგენდა საბაზრო წარმოება — სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნაწარმთა საბაზროდ წარმოება, სავაჭრო მიწათმოქმედება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ტექნიკური გადამუშავება და ამ მიზნით სხვადასხვა სამრეწველო საწარმოთა მოწყობა, დაქირავებული შრომისა და გაუმჯობესებული სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენება და ა. შ. ყველაფერი ეს აღნიშნულ მეურნეობებს კაპიტალისტურ ხასიათს აძლევდა. რიგი მათგანი, როგორც მაგალითად ბარონ ნიკოლაის, ალ. კუჩენბახის და ალ. ანანოვის ბურჟუაზიული მეურნეობანი, მთლიანად ნებითდაქირავებულ შრომას ეყრდნობოდნენ და კაპიტალისტური ბუნებით ცხადია ისინი გაცილებით მაღლა იდგნენ სხვა დანარჩენ მეურნეობებზე. ამ ბურჟუაზიულ მეურნეობებში გამოყენებული ნებითდაქირავებული შრომის კონტინგენტის განსაზღვრული ნაწილი შესაძლებელია ყმა-გლეხები იყვნენ, მაგრამ ეს გარემოება მეურნეობას არ უკარგავდა ბურჟუაზიულ ხასიათს, რადგან ამ შემთხვევაში ყმა-გლეხი ჩვენ მხოლოდ წოდებრივ კუთვნილებაზე მიგვითითებდა. აქ კი მეურნეობაში სამუშაოდ, ფულის შოვნის მიზნით მოსული ყმა-გლეხი, მეურნეობის მფლობელ-მეპატრონესთან თავისუფალი გარიგების საფუძველზე ნებითდაქირავე-

[1] ЗКОСХ, 1857, ვ. 15.

ბულ შრომას ეწეოდა და ეს განსაზღვრავდა მეურნეობის ეკონომიურ ბუნებას, მის კაპიტალისტურ ხასიათს.

ახალ ყაიდაზე მოწყობილ სამამულო მეურნეობებში, როგორიც იყო: მუხრან-ბატონის, ჭავჭავაძის, აფხაზის, ანდრონიკაშვილის, ჩიჯავაძის და სხვების, — ყმური შრომის გამოყენება, რა თქმა უნდა, დაბლა სწევდა და ფეოდალურ ფორმაში ხვევდა ამ მეურნეობათა კაპიტალისტურ ბუნებას. მაგრამ ამ ფორმაში ახალი, ბურჟუაზიული შინაარსი იყო მოთავსებული, რომელიც საბატონო-ნატურალური მეურნეობისათვის უცხო იყო. თვით ივ. მუხრან-ბატონი და ნიკო ჩიჯავაძე ფაქტიურად ბურჟუა-კაპიტალისტები უფრო იყვნენ, ვიდრე კარჩაკეტილი ფეოდალური დომენის პატრონები. მათ მეურნეობაში დამზადებულ პროდუქციას სისტემატური საბაზრო ხასიათი ჰქონდა და იგი სარეალიზაციოდ საქართველოს ფარგლებს გარეთაც გადიოდა. გარდა ამისა, აქ იყენებდნენ გაუმჯობესებულ სამეურნეო მანქანა-იარაღებს, დაქირავებულ შრომას, აწყობდნენ სამრეწველო საწარმოებს — მანუფაქტურებს, სადაც დაქირავებული კვალიფიციური შრომა იყო გამოყენებული. ეს მეურნეობანი სავაჭრო-სამრეწველო მეურნეობათა ხასიათს ატარებდნენ და ამ მხრივ რუტინულ საბატონო მეურნეობებს სრულებით არ ჰგავდა.

ჩვენს მიერ განხილული რაციონალურად მოწყობილი სამამულო მეურნეობანი (ჩიჯავაძის, მუხრან-ბატონის, აფხაზისა და სხვების) შეიცავდნენ ბატონყმური და ბურჟუაზიული მეურნეობის ნიშნებს. უკანასკნელი განუწყვეტლივ იზრდებოდა. ამიტომ ეს მეურნეობანი განვითარების ბურჟუაზიულ გზას ადგნენ. ფაქტიურად ამ მეურნეობათა ეკონომიური ბუნება, შინაარსი ბურჟუაზიული იყო, მაგრამ ამ მხრივ ისინი ერთნაირ დონეზე არ იდგნენ და ზოგი მათგანი, როგორც მაგალითად, ივ. მუხრან-ბატონისა და ნ. ჩიჯავაძის მეურნეობანი, მეტად ამეღავნებდნენ კაპიტალისტური განვითარების ტენდენციას.

მეურნეობის გაუმჯობესებისა და გარდაქმნის აუცილებლობა იგრძნობოდა მთელ საქართველოში, განსაკუთრებით საგლეხო რეფორმის წინა წლებში. „თავის დღეში არა ყოფილა ამდენი მსურველი ახალის მაშინების ანუ ახალის თესლების დაბარებისა, არც ამდენი მთხოვნელი სხვა და სხვა ხვნა-თესვის ნაწილებზედ დარიგებისა, არც მომხმარები მამულზედ ამთენის ფულისა. ბოლოს დროს თფილისში და გარეშე აშენდა რამთენიოდე ქარხნები, რომელნიც არ შაარცხვენდნენ თვით ევროპის მხარესა და გამოჩდნენ მამულის მკეთებელნი სოფლებშიაც, სადაც მოაწყვეს თავიანთი მამულები

მშვენიერს და ანგარიშიან წესზედ"[1] — წერდა ივანე სერებრიაკოვი „გუთნის დედაში" 1863 წლის იანვარში. ერთი წლით ადრე იგივე „გუთნის დედა" წერდა, რომ „ჩვენი მამულის მოვლა, ახლა მხოლოდ გამოდის ახალს გზაზედ"[2], „ეს იმისთანა საჭიროებაა, რომ უამისოდ ვერცა თუ ერთი ჩამომავლობა წავა წინ". „ახლა... სასიამოვნოთ მიგვაჩნია ჩვენის მდიდარის მიწების მოვლა, იმ გვარ სასიამოვნოდ, როგორც ოდესმე მიგვაჩნდა სამხედროს მუზიკის ხმა. ეს საზოგადოდ ახალის სიცოცხლით განღვიძება, შეიცავს მომავალს წარმატებას"[3]. კონსტანტინე მამაცაშვილი, რომელმაც საქართველო შემოიარა და ბუნებრივ სიმდიდრესთან და „ხალხის ნიჭიერებასთან" შედარებით სიღარიბე უნახავს, სამართლიანად, ამის მიზეზად ქართველი ხალხის წარსული ისტორიის სისხლიან ტრაგედიას თვლიდა („არს წარსული მათი უბედურებითი ისტორია") და ქართველებს მოუწოდებდა ევროპული სწავლა-განათლება მიეღოთ და მეურნეობა ევროპულად მოეწყოთ[4]. საგლეხო რეფორმის წინ „გუთნის დედაში" ერთ-ერთი კორესპონდენტი გურიიდან წერდა, რომ „მამულის კეთების ფიქრი ამჟამად ძალიან გაღვიძებულია გურიელებში"[5]. „მეურნეობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის საჭიროება ყველას ესმის"[6] — აღნიშნავდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ორგანო 1862 წელს. ამავე წელს კონსტანტინე მამაცაშვილი წერდა, რომ თანამედროვე სოფლის მეურნეობას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ახალი დროის მოთხოვნილებანი, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ ბურჟუაზიული საზოგადოების შემოსვლის პერიოდში: „Нынешнее сельское хозяйство... теперь не может отвечать новым потребностям современного общества. Наше время есть переходное состояние и постепенное отрешение от всего устаревшего"[7].

მაშასადამე, რეფორმამდელ საქართველოში მემამულეთა პროგრესულმა ნაწილმა სწორად გაიგო „დროის მოთხოვნილება" და დაადგნენ სამამულო მეურნეობათა კაპიტალისტური ევოლუციის გზას, სახელდობრ ისინი ცდილობდნენ თავიანთი მეურნეობა კაპიტალისტურ უაიდაზე გარდაექმნათ ე. წ. „პრუსიული გზით". მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზის დროს

---

[1] „გუთნის დედა", 1863, № 1, გვ. 5.
[2] „გუთნის დედა", 1862, № 6, გვ. 51.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] „გუთნის დედა", 1864, № 11, გვ. 88.
[6] ЗКОСХ, 1862, № 3, გვ. 2.
[7] «Кавказ», 1862, № 9.

როგორც ცნობილია „ძველი მემამულური მეურნეობა ძირითადად შენარჩუნებულია და აგრარული რეფორმების ჩატარების მეშვეობით თანდათან გადაიქცევა კაპიტალისტურ მეურნეობად. კაპიტალისტური მეურნეობის ფორმებზე რომ გადადიან, მემამულენი თავისუფლად დაქირავებული შრომის გამოყენებასთან ერთად, ბატონყმური ექსპლოატაციის მეთოდებსაც იყენებდნენ"[1].

ბურჟუაზიულ მეურნეობათა განვითარების შემაფერხებელი მიზეზები. რეფორმამდელი ხანის ახალ სასოფლო-სამეურნეო წამოწყებებს საქართველოში, სამიწათმოქმედო და სამრეწველო კულტურების განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი იყო ბურჟუაზიულ მეურნეობათა წარმოშობა და რიგ საბატონო მეურნეობათა ბურჟუაზიული ევოლუცია. ბურჟუაზიული მეურნეობანი და ახალ ყაიდაზე გარდაქმნილი რიგი სამამულო მეურნეობანი, რომლებიც კაპიტალისტურ სასიათს ატარებდნენ, აშკარად ამტკიცებდნენ თავიანთ უპირატესობას ნატურალური და რუტინული საბატონო მეურნეობის წინაშე. ასევე აშკარა ხდებოდა თავისუფალი, ნებითდაქირავებული შრომის უპირატესობა ყმების არარენტაბელური შრომის წინაშე. დაქირავებული შრომის გამოყენება, ევროპული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შემოღება, სავაჭრო მიწათმოქმედება, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნიკური გადამუშავება ბურჟუაზიულ მეურნეობათა დამახასიათებელი ნიშნები იყო. მაგრამ ბურჟუაზიული მეურნეობანი საქართველოში წარმოიშვა ბატონყმური ურთიერთობის წიაღში. ეს უკანასკნელი ხელს უშლიდა მის განვითარებას. ამიტომ იყო, რომ ბურჟუაზიული და საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარება აწყდებოდა მთელ რიგ დაბრკოლებებს, განსაკუთრებით გასაღების ბაზრების, დაქირავებული შრომისა და სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღების გამოყენების საქმეში.

სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ პირობას მისი პროდუქციის ფართო გასაღება შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმამდელ ხანაში ვითარდებოდა ვაჭრობა, იზრდებოდა ბაზრები და მრეწველობისა და სოფლის მეურნერბის პროდუქტებზე მოთხოვნილება, მაინც ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მსხვილ სამამულო და ბურჟუაზიულ მეურნეობაში დიდი რაოდენობით დამზადებული პროდუქტები ფართოდ ვერ საღდებოდა საქალაქო ცხოვრებისა და სავაჭრო-ეკონომიური ცენტრების ჯერ კიდევ

[1] პოლიტიკური ეკონომია, სახელმძღვანელო, თბილისი, 1954, გვ. 222—223.

სუსტი განვითარების გამო. ამიტომ იყო, რომ მიწათმფლობელები ხშირად ჩიოდნენ გასაღების ბაზრებზე. გასაღების ბაზრებზე ჩიოდა ღერმერი ბარონ ნიკოლაი[1], რაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, როდესაც მის მეურნეობას ვეხებოდით. მასზე ჩიოდა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, ივანე სერებრიაკოვი, კახელი ღვინისმწარმოებლები და სხვ. გასაღების ბაზრების უქონლობის ერთ-ერთ მიზეზად მათ ცუდი სამიმოსვლო გზები მიაჩნდათ. დ. ყიფიანმა 1856 წელს გაკეთებულ მოხსენებაში, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების კრებაზე, მოიყვანა გორელი მემამულის გიორგი ამილახვარისა და თბილისის მაზრის მემამულის დიმიტრი ორბელიანის მაგალითი, რომლებმაც თავიანთ მეურნეობაში მოყვანილი პროდუქტები (კომბოსტო და თამბაქო) ვერ გაასაღეს და ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ცუდი სამიმოსვლო გზები დაასახელა[2]. ქართული ღვინის გასაღების შესახებ ივ. სერებრიაკოვი 1863 წელს „გუთნის დედაში" წერდა: „პირველი საჭიროება არის ჩვენის მამულის პატრონებისათვის რომ იმათმა ღვინოებმა აქაურ გასავალს გარდა სხვა ბაზრებიც იპოვნონ. თვით ბაზარი, რა საკვირველია, რო რუსეთია. რუსეთს წელიწადში მააქვს სხვა ქვეყნებითგან შვიდი მილლიონი მანეთის ღვინო და ყოველ წელიწადს ეს რიცხვი მატულობს"[3]. შემდეგ იგი განაგრძობს, რომ გზა შორია და ამიტომ ვერ მიგვაქვს რუსეთში ღვინოო; გზების დაბრკოლება დიდად ვნებს ჩვენი ღვინოების გასაღებასო[4]. „ეს მუშტრები უნდა ვეძებოთ გარეთ, როგორც ეძებს და ჰპოულობს ღვინო ფრანციისა, ისპანიისა და ღერმანიისა. ჩვენი უპირველესი ბუნებითი მუშტარი უნდა იყოს რუსეთი"[5]. კახელი ღვინის მწარმოებლები ხშირად ჩიოდნენ იმაზე, რომ მათი ღვინო ხელსაყრელ ფასში არ იყიდებოდა: „პირველი იმის (ღვინის მწარმოებლის — დ. გ.) პასუხი ყოველთვის ჩივილია, რომ ღვინოს ჯეროვანი ფასი არა აქვსო, ქალაქელი სირაჯების ხელში ვართ და იმათ ქეიფზე ჰკიდიაო ჩვენი სარფა და სარგებლობა"[6]. დამზადებული პროდუქციის ფართო გასაღებას მწარმოებლები ძირითად საწინდრად თვლიდნენ მეურნეობის განვითარებისათვის: „მუშტრის გამოჩენა და გასაღების იმედი გააღონიერებს საქონლის პატრონს.

---

[1] ЗКОСХ, 1857, გვ. 40—41.
[2] იქვე.
[3] „გუთნის დედა", 1863, № 1, გვ. 6.
[4] იქვე.
[5] „გუთნის დედა", 1863, № 14, გვ. 156.
[6] იქვე, გვ. 153.

და შეიყვანს უმეტესს ღვაწვაში და მეცადინეობაში"[1]. ასევე ცარიზმის მოხელეები ხშირად მიუთითებდნენ ცუდ სამიმოსვლო გზებზე, რომლებიც დიდად აბრკოლებდნენ ქვეყნის სამეურნეო განვითარებას: ერთი მათგანი — თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი, 1857 წელს გუბერნიის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ცუდი სამიმოსვლო გზები „დღემდე წარმოადგენს ძლიერ დაბრკოლებას სავაჭრო საქმიანობისათვის" და მათი მოწყობა დიდად შეუწყობს ხელს მხარის მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებასო[2].

ბურჟუაზიულ და რიგ სამამულო მეურნეობებში, როგორც დავინახეთ, გამოყენებული იყო დაქირავებული შრომა. მაგრამ ამ მხრივაც ყველაფერი რიგზე არ იყო და ეს მეურნეობანი დაბრკოლებებს აწყდებოდნენ თავისუფალი მუშახელის დაქირავების საქმეში, რის მიზეზიც ბატონყმური ურთიერთობა იყო, საბატონო ვალდებულებებით უშუალო მწარმოებლის მიმაგრება მიწაზე. ბარონ ნიკოლაი ყველაზე მეტად თავისუფალი მუშახელის ნაკლებობაზე მიუთითებდა 1856 წელს[3]. იგი აღნიშნავდა, რომ ლოჭინის გარეუბნებში, სადაც მისი მეურნეობა იყო, არსებობდა ხალხმრავალი სოფლები: მარტყოფი, ნორიო, ლილო, ხაშმი და სხვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძნელია იქ თავისუფალი მუშახელის შოვნაო[4]. აქვე იგი მიუთითებდა ქალთა დაქირავებული შრომის არარსებობას საქართველოში[5]. ამასვე აღნიშნავდა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების" ნამდვილი წევრი ფედოტ ბობილევი 1856 წელს[6]. ბარონ ნიკოლაის აზრით, თავისუფალი მუშახელის ნაკლებობა იყო მთავარი შემაფერხებელი მიზეზი სოფლის მეურნეობის განვითარებისა. თავისუფალი შრომის გამოყენების აუცილებლობაზე ხშირად იწერებოდა „გუთნის დედისა" და „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების" ორგანოში. ზემოთ მოყვანილი იყო საგლეხო რეფორმის წინ „გუთნის დედაში" დაბეჭდილი „კორესპონდენცია გურიიდან". კორესპონდენტი აღნიშნავდა, რომ მეურნეობის გაუმჯობესების აუცილებლობას გრძნობენ გურიელებიო. შემდეგ იგი გურიაში მეურნეობათა არარენტაბელობის მთავარ მიზეზად ბატონყმობას აცხადებს. იგი წერს, რომ მეურნეობათა არარენტაბელობის მიზეზი „ზოგი ძველადგან დარჩომილი დაუდევრობაა, ზოგი ძველებური წესი ბატონყმობის ანგარიშობისა"

---

[1] იქვე. გვ. 156.
[2] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 9, д. 311, (1858), л. 6.
[3] ЗКОСХ, 1857, გვ. 17; 1860, № 3, გვ. 111.
[4] ЗКОСХ. 1857, გვ 17.
[5] იქვე.
[6] ЗКОСХ, 1856, გვ. 344—345.

-(ურთიერთობისა — დ. გ.), „აქ რაც ყმის მამა-პაპას ვალდებულება ჰქონია ბატონის წინაშე, ისევე შვილსა და შვილის შვილსა აძევს შეუცვლელად"[1]. მეურნეობის გაუმჯობესებისა და ახლებურად წარმართვისათვის მას ყმების შრომა გამოუსადეგრად მიაჩნია და საჭიროდ თვლის დაქირავებულ შრომას: „ახალ გუთანს, ახალ მაშინას ხელს არავინ მოჰკიდებს ყმებისაგანი, თუ ბატონმა ფულით არ დაიქირა მუშები"[2].

ანანოვის ფერმერული მეურნეობის გამგე, ცნობილი აგრონომი ხატისოვი 1863 წელს გარკვევით აღნიშნავდა, რომ ნებითდაქირავებული შრომის ფართოდ გამოყენება მთავარი ფაქტორი იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. იგი წერდა: „Класс вольнонаемных рабочих в настоящее время так необходим для края и недостаток его в Закавказьи служит главным препятствием распространению многих полезных нововведений"[3].

მაშასადამე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება საერთოდ, და ამ შემთხვევაში ბურჟუაზიულ მეურნეობათა განვითარება მოითხოვდა ნებითდაქირავებული შრომის ფართოდ გამოყენებას, რასაც ხელს უშლიდა ბატონყმური ურთიერთობა.

ასევე დიდ დაბრკოლებებს აწყდებოდნენ ბურჟუაზიული და მსხვილი საბატონო მეურნეობანი ახალი სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღების გამოყენების მხრივ.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენება დაქირავებულ შრომასთან იყო დაკავშირებული. ყმა ასეთი შრომისათვის გამოუსადეგარი იყო. მას არ შეეძლო ახალი სამიწათმოქმედო იარაღების მართვა. როგორც ბურჟუაზიული, ისე საბატონო მეურნეობათა მფლობელებმა კარგად იცოდნენ, რომ მანქანა-იარაღების გამოყენება აამაღლებდა შრომის ნაყოფიერებას და მეურნეობას რენტაბელურს გახდიდა. ევროპული სამიწათმოქმედო იარაღების გამოყენების ცდები საქართველოში იწყება XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან. მას ეტანებოდნენ ბურჟუაზიული მეურნეობანი და რიგი მიწათმფლობელები, უფრო მეტად ისინი, რომლებიც აწყდებოდნენ მუშების დაქირავების სიძნელეებს. საერთოდ მემამულეები მიეტანენ მათ საგლეხო რეფორმის წინა წლებში, მას შემდეგ, რაც რუსეთში ბატონყმობა გაუქმდა და აქაც გრძნობდნენ მის გაუქმების მოახლოებას. სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღების გამოყენებით ისინი ცდილობდნენ, ყმების შრომა მათთვის საჭირო აღარ ყოფი-

---

[1] „გუთნის დედა", 1864, № 11, გვ. 88.
[2] იქვე.
[3] ЗКОСХ, 1863, № 2, გვ. 71.

ლიყო და შეორეს მხრივ თავიდან აეცილებინათ მუშების დაქირავების სიძნელენი. „Некоторые помещики — წერდა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი 1861 წლის ანგარიშში — начинают постигать преимущества правильного хозяйства, и зная что близкое освобождение крестьян от крепостного права должно сделать неминуемый переворот в обычной обработке земли, начинают заботиться о средствах заменять рабочие руки машинами".[1]

მანქანა-იარაღების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში აუცილებელ საშუალებად თვლიდნენ ბარონ ნიკოლაი, ივანე მუხრან-ბატონი, ივანე სერებრიაკოვი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ანანოვი, ხატისოვი, დიმ. აფხაზი და მრავალი სხვა. უხვად იბეჭდებოდა მათი წერილები სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენების აუცილებლობის შესახებ „გუთნის დედა"-ში, „კავკაზ"-ში და კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ორგანოში (ЗКОСХ). ბარონ ნიკოლაის მიაჩნდა, რომ მათი გამოყენებით მიწათმფლობელები თავიდან იცილებდნენ თავისუფალი მუშა-ხელის დიდი რაოდენობით დაქირავების საჭიროებას[2]. 50-იან წლებში დიდი რაოდენობით იქნა გამოწერილი სხვადასხვა საზღვარგარეთული სამიწთმოქმედო მანქანა-იარაღები: გუთნები (შუმანის, დომბალის და სხვ.), სალეწები, ფარცხები, სათიბი მანქანები, სამკალი, სიმინდის საბეგვი მანქანები და მრავალი სხვ. განსაკუთრებით იგი იზრდება 60-იანი წლების დასაწყისში საგლეხო რეფორმის წინ: „თავის დღეში არა ყოფილა ამთენი მსურველი ახალის მაშინების... დაბარებისა"[3] — წერდა ივანე სერებრიაკოვი „გუთნის დედა"-ში 1863 წელს.

როგორც კი ხელი მოჰკიდეს მანქანა-იარაღების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში, მიწათმფლობელები წააწყდნენ დაბრკოლებებს. ცხადი გახდა, რომ საზღვარგარეთული მანქანა-იარაღების გამოყენებისათვის საჭირო იყო სათანადოდ მცოდნე თავისუფალი მუშახელი, რომელიც შეძლებდა მის მართვას და სათანადო სახელოსნოები, სადაც შეაკეთებდნენ დაზიანებულ მანქანა-იარაღებს და დაამზადებდნენ მის ნაწილებს. ამ ორი ძირითადი პირობის არსებობის გარეშე შეუძლებელი იყო ევროპული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენება მიწათმოქმედებაში.

მიწათმფლობელები მალე იწყებენ ჩივილს მანქანა-იარაღების გამოყენების სხვადასხვა შემაფერხებელ მიზეზებზე და განსაკუთრებით მცოდნე მუშებისა და ოსტატების არარსებობაზე. ბორჩალოს

---

[1] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 10, д. 134, л. 13.
[2] ЗКОСХ, 1860, გვ. 123—124.
[3] „გუთნის დედა", 1863, № 1, გვ. 5.

მემამულემ, დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანმა 1850 წელს პირველად შეიძინა პურის სალეწი მანქანა და წყლის ძალით აამუშავა[1]. მაგრამ ინჟინერ-ტექნოლოგ ბიხოლდტის აზრით მისი „ფართო მოხმარება შეუძლებელი“ იყო, რადგან რუსეთიდან მისი მოტანა ძვირი ჯდება და რომ დაზიანდეს, მისი შემკეთებელი სათანადო ოსტატები არა გვყავსო. ევროპული სამიწათმოქმედო იარაღების გამოყენება ნაადრევად მიაჩნდა სოფლის მეურნეობის საზოგადოების ნამდვილ წევრ ფ. ბობილევს, რომელმაც 1857 წელს განაცხადა: „რამდენი სხვადასხვაგვარი მანქანები აწყვია უსარგებლოდ საზოგადოების (კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების — დ. გ.) საწყობებში, რომლებიც მკვდარ კაპიტალადაა ქცეული“[2].

მაშასადამე, საჭირო იყო კლასი ადამიანებისა, რომლებიც შეძლებდნენ მათ მართვას, წინააღმდეგ შემთხვევაში საზღვარგარეთიდან მოტანილი მანქანა-იარაღები „მკვდარ კაპიტალად“ იქცეოდა. ასეთი კლასი კი შეიქმნებოდა ბატონყმური ურთიერთობის მოსპობის შემდეგ, თანდათან, წლების მანძილზე.

დერპტის უნივერსიტეტის პროფესორი პედცოლდტი, რომელმაც ამიერკავკასიაში სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვის მიზნით იმოგზაურა, თავის ანგარიშში სწორად აღნიშნავდა, რომ სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღების გამოყენება შეუძლებელი იქნება, სანამ მხარე უზრუნველყოფილი არ იქნება ამ ახალი საწარმოო იარაღების მცოდნე ადამიანებითო. იგი წერდა: „Приобретение и введение улучшенных орудий и машин останется безплодным, если вместе с тем не будут приложены заботы об обеспечении края рабочими, знакомыми с употреблением этих орудий и машин. Помещик, будь он богатый или бедный, при настоящем положении дела не охотно согласится покупать орудия, не имея кому их поручить“[3].

ქართული სამეურნეო გაზეთის „გუთნის დედის“ გამოსვლისთანავე, დაიწყო ჩივილი მის ფურცლებზე ევროპული სამიწათმოქმედო იარაღების გამოყენების სიძნელეებზე, სათანადო მუშებისა და ოსტატების არარსებობაზე. 1862 წელს თბილისში ობსერვატორიის ეზოში გამოცდილ იქნა საზღვარგარეთული მანქანა-იარაღები. სალეწი მანქანის შესახებ, რომელიც საუცხოო აღმოჩნდა, აგრონომი ნენინგერი შენიშნავს, რომ იგი უფრო ორთქლის ძალით მუშაობს და ძნელი გასასწორებელია, მით უმეტეს ჩვენში, სადაც „ამგვარი

---

[1] ЗКОСХ, 1856, გვ. VII, XII, XIII.
[2] ЗКОСХ, 1857, გვ. 13—14.
[3] ЗКОСХ, 1864, გვ. 28.

ხელოსნის შოვნა გასაჭირია“-ო.[1] განსაკუთრებით ამგვარი ოსტატების შოვნა ჭირდა თბილისიდან დაშორებულ ადგილებში. ასე მაგალითად, თელავიდან კორესპონდენტი იტყობინებოდა, რომ იქ გუთნისა და ფარცხის გაკეთება ცუდ მდგომარეობაში იყო, „ნაკლულობა კარგის ოსტატის მუშა კაცისა ხშირად გვაგდებს იმ მდგომარეობაში, რომელ უნდა გამოვიწეროთ თბილისიდამ მაღალის ფასით“[2].

სიძნელეებმა მიწისმფლობელები აიძულა მიეტოვებინათ ევროპული იარაღების გამოყენება და ქართულ იარაღებს დაუბრუნდნენ. გორელი მემამულე კონსტანტინე მამაცაშვილი ამის შესახებ 1862 წ. წერდა: „რაოდენთამე მებატონეთა დაიბარეს ახალნი გუთანნი და სალეწნი მაშინანი დიდისა ხარჯითა, მაგრამ შემდგომად პირველისა გატეხისა, რომ არ ჰყავდათ ვის გაეკეთებინა უნდა აეღოთ ხელი ახლად შემოღებულებისაგან“.[3] ამავე წლის „გუთნის ღედის“ პირველ ნომერში ვკითხულობთ: „რადგანცა განიღვიძა ჩვენსა მხარეზედ სურვილმა, მიეცეს ცვლილება მამულისა პატრონობისა და ხელოსნობისა მოქმედებასა, ამისათვის ზოგი ერთთა პირთა მოატანინეს სხვა და სხვა გარეშე ქვეყნებითგან მაშულისა შემუშავებისა მაშინები და იარაღები, ანუ მიჰმართეს ზოგი ერთთა, რჩევისათვის, იმ გვართა პირთა, რომელთაცა სრულებით არა აქვსო ცნობა ამა საქმეში. ამ გვარმა ქცევამ სრულებით ჩაუშალა განზრახვა, ასე, რომ იძულებული იყვნენ მიემართნათ ძველისავე ჩვეულებისათვის“[4], ე. ი. იძულებულნი გახდნენ ისევ ქართული სამეურნეო იარაღებისათვის მოეკიდათ ხელი და გამოეყენებინათ სოფლის მეურნეობაშიო.

ამგვარად, ქართველი მიწათმფლობელების ცდებმა, სოფლის მეურნეობაში გამოეყენებინათ ევროპული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, მარცხი განიცადა. მართალია, ზოგიერთ მსხვილ ბურჟუაზიულ და რაციონალიზებულ მეურნეობაში (ბარონ ნიკოლაის, კუჩენბახის, ანანოვის, ივ. მუხრან-ბატონის, ნ. ჩიჯავაძის და სხვ.) ახერხებდნენ გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენებას, მაგრამ ეს იყო გამონაკლისები და იგი ამ დროს დამახასიათებელი მოვლენა არ ყოფილა. მაგრამ ბურჟუაზიულ მეურნეობათა განვითარების ხელშემშლელი დაბრკოლებანი — გასაღების ბაზრების სივიწროვე, დაქირავებული შრომისათვის საჭირო სათანადო თავისუფალი მუშა-ხელის სიმცირე, მანქანა-

---

[1] „გუთნის დედა“, 1862, № 8, გვ. 65—67.
[2] „გუთნის დედა“, 1862, № 4, გვ. 28.
[3] „გუთნის დედა“, 1862, № 6, გვ. 51.
[4] „გუთნის დედა“, 1862, № 1, გვ. 4.

იარაღების გამოყენების მარცხი სოფლის მეურნეობაში და სხვ. არ უარყოფდა წარმოების ბურჟუაზიული წესის არსებობას სოფლის მეურნეობაში, იგი მხოლოდ ბურჟუაზიული ურთიერთობის სუსტ, არასაკმაო განვითარებაზე მიუთითებდა იმ დროს. რაც შეეხება ევროპული მანქანა-იარაღების გამოყენებას, უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა და განვითარება სოფლის მეურნეობაში, არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც (თვით ევროპაშიც) დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე ევროპული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები გაჩნდებოდა. მანქანა-იარაღების ფართო გამოყენება სოფლის მეურნეობაში, შესაძლებელი ხდება განვითარებული კაპიტალიზმის დროს და არა მისი წარმოშობისა და ზრდის პირველ პერიოდში.

ასეთი დაბრკოლებანი კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდას ყოველთვის თან სდევდა, მით უფრო, თუ ეს ურთიერთობა ვითარდებოდა ბატონყმური წყობილების არსებობის პირობებში. ამ დაბრკოლებათა არსებობის მიზეზი ბატონყმური ურთიერთობა იყო, რომლის მოსპობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ახალი მწარმოებლური ძალების, ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისათვის.

სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებამ წარმოშვა სოფლის მეურნეობაში რიგი ბურჟუაზიული მეურნეობანი და სამამულო მეურნეობათა ნაწილი კაპიტალისტური განვითარების გზაზე დააყენა. მაგრამ მეორე მხრით, მან გამოიწვია საბატონო მეურნეობათა დიდი ნაწილის (უმრავლესობის) დაღუპვა და მოშალა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ 30-იანი და განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან, ძლიერ შეარყია თავადაზნაურობის ბატონობის საფუძველი — ფეოდალური მიწისმფლობელობა. სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალმა მრავალ მემამულეს დააკარგვინა მამულები და ყმები.

მემამულეთა დიდი ნაწილი არ ცდილობდა მეურნეობის გაუმჯობესებას. თავიანთი მამულისა და ყმებისაგან მიღებული ფულადი შემოსავალი კი მათ არ აკმაყოფილებდა და სულ უფრო მეტად მიმართავდნენ ფულად სესხებს და სამაგიეროდ აგირავებდნენ მამულებსა და ყმებს. ყმა-მამულის დაგირავების შედეგად ფულად სესხებს ისინი ღებულობდნენ თბილისის გუბერნიაში დაარსებულ საზოგადოებრივი მზრუნველობის „პრიკაზიდან". მაგრამ მემამულეთა დიდი ნაწილი აღებულ ფულს ახმარდა არა მეურნეობის გაუმჯობესებას, არამედ ფულზე გაზრდილ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რაც სასაქონლო ურთიერთობის და ვაჭრობის განვითარების

შედეგად იყო გამოწვეული. „პრიკაზიდან“ აღებული სესხის გადაუხ-დელობის გამო მემამულენი კარგავდნენ ყმა-მამულებს. მათი მამულები ამის გამო საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. რადგან მათი მყიდველი ცოტა იყო, ამიტომ დაგირავებული ყმა-მამულები მეტწილად ხაზინის ხელში გადადიოდა.

მემამულეების მიერ ყმა-მამულის დაგირავება სწრაფად იზრდებოდა. მარტო თბილისის გუბერნიაში 1858 წელს ამიერ-კავკასიის „პრიკაზში“ დაგირავებული იყო 122 მამული[1], 1861 წელს—282[2], 1863 წელს — 472 მამული. აქედან 95-ს პროცენტების გადაუხდელობის გამო საჯარო ვაჭრობით გაყიდვა მოელოდა[3]. ამ წლის 1-ლი იანვრისათვის „საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზში“ სესხის აღებისათვის დაგირავებული იყო 30.714 სული ყმა-გლეხი, ე. ი. მთელი გუბერნიის საბატონო გლეხების 25 %[4]. ამ დროს თავადაზნაურების ვალები „საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზისა“ შეადგენდა 1.662.940 მანეთს[5]. 1864 წელს თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 1472 სათავადაზნაურო მამული, აქედან დაგირავებული და გადაგირავებული იყო 338, 1.975.920 მანეთისა, მეურვეობის ქვეშ იქნა აყვანილი 190 მამული, რომელიც საჯარო ვაჭრობით გასაყიდად იყო დანიშნული[6]. ამას გარდა ქართველ თავადაზნაურობას ყმა და მამული დაგირავებული ჰქონდა კერძო ვალებში.

ქართველი თავადაზნაურობის ესოდენ დიდი დავალიანების ფაქტი ფეოდალური მეურნეობის არა თუ კრიზისის, არამედ მისი მოშლისა და დაღუპვის აშკარა მაჩვენებელი იყო. ქართველ ფეოდალს დაგირავებისა და გაყიდვის შედეგად ხელიდან ეცლებოდა არა მარტო მამული, არამედ უშუალო მწარმოებელიც — ყმა-გლეხი, მისი ასევე მამულთან ერთად დაგირავების, თავის გამოსყიდვისა და გაქცევის შედეგად. მამულებისა და ყმების დაკარგვით ფეოდალური ურთიერთობის მთლიან ჯაჭვს რგოლები ეცლებოდა, რაც საბოლოოდ იწვევდა ამ ურთიერთობის მოშლას.

ბ ურ ჟ უ ა ზ ი ე ლ ი ურ თ ი ე რ თ ობ ის შ ე ე ქ რ ა გ ლ ე ხ ურ მ ე ურ ნ ე ობ ა შ ი. ბ ა ტ ონ ყ მ ობ ის მ ო ს პ ობ ის ა უ ც ი ლ ებ ლ ობ ა. ბურჟუაზიული ურთიერთობა თანდათან იჭრებოდა გლეხურ მეურნეობაშიც. სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარება სოფელში, რაც განსაკუთრებით XIX ს. 30-იანი

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, (1860 г.), д. 170, л. 15.
[2] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, (1862 г.), д. 134.
[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, (1864 г.), д. 137, л. 4.
[4] И. Г. Антелава, დასახ. ნაშრ., გვ. 176.
[5] იქვე.
[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1865 г.), д. 127, л. 2.

წლებიდან იწყება, იწვევდა ნატურალური მეურნეობის თანდათან ძღვევას. ამ დროიდან გლეხურ მეურნეობაში იზრდება საბაქონლო მიწათმოქმედება და წვრილი გლეხური წარმოება. გლეხთა ოჯახებში დამზადებული სასოფლო და სამრეწველო ნაწარმი საკმაოდ დიდი რაოდენობით ტრიალებდა ქვეყანაში.

გლეხები, რომლებიც განიცდიდნენ მიწის მწვავე ნაკლებობას მიემართებოდნენ ქალაქებში, გარესაშოვრებზე. აქ ისინი ცდილობდნენ ეშოვათ ფული, რათა მემამულისათვის გადაეხადათ ღალა, სახელმწიფო გადასახადი და გამოეკვებათ ოჯახი. მაგრამ გლეხებს — სახაზინოსა თუ საბატონოს, უფლება არ ჰქონდათ უნებართოდ წასულიყვნენ საცხოვრებელი ადგილიდან. მათ მფლობელებთან შეთანხმება კი ძნელი იყო, რაც იწვევდა გლეხების მასობრივ წასვლას ფარულად, ნებართვის გარეშე. უკვე XIX ს. 20-იანი წლების ბოლოს ასეთი გაქცეული გლეხები საქართველოს ქალაქებში და განსაკუთრებით თბილისში ისეთი დიდი რაოდენობით დაგროვდა, რომ მთავრობა იძულებული გახდა ამ მოვლენისათვის სერიოზული ყურადღება მიექცია[1]. მთავარმართებელმა პასკევიჩმა საქართველოს უმაღლეს მთავრობას დაავალა შეედგინა ღონისძიებანი, რომელიც აღკვეთდა გლეხების თვითნებურ წასვლას ფულის შოვნის მიზნითა და სხვა საჭიროებისათვის. მართლაც, ამ მხრივ შემუშავებულ იქნა სათანადო ღონისძიებანი. 1830 წლის კანონით გლეხებს (სახაზინოს, საბატონოსა და საეკლესიოს) უფლება ეძლეოდათ აეღოთ ერთწლიანი პასპორტები და წასულიყვნენ გარესაშოვრებზე. ამით გარესაშოვრები ოფიციალურად ცნო მთავრობამ[2].

მაინც გლეხები ამ გზაზე დიდ დაბრკოლებებს აწყდებოდნენ. პასპორტის მიღება შეეძლო იმ გლეხს, რომელიც წარმოადგენდა ცნობას, რომ მის დროებით წასვლას არაფერი ეღობებოდა. ასეთ ცნობას კი აძლევდნენ იმ გლეხს, რომელსაც ყველა ვალდებულება და გადასახადი შესრულებული და გადახდილი ჰქონდა. კიდევ მეტი, ასეთ გლეხებს, როგორც წესი, წინასწარ უნდა გადაეხადათ ბეგარა და გადასახადები. ეს კი ცხადია, ცოტას შეეძლო[3].

მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, გარესაშოვრებმა XIX ს. 30-იანი წლებიდან მიიღო ფართო გავრცელება. ამას უფრო მეტად

---

[1] И. Г. Антелава. Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века (до крестьянской реформы 1864) 1955. გვ. 165.

[2] იქვე.

[3] იქვე. გვ. 166.

მისდევდნენ იმერეთის, რაჭის და ოსეთის გლეხები. გამსვლელი გლეხები უმთავრესად მიდიოდნენ საქართველოს დედაქალაქში — თბილისში. მათი ცხოვრების თანამედროვე დამკვირვებელი 1846 წელს წერდა: „შეხედეთ შავი მუშების კლასის ამ უზარმაზარ მასას თბილისში და სხვა ადგილებში. ისინი ყველა იმერლებია და ოსები... მათი მთავარი ზრუნვა მდგომარეობს იმაში, რომ ფული იშოვონ და ამით გადაიხადოს სახელმწიფო გადასახადი, მემამულის ღალა და ოჯახი ასაზრდოოს"[1].

გარესაშოვრებზე გასვლის გავრცელება ქვეყანაში სასაქონლო-ფულადი მეურნეობის ცხადი მაჩვენებელი იყო. ამ მოვლენას საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი იწვევდა მოსახლეობის მოწყვეტას მიწათმოქმედებისაგან და მის ჩაბმას სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობაში, ჰქმნიდა მუშათა კონტინგენტს ნებითდაქირავებული შრომისათვის.

გამსვლელი გლეხების გარდა ქალაქებში მუდმივად ცხოვრობდნენ ხელოსნები, რომლებიც შედგებოდნენ მოქალაქეების, საბატონო, საეკლესიო და სახაზინო გლეხებისაგან.

ნატურალური მეურნეობის რღვევას ხელს უწყობდა ფულადი რენტის განვითარება. XIX ს. 40-იანი წლებიდან საქართველოში შემოღებულ იქნა ფულადი საგადასახადო სისტემა, რომელიც რიგი მახინჯი მხარეების მიუხედავად დადებითი მოვლენა იყო. ამ ახალი საგადასახადო სისტემით მოხდა ყველა კატეგორიის გლეხებზე შეწერილი სახელმწიფო გადასახადთა კომუტაცია (ფულზე გადაყვანა). ამიერიდან გლეხები ვალდებულნი იყვნენ სახელმწიფო გადასახადები ფულით ეხადათ. ეს გარემოება კი მათ აიძულებდა სასოფლო და შინამრეწველური პროდუქციის ნაწილი ბაზარზე გაეტანათ გასაყიდად. ამავე დროს ახალი საგადასახადო სისტემის თანახმად, სახელმწიფო გლეხები სახაზინო მიწის საღალო გამოსაღებსაც ფულად იხდიან და ამდენად ადგილი აქვს მიწის ნატურალური რენტის ფულად რენტად გადაქცევის ტენდენციის გაღრმავებას. 40-იანი წლებიდან ასეთივე ტენდენცია შეიმჩნევა მემამულეთა და ყმა-გლეხთა აგრარულ ურთიერთობაში. ხშირი იყო მემამულეთა მიერ ყმა-გლეხთა ნატურალური გამოსაღების ფულად რენტაზე გადაყვანის შემთხვევები. ფულადი საგადასახადო სისტემის გატარება და ფულადი რენტის ზრდა საქართველოში სასაქონლო წარმოების განვითარების შედეგი იყო. ფულად რენტაზე გადასვლა „გულისხმობს ვაჭრობის,

---

[1] იქვე, გვ. 167.

საქალაქო მრეწველობის, საზოგადოდ საქონლის წარმოების და ამასთან ერთად ფულადი მიმოქცევის მნიშვნელოვან განვითარებას..."[1]. ფულადი რენტის ზრდა ხელს უწყობდა ყმა-გლეხების გადაქცევას საქონელმწარმოებლებად, რადგან ფულად ვალდებულებათა შესასრულებლად ისინი იძულებულნი იყვნენ საქონელი დაემზადებინათ ბაზრისათვის. სასაქონლო წარმოებაში მოქცეული გლეხობა დიფერენციაციას განიცდიდა. ფულადი რენტის დროს უკეთეს პირობებში მყოფ გლეხთათვის „თანდათანობით ვითარდება შესაძლებლობა დააგროვონ განსაზღვრული ქონება და მომავალში თვით იქცენ კაპიტალისტებად"[2].

ფულადი სასაქონლო მეურნეობის განვითარების შედეგად გლეხთა ნაწილის ხელში თავს იყრიდა დიდი ფულადი თანხა. ყმა-გლეხებიდან თანდათან გამოიყოფოდნენ მდიდრები — გლეხური ბურჟუაზია, რომლებიც დაგროვილი ფულით აბდენდნენ ყმური დამოკიდებულებისაგან თავის გამოსყიდვას, რის შემდეგ ეწეოდნენ თავისუფალ მეწარმეობას. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

1832 წელს, აგვისტოში თავად დავით ორბელიანისაგან თავი გამოისყიდა გლეხმა ავაკაშვილმა ოჯახით 380 მანეთად[3]. 1843 წლის აგვისტოში გორის მაზრის მცხოვრებმა გლეხმა დედიაშვილმა თავი გამოისყიდა, რისთვისაც თავის მებატონეს გადაუხადა 600 მანეთი. 1835 (თუ 1836) წელს საბატონო გლეხებმა თამაზ, სოსია, კაცია და ნიკოლოზ სვანიძეებმა, რომლებიც თავად ოტია ჯაფარიძის ყმები იყვნენ, სთხოვეს მას გაეთავისუფლებინა ისინი ყმობისაგან, რისთვისაც უხდიდნენ 520 მანეთს. 1818 წელს ნინია პაპულაშვილმა და მისმა ძმამ ყმური დამოკიდებულებისაგან თავი გამოისყიდეს, რისთვისაც მებატონეს გადაუხადეს 1000 მანეთი. განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდით ასევე თავი გამოისყიდეს 1833 წელს გლეხებმა ბეჟან და როსტომ ივანიშვილებმა, იმერეთის გლეხებმა: დარსაველიძემ 1838 წელს, კოჩაძემ 1853 წელს[4]. ასეთი მაგალითები ერთეულები როდი იყო.

როგორც ეს შრომის მეორე თავში გვაქვს აღნიშნული, მარტო ქუთაისის გუბერნიაში, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის გამოკლებით, 1850—1864 წლებში თავის გამოსყიდვის 1314 შემთხვევა იყო. მარტო 1858—1863 წლებში ამავე გუბერნიაში თავი დაიხსნა 2.750 სულმა, რომლებმაც მემამულეებს ამისათვის გადაუხა-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, 1934, გვ. 316.
[2] იქვე, გვ. 318.
[3] И. Г. Антелава, დასახ. ნაშრ., გვ. 171.
[4] იქვე.

ღეს 201544 მანეთი. თავის გამოსყიდვა ხდებოდა როგორც მიწით, ასევე უმიწოდ.

რიგი წყაროები პირდაპირ აღნიშნავენ რეფორმამდელ საქართველოში მდიდარ გლეხთა ფენის წარმოქმნაზე, რომელთაგან ზოგი ნათგანი თავიანთ ბატონებზე უფრო მდიდრები იყვნენ. მეფისნაცვალ ვორონცოვის 1849—1851 წლების ანგარიშში ეკითხულობთ: „გვხვდება გლეხები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, თავიანთ ბატონებზე უფრო მდიდარია, რადგან, უხდიან რა მემამულეებს 1/10 ნაწილს ღვინისას და ამას გარდა მეზობლებთან და თავიანთ ბაღებში მომუშავეებთან სვამენ რა დაახლოებით ღვინის ნახევარს, მათ კიდევ რჩებათ იგი საკმაო რაოდენობით, რათა მისი გაყიდვით მნიშვნელოვანი თანხა დააგროვონ... ისინი ხშირად ეხმარებიან მათ (ბემამულეებს — დ. გ.) საჭირო ფულადი სახსრებით"[1]. მდიდრები აშკარად გამოირჩეოდნენ არა მარტო დიდი ფულადი თანხის დაგროვებით, არამედ საკუთარი სახნავი და საბაღო მიწების სიდიდით, პირუტყვის სიმრავლითა და სახლების ხარისხითაც კი[2]. 1843 წელს ბარონ ჰაკსტჰაუზენი, ეხება რა საქართველოს სახელმწიფო გლეხების ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას, წერდა, რომ „ისინი ხშირად აგროვებენ ათასობით მანეთს და ხმარობენ მას საადგილმამულო საკუთრების შესაძენად"[3]. 1855 წელს ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი გნილოსაროვი მიუთითებდა სახელმწიფო გლეხთა შორის მიწის მკვეთრ არათანაბარ განაწილებაზე ქუთაისის გუბერნიაში. უშუალო მწარმოებელთა მთელი მასის გვერდით, რომლებსაც სრულებით არ გააჩნდათ მიწა და იძულებულნი იყვნენ დაქირავებული შრომა გაეწიათ და მიწა აეღოთ სხვებისგან მოსავლის გარკვეული ნაწილისათვის, იგი ლაპარაკობს ისეთი გლეხების შესახებაც, რომელთაც „აქვთ მიწები ჭარბად. ისინი ამუშავებენ მხოლოდ მის საჭირო რაოდენობას, დანარჩენ მიწას კი აძლევენ სხვებს იჯარით"[4]. რიგი გლეხები შეუძლებლობისა და ვალების გამო ყიდდნენ თავიანთ მიწებსა და ბაღებს. მათ ყიდულობდნენ შეძლებული გლეხები. ასეთი ნაყიდი და ვალში აღებული მიწები და ბაღები შეძლებულ გლეხებს ჰქონდათ არა მარტო იმ ადგილას, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, არამედ სხვა სოფლებშიც[5].

რეფორმამდელ საქართველოში ფულადი სასაქონლო მეურნეო-

---

[1] Акты, т. X, გვ. 879.
[2] И. Г. Антелава, დასახ. ნაშრ., გვ. 172.
[3] П. Гугушвили, СХАО, т. I, გვ. 11.
[4] И. Г. Антелава, დასახ. ნაშრ., გვ. 172—173.
[5] იქვე, გვ. 173.

ბის განვითარების შედეგად, გლეხთა თანდათანობითი დიფერენციაციას, მდიდარი მეურნეობის მქონე გლეხური ბურჟუაზიის წარმოქმნას მოწმობენ რიგი ფაქტები.

1843 წლის კამერალური აღწერით თელავის მაზრაში გვხვდება მრავალი სახაზინო შეძლებული გლეხი, სოფლის ბურჟუები. თელავის მაზრის სოფელ ველისციხეში ასეთი გლეხები იყვნენ: ბეჟან კარდენახლიშვილი, რომელსაც ჰქონდა 25 დღიური[1] სახნავ-სათესი მიწა, რაზედაც მოჰყავდა 120 კოდი[2] ხორბალი და 20 კოდი სიმინდი, გააჩნდა ზვარი, საიდანაც შემოსდიოდა 48 საპალნე[3] ღვინო, ჰყავდა 2 ცხენი და 12 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი[4]. თევდორე კობიაშვილი — ჰქონდა 20 დღიური სახნავი მიწა, მოჰყავდა 100 კოდი ხორბალი, 40 კოდი სიმინდი, აყენებდა 15 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 1 ცხენი და 24 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი[5]. სიმონ კიტუაშვილს გააჩნდა 20 დღიური სახნავი მიწა, მოჰყავდა 100 კოდი ხორბალი, 20 კოდი ქერი, 20 კოდი სიმინდი, აყენებდა 18 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 1 ცხენი, 14 მსხვილფეხა საქონელი და 40 ცხვარი[6]. სტეფანე ყაზარაშვილს გააჩნდა 60 დღიური სახნავი მიწა, რაზედაც იწევდა 300 კოდ ხორბალს და 20 კოდ სიმინდს, გაშენებული ჰქონდა დიდი ზვარი, ღვინოს აყენებდა 60 საპალნეს, ჰყავდა 2 ცხენი, 30 მსხვილფეხა საქონელი და 150 ცხვარი[7]. გეურქა მიტიჩაშვილს გააჩნდა 80 დღიური სახნავი მიწა, რაზედაც იწევდა 180 კოდ ხორბალს და 40 კოდ სიმინდს, გაშენებული ჰქონდა დიდი ზვარი, საიდანაც აყენებდა 42 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 2 ცხენი, 30 მსხვილფეხა საქონელი და 100 ცხვარი[8]. იოსებ ჯინჯიბუხაშვილს გააჩნდა 60 დღიური სახნავი მიწა, მასზე იწევდა 160 კოდ ხორბალს, 20 კოდ სიმინდს, აყენებდა 30 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 2 ცხენი და 52 მსხვილფეხა საქონელი[9]. იაკობ რუაძეს გააჩნდა 20 დღიური სახნავი მიწა, რაზედაც იწევდა 180 კოდ ხორბალს, 30 კოდ ქერს და 20 კოდ სიმინდს, ჰქონდა ზვარი საიდანაც აყენებდა 9 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 10 მსხვილფეხა საქონელი[10]. სოფელ ველისციხეში ამ დროს შეძლებული გლეხები იყვნენ აგრეთვე ივანე სოსიაშვილი,

---

1 დღიური უდრის ნახევარ დესეტინას.
2 კოდი უდრის 2,5 ფუთს.
3 საპალნე უდრის 27 ფუთს.
4 საქ. ცსსა, ფონდი 254, აღწერა, 1, საქმე 19.055, ფურც. 8—9:
5 იქვე. ფურც. 17—18.
6 იქვე, ფურც 30—31.
7 იქვე, ფურც. 35—36.
8 იქვე, ფურც. 42—43.
9 იქვე, ფურც. 54—55.
10 იქვე, ფურც. 70—71.

დათია კონიაშვილი, იაკობ თათიაშვილი, აბრამ ზალუაშვილი, გოგია მიტიჩაშვილი, მარტირუს აბმაშვილი და სხვ.

სოფელ ვეჯინში შეძლებული სახაზინო გლეხები იყვნენ: ივანე ჭანკოშვილი. მას გააჩნდა 20 დღიური სახნავი მიწა, რაზეც იწეოდა 120 კოდ ხორბალს, 12 კოდ ქერსა და 40 კოდ სიმინდს, აყენებდა 9 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 7 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი[1]. ნინია ბიაშვილს გააჩნდა 30 დღიური სახნავი მიწა, მოჰყავდა 200 კოდი ხორბალი, 40 კოდი ქერი და 40 კოდი სიმინდი, აყენებდა 3 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 10 მსხვილფეხა საქონელი[2]. პეტრე ჯანკოტაშვილს გააჩნდა 40 დღიური სახნავი მიწა, რაზედაც იწეოდა 200 კოდ ხორბალს, 25 კოდ ქერს და 35 კოდ სიმინდს. აყენებდა 6 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 12 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი[3].

სოფელ გურჯაანში შეძლებული სახაზინო გლეხები იყვნენ: გოგია ტაბლანაშვილი, რომელსაც გააჩნდა 10 დღიური სახნავი მიწა. მოჰყავდა 100 კოდი ხორბალი, 10 კოდი ქერი და 20 კოდი სიმინდი. აყენებდა 24 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 1 ცხენი და 40 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი[4]. გლახა ტაბლანაშვილი, რომელიც იწეოდა 180 კოდ ხორბალს, 20 კოდ ქერსა და 10 კოდ სიმინდს, აყენებდა 18 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 2 ცხენი და 40 მსხვილფეხა საქონელი[5]. იოვა კუპრაშვილს გააჩნდა 30 დღიური მიწა, რაზეც მოჰყავდა 200 კოდი ხორბალი, 30 კოდი ქერი და 40 კოდი სიმინდი. აყენებდა 24 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 1 ცხენი და 80 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი[6]. მახარე კუპრაშვილს გააჩნდა 30 დღიური სახნავი, მოჰყავდა 150 კოდი ხორბალი, 40 კოდი ქერი, 20 კოდი სიმინდი. აყენებდა 12 საპალნე ღვინოს, ჰყავდა 1 ცხენი და 80 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი[7].

ასევე, ამ დროს მრავალი მდიდარი სახაზინო გლეხი გვხვდება სიღნაღის მაზრაში. 1842 წლის კამერალური აღწერით სიღნაღის მაზრის სოფ. ანაგაში მდიდარი სახაზინო გლეხები იყვნენ: ზაქრო მჭედლიშვილი, რომელსაც გააჩნდა 45 დღიური სახნავი მიწა, რაზედაც წლიურად მოჰყავდა 140 კოდი ხორბალი, 70 კოდი ქერი; აყენებდა 210 ჩაფ.[8] ღვინოს, ჰყავდა 2 ცხენი, 23 რქოსანი საქონელი და 200 ცხვარი[9]. იოსებ მახაშვილი — გააჩნდა 40 დღიური სახნავი,

---

[1] იქვე, ფურც. 73—74.
[2] იქვე, ფურც. 75—76.
[3] იქვე.
[4] იქვე, ფურც. 77—78.
[5] იქვე.
[6] იქვე, ფურც. 78—79.
[7] იქვე.
[8] 26 ჩაფი = 1 საპალნეს.
[9] საქ. ცსსა, ფონდი 254, აღწ. 1, საქმე 19023, ფურც. 3—4.

მოჰყავდა 300 კოდი ხორბალი. 95 კოდი ქერი; აყენებდა 450 ჩაფ ღვინოს. ჰყავდა 22 ცხენი, 50 რქოსანი საქონელი და 600 ცხვარი[1]. იოსებ გოშნიაშვილი — გააჩნდა 400 დღიური სახნავი, მოჰყავდა 300 კოდი ხორბალი, 170 კოდი ქერი; გაშენებული ჰქონდა დიდი ზვარი, საიდანაც აყენებდა 600 ჩაფ ღვინოს. ჰყავდა 3 ცხენი, 30 რქოსანი საქონელი და 200 ცხვარი[2]. გლახა ჯანიაშვილი — გააჩნდა 60 დღიური სახნავი, მოჰყავდა 235 კოდი ხორბალი, 80 კოდი ქერი. აყენებდა 300 ჩაფ ღვინოს. ჰყავდა 1 ცხენი, 35 რქოსანი საქონელი და 80 ცხვარი[3]. ასეთივე შეძლებული გლეხები სოფ. ანაგაში იყვნენ: გოგია სულიკაშვილი, ივანე ალბანაშვილი და გლახა დარჩაშვილი.

სოფ. ვაქირში მდიდარი სახაზინო გლეხები იყვნენ: სიმონ მამაიაშვილი, რომელსაც გააჩნდა 60 დღიური სახნავი, რაზედაც მოჰყავდა 200 კოდი ხორბალი, 100 კოდი ქერი, აყენებდა 450 ჩაფ ღვინოს, ჰყავდა 4 ცხენი, 40 ქროსანი საქონელი და 300 ცხვარი. იოსებ მოსაშვილი — გააჩნდა 100 დღიური სახნავი მიწა, მოჰყავდა 400 კოდი ხორბალი, 200 კოდი ქერი; გაშენებული ჰქონდა 12 000 ვაზიანი ზვარი, საიდანაც აყენებდა 600 ჩაფ ღვინოს. ჰყავდა 40 ცხენი, 160 რქოსანი საქონელი და 900 ცხვარი. ბეჟან მოსაშვილს გააჩნდა 50 დღიური სახნავი, რაზედაც იწევდა 400 კოდ ხორბალს და 200 კოდ ქერს, აყენებდა 450 ჩაფ ღვინოს. ჰყავდა 15 ცხენი, 80 რქოსანი საქონელი და 200 ცხვარი. აბრამ ნანობაშვილი — გააჩნდა 40 დღიური სახნავი. მოჰყავდა 300 კოდი ხორბალი და 100 კოდი ქერი; აყენებდა 600 ჩაფ ღვინოს. ჰყავდა 5 ცხენი, 60 რქოსანი საქონელი და 400 ცხვარი[4]. სოფ. ვაქირში ასევე შეძლებული გლეხები იყვნენ: თევდორე დავითაშვილი, დიმიტრი კოჩიაშვილი, გლახა ხუცაშვილი[5] და სხვ.

სოფელ ჯულაანში მდიდარი სახაზინო გლეხები იყვნენ: ბიძინა ალადაშვილი, რომელიც იწევდა 200 კოდ ხორბალს და 100 კოდ ქერს; გაშენებული ჰქონდა დიდი ზვარი, საიდანაც აყენებდა 900 ჩაფ ღვინოს. ჰყავდა 1 ცხენი, 20 რქოსანი საქონელი და 400 ცხვარი. არუთინ ხიტერაშვილი — მოჰყავდა 300 კოდი ხორბალი და 150 კოდი ქერი; აყენებდა 460 ჩაფ ღვინოს, ჰყავდა 8 ცხენი, 50 რქოსანი საქონელი და 500 ცხვარი. ასევე აქ მდიდარი გლეხები იყვნენ: გრი-

---

[1] იქვე, ფურც. 9—10.
[2] იქვე, ფურც. 14—15.
[3] იქვე, ფურც. 33—34.
[4] იქვე, ფურც. 86—89, 96—97.
[5] იქვე, ფურც. 65—66, 83—84, 106—107.

გოლ ზედელაშვილი, სოლომონ კიკილაშვილი და მირზა აბულა-შვილი[1].

სოფელ პაპიანში მდიდარი სახაზინო გლეხები იყვნენ: სისია ბასილაშვილი, რომელსაც წლიურად მოჰყავდა 300 კოდი ხორბალი და 180 კოდი ქერი; აყენებდა 300 ჩაფ ღვინოს. ჰყავდა 5 ცხენი, 40 რქოსანი საქონელი და 400 ცხვარი. კოგია ბეგიაშვილი — მოჰ-ყავდა 400 კოდი ხორბალი და 100 კოდი ქერი; აყენებდა 450 ჩაფ ღვინოს, ჰყავდა 10 ცხენი, 80 რქოსანი საქონელი და 700 ცხვარი. ნინია ჯალიაშვილი — მოჰყავდა 300 კოდი ხორბალი და 100 კოდი ქერი; აყენებდა 330 ჩაფ ღვინოს, ჰყავდა 9 ცხენი, 4 რქოსანი საქო-ნელი და 400 ცხვარი. ასევე მდიდარი გლეხები იყვნენ აქ, ანდრო და გრიგოლ ბეგიაშვილები, გრიგოლ ჯალიაშვილი და სხვ.[2]

სოფელ ქვემო მაჩხაანში მდიდარი სახაზინო გლეხები იყვნენ: დავით ჭანკორაშვილი, რომელსაც მოჰყავდა 240 კოდი ხორბალი და 120 კოდი ქერი; აყენებდა 180 ჩაფ ღვინოს, ჰყავდა 4 ცხენი, 18 რქოსანი საქონელი და 780 ცხვარი. სოლომონ მენთეშაშვილი — მოჰყავდა 300 კოდი ხორბალი და 200 კოდი ქერი; აყენებდა 600 ჩაფ ღვინოს, ჰყავდა 4 ცხენი, 30 რქოსანი საქონელი და 400 ცხვარი. მდიდარი გლეხი იყო აგრეთვე ამ სოფელში ზაქრო ჭანკორაშვილი[3].

სოფელ მირზაანში მდიდარი სახაზინო გლეხი იყო მოსე გონა-შვილი, რომელსაც მოჰყავდა 520 კოდი ხორბალი და 80 კოდი ქერი, ჰყავდა 10 ცხენი, 120 რქოსანი საქონელი და 700 ცხვარი[4].

სოფელ ზემო მაჩხაანში მდიდარი სახაზინო გლეხი იყო ლუარ-საბ კოჩიაშვილი, რომელსაც მოჰყავდა 400 კოდი ხორბალი და 120 კოდი ქერი, აყენებდა 240 ჩაფ ღვინოს, ჰყავდა 15 ცხენი, 55 რქოსა-ნი საქონელი და 800 ცხვარი[5].

სოფელ ნუკრიანში მდიდარი სახაზინო გლეხი იყო გიორგი ჭართველიშვილი, რომელსაც გააჩნდა 60 დღიური სახნავი მიწა, რაზედაც მოჰყავდა 200 კოდი ხორბალი და 120 კოდი ქერი; აყე-ნებდა 210 ჩაფ ღვინოს. ჰყავდა 7 ცხენი, 50 რქოსანი საქონელი და 400 ცხვარი[6].

მდიდარი გლეხები იყვნენ აგრეთვე სიღნაღის მაზრის სხვა სოფლებშიც.

---

[1] იქვე, ფურც. 189—221.
[2] იქვე, ფურც. 224—234.
[3] იქვე, ფურც. 242—261.
[4] იქვე, ფურც 344—345.
[5] იქვე, ფურც. 431—432.
[6] იქვე, ფურც. 582—583.

ზემოთ მოტანილ მდიდარ გლეხურ მეურნეობებში, ეკეი არაა, გამოყენებული იქნებოდა დაქირავებული შრომა. რიგ შეძლებულ გლეხურ ოჯახებში საკმაო რაოდენობით არ იყო მუშახელი, რომელიც მეურნეობას გაუძღვებოდა. ასე მაგალითად, გლეხ იოვა კუპრაშვილის ოჯახში ითვლებოდა 2 შრომისუნარიანი მამაკაცი. 30 დღიური მიწის და ზვარის დამუშავებას (აყენებდა 24 საპ. ღვინოს) და 80 მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოვლას, ცხადია, 2 კაცი ვერ შეძლებდა. გლეხ გეურქა მიტიჩაშვილის ოჯახში ითვლებოდა 3 შრომისუნარიანი მამაკაცი. 80 დღიური მიწის და ვენახის დამუშავებას, რომელიც მას გააჩნდა, აგრეთვე 2 ცხენის, 30 მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და 100 ცხვარის მოვლას, ცხადია, 3 კაცი ვერ ძეძლებდა. ამიტომ, უეჭველად, ასეთი შეძლებული გლეხები თავიანთ მეურნეობაში იყენებდნენ დაქირავებულ შრომას დღიური მუშებისა და ასევე, სავსებით დასაშვებია, წლიური და მუდმივი მოჯამაგირის შრომას. ამას ამტკიცებს რიგი ცნობები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ უმიწაწყლო და ღარიბ გლეხთა დაქირავებულ შრომაზე. 1844 წლის აღწერით თელავის მაზრის სოფელ ჩალაუბნის მცხოვრებ სახაზინო გლეხ სოსია მენაბდეშვილის ოჯახისა (ცხოვრობდა თავად ვაჩნაძის მიწაზე) და სოფელ ჩუმლაყის მცხოვრებ სახაზინო გლეხ ზურაბ მგალობლიშვილის ოჯახის შესახებ აღნიშნულია, რომ ისინი „თავს ირჩენენ“ და „ცხოვრობენ დღიური მუშაობით“[1]. ასეთივე „დღიური“ დაქირავებული შრომით ცხოვრობდნენ სახაზინო გლეხები: სოფელ ახალშენში გრიგოლ ცხადაძის ოჯახი[2], სოფელ ზეგანში ზაქრო კვერნაძის ოჯახი[3], სოფელ მუკუზანში ხუცაშვილის ოჯახი[4]. სოფელ ზიარის სახაზინო გლეხებს, აგანეზაშვილსა და ოგანაშვილს არ გააჩნდათ მიწები და ოჯახებით ცხოვრობდნენ თავად ანდრონიკაშვილის გლეხებისაგან ნაქირავებ სახლებში. მათ შესახებ აღნიშნულია, რომ „სახნავი მიწის უქონლობის გამო სხვებთან ეწევიან დღიურ მუშაობას ქირით“[5]. სოფელ შიბლიანის სახაზინო გლეხების დავით ხეიძისა და დავით ჩოკოშვილის ოჯახები, რომელთაც მიწა არ გააჩნდათ, საბატონო გლეხების მიწებს ამუშავებდნენ და მით ირჩენდნენ თავს[6]. სოფელ ჯიმითში 16 სახაზინო გლეხი ცხოვრობდა საეკლესიო გლეხებისაგან ნაქირა-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, აღწერა 1, საქმე 19.055. ფურც. 102—103. 122—123.

[2] იქვე, ფურც. 123—124.

[3] იქვე, ფურც. 126—127.

[4] იქვე, ფურც. 127—128.

[5] იქვე, ფურც. 128—129.

[6] იქვე, ფურც. 137—138.

ვებ სახლებში. მათ მიწა არ გააჩნდათ და დაქირავებული შრომითა და წვრილმანი ვაჭრობით ირჩენდნენ თავს. ამ 16 გლეხის შესახებ კამერალურ აღწერაში წერია: „სახნავი მიწის უქონლობის გამო ზოგიერთები დაქირავებული შრომით შოულობენ საზრდოს ადგილობრივ შეძლებული მცხოვრებლებისაგან, ზოგიერთები კი ყიდულობენ ქალაქებში წვრილმან ფართლეულობას და დააქვთ სოფლებში გასაყიდათ და მონაგებით არჩენენ თავიანთ თავსა და ოჯახებს"[1].სოფელ ჩაილურში 10 სახაზინო გლეხი ცხოვრობდა თავად ჩერქეზიშვილების მიწებზე. მიწა მათ არ გააჩნდათ და ამუშავებდნენ მემამულეებისა და მათი გლეხების ბალებს, რისთვისაც ღებულობდნენ საზღაურს და მით ირჩენდნენ თავს[2].

1823 წ. კამერალური აღწერით თბილისის მაზრაში ითვლებოდა 1073 საბატონო გლეხთა კომლი. აქედან დღიურ-დაქირავებული შრომით თავს ირჩენდა 63 კომლი. ამის გარდა საბატონო გლეხთაგან მაზრაში ითვლებოდა „ღარიბი მიწათმოქმედი" 64 კომლი, ღატაკი — 4 კომლი[3]. სახაზინო გლეხთა კომლი მაზრაში ითვლებოდა 456. აქედან დღიურ-დაქირავებული მუშაობით თავს ირჩენდა 94 კომლი[4]. სულ თბილისის მაზრაში 1823 წელს ითვლებოდა 2.029 საბატონო და სახაზინო გლეხთა კომლი. აქედან დღიურ დაქირავებულ მუშაობას ეწეოდა 157 კომლი; ამის გარდა „ღარიბი მიწათმოქმედი" ითვლებოდა 85 კომლი, ღატაკი — 16.

უნდა ვიფიქროთ, რომ დაახლოებით ასეთივე სურათი უნდა ყოფილიყო საქართველოს სხვა მაზრებშიც.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, რეფორმამდელ საქართველოში ფეოდალი-სასაქონლო მეურნეობის განვითარებისა და გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის შედეგად, სოფელში წარმოქმნილია მსხვილი გლეხურ-ბურჟუაზიული მეურნეობანი, სადაც სოფლის ღატაკ-უმიწაწყლოთა დაქირავებული შრომა იყო გამოყენებული.

რეფორმამდელ საქართველოში გლეხთა თანდათანობითი დიფერენციაციის შესახებ ლაპარაკობენ აგრეთვე ფაქტები, რომლებიც მოწმობენ რიგი გლეხების მისწრაფებას, გადავიდნენ მოქალაქეთა წოდებაში. გლეხთა შეძლებული ნაწილი, კომერციული ოპერაციებით გამდიდრებული, ახერხებდა ჩარიცხულიყვნენ მოქალაქეთა წოდებაში. ასე მაგალითად, 1831 წელს გლეხმა ბოდოკიამ, რომელიც ვაჭრობდა ქ. ქუთაისში, იმერეთის მმართველობას მიმართა

---

[1] იქვე. ფურც. 132. 133—134.
[2] იქვე. ფურც. 177.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 254. აღწ. 1. საქ. 608.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 254, აღწ. 1, საქ. 609.

განცხადებით ჩაერიცხათ იგი „ამ ქალაქის კაპიტალისტების რიცხვში“[1]. 1841-1845 წლებში საქართველოში მარტო სახაზინო გლეხებიდან მოქალაქეთა წოდებაში („в городские жители“) ჩარიცხეს 38 კაცი[2].

თბილისის გუბერნიის 1860—1861 წლების კამერალური აღწერის მონაცემებით, ქალაქების მცხოვრებთა რიცხვში ჩარიცხული იყო 873 კომლი ანუ 3.695 სული საბატონო გლეხი[3]. ამას გარდა ქალაქებში ფარულად ცხოვრობდნენ აგრეთვე რიგი გლეხები, რომლებიც იქ სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობას ეწეოდნენ, ე. ი. ისინი ფაქტიურად იყვნენ ქალაქელები.

ზოგიერთი ვაჭრები, რომლებიც გლეხთა წრიდან იყვნენ გამოსულნი, ტოვებდნენ სოფლის მეურნეობას და თავიანთ საქმიანობას მთლიანად სავაჭრო-კომერციულ საქმიანობას უთმობდნენ. ბევრი მათგანი განთქმული იყო თავისი კაპიტალის სიდიდითა და სავაჭრო ოპერაციების მასშტაბით. გლეხთა წრიდან გამოსული ასეთი მსხვილი ვაჭრები იყვნენ XIX ს. პირველ ნახევარში მამუკა, იაკობ და გრიგოლ ნიკოლაძეები, ბაბუა, მამა და ბიძა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძისა. 30-იანი წლების ნახევრიდან მამუკა ნიკოლაძე და მისი შვილები სავაჭროდ დადიოდნენ არა მარტო თბილისში, არამედ რუსეთშიაც. ნ. ნიკოლაძის მოწმობით მამამისი და ბიძა დადიოდნენ საქსონიაშიც, ლეიპციგის იარმუკაზე და მოჰქონდათ სხვადასხვაგვარი საქონელი. ეს ვაჭრები ცხოვრობდნენ ქ. ქუთაისში. აქედან ისინი მიდიოდნენ თბილისში. თბილისიდან ვლადიკავკაზში, ხოლო აქედან როსტოვის გავლით ნიჟნი ნოვგოროდში. აქ ცნობილ მაკარიევის იარმუკაზე ისინი ყიდულობდნენ საქონელს და გზავნიდნენ საქართველოში სახმელეთო ტრანსპორტით. ეს მოგზაურობა გრძელდებოდა ნახევარი წელიწადი და მნიშვნელოვნად ძვირი ჯდებოდა. ნ. ნიკოლაძის მოწმობით, ერთი ფუთი ტვირთის ჩამოტანა ჯდებოდა 5 მანეთი ვერცხლით. მაგრამ შემდეგში, იაკობ ნიკოლაძემ დაიწყო გემის დაქირავება და საქონლის გადატანა სამდინარო-საზღვაო გზით, რამაც დიდათ შეამცირა როგორც მგზავრობის დრო, ასევე სატრანსპორტო ხარჯები. ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძის მოწმობით, ვაჭრებს შორის მისი მამის ტოლი არავინ ყოფილა[4].

ფართოდ იყვნენ ცნობილნი აგრეთვე თავიანთი მნიშვნელოვანი

---

[1] П. Г. Ахтелава, დასახ. ნაშრ., გვ. 173.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 174.
[4] იქვე, გვ. 174—175.

კომერციული ოპერაციებით, გლეხთა წრიდან გამოსულნი: დათა ჰედია, ბათა პაჭკორია, როსტომ ჰედია, ცხაკუნია მიხელაიშვილი, ალექსი შენგელია, ბასა გრიგოლია, როსტომ წულეისკირი და სხვები[1].

როგორც ვხედავთ, ბურჟუაზიული ურთიერთობა შეიჭრა გლეხურ მეურნეობაშიც. რეფორმამდელ საქართველოში სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად სოფლის უშუალო წარმოებელი — გლეხობა დიფერენცირებას განიცდის. ყმა-გლეხებიდან თანდათან გამოიყოფიან მდიდრები — გლეხური ბურჟუაზია — რომლებიც ახერხებდნენ თავის გამოსყიდვას და ეწეოდნენ თავისუფალ მეწარმეობას, ვაჭრობას, მეიჯარადრეობას, მევახშეობას და ა. შ. იზრდებოდა წვრილი სასაქონლო წარმოება და გლეხური სარეწები, სადაც მიმართავდნენ ნებითდაქირავებულ შრომას. მაგრამ ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებას გლეხურ მეურნეობაში, ისე როგორც ფეოდალურ-მემამულურში, ხელს უშლიდა ბატონყმური ურთიერთობა, ყმის მიწაზე მიმაგრება და პირადი თავისუფლების უქონლობა. ეს აბრკოლებდა სოფლის მეურნეობაში ახალი მწარმოებლური ძალების განვითარებას, თავისუფალი კაპიტალისტური საქმიანობის გაჩაღებას. ეს გარემოება აშკარა გახდა XIX ს. 50-იან წლებში. ქვეყნის ეკონომიურმა განვითარებამ ბატონყმობის კრიზისი გამოიწვია.

ბატონყმობის გაუქმება სოფლის მეურნეობის განვითარების საწინდრად მიაჩნდათ თვით ცარიზმის მოხელეებს. ისინი დარწმუნდნენ ამაში 50-იანი წლების ბოლოსა და განსაკუთრებით 60-იანი წლების დასაწყისში. თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი 1861 წელს აღნიშნავდა, რომ გლეხთა განთავისუფლებით სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებაო[2]. ამავე აზრს გამოთქვამდა იგი გუბერნიის 1864 წლის ანგარიშში[3]. ასევე ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი 1864—65 წლების ანგარიშებში მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარების საქმეში დიდ იმედებს ამყარებდა საბატონო გლეხების განთავისუფლებაზე, რომელიც, მისი განცხადებით, ქმნიდა თავისუფალი „მუშახელის სიჭარბეს და ცვლიდა სამეურნეო ცხოვრების მთელ საწყისებს“[4].

1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა დავით ყიფიანის „სხვადასხვა ამბავი“, სადაც ავტორი აშკარად აცხადებს ნებით-

---

[1] იქვე, გვ. 175.
[2] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1862), д. 124, л. 3.
[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1865), д. 127, л. 6.
[4] იქვე.

დაქირავებული შრომის უპირატესობას ყმის შრომასთან შედარებით. ყმის შრომასთან შედარებით „თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია"[1]-ო, წერდა იგი. ბატონს რომ ყმები არ ჰყავდეს, მაშინ იგი ნებითდაქირავებულ შრომას („თავისუფალ შრომას") „გასწევდა", რაც მეურნეობის გაუმჯობესებას გამოიწვევდაო. გლეხების განთავისუფლებას მებატონეთა პირად დამოკიდებულებათაგან და მათ „თავისუფალ შრომაზე" გადასვლას, იგი უკვე „დროების" მოთხოვნილებად თვლის. დავით ყიფიანი იქვე წერს, რომ ეს გარემოება შეგნებული აქვს თვით თავადაზნაურობასაო („ამას უთუოთა, ჰგრძნობს ქართველობის კეთილ-შობილი ნაწილი და გლეხებს თავისუფალ შრომაზე დაყენება ეძლევათ")[2]. მართლაც მემამულეთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში ამ დროს კარგად ხედავდა, რომ ბატონყმური დამოკიდებულება უშლიდა ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ მხრივ საინტერესოა მოვიყვანოთ საგლეხო რეფორმის წინ სიღნაღის მაზრის 69 მემამულის მიერ წარდგენილი „აზრი", სადაც ეს აშკარად არის აღნიშნული: „Нет сомнения, что крестьяне должны быть освобождены от крепостной зависимости. Необходимо возбудить силы к частному труду для развитня предприимчивости в сельском хозяйстве, стесняемой и задерживаемой крепостным состоянием"[3].

ამგვარად, XIX საუკუნის მეორე მესამედში, საქართველოში სოფლის მეურნეობა წინა პერიოდთან შედარებით სწრაფად ვითარდება. როგორც შრომის მეორე თავიდან ჩანს 30-იანი და განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან ირღვევა ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობა, ვითარდება სასაქონლო წარმოება, ვაჭრობა, სავაჭრო მიწათმოქმედება.

სასაქონლო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებამ გამოიწვია ბურჟუაზიულ მეურნეობათა წარმოშობა, ამ ფაქტს კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობაში ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისათვის.

ბურჟუაზიული ურთიერთობა სოფლად შეიჭრა როგორც მემამულურ, ისე გლეხურ მეურნეობაში. ბურჟუაზიულ მეურნეობებში ავითარებდნენ ღვინისა და აბრეშუმის წარმოებას, მესაქონლეობას, მებოსტნეობას, მოჰყავთ ბამბა, თამბაქო, ენდრო, სორგო და სავაჭ-

---

[1] „საქართველოს მოამბე", 1863, № 4.

[2] ი ქ ვ ე.

[3] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში 1950, გვ. 174.

რო მიწათმოქმედების სხვა კულტურები; აწარმოებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნიკურ გადამუშავებას; ხდიდნენ არაყსა და სპირტს. დიდი რაოდენობით ამზადებდნენ საბაზროდ ყველს, (მათ შორის შვეიცარულს), ერბოს, კარაქს და სხვ. ამავე დროს აწყობდნენ მანუფაქტურულ საწარმოებს. ბურჟუაზიული მეურნეობანი მიმართავდნენ ექსპლოატაციის კაპიტალისტურ წესს — დაქირავებულ შრომას, დაბოლოს, ზოგი მათგანი ევროპული სასოფლო-სამეურნეო მანქანა- იარაღების გამოყენებას.

ასევე დაქირავებულ შრომასა და საზღვარგარეთული მანქანა-იარაღების გამოყენების ცდებს მიმართავდნენ აგრეთვე ზოგიერთი მსხვილი საბატონო მეურნეობანი, რომლებიც კაპიტალისტური განვითარების გზას ადგნენ.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ბურჟუაზიულ მეურნეობათა განვითარება და საბატონო მეურნეობათა ევოლუცია აწყდებოდა მთელ რიგ დაბრკოლებებს, რის მიზეზიც ბატონყმური ურთიერთობა იყო, ქვეყნის ეკონომიურმა განვითარებამ ამ ურთიერთობის კრიზისი გამოიწვია. სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება, სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა, ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის რღვევა, ბატონყმური დამოკიდებულებისაგან ყმა-გლეხთა თავდახსნის პროცესის გაძლიერება, გლეხთა ლტოლვა გარესაშოვრებზე, ქალაქებში წამსვლელ გლეხთა რაოდენობის ზრდა ნებართვითა და უნებართოდ, დაქირავებული შრომის ხვედრითი წონის თანდათანობითი ზრდა, ბურჟუაზიულ მეურნეობათა გაჩენა, საბატონო მამულების მნიშვნელოვანი ნაწილის (თითქმის მესამედის) დაგირავება, ასევე საბატონო მამულებისა და ყმების მნიშვნელოვანი რაოდენობით დაკარგვა ვალში და ვახში, გლეხთა მისწრაფება თავისუფალი მეწარმეობისაკენ და სხვ., — ყველაფერი ეს ბატონყმური წყობილების კრიზისის და მისი რღვევის მაჩვენებელი იყო. ბატონყმური ურთიერთობის კრიზისი საქართველოში ასევე აშკარად გამოიხატა ბატონყმობის წინააღმდეგ იმ უამრავ პროტესტებსა და აჯანყებებში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა XIX ს. 30—50-იან წლებში და ბატონყმობის გაუქმების წინ. ახალი საწარმოო ძალების განვითარებისათვის საჭირო იყო მისი მოსპობა.

თავი მეოთხე

კაპიტალისტური სამრეწველო საწარმოები საქართველოში რეფორმამდელ ხანაში

რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტური საწარმოები ჩნდებიან და ვითარდებიან მრეწველობაშიც. ამ ხანის მრეწველობაში გაბატონებული ფორმები იყო საოჯახო, ხელოსნური და შინამრეწველური წარმოება. მაგრამ ქვეყნის ეკონომიური განვითარების შედეგად ჩნდება მრეწველობის მაღალი ფორმებიც — კაპიტალისტური მანუფაქტურები, ხოლო აქა-იქ ფაბრიკებიც. ჩვენს მიზანს აქ არ შეადგენს განვიხილოთ საოჯახო, ხელოსნური და შინამრეწველური წარმოება. შრომის ამ თავში განვიხილავთ შედარებით მსხვილ სამრეწველო საწარმოებს (მანუფაქტურები, ფაბრიკები) და დავახასიათებთ მათ სოციალ-ეკონომიურ ბუნებას, რომელიც ჩვენ კაპიტალისტურად მიგვაჩნია. ასევე მოცემული იქნება სამრეწველო საწარმოთა რიცხობრივი და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის ზრდის დინამიკა. ასევე ნაჩვენები იქნება მრეწველობაში დაქირავებული შრომის გამოყენების გახშირება, სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდა ქვეყანაში, რაც მრეწველობაში კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდას ნიშნავდა.

რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტური საწარმოები მრეწველობაში ჩნდებიან აბრეშუმის, შალის, შაქრის, სამთო-საქარხნო, მექანიკური, მინის, ტყავის, საპნის აგურის და წარმოების რიგ სხვა დარგებში. ჩვენც მათ დარგების მიხედვით განვიხილავთ.

აბრეშუმის წარმოება

(აბრეშუმსახვევი საწარმო თბილისში)

მეაბრეშუმეობის საქმე საქართველოში ძველი დროიდანვე ფართოდ იყო ცნობილი. რუსეთის მთავრობამ მის განვითარებას ჩვენში დიდი ყურადღება მიაქცია. იმ მრავალ პროექტებში, სადაც დასახული იყო მთელი რიგი კულტურების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარება, ერთ-ერთი პირველი ადგილი მეაბრეშუმეობას ეჭირა. საქართველოში რომ საუცხოო პირობები არსებობდა მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ეს იცოდნენ რო-

გორც რუსეთში, ისე ევროპაშიც და უცხოეთიდან აქ ჩამოსული ბევრი სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო მეთაოსნე ცდილობდა მისთვის მოეკიდა ხელი.

პირველი უცხოელი, რომელმაც მიზნად დაისახა აბრეშუმის ამოხვევის ევროპული წესი შემოეტანა და დაენერგა საქართველოში იყო ფრანგი ვაჭარი კასტელა. კასტელამ კავკასიაში მოგზაურობის დროს სცნო, რომ აქ წარმატებით შეიძლებოდა განვითარებულიყო მრეწველობა მდიდარი ბუნებისა და კლიმატის გამო. მისი მთავარი წინადადება იყო გაავრცელებინათ ამიერკავკასიაში აბრეშუმის ამოხვევისა და ძახვის ევროპული წესი, რადგან ამიერკავკასიის მთელი რიგი პროვინციები მას აბრეშუმის მდიდარ ოლქებად მიაჩნდა. ამ მიზნით მან საჭიროდ მიიჩნია თბილისში მოეწყო აბრეშუმსახვევი ფაბრიკა, რომელიც აბრეშუმის ევროპული წესით ამოხვევის მაგალითის მიმცემი იქნებოდა მთელს ამიერკავკასიაში.

მან ფინანსთა მინისტრ გურიევისადმი წარდგენილ თხოვნაში სურვილი გამოთქვა სამუდამოდ დასახლებულიყო თბილისში და სამეურნეო მოღვაწეობის მიზნით გამოითხოვა განსაკუთრებული პრივილეგიები მაუდის ფაბრიკისა და აბრეშუმსართავი ფაბრიკების მოსაწყობად თბილისში[1]. ფინანსთა მინისტრი არ დათანხმდა კასტელას თხოვნის პირველ მუხლს — თბილისში მაუდის ფაბრიკის დაარსებაზე, რადგან ეს მისი აზრით, გამოიწვევდა მაუდის მრეწველობის შევიწროებას რუსეთში[2]. რაც შეეხება კასტელას წინადადებას — მოეწყო საქართველოში აბრეშუმსახვევი ფაბრიკა იმ სახით, როგორც საფრანგეთსა და იტალიაში იყო, მისალებად სცნეს. რადგან იმედს გამოთქვამდნენ, რომ ამ საქმის სრულყოფის შემთხვევაში რუსეთის ფაბრიკებს შესაძლებლობა ექნებოდათ საქართველოში დამზადებული ნართი აბრეშუმი მიეღოთ და განთავისუფლებულიყვნენ უცხოეთიდან მისი შემოზიდვისაგან. კასტელას აზრით, ასეთი სრულყოფილი საწარმო მხოლოდ საქართველოში შეიძლებოდა შექმნილიყო.

კასტელამ განიზრახა მოეწყო ეს საწარმო ისეთი დიდი მასშტაბით, რომ მას შეძლებოდა მთელი ამიერკავკასიის აბრეშუმის ნედლეულის გადამუშავება. რადგან ეს მის შეძლებას აღემატებოდა, მთავრობისაგან ფულადი დახმარების თხოვნის გარდა მან მოიწვია კერძო პირები აქციონერების სახით. პეტერბურგში „თხოვნის" მიცემის შემდეგ კასტელა საფრანგეთში წავიდა საჭირო მასალებისა-

---

[1] Акты, т. VI, ч. I, გვ. 264:

[2] იქვე.

და ინსტრუმენტების საყიდლად და ფრანგი ოსტატების მოსაწვევად, საიდანაც თბილისში 1825 წელს დაბრუნდა. ამავე წელს კასტელამ და მისმა კომპანიონმა დიდლომ საცდელად ამოახვიეს შირვანის, ნუხისა და ყარაბაღის აბრეშუმი[1]. ეს საცდელი ამოხვევა სრული წარმატებით დამთავრდა და ამოხვეული აბრეშუმის ნაწილი ფინანსთა მინისტრს გაუგზავნეს[2]. 1826 წელს კასტელას დაუმტკიცეს პრივილეგიები. იგი შემდეგში გამოიხატებოდა: 1. აბრეშუმის ამოხვევა და ძახვა კასტელას მანქანებით უნდა ეწარმოებინათ, მისთვის ცნობილი ხერხით, 2. ადგილობრივ მცხოვრებთ არ ჰქონდათ უფლება ასეთი მანქანებით ამოესვიათ აბრეშუმი და ეწარმოებინათ ძახვა კასტელასა და დიდლოს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე, 3. მცხოვრებთათვის უფლება მიეცათ აბრეშუმის პარკი, რომელიც მათ ხაზინაში უნდა შეეტანათ გადასახადის სახით, კასტელასათვის მიეყიდათ სახელმწიფო ფასში, 4. მთავრობას ხელი უნდა შეეწყო მათთვის აბრეშუმის პარკის შეძენაში[3]. ამავე დროს კასტელამ დაითანხმა მთავრობა, რუსეთში მყოფი პატიმარი ქალების შრომა გამოეყენებინა თავის საწარმოში[4].

პრივილეგიების დამტკიცების შემდეგ იმპერატორ ნიკოლოზ 1-ის 1827 წლის 29 იანვრის ბრძანებით კასტელას მიეცა სესხი 30.000 მანეთი[5]. კასტელას ნება დართეს ესარგებლა პირველი გილდიის ვაჭრის უფლებით საგილდიო გადასახადების გაუღებლად[6]. კასტელასათვის უნდა მიეცათ აგრეთვე ამიერკავკასიის სხვადასხვა პროვინციებში 2.000 დესეტინა მიწა, რომელსაც თვით აირჩევდა; ამ მიწებზე მას უნდა გაეშენებინა თუთის ხის პლანტაციები და დაესახლებინა ევროპელი მეაბრეშუმე-სპეციალისტები.

1827 წლის 22 აპრილს, კასტელამ და მისმა მეგობრებმა დიდლომ და გერნოზანტიმ, კონტაქტი დასდეს პოლკოვნიკ თავად გოლიცინთან, რომლის თანახმად გოლიცინი „ამხანაგობაში“ შევიდა და კასტელამ მისგან მიიღო 135571 მანეთი და 18 ყმა, მუშახელი. დიდლომ და გერნოზანტიმ 1827 წლის 1 იანვრიდან კასტელას დაუთმეს მთელი ქონება, რაც კი მათ თბილისში გააჩნდათ: მანქანები, ინსტრუმენტები, სართავი დაზგები, სხვადასხვა საქონელი და ნივთები. თვით კასტელამ ვალდებულება იკისრა ამ საწარმოო ამხანაგობაში შეეტანა 80.000 მანეთი და აბრეშუმის პარკები, რომლე-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 18. оп. 2, д. 395, ч. I, л. 45.
[2] იქვე.
[3] Акты, т. VI, ч. I, გვ. 271.
[4] Акты, т. VII, გვ. 3, 7.
[5] ЦГИАЛ, ф. 18. оп. 2, д. 396, ч. II, л. 2.
[6] იქვე.

ბიც მთავრობას მისთვის უნდა მიეცა. სულ, კასტელამ ხაზინიდან, თავად გოლიცინისაგან, დიდლოსაგან, გერნოზანტისაგან და მაიორ ვენიერისაგან მიიღო 242339 მან.[1]

ამ საფუძველზე კასტელა შეუდგა ფაბრიკის ნაგებობათა აგებას. 1828 წელს მან მოაწყო დროებითი, განცალკევებული აბრეშუმსახვევი საწარმო მოსაწყობი ფაბრიკის მახლობლად; შიგ დადგა აბრეშუმის საძახავი ხელწისქვილი. ამ საძახავ მანქანაზე წარმოებდა მუშაობა კასტელას სიკვდილამდე. კასტელას განზრახული ჰქონდა აბრეშუმსახვევი ფაბრიკა მოეწყო აგრეთვე ნუხის პროვინციაში და იმერეთში. იმერეთში ეს ფაბრიკა კულაშში უნდა აგებულიყო[2]. ფაბრიკაში უნდა დაედგათ 160 დაზგა, რომლებიც მოძრაობაში უნდა მოეყვანა ორთქლის მანქანას[3]. კასტელამ იქ ჩაიტანა 3 დაზგა, ბოზიდა დაფები, მორები და სხვ.[4] კასტელამ ითხოვა 40000 მანეთი ასიგნაცია (10000 მან. ვერცხლით) კულაშში აბრეშუმსახვევი ფაბრიკის ასაგებად. მაგრამ მთავრობამ ეჭვიანობით ამაზე თავი შეიკავა და კასტელას სესხზე უარი უთხრა.

1828 წლის სექტემბრისათვის „ფაბრიკის“ მოწყობა თბილისში თითქმის ძირითადად დამთავრებული იყო. ფაბრიკა შეიცავდა 12 ფლიგელს, რომლებიც სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყვნენ განკუთვნილნი[5]. რაც შეეხება პატიმარ ქალთა საბლის აგებას, იგი იმავე წლის დეკემბერში უნდა დამთავრებულიყო, სადაც შესაძლებელი იქნებოდა 400-მდე პატიმარი ქალის მოთავსება[6]. ამიტომ კასტელამ მოითხოვა პატიმარი ქალები საქართველოში 1828 წლის ნოემბერში გამოეგზავნათ. 1828 წელს, ფაბრიკის ამუშავების დროისათვის კასტელას მოგროვილი ჰქონდა 600 ფუთი აბრეშუმის პარკი[7]. 1829 წლის აგვისტოში მოხდა საცდელი ამოხვევა ახლად მოწყობილ ფაბრიკაში, მაგრამ ამავე თვეში კასტელა მძიმე ავად შეიქნა, ხოლო იმავე წლის 16 ნოემბერს იგი გარდაიცვალა. სწორედ ამ დროს ფაბრიკა ის-ის იყო უნდა ამუშავებულიყო.

ამის შემდეგ მთავრობამ თბილისის აბრეშუმსახვევი საწარმოს ხელმძღვანელობა კასტელას მთავარ კომპანიონს თავად გოლიცინს შესთავაზა, რადგან კასტელამ ყველაზე უფრო დიდი თანხა მისგან მიიღო. ამიტომ ბუნებრივია, იგი ყველაზე მეტად იქნებოდა დაინტე-

---

[1] Акты, т. VII, гл. 169.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 8887, ფურც. 153, 173.
[3] იქვე, ფურც 175—176.
[4] საქ. ცსსა, ფონდი გან. მნიშ. საქ., საქმე 52, ფურც. 27.
[5] ЦГИАЛ, ф. 18, оп. 2, д. 397, ч. III, л. 7.
[6] Акты, т. VII, гл. 3.
[7] ЦГИАЛ, ф. 18, оп. 2, д. 396, ч. II, л. 196.

ოესებული საწარმოს წარმატებით, რათა გაღებული ფული მისგან ამოეღო. გოლიცინმა მიიღო წინადადება. მაგრამ ფაბრიკის საბოლოო მოწყობისათვის და მანქანების დადგმისათვის იგი ითხოვდა 224.000 მანეთს[1].

კასტელას კომპანიონებმა დიდლომ და გერნოზანტიმ თავის მხრივ წარადგინეს გეგმა საწარმოს მუშაობის შესახებ, მაგრამ ესენიც ითხოვდნენ ხაზინისაგან ფულს — 200.000 მანეთს[2]. ფინანსთა მინისტრმა როგორც გოლიცინის წინადადება, ასევე დიდლოსა და გერნოზანტის უარყო და საქართველოს მთავარმართებლისადმი გაგზავნილ მიმართვაში მოითხოვა ფაბრიკა მთლიანად გადასულიყო ხაზინის ხელში[3].

კასტელას ფაბრიკაში იმყოფებოდა გოლიცინის ყმები — 18 სული[4]. თვით გოლიცინი თბილისში ჩამოვიდა 1829 წელს, დაათვალიერა ფაბრიკა, წარადგინა თავისი გეგმა, რომელიც არ დაუმტკიცეს[5]. ამის გამო ყმები მას უკან წაუყვანია, რადგან ფაბრიკაში ისინი ამის შემდეგ არ ჩანან.

ფაბრიკა სახაზინო წარმოებად იქცა[6]. შეიქმნა „საფაბრიკო კომიტეტი", რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია საწარმოს მუშაობისათვის. დაზგების რიცხვი, რომელიც კასტელას დროს საწარმოში 12 შეადგენდა გაზრდილი იქნა 40-მდე, რადგან 12 დაზგა ვერ შეძლებდა კასტელას მიერ დაგროვილი 600 ფუთი პარკი აბრეშუმის გადამუშავებას. საწარმოს ტექნიკური მხარის მოწყობის შემდეგ დაქირავეს სათანადო მუშახელი და შეუდგნენ წარმოებას.

ფაბრიკა აამუშავეს 1828 წლის 21 დეკემბრიდან და მუშაობა გაგრძელდა მთელი ზამთრის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში აბრეშუმის დამუშავება წარმოებდა მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებული მუშებისა და ოსტატების საშუალებით. როგორც კასტელას დროს, რომელიც აბრეშუმის დამუშავებას დაქირავებული მუშებითა და ოსტატებით აწარმოებდა ცალკე მოწყობილ აბრეშუმსახვევ საწარმოში, ასევე მის შემდეგაც ამუშავებულ მთავარ „ფაბრიკაში" აბრეშუმის წარმოება შრომის სისტემატურ დანაწილებაზე იყო დამყარებული: „ნედლი პარკის შერჩევა, მოხარშვა, ამოხვევა, ამოხვეული ძაფის გაშრობა და დახარისხება, რთვა, ნართის დახვეწა და

---

[1] ЦГИАЛ. ф. 18, оп. 2, д. 398, ч. IV, л. 89.
[2] იქვე. ფურც. 91.
[3] იქვე. ფურც. 103.
[4] ЦГИАЛ, ф. 18, оп. 2, д. 397, ч. III, лл. 7, 134;
ЦГИАЛ, ф. 18, оп. 2, д. 399, ч. V.
ЦГИАЛ, ф. 18, оп. 2, д. 398—399.

ფახარისხება — ცალ-ცალკე. ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ოპერაციის სახით იწარმოებოდა"[1]. ფაბრიკაში იდგა გაუმჯობესებული დაზგები და ინსტრუმენტები, რომლებიც მოძრაობაში მოჰყავდათ მუშებს. ფაბრიკაში ამზადებდნენ ორგანზინს (ქსელი), ტრამას (ძისაქსელი ძაფი), საკერავ ძაფს და სხვ. ღამზადებული საქონელს მოსკოვში ასაღებდნენ: ამვავარად, კასტელას ფაბრიკა სახაზინო მანუფაქტურული საწარმოო დაწესებულება იყო, სადაც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას, მუშაობა ხელით წარმოებდა და გატარებული იყო შრომის სისტემატური დანაწილება.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კასტელას სიკვდილის შემდეგ ფაბრიკის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა „საფაბრიკო კომიტეტი" (იარსება 1834 წლამდე), ხოლო ფაბრიკის მმართველად ამ დროიდან 1831 წლამდე იყო ბარონ უნგერნ-შტერნბერგი. საწარმოს მეთვალყურე კი მის დროს ემერიხი იყო. 1831 წლიდან 1834 წლამდე საწარმოს მმართველი იყო კოლეგსკი ასესორი ზუბარიოვი, საწარმოში მეთვალყურედ კი ფრანგი შერო. საწარმოში დატოვეს ძველი ოსტატები და მუშები, რომლებიც კასტელას სიცოცხლეში აწარმოებდნენ აბრეშუმის დამუშავებას ცალკე მოწყობილ აბრეშუმსახვევ პატარა საწარმოში. 1829 წლის მარტამდე აბრეშუმის ამომხვევნი და დაზგების მოძრაობაში მომყვანი სულ ქართველები იყვნენ — ნებითდაქირავებული მუშები. რთვას (გრეხას, გაორფებას, ძახვას) კი უცხოელი ოსტატები გლიაზალი და დიუფური აწარმოებდნენ. სართავი (საძახავი) დაზგები მოძრაობაში 2 ქართველს მოჰყავდა. 1829 წლის იანვარ-თებერვალში ფაბრიკაში 23 ნებითდაქირავებულ ქართველს ვხედავთ, რომელთაგან 11 კაცი ამომხვევი იყო. დანარჩენნი კი დაზგებს ატრიალებდნენ. აბრეშუმის თითოეულ ამომხვევს თვეში აძლევდნენ 10 მანეთს, ხოლო დაზგის დამტრიალებელს (მოძრაობაში მომყვანს) 8 მანეთს[2]; სართავი (საძახავი) დაზგის მოძრაობაში მომყვანს თვეში აძლევდნენ 12 მანეთს[3], მრთველებს (მძახავებს) გლიაზალსა და დიუფურს გაცილებით მეტი ეძლეოდათ. ოსტატი გლიაზალი საწარმოში მთელ მის ოჯახს ამუშავებდა და თვეში ღებულობდა 155 მან. და 50 კაპიკს; სოფიო დიუფური კი 31 მანეთსა და 50 კაპიკს.

1829 წლის მარტიდან ზემოთ აღნიშნული ოსტატებისა და მუ-

---

[1] ᲐᲛ. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ — კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბილისი, 1940, გვ. 220.

[2] საქ. ცსსა, ფონდი გან. 36. საქ. საქმე 55, ფურც. 210.

[3] ᲘᲥᲔᲕ.

შების გეერდით ჩვენ ვხედავთ თურქ სამხედრო ტყვეებს. ამ თვიდან იწყება თურქი სამხედრო ტყვეების მოყვანა ფაბრიკაში. მათი რიცხვი თანდათან მატულობდა და ბოლოს 51 კაცამდე ავიდა. სამხედრო ტყვეებს იყენებდნენ შეშის საჭრელად და დასაპობად, პარკების დახარისხებისათვის და მანქანების მოძრაობაში მოსაყვანად. ბოლო ხანებში მათ აბრეშუმის ამოხვევაც ისწავლეს და 10-მდე კაცს ამ საქმეზე იყენებდნენ. მათ საშუალოდ თვეში აძლევდნენ 5 მანეთს. თურქი სამხედრო ტყვეების გამოყენება ფაბრიკაში გაგრძელდა 1829 წლის 21 ნოემბრამდე, რის შემდეგ ისინი სამშობლოში გაუშვეს. ამიერიდან საწარმოში მუშაობა კვლავ გადადის მთლიანად ნებითდაქირავებულ შრომაზე. ფაბრიკაში ჰყავდათ მოწაფეები (შეგირდები), რათა მათ აბრეშუმის წარმოება შეესწავლათ.

საინტერესოა, რა და რამდენი ღირებულების პროდუქცია გამოუშვა ფაბრიკამ ამუშავების დროიდან (1828 წლის 21 დეკემბრიდან) გარკვეულ დრომდე, და რა დაჯდა იგი. 1828 წლის 21 დეკემბრიდან 1829 წლის 21 აგვისტომდე ამოხვეული იყო 153 ფუთი პარკი. აქედან პირველ და მეორე საყაჭეში ამოახვიეს 16 ფუთი და 2 გირვანქა. დართული იქნა: ორგანზინი 4 ფუთი და 18 გირვანქა, ტრამა — 6 გირვანქა, საკერავი ძაფი — 14 გირვანქა[1].

1828 წლის 21 დეკემბრიდან 1829 წლის 19 ივნისამდე გამომუშავებული აბრეშუმი დაჯდა:

პირველ საყაჭეში I გირვანქა				
აბრეშუმის ამოხვევა		14	მან.	39,2 კაპ.
მეორე საყაჭეში	„	5		58,2 „
დართეა დაჯდა: 1 გირ. ორგანზინი		13	მან.	75,8 კაპ.
ტრამა		11		32
საკერავი ძაფი		3	„	62
გირვანქა ორგანზინი ღირდა	28	მან.	15	კაპ.
ტრამა	25	„	71,2	„
„ საკერავი ძაფი „	9	„	20,2	„

ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ფაბრიკის რენტაბელობაზე, მოვიყვანთ შემდეგ ცნობებს; 1828 წლის 21 დეკემბრიდან 1829 წლის 6 ნოემბრამდე ფაბრიკაზე დაიხარჯა:

ნებითდაქირავებულ ამომხვევთათვის	1284 მან.
მანქანების მოძრაობაში მომყვან ნებითდაქირავებულებზე	304 მან:

[1] საქ. ცსსა, ფონდი გმს, საქ. 52, ფურც. 96—97.

თურქ სამხედრო ტყვეებზე	2142 მან. 80 კაპ.
შეშისათვის	2899 მან. 80 კაპ.
ნებითდაქირავებული მუშებისათვის, რომლებიც ამოძრავებდნენ სართავ დაზგებს	51 მან. 20 კაპ.
ფლიგელის მოწყობისათვის,	
საძახავი ხელწისქვილისა და	
სხვათა შეკეთებისათვის	2473 მან. 40 კაპ.
მრთველი ოსტატისათვის	1707 მან. 75 კაპ.
და სხვა საჭიროებისათვის სულ	13865 მან. 93 კაპ.[1]

ამ ხნის მანძილზე ფაბრიკამ გამოიმუშავა ორგანზინი, ტრამა, საკერავი ძაფი, ფრიზონი და სხვა, სულ 5163 მანეთის პროდუქცია[2].

ზემოთ მოყვანილი ციფრობრივი მონაცემები ნათლად გვიჩვენებს რომ ფაბრიკამ მუშაობის დაწყებიდან თითქმის ერთი წლის მანძილზე, გაცილებით მეტი ხარჯი მოითხოვა, ვიდრე პროდუქცია გამოიმუშავა. ახალი ფლიგელის მოწყობაზე დახარჯული თანხის გამოკლებით, საწარმოს მუშაობაზე თითქმის 2-ჯერ მეტი დაიხარჯა მის მიერ გამომუშავებულ პროდუქციის ღირებულებასთან შედარებით.

ხარჯების შემცირების მიზნით საფაბრიკო კომიტეტმა განიზრახა გამოეყენებინა არათავისუფალი შრომა. როგორც ვიცით, ჯერ კიდევ კასტელა ფიქრობდა პატიმარ ქალთა მუქთი შრომის გამოყენებას საწარმოში, რაზედაც მთავრობა დაითანხმა კიდეც. ფაბრიკის მუშაობაზე გაღებულმა ხარჯებმა კიდევ უფრო დაარწმუნა საფაბრიკო კომიტეტი მის საჭიროებაში. ამ მხრივ, როგორც ვიცით, კასტელას სიცოცხლეშივე სათანადო ნაბიჯები იქნა გადადგმული: თბილისში აშენდა პატიმარ მუშა-ქალთა სახლი, სადაც 400-მდე სული მოთავსდებოდა და შეუდგნენ პატიმარი ქალების გამოგზავნას. 1831 წლის 21 თებერვალს მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა, რომ ქალები და გოგონები, რომლებსაც სასამართლო მიუსჯის ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობას, ციმბირის ნაცვლად გაიგზავნონ თბილისში, პირველად 200-მდე სული, ხოლო თუ საჭირო იქნებოდა ეს რიცხვი 400-მდე გაეზარდათ. თბილისში, მუშათა სახლში, პატიმარი ქალები უნდა გამოეგზავნათ მახლობელი გუბერნიებიდან: დონისა და შავი

[1] საქ. ცსსა, ფონდი 3მს., საქმე 56, ფურც. 56.
[2] იქვე, ფურც. 56—57.

ზღვისპირეთის კაზაკთა მიწიდან, კავკასიის ოლქიდან და მალოროსიიდან, ნოვოროსიის. ვორონეჟის, ტამბოვის, ასტრახანის, სარატოვის, სლობოდსკი-უკრაინისა და კურსკის გუბერნიებიდან[1]. ხელფასი პატიმარ მუშა ქალებს ფაბრიკიდან უნდა მიეღოთ[2]. ამ დადგენილების საფუძველზე დაიწყო პატიმარი ქალების გამოგზავნა საქართველოში.

1829 წლის 21 ნოემბრიდან, როდესაც თურქი სამხედრო ტყვეები ფაბრიკიდან დაითხოვეს, 1832 წლის მარტამდე საწარმოში მუშაობა მთლიანად დაქირავებული მუშებით და შეგირდებით წარმოებდა. ჩვენ ხელთ გვაქვს ფაბრიკის მუშაობის თითქმის ყველა წლის უწყისი და აღნიშნული მონაკვეთის დოკუმენტები, რომლებიც ნათლად მოწმობენ ამას. 1831 წელს სომეხი მოსახლეობის შემოწმებისათვის, ამიერკავკასიაში გამოაგზავნეს სტატსკი სოვეტნიკი ფონ კრონეკი[3]. მას დაუთვალიერებია და ბარათი შეუდგენია კასტელას ფაბრიკაზე. წარმოებაში ჩაბმულ მუშა-ხელზე იგი წერს, რომ ფაბრიკაში „მუშები და მუშა ქალები იყვნენ ფრანგები და ქართველები, მაგრამ უფრო მეტად უკანასკნელნი"[4], ე. ი. უმრავლესობა საწარმოში ნებითდაქირავებული ქართველები იყვნენ.

1832 წლის მარტიდან კი ფაბრიკაში ვხედავთ პატიმარ ქალებს. ამ თვეში საწარმოში 6 პატიმარი ქალი იყო, რომელთაც თითოეულს დღეში 15 კაპიკს აძლევდნენ. მათი რიცხვი ყოველ თვე იზრდებოდა და ამ წლის ბოლოს იგი 40-მდე ავიდა, ხოლო 1833 წლის ბოლოს ფაბრიკაში 88 პატიმარი ქალი იყო. მათ უნდა დაეხარისხებინათ პარკი და ამოეხვიათ აბრეშუმი.

მთავარმართებელმა ბარონ როზენმა (1831—1837 წწ.), 1834 წელს გააუქმა თბილისის აბრეშუმსახვევი საიმპერატორო ფაბრიკის „საფაბრიკო კომიტეტი" და ამავე წლის 10 აპრილიდან საწარმოს მმართველად (გამგედ) დანიშნა ფრანგი ტესერი, რომელიც 1837 წლამდე განაგებდა მას. ერთი წლით ადრე, 1833 წელს, ნადვორნი სოვეტნიკმა ავსოვიმ, ბარონ როზენის დავალებით შეადგინა „ეაჭარ კასტელას მიერ დაწყებული თბილისის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის აღდგენის პროექტი"[5], სადაც ავტორი, საყურადღებო აზრს გამოთქვამდა ფაბრიკაში თავისუფალი და არათავისუფალი შრომის გამოყენებაზე და იძლეოდა მის შეფასებას. მისი აზრით, აბრეშუმის ევროპული წესით დამუშავებისათვის საჭირო იყო საწარმოში უცხოელი

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი გმს, საქმე 56, ფურც. 245.
[2] იქვე.
[3] ЦГИАЛ. ф. 18, оп. 2, д. 400, ч. VI, л. 118.
[4] იქვე.
[5] საქ. ცსსა, ფონდი გმს., საქმე 58.

ოსტატების ყოფნა, ხოლო მუშები და მუშა ქალები უნდა მოეყვანათ პეტერბურგისა და მოსკოვის „საღმზრდელო სახლებიდან“. ამიერკავკასიის მცხოვრებთაგან კი შეიძლება დავიქირაოთ მამაკაცები, ხოლო ქალების დაქირავება შეუძლებელია აზიური ადათის მისედვით. რომლითაც ქალებს ეკრძალებათ ასეთ დაწესებულებებში მამაკაცებთან მუშაობა. რაც შეეხება პატიმარი ქალების იაფი შრომის გამოყენებას, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ, ავტორი უარყოფს მის რაიმე სარგებლობას: „Употребление к работам на фабрике преступных женщин, присылаемых сюда из России вместо ссылки в Сибирь, не представляет удобства ибо не говоря уже о том, что женщины сии кончили гражданскую жизнь и следовательно нельзя предположить в них желании приобретать новые сведения, а если бы и допустить его, то оно не может принести пользы в отношении к распространению чрез них искусства, многие из них слишком стары, имеют дурное зрение, слабы здоровием и большею частью развратного поведения, которое может послужить гибельным примером для прочих“[1]. იგი მოითხოვდა ფაბრიკაში მყოფი პატიმარ ქალთა ნაწილის დათხოვნას (როგორც წარმოებისათვის უვარგისების) და მათი ადგილზე ახალი შეწყვეტას. მიუხედავად ასეთი მოსაზრებისა, არათავისუფალი შრომა ფაბრიკაში ფართოდ იქნა გამოყენებული.

მაგრამ მალე ცხადი შეიქნა, რომ პატიმარი ქალები წარმოების არცოდნის გამო არ შეიძლებოდა გამოეყენებინათ წარმოების მთავარი ოპერაციებისათვის — ამოხვევისა და რთვისათვის. თანაც ისინი გულგრილად ეკიდებოდნენ საქმეს და არ აინტერესებდათ აბრეშუმის წარმოება შეესწავლათ. ფაბრიკის გამგე ტესერი მალე დაარწმუნდა ამაში და მათ მეორეხარისხოვან, არაკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებინებდა, ხოლო აბრეშუმის წარმოების ძირითად ოპერაციებს ამოხვევასა და რთვას მეტწილად დაქირავებული მუშები და ოსტატები ასრულებდნენ. ფაბრიკაში 100-ზე მეტი პატიმარი ქალი ირიცხებოდა. პატიმარ ქალებს თითოეულს დღეში აძლევდნენ 15 კაპიკს[2]. წარმოებაში ქალების მხრივ ხშირად ადგილი ჰქონდა დაუდევრობასა და თავხედობას. დასჯის მიზნით, ქალები გამომუშავებულ აბრეშუმს მტკვარში უყრიდნენ ერთმანეთს[3]. მიუხედავად იმისა, რომ მათ ადმინისტრაცია ხასტიკად სჯიდა, მაინც ხშირი იყო ასეთი შემთხვევები, რაც დიდ დანაკლისს იწვევდა. ფაბრიკის ნორმალური მუშაობის დროს მასში მუშაობდა 45 პატიმარ ქალამ-

---

[1] იქვე. ფურც. 32.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 272, საქმე 5, ფურც. 4.
[3] საქ. ცსსა,ფონდი 272, საქმე 8.

დე, ყაზარმაში კი უქმად იჯდა 55-60 ქალამდე, რომელთა შენახვა ფაბრიკას აწვა. ხშირად ყაზარმაში უქმად მყოფი ქალების შენახვა ფაბრიკას თვეში უჯდებოდა 300-400 მანეთზე მეტი. ასე მაგალითად, 1835 წლის ივნისის თვეში საწარმოში მუშაობდა 10 ქალი. 86 კი ყაზარმაში იჯდა უქმად მთელი თვე, რომელთა შენახვა საწარმოს დაუჯდა 387 მანეთი. ივლისის თვეში აბრეშუმის ამოხვევაზე მუშაობდა 8 ქალი, ყაზარმაში კი იჯდა 96, რომელთა შენახვა საწარმოს დაუჯდა 446 მანეთი[1]. 1836 წ. თებერვალში წარმოებაში მუშაობდა 45 ქალი, ყაზარმაში კი უქმად იჯდა 60. ასევე იყო მარტში, ხოლო ივნისში წარმოებაში მუშაობდა 13, ყაზარმაში კი უქმად იჯდა 91 ქალი[2]. ტესერს წარმოების ზარალის ძირითად მიზეზად პატიმარი ქალების უქმად ყოფნა მიაჩნდა: „Очевидно, что со времени нового управления фабрикой количество выработанного шелку уменшило потери казны в $\frac{2}{3}$ и даже более, и если бы не возлагалось в обязанность фабрики содержать женщин, совершенно для оной безполезных, то убытки бы совершенно и исчезли“.[3]

ხშირად წარმოება შეჩერებული იყო ნედლეულის უქონლობისა და ინსტრუმენტების რემონტის გამო. საწარმო ღებულობდა ცუდი ხარისხის ნედლეულს, რადგან მოსახლეობა დაინტერესებული არ იყო გადასახადი აბრეშუმზე („მეათედი“) კარგი ნედლეულით (პარკებით) დაეფარა. თანაც ფაბრიკაში მის დამუშავებას ხშირად აწარმოებდნენ ცუდად, რის გამო დანაკლისი დიდი იყო, ხოლო მიღებული პროდუქცია დაბალი ხარისხისა. ამიტომ მოსკოვის ბაზარზე ფასიც შედარებით დაბალი ჰქონდა. ფაბრიკის პროდუქცია უწყისებში მოცემულია ცალკეული თვეებით, აქ ჩვენ მას მოვიყვანთ წლების მიხედვით. ტესერის მმართველობის დროს ფაბრიკაში გამოიმუშავა პროდუქცია:

წლები	პროდუქცია (ნართი)	
	ფუთი	გირვანქა
1834	33	26[4]
1835	38	2[5]
1836	40	37[6]
1837	51	30[7]

[1] იქვე.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 272, საქმე 11.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 272, საქმე 5, ფურც. 8.
[4] იქვე, ფურც. 8—19.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 272, საქმე 8, ფურც. 1—37.
[6] საქ. ცსსა, ფონდი 272, საქმე 11, ფურც. 1—33.
[7] საქ. ცსსა, ფონდი 272, საქმე 12, ფურც. 2—31.

ფაბრიკის მიერ გამომუშავებული პროდუქცია (ნართი) შედგებოდა ქსელის, მისაქსელისა და საკერავი ძაფისაგან.

ფაბრიკის გამგის — ტესერის ხელმოწერილი უწყისები ნათელ წარმოდგენას იძლევა საწარმოზე, მისი ზარალისა და წარუმატებლობის მიზეზებზე და იმის შესახებ თუ რატომ ვერ ანაზღაურებდა ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქცია ხაზინის მიერ მისი მუშაობისათვის გაღებულ ხარჯებს. ავიღოთ 1834-1837 წლები. ამ წლებში ფაბრიკა შედარებით უკეთ მუშაობდა ვიდრე სხვა წლებში. 1834 წელს ფაბრიკამ გამოიმუშავა 34 ფუთამდე აბრეშუმი (ნართი), ამ წელს კი ხაზინამ ფაბრიკის მუშაობისათვის გაიღო 9.000 მანეთი[1]. ცხადია, გამომუშავებული პროდუქცია (34 ფუთამდე აბრეშუმი) ვერ აანაზღაურებდა მას. 1835 წელს საწარმომ გამოუშვა 38 ფუთი აბრეშუმი, ხაზინამ კი მისი მუშაობისათვის (დაქირავებული მუშაოსტატებისათვის, პატიმარი ქალების შესანახად, შეშისათვის, მანქანებისა და ინსტრუმენტების რემონტისათვის და სხვ.) გაიღო 8.400 მანეთი[2]. მიუხედავად იმისა, რომ ფაბრიკამ წინა წელთან შედარებით მეტი პროდუქცია გამოუშვა და ხაზინისაგან ნაკლები ფული მიიღო, იგი მაინც ვერ აანაზღაურებდა სესხს. 1836 წელს ფაბრიკამ გამოუშვა 28 ფუთამდე ნართი პროდუქცია, ხაზინისაგან კი მიიღო 11.500 მანეთი[3].

1837 წელს ფაბრიკამ გამოუშვა 46 ფუთი ნართი აბრეშუმი. ხაზინამ კი ამ წელს მისი მუშაობისათვის გაიღო 10.000 მან.[4] ასე გაგრძელდა შემდეგ წლებშიც და ხაზინამ არა თუ ამოიღო წარმოებიდან მასზე ადრე გაღებული 62.000 მანეთი, არამედ ფაბრიკის ლაბალიანება ხაზინის მიმართ 100.000 მან. ავიდა.

უწყისიდან კარგად ჩანს წარმოების არარენტაბელობის მიზეზები, რომლებიც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ: ფაბრიკა ხშირად პროვინციებიდან ღებულობდა ცუდ ნედლეულს და ამიტომ დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებდა, გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობა ცოტა იყო. ასეთ დიდ წარმოებას გაცილებით მეტი უნდა მოეცა. პატიმარი ქალები გულგრილად ეკიდებოდნენ საქმეს; ისინი, როგორც არათავისუფალი შრომის წარმომადგენლები, არ სწავლობდნენ აბრეშუმის წარმოებას, ხშირად ტოვებდნენ ფაბრიკას, ქურდობდნენ, მტკვარში ყრიდნენ აბრეშუმს და სხვ. ყოველივე ამის გამო, წარმოებაში დანაკლისი ყოველთვის დიდი იყო; იგი გამომუ-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 4803, ფურც. 5.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.

შავებული პროდუქციის თითქმის ნახევარს შეადგენდა. ყველაზე მეტად ფაბრიკის დავალიანებას პატიმარი ქალების უქმად ყოფნა იწვევდა. ეს იყო წარმოების არარენტაბელობის მთავარი მიზეზი. ფაბრიკის ნორმალური მუშაობის დროსაც კი პატიმარი ქალების უმრავლესობა ყაზარმაში იჯდა უქმად.

დაბოლოს, აღსანიშნავია თვით მეფის მექრთამე მოხელეების ცაუდევრობა და ბოროტმოქმედება. გარდა იმისა, რომ ისინი არაფერს ზრუნავდნენ ფაბრიკის ნორმალურ მუშაობაზე, ხაზინიდან მიღებული ფულის ნაწილს ფლანგავდნენ და ითვისებდნენ. საკმარისია აღინიშნოს თვით ფაბრიკის გამგის, ტესერის საქციელი. მან ნებაყოფლობით იკისრა ფაბრიკის მართვა და 1834 წლის 10 აპრილიდან განაგებდა წარმოებას. მთავარმართებლის ხაზინა ყოველწლიურად აძლევდა ფულს ფაბრიკის საჭიროებისათვის. 1834 წელს ხაზინამ ფაბრიკას მისცა 9.000 მან.[1] 1835 წელს — 8.400 მან. 1836 წელს — 11500 მან. 1837 წელს — 10.000 მან.[2] ამას გარდა ფაბრიკის სხვადასხვა საჭიროებისათვის ხაზინამ 1835—1837 წლებში დამატებით გაიღო კიდევ 830 მან. და 70 კაპ.[3] სულ ხაზინამ 1834—1837 წლებში, 4 წლის მანძილზე, აბრეშუმსასვევი საწარმოს მუშაობისათვის გაიღო 39730 მანეთი[4].

შემოწმების დროს ტესერს არ აღმოაჩნდა ამ ფულის მიღებისა და დახარჯვის ანგარიშები. გამოირკვა, რომ ტესერმა გაანიავა სახაზინო ქონება და ფული თვითონ მიითვისა[5]. იგი ხშირად ხელფასს არ აძლევდა დაქირავებულ მუშებსა და ხელოსნებს რამდენიც ეკუთვნოდათ[6]. იმ საქმეში, სადაც ტესერის ბოროტმოქმედებაა განხილული, აღნიშნულია, რომ მებაღე ზაქარიაშვილი, რომელიც ფაბრიკაში ზეინკლებთან მუშაობდა, არაფერს ღებულობდა; ზეინკალი სააკაშვილი ხელფასს მთლიანად ვერ ღებულობდა, ასევე ექცეოდა პატიმარ ქალებსაც და სხვ.[7] ტესერი მხილებულ იქნა ბოროტმოქმედებაში. მთავარმართებელ გოლოვინის მიერ 1838 წელს იგი მოხსნილ იქნა თანამდებობიდან და მისცეს პასუხისგებაში. თუ რამდენად გულგრილად და უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა ეს მექრთამე მოხელე ამ საქმეს, ჩანს მისი განცხადებიდან, სადაც აღ-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 4803, ფურ. 5.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 5075.
[6] იქვე, ფურ. 99—112.
[7] იქვე.

ნიშნავს, რომ მთავარმართებელმა ბარონ როზენმა იგი პირადი ნდობის საფუძველზე დანიშნა ფაბრიკის მმართველად და რომ „მე არ შევსულვარ სახელმწიფო სამსახურში, არ მიმიღია არავითარი ფიცი“ და ბარონ როზენი მომმართავდა ყოველთვის, როგორც „უცხოელ მრეწველს“, უყურებდა რა ჩემს თანამდებობას, როგორც ჩემს მხრივ კომერციულ წამოწყებასო[1].

1838 წელს მთავარმართებელმა გოლოვინმ, ფაბრიკის მმართველად ემერიხი დანიშნა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ემერიხი შეეცადა შეემცირებინა ფაბრიკის ხარჯები და მოგება მიეღო. ამ მიზნით მან დაიწყო არათავისუფალი შრომის ფართოდ გამოყენება წარმოებაში. პატიმარ ქალებს შეასწავლა აბრეშუმის ამოხვევა, რომელიც აქამდე მეტწილად დაქირავებული მუშების საშუალებით ხდებოდა. თითოეულ დაქირავებულ ამომხვევს თვეში ეძლეოდა 8 მან. ვერცხლით. ემერიხმა, მას შემდეგ რაც ასე თუ ისე შეასწავლა პატიმარ ქალებს აბრეშუმის ამოხვევა, დაქირავებული მუშების მეტი ნაწილი დაითხოვა და მათ სამუშაოს პატიმარ ქალებს ასრულებინებდა. ამავე დროს, იგი ამიერიდან თითოეულ პატიმარ ქალს დღეში 6 კაპიკს აძლევდა, ნაცვლად 15 კაპიკისა, აქამდე რომ ეძლეოდათ[2]. მისი აზრით ფაბრიკის არარენტაბელობის ძირითადი მიზეზი დაქირავებული შრომის ფართო გამოყენება იყო. მის ნაცვლად არათავისუფალი შრომის ფართოდ გამოყენების დროს კი ფაბრიკა ნაკლებ ხარჯებს გაიღებსო[3]. ამავე დროს ემერიხი შეეცადა პატიმარი ქალების ზნე და ყოფაქცევა გამოესწორებინა. იგი იმედს იძლეოდა, რომ საწარმოს წლიურ მოგებას 1000 მანეთამდე აიყვანდა[4], მაგრამ იმედები არ გაუმართლდა.

გასაგებია, რომ პატიმარი ქალები თუკი აქამდე გულგრილად და უხეშად მუშაობდნენ, ამიერიდან კიდევ უფრო უხალისოდ მოჰკიდებდნენ სამუშაოს ხელს, რადგან ემერიხი მათ 2½-ჯერ ნაკლებ ხელფასს აძლევდა (6 კაპიკს 15 კაპიკის ნაცვლად), ვიდრე აქამდე ეძლეოდათ. ცხადი ხდებოდა პატიმარი ქალების მუქთი შრომის გამოყენების უაზრობა. დაქირავებული მუშებისა და ოსტატების მნიშვნელოვანი ნაწილის დათხოვნის შემდეგ წარმოების საქმე უფრო ცუდად წავიდა, რადგან წლების მანძილზე შეძენილი ცოდნით ისინი უკვე ფაბრიკისათვის კვალიფიციურ კადრს შეადგენდნენ. ხარჯების შემცირების მიზნით ემერიხი პატიმარი ქალების

---

[1] იქვე. ფურც. 66.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 6402, ფურც. 4.
[3] იქვე.
[4] იქვე.

რიცხვსაც ამცირებდა, მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს. უნდა ვიფიქროთ, რომ არათავისუფალი შრომის საშუალებით წარმოებული პროდუქცია ემერიხის დროს უფრო დაბალი ხარისხისა იყო, ვინემ წინა წლებში დაქირავებული შრომით მიღებული. თუმცა ემერიხი მის მიერ წარმოებულ აბრეშუმს ხარისხით მაღლა აყენებდა წინა წლებში მიღებულთან[1], მაგრამ ეს სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგან ფაბრიკის ახალი მმართველი მისი წინამორბედის მიერ წარმოებულ აბრეშუმის ხარისხს ყოველთვის იწუნებდა (ასე მოიქცა ტესერიც, რომელმაც მის დროს წარმოებული აბრეშუმი, ხარისხით „საფაბრიკო კომიტეტის" მიერ წარმოებულ აბრეშუმზე მაღლა დააყენა). მაშასადამე, ემერიხის დროსაც საწარმო დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებდა და მოსკოვის ბირჟაზე კვლავ ნაკლებად ფასობდა, მაშინ როდესაც საფრანგეთის აბრეშუმის ფასი მოსკოვის ბირჟაზე თანდათან იზრდებოდა: 1810 წელს ფუთი ღირდა 184 მან., ხოლო 1850 წელს მიაღწია 310 მანეთამდე. კავკასიის აბრეშუმის ფასი კი გაცილებით ნაკლები იყო[2].

1840 წლის დეკემბერში მთავარმართებელმა ემერიხი გაგზავნა მოსკოვში „ევროპული წესით" მიღებული ნართი აბრეშუმის გასაყიდად. მან წაიღო თბილისის, შემახიისა და შირვანის აბრეშუმი. როგორც წინათ, ახლაც კავკასიის აბრეშუმის გასაღება მოსკოვის ბირჟაზე წინააღმდეგობას წააწყდა. ემერიხმა მოსკოვიდან თბილისში აცნობა, რომ მან აბრეშუმის ნაწილი ვერ გაჰყიდა, რადგან დაბალ ფასებს მთავაზობენო[3], ამავე დროს ქართული წარმოების აბრეშუმს კონკურენციას უწევდა მოსკოვში დიდი რაოდენობით შემოტანილი იტალიური აბრეშუმი[4]. მოსკოვში ემერიხმა გაჰყიდა 121 ფუთი აბრეშუმი 9.630 მანეთად, ფუთი აბრეშუმი 80 მანეთად,[5] ე. ი. ევროპის აბრეშუმთან შედარებით გაცილებით ნაკლებად.

წლების მანძილზე ხაზინა ახალ და ახალ სესხს აძლევდა ფაბრიკას და მან არა თუ უკან დაიბრუნა წარმოებისაგან კასტელას სიცოცხლეში გაღებული 62.000 მან., არამედ დახურვის წინ, 40-იანი წლების დასაწყისში ფაბრიკის დავალიანება ხაზინის მიმართ 100.000 მანეთამდე ავიდა[6]; თანაც ამ დროს წარმოების მთელი

---

[1] იქვე. ფურც. 48.
[2] საქ. ცსსა. ფონდი 10. საქმე 4478, ფურც. 9.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 6402, ფურც. 48, 51.
[4] იქვე, ფურც. 56.
[5] იქვე. ფურც. 58.
[6] Акты, т. IX, гз. 55.

მოწყობილობა მოითხოვდა შეკეთებას. ამიტომ, გოლოვინი ფინანსთა მინისტრს სწერდა, რომ ფაბრიკა „ხაზინისათვის გამაჩანაგებელია“-ო და მოითხოვდა წარმოების დახურვას[1]. 1841 წლის 31 იანვარს ასეთივე მიმართვა გაუგზავნა მან სახელმწიფო ქონებათა მინისტრს[2].

მალე ამის შემდეგ, 1841 წლის 8 და 21 ივლისის უმაღლესი ბრძანებებით დაიხურა თბილისის აბრეშუმსახვევი ფაბრიკა[3]. ხოლო მისი შენობები მთავარმართებელ გოლოვინის განკარგულებით სამხედრო ყაზარმებად აქციეს. ფაბრიკის მანქანები და ინსტრუმენტები კი მიჰყიდეს კავკასიის მეაბრეშუმეობის საზოგადოებას, რომელმაც თავის მხრივ ეს მანქანები და იარაღები კერძო პირებს მიჰყიდა.

ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით შევეხეთ ამ ფაბრიკის ისტორიას, აღვნიშნეთ, რომ ეს იყო კაპიტალისტური ტიპის სახაზინო მანუფაქტურა. მართალია, ნედლეულის დამუშავება (ძახვა, რთვა) ხდებოდა მექანიკური დაზგებით, მაგრამ ეს დაზგები მოძრაობაში მოჰყავდა ადამიანებს. დაზგების დასატრიალებლად გამოყენებული არ ყოფილა არც ორთქლის ძალა და არც ცხენძრავა. ამიტომ ეს საწარმო ფაბრიკის ხასიათს არ ატარებდა. შრომის სისტემატური დანაწილება და დაქირავებული შრომის ასევე სისტემატური გამოყენება კაპიტალისტურ ხასიათს აძლევდა წარმოებას. მიუხედავად იძულებითი შრომის წარმომადგენლების — პატიმარი ქალების სიუხვისა ფაბრიკაში. მისი არსებობის მთელ მანძილზე აბრეშუმის წარმოების მთავარი ოპერაციები — ამოხვევა და რთვა, ე. ი. ნ ა მ დ ვ ი ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ა, დაქირავებული მუშებითა და ოსტატებით ხდებოდა.

კაპიტალისტური წარმოების დაწყებისთანავე, დამოკიდებულება კაპიტალისა და წარმოების საშუალებების მფლობელთა და წარმოებაში მომუშავე პერსონალს შორის ანტაგონისტურ ხასიათს ღებულობს. აქაც, თბილისის აბრეშუმსახვევ საწარმოში, დამოკიდებულებამ ფაბრიკის მმართველობასა (გამგე, ზედამხედველი და სხვ.) და დაქირავებულ მუშებსა და პატიმარ ქალებს შორის თავიდანვე არანორმალური ხასიათი მიიღო. ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, უხეში მოპყრობა ადმინისტრაციის მხრივ. დაბალი ხელფასი და მისი თავის დროზე მიუღებლობა მუშების პროტესტებს იწვევდა. თავიანთ უკმაყოფილებას დაქირავებული მუშები, სამუშაოზე დაგვიანებით, მისი გაცდენით და ფაბრიკის დატოვებით გამოხატავდ-

---

[1] იქვე, გვ. 57.
[2] იქვე.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6349, ფურც. 1.

ნენ, ხოლო არათავისუფალი შრომის წარმომადგენლები — პატიმარი ქალები და გოგონები—მუშაობისადმი გულგრილი დამოკიდებულებით, ფაბრიკიდან გაქცევითა და ქურდობით.

1831 წლის ოქტომბერში, წარმოებაში მყოფ დაქირავებულ მუშებს გაფიცვაც კი მოუწყვიათ და ერთობლივად უარი განუცხადებიათ მუშაობაზე, რადგან. მათ ხელფასს თვეების მანძილზე თავის დროზე არ აძლევდნენ. ამის შესახებ ერთ-ერთ საარქივო საქმეში ვკითხულობთ: „Рабочие люди, находящиеся на оной (ფაბრიკაში — დ. გ.), все решительно отказались заниматься работами потому, что в теченіе уже несколько месяцев им следуемое жалованье выдается не в свое время“[1]. აღსანიშნავია, რომ ეს იყო სამრეწველო მუშების პირველი გაფიცვა საქართველოში. ცუდი საწარმოო პირობების გამო, დაქირავებული მუშები და ოსტატები ხშირად ტოვებდნენ ფაბრიკას და ხანდახან მთელი დღეები არ ცხადდებოდნენ სამუშაოზე. ამის აღსაკვეთად ფაბრიკის გამგე ტესერი 1831 წლის ივნისში მოითხოვდა „ჯარიმის“ დაწესებას[2]. რაც შეეხება პატიმარ ქალებს, ისინი ასევე მტრულად იყვნენ განწყობილი ფაბრიკის მმართველობისადმი. ისინი ქურდობდნენ, გარბოდნენ წარმოებიდან და სხვ. ხშირი იყო ფაბრიკიდან პატიმარი ქალების გაქცევის შემთხვევები[3]. პატიმარი ქალი შირკოვა 20-ჯერ გაქცეულა ერთი წლის მანძილზე. ფაბრიკიდან პატიმარი ქალების გაქცევის შემთხვევებმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ემერიჰის დროს. 1839 წლის ივნისში ფაბრიკის გამგე ემერიხი თბილისის პოლიციის გამგეობას თხოვდა მოენახათ და დაებრუნებინათ ფაბრიკიდან გაქცეული პატიმარი ქალები. ასეთი არანორმალური დამოკიდებულება ფაბრიკის მმართველობა-ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურე პერსონალს შორის წარმოების არსებობის მთელ პერიოდში იყო.

კასტელას მიერ წამოწყებული აბრეშუმსახვევი წარმოება დაიხურა, მაგრამ 12 წლის მანძილზე მის მუშაობას ფუჭად არ ჩაუვლია. საქართველოში პირველად ამ ფაბრიკაში წარმოებდა აბრეშუმის ნართის ევროპული წესით მიღება და ბევრი ადგილობრივი მცხოვრები, განსაკუთრებით ქართველები, დაოსტატდა აბრეშუმის ევროპულად ამოხვევის საქმეში.

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 9003, ფურც. 75.
[2] იქვე, ფურც. 6.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 272, საქმე №№ 5, 12, 24, 26.

აბრეშუმსახვევი საწარმოები დასავლეთ საქართველოში

(ზუგდიდის, სებეკას, მარანის, ქუთაისისა და ორპირის აბრეშუმსახვევი საწარმოები)

რუსეთის მთავრობა XIX ს. პირველ ნახევარში რიგ ღონისძიებებს ატარებს ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის. 1836 წელს მისი ნებართვით შეიქმნა „ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და სავაჭრო მრეწველობის გამავრცელებელი საზოგადოება". იგი შექმნა იტალიელმა ვაჭარმა კარლო ტრიბოდინომ. პირველ ხანებში ტრიბოდინო ცდილობდა ასეთი საზოგადოება შეექმნა მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით, მაგრამ შემდეგ ამიერკავკასიით შეიზღუდა. ტრიბოდინოს გარდა „საზოგადოებას" სათავეში ედგნენ რუსეთის მთავრობის დიდი მოხელეები და გავლენიანი პირები: გრაფი ბენკენდორფი, თავადი დოლგორუკოვი, თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი და ჟადოვსკი. მთავრობამ „საზოგადოებას" მიანიჭა მრავალგვარი 30 წლიანი პრივილეგია. მას გადაეცა ნუხის პროვინციაში არსებული თუთის ხის გაშენებული ბაღები სახაზინო გლეხებითურთ — 5 წლით უფასოდ, ხოლო შემდეგი 25 წლის მანძილზე სახაზინო გადასახადით. „საზოგადოებას" ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილას მისცეს 5.000 დესეტინა მიწა, უპირატესობა ჰქონდა სახაზინო ფასებით შეესყიდა ამიერკავკასიაში აბრეშუმის პარკი და მისგან ამოხვეული ძაფი და სხვ. ესოდენ დიდი პრივილეგიების მიღების შემდეგ „საზოგადოება" შეუდგა საქმიანობას: გახსნა თავისი ფაბრიკები ნუხის პროვინციაში და იმერეთში. იმერეთში, სოფ. მარანში გახსნა პატარა საწარმო. „საზოგადოება" იწერდა აბრეშუმის ამოსახვევად გაუმჯობესებულ ხელსაწყოებსა და მანქანებს („გრაფს", „რობინეს" და სხვ.). შემდეგ კი ამ მანქანების ნიმუშის მიხედვით აკეთებდნენ სხვა მრავალ მანქანას და მეაბრეშუმეებს უგზავნიდნენ. ამავე დროს, 40-იან წლებში იმერეთში აბრეშუმის კარგი ჯიშის თესლს წარმატებით ავრცელებდა შემსყიდველი მეაბრეშუმე რაიკო. ასეთ ღონისძიებებს დადებითი შედეგები მოჰქონდა და ინტერესს უღვიძებდა მცხოვრებლებს. „საზოგადოებამ" მუშაობა შეწყვიტა 1865 წელს, რადგან, ჯერ ერთი, 1866 წელს მას 30-წლიანი პრივილეგიის ვადა უთავდებოდა და გარდა ამისა 60-იანი წლების დასაწყისიდან გაჩენილმა აბრეშუმის ჭირმა, რომელიც სწრაფად გავრცელდა მთელს ამიერკავკასიაში, თითქმის მუსრი გაავლო მთელ მეაბრეშუმეობას. საერთოდ, „საზოგადოების" 30-წლიანმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში.

ტბილისის აბრეშუმსახვევი წარმოების დახურვის შემდეგ დასავლეთ საქართველოში მალე გაჩნდნენ მთელი რიგი ასეთივე საწარმოები. პირველად აბრეშუმსახვევი საწარმო აქ მოწყობილ იქნა ზუგდიდში ფრანგი ვაჭრის გრაფ ალფრედ როზმორდიუკის მიერ, რომელიც საქართველოში 1840 წელს ჩამოვიდა თავის სამშობლოდან[1]. ზუგდიდში „ევროპული აბრეშუმსახვევი საწარმო“ მან მოაწყო 1847 წელს. ამ საქმეში მას დიდად დაეხმარა სამეგრელოს მთავარი დადიანი. როზმორდიუკმა საფრანგეთიდან ჩამოიტანა სათანადო მანქანები და ინსტრუმენტები. ამასთან ერთად მან ჩამოიყვანა გამოცდილი ფრანგი ქალები — აბრეშუმის ამოხვევის ოსტატები. იგი სამეგრელოში პირველ ხანებში დიდ დაბრკოლებას წააწყდა მუშა ქალების დაქირავების საქმეში, რადგან იმ დროს დას. საქართველოში, „ერთოდ „ქალთა დაქირავებული შრომა არ არსებობად“[2]. ამიტომ როზმორდიუკმა საფრანგეთიდან გამოიწერა რამდენიმე ფრანგი ქალი[3]. მის მიერ მოწყობილი საწარმო „სანიმუშო“[4] იყო. საწარმოში მოქმედებდა ორთქლის მანქანა[5]. მოწყობიდან 3 წლის შემდეგ წარმოება ამზადებდა წელიწადში 50 ფუთზე მეტ აბრეშუმს[6]. ფუთი აბრეშუმი იყიდებოდა 270-დან 295 მანეთამდე[7]. „საქონელი არაჩვეულებრივი კარგი იყო“; იგი გაჰქონდათ ევროპაში, სადაც წარჩატებით საღდებოდა. მეფის ნაცვალი ვორონცოვი დიდად აფასებდა ზუგდიდის აბრეშუმსახვევ „სანიმუშო წარმოებას“[8]. მალე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაიწყეს ზუგდიდის აბრეშუმსახვევ საწარმოში მუშაობა. 50-იანი წლების დასაწყისში როზმორდიუკს დაქირავებული ჰყავდა 12 ადგილობრივი ქალიშვილი[9]; 60-იანი წლების დასაწყისში კი მის ფაბრიკაში მუშაობდა 30-ზე მეტი დაქირავებული ადგილობრივი ქალიშვილი[10]. აღსანიშნავია, რომ ფრანგი ქალებიდან ზოგიერთნი გათხოვდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებზე[11]. ვორონცოვი იმედს გამოთქვამდა, რომ ეს გარემოება „უეჭველად“ ხელს

---

[1] «Кавказский календарь». 1853. გვ. 313.

[2] ЗКОСХ. 1856 г., кн. 6. გვ. 344.

[3] П. Гугушвили. — Сельское хозяйство и аграрные отношения т. I, Тб. 1937, გვ. 167.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 670.

[6] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Закавказского края, Тиф. 1894, გვ. 306.

[7] იქვე.

[8] П. Гугушвили, Сельск. хоз., გვ. 167.

[9] „Кавказский календарь“, 1853, გვ. 313.

[10] „Кавказ“, 1860, № 54.

[11] П. Гугушвили, Сельск. хоз., გვ. 167.

შეუწყობდა მოსახლეობაში აბრეშუმის ამოხვევის წესის გავრცელებასო[1]. ზუგდიდის საწარმოს აბრეშუმს 1852 წლის მოსკოვის გამოფენაზე ძალიან საპატიო ადგილი ეკავა[2]. ასე წარმატებით მიდიოდა ზუგდიდის აბრეშუმსახვევი საწარმოს საქმე ყირიმის ომამდე. ამ ომის დროს (1853—1855 წწ.) საქართველოში შემოჭრილმა თურქეთის ჯარმა დაწვა ზუგდიდის აბრეშუმსახვევი საწარმო. ომის შემდეგ იგი კვლავ აღდგენილ იქნა, ხოლო 1858 წელს როზმორდიუკმა მეფისნაცვალს სთხოვა 4000 მანეთი სესხი ფაბრიკის გაუმჯობესებისათვის. მეფისნაცვალმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა[3]. წარმოება განახლებულ იქნა, მაგრამ იგი პროდუქციის იმ რაოდენობას ვერ აწარმოებდა, რასაც ყირიმის ომამდე. ჩვენ ხელთ გვაქვს ამ ფაბრიკის 1860 წლის უწყისი. წარმოება შედარებით შემცირებული ჩანს. ამ უწყისით წელიწადში ფაბრიკა უშვებდა 30 ფუთ აბრეშუმს[4]; აქედან 15 ფუთს მაღალი ხარისხისას და 15 ფუთს დაბალი ხარისხის აბრეშუმს. მაღალი ხარისხის ფუთი აბრეშუმი ღირდა 230 მანეთი, ხოლო დაბალი ხარისხის ფუთი აბრეშუმი — 191 მანეთი. ხულ წლიურად წარმოება უშვებდა 6315 მანეთის აბრეშუმს[5]. პროდუქცია ისევ საზღვარგარეთ გაჰქონდათ[6]. ზუგდიდის აბრეშუმს კვლავ მაღალ შეფასებას აძლევდნენ კონსტანტინეპოლსა და საფრანგეთში[7]. უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოთ მოყვანილი უწყისი მხოლოდ 1860 წელს გამომუშავებულ პროდუქციას უნდა აღნიშნავდეს. ისე, ცხადია, გამომუშავებული წლიური პროდუქცია ყოველთვის თანაბარი როდი იქნებოდა. 60-იან წლებში გამომუშავებული პროდუქცია კვლავ მაღალი ხარისხისა იყო. 1863 წლის გამოფენაზე თბილისში, ზუგდიდის აბრეშუმსახვევი საწარმოს გამომუშავებული აბრეშუმის ნიმუში შეტანილი იქნა „ყველაზედ უკეთეს“ აბრეშუმთა რიცხვში. 1864 წლის „გუთნის დედაში“ ამის შესახებ ვკითხულობთ: „ყველაზედ უკეთესი აბრეშუმებში გამოდგა ნიმუში უ. უ. ალექსიევის და ვორონინისა ნუხიდამ, მეორე გრაფის რაზმორდიუკისა და კნიაზი სოლომონ ანდრონიკოვისა. ჩვენ-

---

[1] იქვე.
[2] «Кавказ», 1854, № 60.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 323, ფურც. 5.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 496, ფურც. 85.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] «Кавказ», 1860, № 54.

თვის ამ ორის შრომა უფრო შესანიშნავია. რადგანაც ერთმა იმაოგანმა ცოტას თანხით შემოიტანა ევროპიული ამოხვევა აბრეშუმისა საშეკრელოში და მეორემ კახეთში"[1].

ამიერკავკასიაში, 60-იან წლებში. აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის გავრცელების შემდეგ ამ საწარმოს საქმე კარგად ვერ წავიდა და ნედლეულის კრიზისის შედეგად იგი 1866 წელს დაიხურა.

1850 წელს. ცნობილმა იმერელმა მემამულემ და ბურჟუაზიულმა მეთაოსნემ — ნიკო ჩიჯავაძემ ქუთაისის მაზრაში, სოფ. სებეკში მოაწყო შესანიშნავი აბრეშუმსახვევი „ფაბრიკა"[2]. ეს საწარმო პირველ ხანებში, წლიურად უშვებდა საშუალოდ 1500-მდე მანეთის პროდუქციას[3]. ამოხვეულ ძაფს ყიდდა ქუთაისის გუბერნიაში და საზღვარგარეთ. კონსტანტინეპოლში[4]. მალე მან „სოფლის მეურნეობის საზოგადოებისაგან" შეიძინა რამდენიმე აბრეშუმსახვევი მანქანა და გააუმჯობესა აბრეშუმის ამოხვევა. თავის გლეხებს დაურიგა უკეთესი აბრეშუმის ჭიების თესლი და ძველი, ცუდი ჯიშები მოსპო. თავის მეურნეობაში და საწარმოში აბრეშუმის ევროპული ამოხვევა უკეთ რომ შეესწავლათ. მან თავისთან „მიიწვია" (დაიქირავა) თბილისის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის ყოფილი გამგე, ტიტ. სოვეტ. ემერიხი, რომელმაც თავის მოვალეობა ჩიჯავაძის წინაშე კარგად შეასრულა. ნიკო ჩიჯავაძე ენერგიულად განაგრძობდა თავის აბრეშუმსახვევი საწარმოს სრულყოფას. მაგრამ მას ხელი შეუშალა 1853 წელს დაწყებულმა რუსეთ-თურქეთის ომმა. საომარმა მდგომარეობამ შეწყვიტა წარმოებული პროდუქციის საზღვარგარეთ (კონსტანტინეპოლში) გატანა. ამან გამოიწვია წარმოების შემცირება ომის დაწყებისთანავე[5]. 1854 წელს გამოშვებული პროდუქცია კიდევ უფრო შემცირდა[6], ხოლო 1855 წელს დასავლეთ საქართველოში წარმოებული საომარი მოქმედების შედეგად პროდუქციის მიღება შეწყვეტილ იქნა[7]. ომის დამთავრების შემდეგ ნიკო ჩიჯავაძემ სხვა საწარმოებთან ერთად აღადგინა აბრეშუმსახვევი წარმოებაც. იმერეთში არსებულ აბრეშუმის საწარმოებს შორის ყველაზე უკეთესი ჩიჯავაძისა იყო[8]. ნ. ჩიჯავაძეს მოწყობილი ჰქონდა აგრე-

---

[1] „ეგუნის დედა" 1864 წ., № 2, გვ. 13.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 125, ფურც. 56, 82, 94, 101.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 5, д. 177, л. 36.
[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 8, д. 335, л. 21.
[7] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 6, д. 165, л. 24.
[8] ამ ენერგიულ მეთაოსნეს, როგორც დავინახეთ, აბრეშუმსახვევი წარმოების გარდა თავის მამულში მოწყობილი ჰქონდა კიდევ ბამბისა და თამბაქოს საწარმოები („ფაბრიკები").

თვე მეორე მნიშვნელოვანი აბრეშუმსახვევი საწარმო სოფ. ლაჩინოში (თავის მამულში). როგორც ეს წინა თავში გვაქვს აღნიშნული ამ საწარმოში 20 დაოსტატებული ახალგაზრდა მუშაობდა. წლითიწლობით იზრდებოდა იმერეთში აბრეშუმის წარმოება და მისი გატანა საზღვარგარეთ. გატანილ ნაწარმთა შორის (ბამბა, თამბაქო, ღვინო და სხვ.) მას 50-იან წლებში პირველი ადგილი ეკერა. 1856 წელს, როგორც აღნიშნული გვაქვს, საზღვარგარეთ იმერეთიდან გატანილ იქნა 467.070 მანეთის აბრეშუმი[1]. ამავე დროს 2-ჯერ იქნა გაზრდილი იმერეთის აბრეშუმის ფასი უცხოეთის ბაზრებზე. როგორც ვიცით, მეაბრეშუმეობის ესოდენ განვითარებაში დას. საქართველოში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღოდა ნ. ჩიჯავაძეს[2]. ნ. ჩიჯავაძეს სხვა ნაწარმთა შორის (ბამბა, თამბაქო, კარტოფილი და სსვ.) არაერთხელ წარუდგენია გამოფენებზე აბრეშუმი. მას არაერთხელ მიუღია ჯილდო საუცხოო ნაწარმთათვის. ხოლო 1863 წლის გამოფენაზე, თბილისში, წარმოდგენილი აბრეშუმისა და სხვა ნაწარმთათვის იგი დაჯილდოებულ იქნა ოქროს მედლით[3]. როგორც აღვნიშნეთ ყირიმის ომის შემდეგ ჩიჯავაძემ განაახლა აბრეშუმსახვევი წარმოება. იგი თანდათან აუმჯობესებდა მას. 1860 წელს ამ საწარმომ ბამბისა და თამბაქოს „ფაბრიკებთან" ერთად გამოუშვა 2500 მან. პროდუქცია[4].

როზმორდიუკისა და ჩიჯავაძის შემდეგ მნიშვნელოვანი აბრეშუმსახვევი საწარმო მოაწყო უცხოელმა ვირიანცმა 1858 წელს ცხენის-წყალის შესართავთან, მარანში, მის მიერ ნაყიდ მიწაზე. ამ საწარმოში წელიწადში ღებულობდნენ 20 ფუთ აბრეშუმს[5], აქედან 10 ფუთი უმაღლესი ხარისხისა იყო და ფუთი ღირდა 230 მანეთი, 10 ფუთამდე კი დაბალი ხარისხის და ფუთი ღირდა 191 მანეთი, სულ წლიურად ღებულობდნენ 4210 მანეთის პროდუქციას[6]. ეს ციფრობრივი მონაცემები მხოლოდ 1860 წელს უნდა შეეხებოდეს. აქამდე და შემდეგ წლებში აბრეშუმის პროდუქციის მიღება ამ საწარმოში ალბათ მეტ-ნაკლებად ხდებოდა. გამომუშავებული საქონელი გაჰქონდა საზღვარგარეთ. ნეგოციანტ ვირიანცს განზრახული ჰქონდა გაეფართოებინა და გაეუმჯობესებინა თავისი წარმოება. პირველ რიგში იგი შეეცადა გაე-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 101, л. 163.
[2] აღსანიშნავია, რომ ნ. ჩიჯავაძის მიბაძვით გურიაში ერთ-ერთმა თავადმა მოაწყო აბრეშუმსახვევი. იხ. „Кавказ" 1854, № 60.
[3] ЗКОСХ, 1864 г. გვ. 47.
[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, д. 228, л. 149.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 496, ფურც. 86.
[6] იქვე.

ზარდა იმერეთსა და სამეგრელოში პარკის რაოდენობა და ხარისხი. ამ მიზნით გადაწყვიტა თვით მას გამოეკვება აბრეშუმის ჭიები, რისთვისაც ითხოვა სახაზინო მიწის საკმაოდ დიდი და დაუმუშავებელი სივრცე მარანში, აბრეშუმსახვევი საწარმოს ახლოს, თუთის ხის პლანტაციების გასაშენებლად[1]. ამ საკითხზე მიწერ-მოწერა გაგრძელდა 1862 წლის ოქტომბრამდე. საბოლოოდ მას უარი უთხრეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიცემაზე. თანაც, ვირიანცს 1860 წლიდან არ განუახლებია თხოვნა საერთოდ მიწის მიცემაზე პლანტაციების გასაშენებლად[2]. სწორედ 1860 წლიდან იწყება ამიერკავკასიაში აბრეშუმის ჭირის გავრცელება და შესაძლებელია ამ გარემოებამ ხალისი დაუკარგა ნეგოციანტს და წარმოებაზე ხელი ააღებინა.

იმავე, 1858 წელს, ნიდერლანდიელმა ფრანგმა კარლ დიუფურიმ, ქუთაისში მოაწყო აბრეშუმსახვევი „ფაბრიკა". მან დაიქირავა მუშები და შეასწავლა აბრეშუმის წარმოების საქმე. ქარხნის გამართვა და მუშების სწავლა თითქმის ორი წელი გაგრძელდა. პირველ ხანებში წარმოების საქმე კარგად მიდიოდა. საწარმო წლიურად უშვებდა 7.000 მან. პროდუქციას[3]. წახალისებულმა მეწარმემ განიზრახა წარმოების კიდევ უფრო გაფართოება და გაუმჯობესება. ამ მიზნით მან მთავრობას ფულადი დახმარება თხოვა. 1859 წელს მეფისნაცვალ ბარიატინსკის განკარგულებით მიეცა სესხი 10000 მანეთი[4]. შემდეგ წლებში კვლავ აძლევდნენ მას სესხს, სულ 1859-1864 წლებში სესხად მისცეს 16000 მან.[5] მან წარმოება მნიშვნელოვნად გააფართოვა. მაგრამ ამჯერად, ფართოდ მოწყობილ საწარმოს თავი ვერ გაართვა, მიუხედავად იმისა, რომ იგი აბრეშუმის წარმოების საქმის კარგი მცოდნე ყოფილა. თავი იჩინა საწარმოს არარენტაბელობამ. დიუფური გადაულახავ დაბრკოლებებს წააწყდა. ამის შესახებ „გუთნის დედაში" ვკითხულობთ: „სამწუხარო მდგომარეობა დიუფურის ქარხნისა გვიმტკიცებს იმ ჰაზრსა, რომ საქმის წარმატებისათვის საკმარისი არ არის ზედმიწევნით ცოდნა ხელობისა და პატიოსნება; თუ კაცმა ვერ გამოიანგარიშა ყველა გარემოება, ახლანდელი თუ მომავალი, — თანხა, ხარჯი და შემოსავალი, ვერ შეიტყო რა ზომა და სივრცე მისცეს საქმესა, ზიანის მეტს ვერასა

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 238, საქმე 17.
[2] იქვე, ფურც. 4—6.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 496, ფურც. 89.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 507, ფურც. 20.
[5] იქვე.

ნახავს რაც უნდა გავარჯიშებული იყოს"[1]. „გუთნის დედას" დიუფუ-
რის მარცხის მთავარ მიზეზად ქუთაისში საწარმოს დიდი მოცულო-
ბით მოწყობა მიაჩნია: „უთანხმომ (დიუფურიმ — დ. გ.) მოინდომა
დიდი ქარხნის დადგმა და ათასი თუმნების ხელში ტრიალება"[2]. თა-
ნაც მეწარმე დაბრკოლებას წააწყდა მიღებული ნაწარმი ქუთაისში
გაესაღებინა. ამიტომ მან განიზრახა საწარმო თბილისში გადმოეტანა
და აქვე გაესაღებინა საქონელი. 1864 წელს მართლაც გადმოიტანა
იგი თბილისში, მაგრამ აქაც ვერ იხეირა. ახლა გადაწყვიტა წარმოე-
ბა ნუხაში გადაეტანა, სადაც უშუალო შესყიდვით იაფ ნედლეულს
იშოვიდა და ამგვარად მნიშვნელოვან სარგებლობას ნახავდა. ამის
შესახებ, „გუთნის დედა" გონებამახვილურად შენიშნავდა: „ჩვენის
ჰაზრით ამგვარ მოგზაურობას მაშინ მოეღება ბოლო, როცა უ. დიუ-
ფური იპოვნის იმისთანა ბედნიერ ქვეყანას, სადაც არც მუშა თხოუ-
ლობს ფულს, არც სასლი ქირას, არც მასალა ფასსა და სადაც პური
მუქთია"[3]. მართლაც დიუფურიმ თავისი საწარმოთი სიკვდილამდე
იმოგზაურა. 1864 წელს მან საწარმო თბილისიდან ნუხაში გადაიტა-
ნა, 1865 წელს კი შემახიაში, ხოლო მალე აქედან მან წარმოება
ბაქოში გადაიტანა, სადაც 1872 წელს გარდაიცვალა[4].

1860 წელს უცხოელმა ნეგოციანტმა გოხშტრაზერმა, ორპირში
მოაწყო აბრეშუმსახვევი ფაბრიკა. ფაბრიკის შენობა იყო ფიცრისა,
ნათელი და სუფთა. საწარმოში მოწყობილი იყო: 1) ორთქლის
მანქანა, რომელიც შეერთებული იყო აბრეშუმის გამოსახვევ დაზ-
გებთან. 2) 32 გამოსახვევი დაზგა. 3) 32 ტაშტი პარკების ამოხვე-
ვისათვის. ყოველი ამოსახვევი დაზგის წინ იდგა თითო ტაშტი.
თითოეულ ტაშტს გააჩნდა 3 მილი; აქედან 2 მილი ცხელი და ცივი
წყლის მისაშვებად, ხოლო მესამე მილი მღვრიე წყლის გამოსაშვე-
ბად. 4) 2 გასახურებელი ქვაბი. ქარხანასთან გაკეთებული იყო
წყლის აუზი, საიდანაც წყალი მილებით მიდიოდა ორთქლის მანქა-
ნასთან, ქვაბებთან და ტაშტებთან. ორთქლის მანქანა მოქმედებას
თასმებით გადასცემდა გამოსახვევ დაზგებს. დაზგები, ჩარხები და
სხვა ხელსაწყოები იტალიური იყო, ლითონისაგან გაკეთებული.
ფაბრიკა საერთოდ კარგად იყო მოწყობილი და იგი ჩვენში მიაჩნ-
დათ „მთელს კავკაზიის აქეთ მხარეს ერთი სანუგეშოს სახელოს-
ნო"-დ[5].

---

[1] П. Гугушвили, сельск. хоз. и агр. отн., т. I, გვ. 217.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 507, ფურც. 20—23.
[5] „გუთნის დედა", 1862 წ., № 2, გვ. 10.

ფაბრიკაში გამოყენებული იყო მხოლოდ დაქირავებული შრომა, განსაკუთრებით ქალების. ფაბრიკისათვის ამოარჩევდნენ გარეშეო სოფლებიდან 15-16 წლის გოგონებს[1], რომლებიც გაცილებით ნაზად ახვევდნენ აბრეშუმს ვიდრე კაცები და დედაკაცები. ფაბრიკის ოსტატი ასწავლიდა ახალგაზრდა გოგონებს აბრეშუმის სუფთად გამოხვევას. მათზე დაწესებული იყო სასტიკი ზედამხედველობა, თვეში თითოეულ დაქირავებულ მუშა-ქალს საშუალოდ ეძლეოდა 7-დან 12 მანეთამდე. ახალგაზრდა გოგონები გათხოვებამდის თითქმის ფაბრიკაში რჩებოდნენ.

ფაბრიკაში მთელი დღის მანძილზე გამოსვეულ აბრეშუმს გააშრობდნენ ჩრდილიან ადგილას, შემდეგ დაგრეხდნენ „შულოებად", წესისამებრ შეკერავდნენ და ამის შემდეგ აგზავნიდნენ გასაყიდად. კარგი მუშა-ქალი დღეში ახვევდა 3 გირვანქამდე აბრეშუმს, ახვევდნენ თბილ დროს, აპრილიდან დაწყებული ნოემბრამდე. წლიურად წარმოება ამზადებდა 1000 დან 1500-მდე კილოგრამ აბრეშუმს, რომლისათვისაც ხმარობდნენ 4500 კილოგრამამდე პარკს[2]. გოხშტრაზერი ფაბრიკაში ამუშავებდა იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის აბრეშუმის პარკს.

გოხშტრაზერი მოითხოვდა მეაბრეშუმეობის უფრო გავრცელებასა და განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ოზურგეთის მაზრის მემამულე გიორგი ბებურიშვილმა, 1863 წელს, მეურნეობის გაუმჯობესებისათვის ითხოვა მთავრობისაგან ფული და სხვა ვალდებულებებთან ერთად თავს იდო განევითარებინა მეაბრეშუმეობა, მოეწყო აბრეშუმის ჭიების აღსაზრდელი სახლი, სადაც მიღებულ პარკებს მიყიდდა მხოლოდ ორპირის აბრეშუმსახვევ საწარმოს[3]. ორპირის ფაბრიკაში მიღებული პროდუქცია მაღალი ხარისხისა იყო. ფაბრიკაში მოტანილი გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს აბრეშუმის პარკი „ნუხის აბრეშუმზე უფრო სუფთა და წმინდა"[4] იყო, გამომუშავებულ პროდუქციას ყიდდნენ ევროპაში, მარსელისა და ლიონის ბაზრებზე. წარმოების საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენში აბრეშუმის ჭირი ფართოდ გავრცელდა, რომელმაც თითქმის მუსრი გაავლო მეაბრეშუმეობის საქმეს, ისე როგორც მთელი რიგი აბრეშუმსახვევი საწარმოები, ორპირის ფაბრიკაც დაიხურა.

ზემოთ განხილული აბრეშუმსახვევი სარეწები დას. საქართ-

---

[1] იქვე, გვ. 13.
[2] იქვე.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 238, საქმე 180.
[4] „ჭუთნის დედა", 1862 წ., № 2, გვ. 13.

ველოში უკლებლივ კაპიტალისტურ საწარმოებს შეადგენდნენ, მეტწილად მანუფაქტურული ტიპის კაპიტალისტურ სახელოსნოებს. ზოგ მათგანში, როგორც მაგალითად, ზუგდიდისა და ორპირის საარეწებში მოქმედებდნენ ორთქლის მანქანები. საწარმოებში გატარებული იყო შრომის დანაწილება. მეშალობა წარმოებდა დაქირავებული შრომით. საერთოდ, ამ დროს საქართველოში აბრეშუმის წარმოებაში (განსაკუთრებით მისი ამოხვევის დროს) დაქირავებული შრომა ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ერთ-ერთ საარქივო საქმეში, რომელიც 1847 წლით თარიღდება, აღნიშნულია, რომ სიღნაღისა და თელავის ყველა სოფელში აშენებენ აბრეშუმს, მიღებული პარკების „ამოხვევისათვის" კი „ქირაობენ" „განსაკუთრებულ ოსტატებს" „ადგილობრივ მცხოვრებთაგან". ეს ოსტატები, სოფლიდან სოფელში გადადიან და ახვევენ აბრეშუმს ადგილობრივი ჩვეულების მიხედვით[1]. აღსანიშნავია, რომ დაქირავებული შრომა თანდათან ვითარდებოდა დასავლეთ საქართველოში. თუკი 40-იან წლებში როზმორდიუკი დიდ დაბრკოლებას წააწყდა ქალთა შრომის გამოყენების საქმეში, 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში დაქირავებულ ქალთა შრომა უცხო არ იყო ეხარისათვის. ამის მაგალითია ორპირის აბრეშუმსახვევი საწარმო, სადაც მეტწილად ქალთა შრომა იყო გამოყენებული.

აბრეშუმის საწარმოებში ხდებოდა ნედლეულის ნაწილობრივი გადამუშავება. ნახევარფაბრიკატის (ნართის, ძაფის) მიღება. წარმოებდა ქსოვილების მიღება. ეს რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენდა საერთოდ აბრეშუმის წარმოების განვითარებაზე.

შაქრის წარმოება

(ი. ზუბალაშვილის შაქრის ქარხანა თბილისში)

XIX ს. 30-იან წლებში საქართველოში გამოვიდნენ შაქრის წარმოების დანერგვის მეთაოსნეები. პირველ მეთაოსნეებად გამოვიდნენ ძმები ალექსი და გაბრიელ შადინოვები 1834 წელს, მაგრამ მათ ენერგიულ ცდებს წარმატება არ მოჰყვა[2]. მალე საქართველოში შეიქმნა შაქრის წარმოების მომწყობ-თაოსანთა მეორე, უფრო ძლიერი და გავლენიანი კომპანია იაკობ ზუბალაშვილის მეთაურობით.

ზუბალაშვილები ჯერ კიდევ ადრე სავაჭრო და სამრეწველო ასპარეზზე დაწინაურებულნი და მთელ საქართველოში

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 69.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 2, საქმე 3109.

ამ მხრივ ცნობილნი ყოფილან. ისინი სავაჭროდ დადიოდნენ სპარსეთში, თურქეთში, რუსეთში, ინდოეთსა და სხვაგან. უფრო დაწინაურებულან ისინი ერეკლე II-ის დროს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროს თბილისის ვაჭართა და მოქალაქეთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი სჭერია ივანე ზუბალაშვილს. მისი შვილი იაკობ ზუბალაშვილი (1792—1865 წწ.) XIX საუკუნეში სავაჭრო და სამრეწველო ასპარეზზე ყველაზე უფრო დაწინაურებული კაცი ჩანს[1]. პირველ ხანებში იგი ფართო სავაჭრო ოპერაციებს ეწეოდა საზღვარგარეთთან. საქართველოდან იქ მას გაჰქონდა მატყლი, აბრეშუმი, ბამბა, ბზის ხე. ხილი და სხვა, ხოლო იქედან შემოჰქონდა ფართლეული, შაქარი, ჩაი, ყავა, ძაფეულობა, მინისა და ბროლის ნაკეთობანი და სხვ. XIX საუკუნის 30-იან წლებში ი. ზუბალაშვილთან სავაჭრო საქმიანობაში ვხედავთ ვაჭრებს: ენიბეგოეს, ლორის-მელიქოვს, დავით თამამშევს და სხვ[2]. ამავე დროს ი. ზუბალაშვილი ეწეოდა მოიჯარადრეობას. ყიდულობდა პურსა და ქერს არმიის მომარაგებისათვის, ეწეოდა სხვა საიჯარო საქმეებსაც.

ამავე ხანებში დიდ სავაჭრო ოპერაციებს ეწეოდა იაკობის ძმა, მე-8 კლასის კომისიონერი იაგორ ზუბალაშვილი[3]. მასთან საქმიანობაში ვხედავთ მსხვილ თბილისელ ვაჭარ მირიმანოვს.

საერთოდ, XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ზუბალაშვილები სავაჭრო-კომერციულ ასპარეზზე თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ. ამ გზით მათ დააგროვეს დიდი ფულადი კაპიტალი.

იაკობ ზუბალაშვილმა გაბედულად გადაწყვიტა ეს თანხა მრეწველობაში გამოეყენებინა და წარმოებისათვის მოეკიდა ხელი. მან მიზნად დაისახა მოეწყო შაქრის წარმოება. შაქარზე იმ დროს ამიერკავკასიაში დიდი მოთხოვნილება იყო და როგორც დავინახავთ წლების მანძილზე უცხოეთიდან შემოტანილ საქონელთა შორის პირველი ადგილი ეჭირა.

1837 წელს თბილისის მოქალაქეებმა იაკობ ზუბალაშვილმა, დავით თამამშევმა და დავით ტერ-გუკასოვმა, რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრ კანკრინს წარუდგინეს მოხსენებითი ბარათი, სადაც აღნიშნავდნენ შაქრის ლერწმის პლანტაციების გაშენების შესა-

---

[1] 1824 წელს იაკობ ზუბალაშვილს იმერეთის აზნაურ ქორქაშვილთან და რაჭის აზნაურ ბაქრაძესთან ერთად, მათზე დაკისრებული მოვალეობის (მივლინებულნი იყვნენ იმერეთში დოკუმენტების შესამოწმებლად და ასლების ასაღებად) გულმოდგინედ შესრულებისათვის მე-14 კლასის ჩინი მიუღია (საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1043).

[2] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 2605.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე №№ 2605, 2727, 5116.

ძლებლობას ამიერკავკასიაში და შაქრის ქარხნის მოწყობის დიდ სარგებლობას სახელმწიფოსათვის. შაქრის ქარხნის მოწყობის მიზნით ისინი ითხოვდნენ შემდეგ პრივილეგიებს: 1) ამიერკავკასიის მხარისათვის გამოცემული 1834 წლის დებულების თანახმად მათ გამოუყონ 1000 დესეტინა მიწა კასპიისა და შავი ზღვის მიდამოებში შაქრის ლერწმის პლანტაციების გასაშენებლად. 2) რადგან, ქარხნის მოწყობისა და პლანტაციების გაშენების პირველ წლებში ხარჯები ბევრი ექნებოდათ და შაქრის ლერწმის პლანტაციები ქარხანას საკმარო რაოდენობით ქვიშა-შაქარს ვერ მისცემდა, კომპანიას უფლება უნდა ჰქონოდა უცხოეთიდან შემოტანილ ქვიშა-შაქარზე (ნედლეულზე) ეხადა მხოლოდ 5%-იანი ბაჟი, როგორც ეს 1832 წლამდე იყო.

ფინანსთა მინისტრი იძულებული გახდა ყურადღების ღირსად ეცნო ზუბალაშვილისა და კომპანიის თხოვნა და მან თავისი მოსაზრება ამ საკითხზე მინისტრთა კომიტეტში წარადგინა. მინისტრთა კომიტეტმა მოიწონა კანკრინის მიერ ჩამოყალიბებული პრივილეგიები, რომლებიც კომპანიისათვის უნდა მიეცათ. იგი შემდეგში გამოიხატებოდა: 1) თხოვნის თანახმად, კომპანიისათვის უნდა გამოეყოთ მიწები შაქრის პლანტაციების გასაშენებლად, 2) ნება დაერთოთ ამ ადგილებში მოეწყოთ მათ შაქრის ქარხანა, 3) უცხოეთიდან 3 წლის მანძილზე შემოეზიდათ ქარხანაში გადასამუშავებლად 120.000 ფუთი შაქრის ფხვნილი უბაჟოდ, ხოლო შემდეგი 3 წლის განმავლობაში კვლავ შემოეზიდათ 120.000 ფუთი შაქრის ფხვნილი, ფუთზე არსებული ბაჟის ნახევარის (70 კაპ.) გადახდით, 4) კომპანიას უფლება ეძლეოდა მის ქარხანაში რაფინირებული შაქარი გაეყიდა ამიერკავკასიაში ან საზღვარგარეთ გაეტანა უბაჟოდ. საესებით ეკრძალებოდა გადამუშავებული შაქრის შეტანა რუსეთში, 5) თუ არ გადაამუშავებდა კომპანია შემოზიდულ ქვიშა-შაქარს ქარხანაში, მაშინ შემოზიდულ ქვიშა-შაქარზე გადაახდევინებდნენ მთლიან ევროპულ ტარიფს, ფუთზე 1 მან. და 40 კაპ., 6) კომპანიის თხოვნა, დაეცვათ იგი უცხოელთა მიერ შემოტანილი გადამუშავებული შაქრის (თავი-შაქარი) კონკურენციისაგან, მიუღებლად ჩათვალეს, 7) თუ კომპანია 3 წლის განმავლობაში არ მოაწყობდა ქარხანას, მაშინ უცხოეთიდან ქვიშა-შაქრის შემოტანაზე მიცემული პრივილეგიები უქმდებოდა[1].

1837 წლის 22 ივნისს იმპერატორმა დაამტკიცა ზუბალა-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 9113, ფურც. 52.

შვილისა და კომპანიისათვის მისაცემი პრივილეგიები, ხოლო ამაზე წლის 5 ივლისს იგი გამოუცხადეს კომპანიონებს[1].

თავდაპირველად ზუბალაშვილსა და K° განზრახული ჰქონდათ მოეწყოთ ორი შაქრის ქარხანა კასპიისა და შავი ზღვის მიდამოებში, სადაც მათ უნდა გაეშენებინათ შაქრის პლანტაციები. მაგრამ საქმის დაკვირვებული შესწავლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ორი ქარხნის მოწყობა შეუძლებელი იქნებოდა (ქარხნისათვის საჭირო მასალების შოვნის სიძნელე, მუშებისა და ოსტატების დაქირავების სიძნელე იმ ადგილებში და სხვ.). კომპანიამ არახელსაყრელად სცნო საერთოდ ქარხნის აგება ამ ადგილებში, რადგან თუ მას მოაწყობდნენ შავი ზღვის მიდამოებში, მაშინ ქარხანა ძალიან დაცილებული იქნებოდა კასპიის ზღვის მიდამოებში არსებული პლანტაციისაგან და ნედლეულის მოზიდვა გამოიწვევდა დიდ ხარჯებს. აქიტომ კომპანიამ გადაწყვიტა შაქრის საწარმო მოეწყო თბილისში, რომელიც, მისი აზრით, შუა ადგილი იყო გასაშენებელ შაქრის პლანტაციებს შორის. კომპანიამ ეს გარემოება მალე აცნობა ფინანსთა მინისტრს და ითხოვა ნება დაერთოთ ქარხანა მოეწყოთ თბილისში. პეტერბურგში მათი თხოვნა დააკმაყოფილეს, რის შემდეგ მწარმოებლები შეუდგნენ საქმეს.

შაქრის კომპანიონებმა ქარხნის აგება ირჩიეს დიდუბეში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას, კასტელას აბრეშუმსახვევ ფაბრიკასა და მუშტაიდს შორის. მტკვრის ნაპირთან ქარხნის მოწყობა სავსებით გონივრულად ირჩიეს, რადგან შაქრის ქარხანა უზრუნველყოფილი იქნებოდა წყლით და საწვავი მასალით, შეშით, რომელსაც ისინი იყიდდნენ მტკვრის საშუალებით ჩამოცურებული ტივების სახით. სულ მალე მთელმა ქალაქმა შეიტყო რომ თბილისში შაქრის ქარხანა იხსნებაო.

1837 წლის ნოემბერში ბარონ როზენმა საქართველოს ქალაქების მომწყობ კომიტეტს მიმართა, რომ შაქრის კომპანიისათვის, თხოვნის თანახმად, ქარხნის მოსაწყობად მიეცათ სახაზინო მიწის ნაკვეთი დიდუბეში თბილისის საქალაქო საავადმყოფოსა და ემერიტისათვის გამოყოფილ მიწას შორის[2]. კომპანიას აღნიშნულ ადგილას 1838 წლის დასაწყისში მისცეს მიწის ნაკვეთი[3]. ეს მიწის ნაკვეთი ბართალია გერმანელ კოლონისტებს ეკუთვნოდათ, მაგრამ მას სრულებით არ იყენებდნენ. კომპანია, დრო რომ არ დაეკარგა, მაშინვე

---

[1] იქვე, ფურც. 116—126.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 211, საქმე 42, ფურც. 1.

[3] იქვე, ფურც. 19.

შეუდგა ქარხნის მოწყობას, რადგან ჩამოვიდნენ მათ მიერ გამოწერილი შაქრის წარმოების ოსტატები. მოზიდეს საჭირო მასალა და ჩაყარეს საძირკველი. სწორედ ამ დროს, ქარხნის მშენებლობას სასტიკად წინ აღუდგნენ გერმანელი კოლონისტები, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ ნიკო ფალავანდიშვილისადმი წარდგენილ ბარათში მოითხოვდნენ აღნიშნული მიწის ნაკვეთის უკან დაბრუნებას. რომელსაც თითქოს ძალიან საჭიროებდნენ. კოლონისტები არ ცხრებოდნენ და მთავრობა იძულებული გახდა ქარხნის მოწყობის საქმე შეეჩერებინა[1]. კომპანიამ მთავრობას სთხოვა მიწის ამ ნაკვეთის მაგიერ კოლონისტებისათვის მიეცათ სხვა, სახაზინო მიწის ნაკვეთი, იქვე მახლობლად. აბრეშუმსახვევ ფაბრიკასა და მუშტაიდს შორის[2], მაგრამ მთავარმართებელმა გოლოვინმა ამაზე უარი განაცხადა[3]. ამის შემდეგ კომპანია იძულებული გახდა დაწყებული საქმე მიეტოვებინა და სხვაგან ეძებნა მიწის ნაკვეთი. იმავე 1838 წელს, ქარხნის მოსაწყობად, თავად დავით და ისაკ თუმანიშვილებისაგან იყიდეს მიწის ნაკვეთი[4]. მიწის ეს ნაკვეთი მდებარეობდა თბილისის გარეუბან კუკიის ბოლოში, ისარლოვის პაღსა და უცხოელ ვატმანის არყისსაბდელ „ქარხანას" შორის. აქ კი, კომპანიონებს 1838 წ. სექტემბერში ნება დართეს აეგოთ ქარხანა[5]. კომპანიონებმა მიწის ამ ნაკვეთზე ააგეს დიდი შაქრის ქარხანა, რომელიც შეიცავდა 4 სართულიან ქვის შენობას. ამრიგად, ზუბალაშვილმა და კომპანიამ დიდ წინააღმდეგობათა და დაბრკოლებათა დაძლევის შედეგად შეძლეს თბილისში მოეწყოთ შაქრის წარმოება.

რადგან, მაშინ საქართველოში შაქრის წარმოებისათვის ადგილობრივი კვალიფიცირებული კადრები არ არსებობდა, ზუბალაშვილმა ქარხნისათვის საჭირო ოსტატები და გამოცდილი მუშები პირველ ხანებში გამოიწერა უცხოეთიდან და პეტერბურგიდან. პეტერბურგიდან ჩამოიტანეს სპილენძის, რკინისა და თუჯის მოწყობილობა. ქარხანაში დადგეს 3 ქვაბი, 5 კასრი (როფი), 2 ჰაერლუმელი, 6 ჰოლანდური ღუმელი; ქარხანაში იყო 25000 თიხის ყალიბი (ფორმა)[6]. თითოეული ყალიბი იტევდა 4 ფუნტამდე შაქარს. ქარხანაში მანქანები არ გააჩნდათ. მარტო ქარხნის მოწყობა კომ-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 5532, ფურც. 12.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 211, საქმე 93, ფურც. 1—2.
[3] იქვე. ფურც. 9—10.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1. საქმე 4256. ფურც. 8, 18.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 5554, ფურც. 4.
[6] საქ. ცსსა, ფონდი 16. საქმე 6105, ფურც. 35, საქმე 6351, ფურც. 26.

პანიონების განცხადებით დაუჯდათ 200.000 მანეთზე მეტი ასიგნაციით[1].

ქარხანაში იმყოფებოდნენ: 1 უცხოელი ოსტატი — გარტმანი[2], ნოქრები და ზედამხედველები — 10 კაცი (3 რუსი და 7 — ქართველი და სომეხი), ბუხჰალტრები (სარაჯიშვილი[3] და რიაბოვი[4]), დარაჯი (რევიშვილი)[5] და სხვ. ქარხანაში სისტემატურად მუშაობდა 50 მუშა. ყველა ესენი ნებითდაქირავებულნი იყვნენ[6] ქარხნის მეპატრონეების მიერ.

როგორც აღნიშნული იყო, ქარხნისათვის საჭირო ნედლეული — შაქრის ფხვნილი უნდა შემოეტანათ უცხოეთიდან 240000 ფუთის ოდენობით 6 წლის განმავლობაში (120000 ფუთი უბაჟოდ, ხოლო შემდეგი 120000 ფუთი ნახევარი ბაჟის — 70 კაპ. გადახდით ფუთზე). მისი შემოზიდვა დაიწყეს 1839 წლის დასაწყისიდან, ქარხნის მოწყობის დამთავრებასთან ერთად. წლიურად უნდა შემოეზიდათ (წლიური პროპორცია) 40000 ფუთი შაქრის ფხვნილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოზიდული შაქრის ფხვნილი ქარხანაში გადაუმუშავებლად რომ არ გაეყიდათ, კომპანია საწინდრის სახით თითოეულ ფუთ ფხვნილ შაქარზე იხდიდა 1 მან. და 40 კაპ., ე. ი. მთლიან ბაჟს. 1838 წელს კომპანიამ ტრიესტიდან მოიტანა 8235 ფუთი ქვიშა-შაქარი, ხოლო 1839 წელს ერთ-ერთმა კომპანიონმა ტარიელ ლორის-მელიქოვმა ჰამბურგსა და ლონდონში იყიდა 22000 ფუთი შაქრის ფხვნილი და საქართველოში გამოაგზავნა[7]. შაქრის ქარხანამ მუშაობა დაიწყო 1839 წლის მარტში. ქარხანა ამზადებდა შაქარ-რაფინადს (თავ-შაქარს). მელასას, შაქრის ყინულსა და ბადაგს. ფუთ შაქარს ყიდდნენ 9 მან. და 50 კაპ., შაქრის ყინულს — 12 მან., ბადაგს — 3 მან., მელასას — 8 მან და 50 კაპ.[8] შაქარი საკმაოდ კარგი ხარისხის იყო და მთელ ამიერკავკასიაში იყიდებოდა. ამის შესახებ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი გენ. მაიორი ახლესტიშევი, 1839 წლის 29 ივლისის ბარათში მთავარმართებელ გოლოვინს სწერდა: „გადალახეს რა ყველა დაბრკოლება, კომპანიამ თბილისის გარეუბანში მოაწყო ქვის 4-სართულიანი შენობა შაქრის ქარხნისათვის, რომელმაც მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 2. აღწერა 1, საქმე 9113, ფურც. 64.
[2] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 1. д. 280. л. 3.
[3] საქ. ცსსა,ფონდი 26. აღწერა 2. საქმე 549, ფურც. 114—115.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 2, საქმე 3232.
[5] იქვე.
[6] საქ. ცსსა. ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 35, საქმე 6351, ფურც. 26.
საქ. ცსსა, ფონდი 2. აღწერა 1, საქმე 9113, ფურც. 47—48.
[7] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 615, ფურ. 35, საქმე 6351, ფურც. 26.

მარტის თვიდან და ამარაგებს შაქრით ამიერკავკასიაში მის ფართო მომხმარებლებს"[1], და რომ თბილისის ქარხნის შაქარი „არაფრით არ ჩამოუვარდება რამდენიმე წლის წინათ მოწყობილ საუკეთესო საწარმოთა შაქარს"[2].

თბილისის შაქრის ქარხანა რეფორმამდელი ხანის საქართველოს ყველაზე უფრო მსხვილი კაპიტალისტური საწარმო იყო, ხოლო მთელ რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო საწარმო. იგი ყოველწლიურად მეტად მნიშვნელოვანი თანხის პროდუქციას უშვებდა. ჩვენ ხელთ გვაქვს ცნობები ქარხნის მიერ 1840, 1841, 1843 და 1844 წლებში გამომუშავებული პროდუქციისა და მისი ღირებულების შესახებ.

1840 წელს ქარხანამ გამოუშვა 13000 ფუთი რაფინადი შაქარი — 123500 მან. ღირებულების; მელასა — 6000 ფუთი — 51.000 მან., შაქარ ყინული — 100 ფუთი — 1200 მან., ბადაგი — 2000 ფუთი — 6.000 მან. ღირებულების, სულ — 181.700 მან. პროდუქცია[3].

1841 წელს საწარმომ გამოუშვა 186.600 მან. პროდუქცია[4], 1843 წელს — 66905 მან. პროდუქცია[5], ხოლო 1844 წელს — 80.000 მანეთის პროდუქცია[6]. ე. ი. ბოლო წლებში შაქრის წარმოება შემცირდა. რაც შეეხება ქარხნის მიერ გამომუშავებულ პროდუქციასა და მის ღირებულებას 1839, 1842 და 1845 წლებში, ჩვენ ამის შესახებ სათანადო ცნობები არ გვაქვს, გარდა ნაწილობრივ 1839 წლისა. ამ წლის 1 ივნისისათვის დამზადებული იყო 3000 ფუთამდე შაქარი (აქედან გაყიდული იყო 1000 ფუთზე მეტი)[7].

შაქრის შესახებ ქაღალდს მრეწველები ღებულობდნენ პეტერბურგიდან. 1838—1840 წლებში პეტერბურგიდან მათ მიიღეს 1620 ფუთი ქაღალდი[8].

თბილისის შაქრის ქარხანა მანუფაქტურული ტიპის მსხვილი კაპიტალისტური საწარმო იყო. როგორც ცნობილია კაპიტალისტური მანუფაქტურის დამახასიათებელი ნიშნებია: 1) ნებითდაქირავებული შრომა, რომელიც საერთოდ კაპიტალისტური წარმოების ატრიბუტს წარმოადგენს, 2) შრომის დანაწილება; წარმოების პრო-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 5539, ფურც. 1.
[2] იქვე.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105. ფურც. 35.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6351. ფურც. 26.
[5] ЦГИАЛ, ф. 1268. оп. 1, д. 744. л. 91.
[6] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 8093, ფურც. 10.
[7] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 5554. ფურც. 8.
[8] ЦГИАЛ, ф. 1268. оп. 1. д. 280. л. 3.

ცესი სახელოსნოში დაყოფილია რიგ ცალკეულ ოპერაციებად, 3) ხელოსნური ტექნიკა. თბილისის შაქრის ქარხანაში წარმოება მთლიანად დაქირავებულ შრომაზე იყო დამყარებული. ქარხანაში, მისი ამუშავების დროიდან წლების მანძილზე მუშაობდა 50-მდე დაქირავებული მუშა, ხოლო ოსტატებით, ბუხჰალტრებით, ნოქრებითა და ზედამხედველებით 60 კაცზე მეტი. ქარხნის ამუშავების პირველ წელს კი ერთი სხვა ცნობით, მასში 100-მდე დაქირავებული მუშა მუშაობდა. ამ საწარმოს შესახებ ჩვენ ხელთ გვაქვს 1840—1841 წლების უწყისები. ამ წლებში საწარმოში მუშაობდა 50 შავი მუშა, 1 ოსტატი, ნოქრები და ზედამხედველები — 10 კაცი[1]. უწყისში გამოტოვებულია ბუხჰალტერი, რომელიც საწარმოს ყოველთვის გააჩნდა (ასევე გამოტოვებულია საწარმოს დარაჯიც). ყველა ზემოთ ჩამოთვლილნი ნებითდაქირავებულნი იყვნენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან[2]. საწარმოში იძულებითი შრომა არ ყოფილა გამოყენებული. ამრიგად, თბილისის შაქრის საწარმოში, რომელიც 6—7 წლის მანძილზე მუშაობდა, ფართოდ იყო გამოყენებული კაპიტალისტური კოოპერაციის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, დაქირავებული შრომა.

საწარმოში არსებობდა შრომის დანაწილება[3]. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ, შაქრის წარმოება სამ ფაზას გაივლიდა. ეს ფაზები შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: პირველ ფაზაში ხდებოდა ქვიშა-შაქრის თხევად მასად დადნობა ქვაბებში. აქვე ხდებოდა ძვლისა და სხვა საჭირო მასალათა შეზავება შაქრის დასაწმენდათ. მეორე ფაზაში ხდებოდა რაფინირებული შაქრის თხევადი მასის გადასხმა სხვადა-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 35; საქმე 6351, ფურც. 26.

[2] იქვე.

[3] სამწუხაროდ, შაქრის წარმოების მეპატრონეების მიერ შედგენილი წარმოების ანგარიშები 43 წიგნად, რომლებიც სრულ წარმოდგენას მოგვცემდა საერთოდ შაქრის წარმოებაზე, დაკარგულად უნდა ჩათვალოს. ეს წიგნები („конторские книги") წარმოების მფლობელებმა წარადგინეს საღმშენებლო კომისიის ხაზინადართან, ტიტ. სოვეტნ. ამიროვთან. ამიროვმა ეს წიგნები წარუდგინა საქართველო-იმერეთის სამოქალქო გუბერნატორს გენ. მაიორ ერმოლოვს 1846 წლის 17 ნოემბერს. შემდეგ ეს წიგნები გადაეცათ თბილისის საქალაქო პოლიციისათვის. 1854 წელს თბილისის საგუბერნიო სამმართველომ საქალაქო პოლიციას მოთხოვა აღნიშნული წიგნები შაქრის მრეწველებისათვის დაებრუნებინათ. ამის შემდეგ საქალაქო პოლიციამ ეს წიგნები დაუბრუნა ქარხნის ერთ-ერთი კომპანიონის — დაღუპული ტერ-გუკასოვის ასულს — ეკატერინე ვარლამოვას. ამის შემდეგ რა ბედი ეწია ამ წიგნებს არ ჩანს. წიგნები შეიცავდა შაქრის საწარმოს აგების, შაქრის წარმოების, შაქრის მიღებისათვის საჭირო მასალების ყიდვის, მუშებისა და მოსამსახურე პერსონალისათვის ხელფასის გაცემისა და სრავალ სხვა ანგარიშებს 1838—1846 წლებისას (საქ. ცსსა, ფონდი 26, აღწერა 2, საქმე 549, ფურც. 91—92, 100, 113—116, 147—150).

სხვა ფორმისა და ზომის ყალიბებში. მესამე ფაზის დროს ხდებოდა ყალიბებიდან თავი შაქრის გამოღება, მათი დახარისხება და შეფუთვა.

საწარმოში მუშაობა წარმოებდა ხელოსნური ტექნიკითა და გაუმჯობესებული ინსტრუმენტებით. როგორც აღინიშნა, საწარმოში მოწყობილი იყო 3 ქვაბი, 5 როფი (კასრი), 2 ჰაერღუმელი, 6 ჰოლანდური ღუმელი, 25.000 ყალიბი. მანქანები არ გააჩნდათ[1]. წარმოებისათვის საჭირო სპილენძის, რკინისა და თუჯის ნაკეთობანი მოჰქონდათ პეტერბურგიდან, რადგან იგი ადგილობრივ არ კეთდებოდა. ამრიგად, თავისი თვისებებით: დაქირავებული შრომის ფართო გამოყენებით, წარმოების იარაღებითა და შრომის დანაწილებით, თბილისის შაქრის საწარმო, მსხვილი კაპიტალისტური მანუფაქტურა იყო.

დამზადებული შაქარი მთელ ამიერკავკასიაში იყიდებოდა, მეტწილად კი თბილისში. როგორც აღვნიშნეთ ქარხანა უშვებდა შაქარრაფინადს (თავი-შაქარი), მელასას, შაქარ-ყინულს და ბადაგს. ამ უკანასკნელს ხშირად ვერ ასაღებდნენ და ამიტომ ზუბალაშვილმა შაქრის ქარხანასთან შაქრის ბადაგისა და სხვა ნარჩენების გამოსაყენებლად მოაწყო რომის ქარხანა. მიღებულ სასმელს თბილისში ყიდდნენ. თავდაპირველად არსებობდა ნიშნები შაქრის წარმოებისკიდევ უფრო გაფართოებისა. ფიქრობდნენ, რომ შაქრის წარმოებისსაქმე ამიერკავკასიაში უკვე მოწყობილი იყო.

საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი გენ. მაიორი ახლესტიშევი, რომელიც, თბილისის შაქრის წარმოების დიდ წარმატებას აღნიშნავდა, იმედს გამოთქვამდა, რომ შაქრის პლანტაციების გაშენებით, ამიერკავკასიაში ჭაობიანი ადგილები მდიდარ პლანტაციებად გადაიქცეოდა და აქაური შაქრის-ფხვნილით (ნედლეულით) უხვად მომარაგდებოდა რუსეთში არსებული შაქრის ქარხნები, ხოლო თბილისის ქარხანაში რაფინირებული შაქარი განდევნიდა უცხოეთის შაქარს სპარსეთისა და თურქეთის ბაზრებიდან[2]. წახალისების მიზნით მან მოითხოვა ზუბალაშვილის, თამამშევისა და ტერ-გუკასოვის ორდენებით დაჯილდოება. მათ საატესტაციო ფურცელზე შაქრის წარმოების შესახებ ვკითხულობთ: „ქარხანაში შაქრის გამოყვანა ხდება წარმატებითა და საკმაოდ სწრაფად, შაქარი კარგი ღირსებისაა და ამჟამად საღდება ამიერკავკასიაში დიდი რაოდენობით ფრიად ზომიერ ფასებში, საზღვარგარეთულ და რუსეთის შაქართან შედა-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურ. 35; საქმე 6351, ფურც. 26.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 5539.

ებით"[1]. ხოლო 1839 წლის ივნისში, იგივე გუბერნატორი შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველს სწერდა, რომ თბილისური შაქარი ბაზარზე იყიდება ხელსაყრელ ფასებში, რომელმაც მნიშვნელოვნად დასწია შაქრის წინანდელი ფასებიო[2].

მიუხედავად ამისა, თბილისის შაქრის საწარმო შემდგომში წააწყდა დიდ დაბრკოლებებს, რომლებმაც საბოლოოდ წარმოების ჩაშლა გამოიწვიეს.

დიდ დაბრკოლებებს აწყდებოდა კომპანია უცხოეთიდან შაქრის-ფხვნილის მოტანის საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ მას ნება დართული ჰქონდა იგი უბაჟოდ შემოეტანა. ევროპიდან შაქრის ფხვნილი ჩვეულებრივად მოჰქონდათ ყუთებით, თითოეული მათგანი 12 ფუთზე მეტს იწონიდა. რედუტ-კალე მაშინ მოუწყობელი იყო. ამიტომ გემები მისგან 4 ვერსის დაშორებით ჩერდებოდნენ ზღვაში. შაქრის ფხვნილით სავსე ყუთები გემიდან ნავებში გადაჰქონდათ, რის დროსაც ყუთები ხშირად ტყდებოდა და შაქრის ფხვნილის ნაწილი ზღვაში იკარგებოდა. რედუტ-კალეში გადმოზიდვის შემდეგ შაქრის ფხვნილი თბილისში მოჰქონდათ ურმებითა და ცხენებით, მაგრამ ყუთებით მოტანა თბილისში მათი საშუალებით შეუძლებელი იყო და ამიტომ ტომრებში გადმოსცლიდნენ, რის დროსაც კვლავ იკარგებოდა ნაწილი. ასე რომ, ევროპიდან მისი მოტანა თბილისში, მიუხედავად იმისა, რომ ბაჟს არ იხდიდნენ, ძვირი უჯდებოდათ. ზუბალაშვილის განცხადებით ჰამბურგიდან თბილისში, ფუთი შაქრის ფხვნილის მოტანა ყოველწლიურად უჯდებოდათ 5 მანეთამდე[3]. ეს გადაჭარბებული ჩანს, მაგრამ ცხადია, რომ იგი ძვირი უჯდებოდათ. ამავე დროს, როგორც ვიცით, ვიდრე შაქრის ფხვნილს ქარხანაში გადაამუშავებდნენ კომპანიას წინდაწინვე შეჰქონდა საწინდრის სახით თითოეულ ფუთ შაქრის-ფხვნილზე 1 მან. და 40 კაპ.[4], ე. ი. ჩვეულებრივად, შემოტანილ შაქარზე დაწესებული ბაჟის ოდენობა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ შაქრის ფხვნილი გადაუმუშავებლად არ გაეყიდათ. საწინდრის შეტანა მნიშვნელოვან ფულად კაპიტალს ითხოვდა და იგი შაქრის გადამუშავებამდე ბრუნვის გარეშე რჩებოდა, რაც დიდი მინუსი იყო წარმოებისათვის.

მრავალი მიზეზების გამო კომპანიამ ვერც კი შეძლო ნებადართული 240.000 ფუთი შაქრის-ფხვნილის მთლიანად შემოტანა. რედუტკალეს საბაჟოს ცნობით, 1839—1844 წლებში, მათ შემოიტანეს

---

[1] იქვე, ფურც. 6.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 5554, ფურც. 8.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 9113, ფურც. 100.
[4] იქვე ფურც. 47.

მხოლოდ 56.243 ფუთი შაქარი[1] ფხვნილი. 1838 წელს კი შემოიტანეს 8.235 ფუთი შაქარი[2] ფხვნილი. სულ კომპანიონებმა შემოიტანეს 65.000-მდე ფუთი შაქრის ფხვნილი. აქედან მეტი ნაწილი — 42.783 ფუთი შემოტანილ იქნა 1838—1840 წლებში[3].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზუბალაშვილის ქარხანაში დამზადებული შაქარი კარგი ხარისხის იყო და ხელსაყრელ ფასებში იყიდებოდა. ამ მხრივ იგი კონკურენციას უწევდა უცხოეთისა და რუსეთის შაქარს და მათზე ფასს დაბლა სწევდა[4]. ამ გარემოებამ თბილისის შაქრის წარმოების არსებობის მიმართ საწინააღმდეგო ტენდენციები გამოიწვია. ამიერკავკასიის ბაზარზე „ქართული შაქრის" კონკურენციამ, ბუნებრივია, საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია როგორც უცხოეთისა და რუსი შაქრის მეწარმეების. ასევე მათი შაქრის შემომტან ადგილობრივი ვაჭარი კომპრადორების მხრივ[5]. კომპრადორ ვაჭართა ინტერესები იმაში მდგომარეობდა, რომ მათ მიერ უცხოეთიდან შემოზიდული ნაწარმისათვის კონკურენცია არ გაეწია ადგილობრივ ნაწარმს. მათ დიდი რაოდენობით მოჰქონდათ უცხოეთიდან მზა საქონელი და პირველ რიგში შაქარი. ამიტომ კომპრადორ ვაჭრებმა ბრძოლა დაუწყეს ზუბალაშვილის „ქართული შაქრის" წარმოებას. 1839 წლის აგვისტოში კომპანიონებმა ინგლისის გემებით „ოტტერო"-თი და „ბერნარდო"-თი ევროპიდან რედუტ-ქალეში მოიტანეს 1900 ყუთი ქვიშა შაქარი. რედუტ-ქალეს საბაჟო კარანტინის კომისარ პიუკოვს, შაქრის კომპანიის ნოქარ თბილისელ ავეტიქ ბაბანოვისათვის ნება არ მიუცია შაქარი საწყობში გადაეტანა და იგი ღია ცის ქვეშ დარჩენილა. ამ დროს ძლიერი წვიმა მოსულა, შაქარი დასველდა და ზარალი კომპანიონების განცხადებით უდრიდა 6300 ფუთ ქვიშა-შაქარს[6]. ტერ-გუკასოვმა, რომელიც ამ დროს იქ იყო, ადგილობრივ უფროსებთან საჩივარი შეიტანა. ტერ-გუკასოვს ცნობა მისცეს დანაკარგის შესახებ[7]. კომპანია მოხსენებით ბარათში ითხოვდა ზარალის ანაზღაურებას, მაგრამ მათი თხოვნა არ დააკმაყოფილეს. შესაძლებელია, რომ რედუტ-ქალეში

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 26, აღწერა 2, საქმე 549, ფურც. 139.
[2] საქ. ცსსა. ფონდი 2. აღწერა 1, საქმე 9113, ფურც. 47—48.
[3] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 1. д. 280. л. 3.
[4] ჩვენ შემდეგ დავინახავთ, რომ თბილისის შაქრის ქარხნის არსებობის პერიოდში უცხოეთიდან შაქრის შემოტანა ამიერკავკასიაში შემცირდა, ხოლო მისი დახურვის შემდეგ იგი სწრაფად გაიზარდა.
[5] კომპრადორი ვაჭრები საქართველოში ვაჭართა მთელ ფენას როდი მოიცავდა. ისინი მხოლოდ მის ნაწილს შეადგენდა, რომელთაც დაგროვილი კაპიტალი წარმოებაში არასდროს დაუბანდებიათ და საერთოდ ხელს უშლიდნენ მის განვითარებას სამშობლოში.
[6] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 8290, ფურც. 2.
[7] იქვე.

მიყენებული ზარალი კომპრადორი ვაჭრების მოქმედებით იყო გაწეული[1]. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც. როგორც აღვნიშნეთ, იმ დროს რედუტ-კალეში იმყოფებოდა ერთ-ერთი მთავარი კომპანიონთაგანი ტერ-გუკასოვი. რედუტ-კალედან იგი აფხაზეთში წავიდა შაქრის პლანტაციებისათვის საჭირო მიწების მოსაძებნად. გზაში ტერ-გუკასოვი უგზო-უკვლოდ დაიკარგა[2]. სავსებით დასაშვებია ამ ბნელ საქმეშიც ვაჭარი კომპრადორების ხელი ერიოს.

კომპრადორ ვაჭრებს, რომლებიც წარმოებას არ ჰკიდებდნენ ხელს თავის ქვეყანაში, ყოველწლიურად შემოჰქონდათ უცხოეთიდან ათასობით ფუთი შაქარი. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, დიდად ეზღუდა თბილისის შაქრის წარმოებას, ბორკავდა მის განვითარებას. კომპანიონები ფინანსთა მინისტრს კანკრინს 1839 წ. სწერდნენ: „ადგილობრივ ვაჭრებს რედუტ-კალეში მოაქვთ დიდი რაოდენობით თავი შაქარი. 1839 წელს მხოლოდ თბილისისათვის შემოტანილია 9000 ფუთამდე, რომ არ ვილაპარაკოთ იმ შაქარზე, რომელიც მოაქვთ ტრაპიზონიდან ამიერკავკასიის სხვა პროვინციებში და სპარსეთში. რამდენადაც ამბობენ, ვაჭრები გაემგზავრნენ ჰამბურგში კიდევ უფრო დიდი რაოდენობის შაქრის სასყიდლად 1840 წლისათვის"[3]. გარდა იმისა, რომ კომპრადორ ვაჭრებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ შაქარი, მათ ხელი მიჰყვეს თბილისის შაქრის ქარხნის დისკრეტიზაციას. მათ ამიერკავკასიაში გაავრცელეს ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს ზუბალაშვილის თბილისის შაქრის ქარხანა შაქარს სხვაგვარად ამზადებსო, რომ თბილისში შაქრის მიღებისას ურევენ ცხოველთა სისხლსა და ძვლებს და, თითქოს ევროპაში ასე არ აწარმოებდნენ. ამის გამო შაქრის მრეწველები იძულებულნი იყვნენ თბილისური შაქარი ევროპულთან შედარებით ხშირად დაბალ ფასებში, 2—3 მანეთით ნაკლებად გაეყიდათ, მიუხედავად იმისა, რომ მას არაფრით ჩამოუვარდებოდა[4].

1839 წელს, ფინანსთა მინისტრისადმი წარდგენილ ბარათში

---

[1] ზ. ანჩაბაძე. რედუტ-კალეში გამოწვეულ ზარალს უშუალოდ ვაჭარ-კომპრადორებს მიაწერს (მისი სტატია: „К вопросу о роли торгово-растовщического капитала дореформенной Грузии". მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, 1954). სავსებით დასაშვებია ეს ასე ყოფილიყო, თუმცა საამისო პირდაპირი მითითება არა გვაქვს.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 8290, ფურც. 2.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 9113, ფურც. 66.

[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 280, л. 4.

კომპანიონები აღნიშნავდნენ, რომ უცხოეთის შაქრის დიდი რაოდენობით შემოზიდვა საქართველოში, ხელს უშლის თვით რუსეთიდან შემოტანილი შაქრის გასაღებას[1]. ერთ-ერთმა კომპანიამ, რომელსაც სურდა მოეწყო შაქრის ქარხანა სამხრეთ რუსეთში (ოდესის საბაჟო ხასს იქეთ) და შაქრით მოემარაგებინა ამიერკავკასია და სპარსეთი, უარი განაცხადა წარმოების გაზსნაზე, რადგან გაიგო, რომ ეს მხარე მარაგდება უცხოეთის შაქრითო[2]. თბილისის შაქრის მრეწველები დარწმუნებულნი იყვნენ, თუ მათი წარმოება ჩაიშლებოდა, სხვა არცერთი არ მოკიდებდა ხელს ასეთი ქარხნის გამართვას. კარგად იცოდნენ, რომ საქმის დასაწყისში მათ გააჩნდათ უზარმაზარი ფულადი კაპიტალი, მოაწყვეს საკმაოდ დიდი და კარგი შაქრის ქარხანა, ჰყავდათ დაქირავებული მუშახელი, გააჩნდათ საჭირო ინსტრუმენტები, უშვებდნენ კარგი ხარისხის შაქარს, რომელიც ევროპულს არ ჩამოუვარდებოდა, და თუ მიუხედავად ამისა, ისინი უძლურნი აღმოჩნდებოდნენ დაბრკოლებებთან ბრძოლაში, სხვები, რომლებიც თითქმის ყველანი მათზე სუსტნი იყვნენ, ვერ შეძლებდნენ ასეთი წარმოების გამართვას[3].

შაქრის მრეწველებმა დახმარებისათვის მიმართეს მთავრობას, მათ მთავრობას თხოვეს თბილისში შაქრის წარმოების განვითარების მიზნით გაედიდებინათ ბაჟი უცხოურ შაქარზე 2-ჯერ, ანდა საკანონმდებლო აეკრძალათ უცხოეთიდან შაქრის შემოტანა ამიერკავკასიაში[4]. თხოვნასთან ერთად შაქრის მრეწველებმა ფინანსთა მინისტრს წარუდგინეს თალიშის სახანოში მოყვანილი შაქრის ლერწმისა და თბილისის ქარხანაში მიღებული თავი-შაქრის ნიმუშები. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი ფინანსთა მინისტრს უმტკიცებდა, რომ თბილისის შაქრის ქარხანას ყოველწლიურად შეუძლია გამოუშვას 34000 ფუთი შაქარი, რომელიც მთელ ამიერკავკასიას დააკმაყოფილებსო[5]. მაგრამ მთავრობამ არ დააკმაყოფილა მრეწველთა თხოვნა[6].

ორი წლის შემდეგ კომპანიამ კვლავ მიმართა მთავრობას დახმარებისათვის. 1842 წელს მათ მოხსენებითი ბარათი წარუდგინეს სტატსკი სეკრეტარ პოზენს, სადაც თითქმის უცვლელად იმეორებდნენ იმ ძირითად თხოვნას, რაც მთავრობას ორი წლის წინათ აცნობეს. კომპანია აღნიშნავდა, რომ გარდა შაქრისა ადგილობრივ

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 9113, ფურც. 66.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, ფურც. 66—67.
[5] იქვე.
[6] იქვე, ფურც. 70.

ვაჭრებს დიდი რაოდენობით შემოაქვთ ევროპიდან მთელი რიგი სხვა საქონელი და ამით ხელს უშლიან თვით რუსეთის საქონლის გასაღებას ამიერკავკასიაში და სპარსეთშიო[1]. ცხადია, კომპანიონები რუსეთზე იმიტომ მიუთითებდნენ, რომ მთავრობაზე ზემოქმედება მოეხდინათ. კომპანიონები კვლავ მოითხოვდნენ უცხოეთიდან თავი-შაქრის შემოზიდვის აკრძალვას, ანდა მასზე და სხვა ნაწარმზე ბაჟების აწევას მაინც[2]. ჩვენი თხოვნის მიღებით, აღნიშნავდნენ ისინი, დაეხმარებით ჩვენი შაქრის წარმოებას, წაახალისებთ სხვა წამოწყებებს, ხოლო მოსკოველ ფაბრიკანტებს შესაძლებლობას მისცემთ თავიანთი მანუფაქტურული ნაწარმი სპარსეთში გაასაღონო[3]. მაგრამ მეფის მთავრობამ ამჯერადაც უარი უთხრა კომპანიას თხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ეს „მონოპოლიას" შეუქმნის თბილისის შაქრის წარმოებასო[4]. ამრიგად ცარიზმმა, რომელსაც არ აინტერესებდა საქართველოში, როგორც თავის კოლონიაში, მრეწველობა განვითარებულიყო, შაქრის კომპანიას უარი უთხრა მის მთავარ თხოვნაზე: დაეცვა და მფარველობა გაეწია უცხოეთის საქონლის კონკურენციისაგან. თბილისის შაქრის წარმოების განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი პირობა ძალაში დარჩა.

თბილისის შაქრის წარმოებისათვის მთავარი სასიცოცხლო პირობა შაქრის ლერწმის პლანტაციების გაშენება იყო. როდესაც შაქრის ქარხნის მოწყობაზე ფიქრობდნენ, კომპანიონებს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად პლანტაციების გაშენება მიაჩნდათ. როდესაც მრეწველებმა დაინახეს, რომ ისინი დიდ სიძნელეებს აწყდებოდნენ უცხოეთიდან ქვიშა-შაქრის (ნედლეულის) შემოტანის საქმეში, ხოლო მთავრობამ არა ერთხელ უთხრა უარი მათ დახმარება გაეწია წარმოებისათვის, ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტად აიძულა მრეწველები, პლანტაციების გაშენებისათვის მოეკიდათ ხელი, რათა ქარხანა ნედლეულით მუდმივად უზრუნველყოფილი ჰქონოდათ.

1837 წელს პრივილეგიების დამტკიცებისთანავე მთავრობამ თანხმობა განუცხადა მრეწველებს მიწების გამოყოფაზე შაქრის პლანტაციების გასაშენებლად და შეეკითხა მათ, სად სურდათ მიეღოთ მიწის ნაკვეთები. 1838 წლის 12 მაისს „ამხანაგობამ" განუცხადა მთავრობას, რომ მათ სურთ მიწები მიიღონ იმერეთში (ვარციხესთან) და თალიშის სახანოში, ხოლო თუ შეუძლებელი იქნებოდა

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 280, л. 5.

[2] იქვე.

[3] იქვე, ფურც. 6.

[4] იქვე, ფურც. 9.

ამ ადგილებში მიწების გამოყოფა, მაშინ მიწები მიეცათ ბორჩალოში, თბილისის მაზრაში. მიწების მიღებისათვის საჭირო იყო ადგილობრივ ხელისუფალთა დასტური. 1838 წლის სექტემბერში იმერეთის მმართველმა გენერალმა ესპეხომ საქართველოს მთავარმართებელს აცნობა, რომ ვარციხესთან 500 დესეტინა მიწის გამოყოფა კომპანიისათვის შეუძლებელია, რადგან მცხოვრებნი შევიწროვდებიანო. ასევე გურიაშიც შეუძლებლად ჩათვალეს 500 დესეტინა მიწის მიცემა მათთვის[1]. ამ საქმეზე დავა და მიწერ-მოწერა გაგრძელდა. ამ ამბავს 1839 წელს შეეწირა ერთ-ერთი მთავარი კომპანიონთაგანი ტერ-გუკასოვი, რომელიც რეტუდ-ყალედან აფხაზეთში წავიდა პლანტაციებისათვის ვარგისი მიწების მოსაძებნად და გზაშივე უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ბოლოს, როგორც იქნა, 1840 წელს კომპანიას პლანტაციების გასაშენებლად ვარციხეში (იმერეთში) მისცეს 55 დესეტინა სახაზინო მიწა, რომელიც კონტრაქტით ჰქონდა აღებული ჩინოვნიკ ივანე ბაქრაძეს. ვადა მას უთავდებოდა 1841 წლისათვის. იმავე წელს კომპანიამ ცდები ჩაატარა შაქრის ლერწმის გაშენებისათვის. მოსავალი კარგი მიიღეს, მაგრამ მალე ქუთაისის მაზრის სებეკას უბნის საზოგადოებამ გამოაცხადა თავისი უფლება ამ მიწაზე. საბოლოოდ, კომპანიამ დას. საქართველოში მიწები ვერ მიიღო.

ლენქორანთან, თალიშის მაზრაში შაქრის ლერწმის გასაშენებლად ცდები ჩატარებულ იქნა 1837 წლამდე. ცდებმა ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. ეს კარგად იცოდნენ კომპანიონებმა და აღნიშნავდნენ კიდეც 1837 წელს. დიდი დავის შემდეგ აქ კომპანიას მისცეს 20 დესეტინამდე სახაზინო მიწა[2], რომელზედაც ჩატარებულ იქნა ცდები. ცდებმა ამჯერადაც საუცხოო შედეგი გამოიღო. ამ საქმისათვის კომპანიამ გაიღო მნიშვნელოვანი თანხა. მაზანდერანიდან გამოიწერეს შაქრის ლერწმის გაშენების სპეციალისტები და ყალამი (ლერწი) და შეუდგნენ პლანტაციის გაშენებას. შეიძინეს მიწის დასამუშავებელი სათანადო იარაღები, მუშა-პირუტყვი და სხვ. პლანტაციაში მუშაობა მხოლოდ დაქირავებული შრომით წარმოებდა, დაქირავებული იყო 20-მდე მუშა, თითოეულს თვეში აძლევდნენ 9 მანეთამდე. პლანტაციაში მეთვალყურე და ხელმძღვანელი იყო კომპანიის ერთ-ერთი წევრი ხანუმოვი, რომელიც წელიწადში ღებულობდა ხელფასს — 1000 მანეთს[3]. ამრიგად,

---

[1] საქ. ცსსა ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 9113, ფურც. 35.

[2] იქვე, ფურც. 100.

[3] იქვე.

ოიგორც ქარხანაში. ისე აქაც, ექსპლოატაციის ახალი წესი იყო გა-ბატონებული. პლანტაციის — ფართო სამეურნეო დაწესებულების მოწყობა აქ, რომელსაც კომპანია ითვალისწინებდა, ზუბალაშვილის განცხადებით მხოლოდ დაქირავებულ შრომას უნდა დამყარებოდა[1].

პირველად, თალიშის მაზრაში, ამ პატარა პლანტაციიდან მოსავალი მიიღეს 1839 წელს. მოსავალი საუცხოო იყო, რამაც კომპანია დაარწმუნა ლენქორანში შაქრის ლერწმის პლანტაციების გაშენების სრულ შესაძლებლობაში. ამიტომ კომპანია დაჟინებით ითხოვდა 500 დესეტინა მიწა თალიშის მაზრაში მიეცათ. მთავრობა რომ დაეთანხმებინათ, კომპანიონებმა 1840 წელს ფინანსთა მინისტრს წარუდგინეს თალიშში მოყვანილი შაქრის ლერწმის საუცხოო ნიმუში, დიდხანს წარმოებდა ამ საკითხზე მიწერ-მოწერა. ადგილობრივი ხელისუფლება უარს ამბობდა კომპანიისათვის მიეცა სახაზინო მიწები, რადგან მცხოვრებნი შევიწროვდებიანო. ნამდვილად კი მთავრობა ხაზინის ინტერესებიდან გამოდიოდა, რადგან სახაზინო გლეხები აღნიშნული მიწებით სახელმწიფო გადასახადებსა და ვალდებულებებს იხდიდნენ. ამაზე მიუთითა თვით სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა კისელიოვმა[2]; ამასვე აცხადებდა კასპიის ოლქის უფროსი. კომპანიას, წინათ მიღებული 20 დესეტინა მიწაც კი სადაც მან ცდები ჩაატარა, უკან უნდა დაებრუნებინა, რადგან სახაზინო გლეხებს ჭირდებათო. სამაგიეროდ კომპანიონ ხანუმოვს სხვა ადგილას შეთავაზეს 150 დესეტინა მიწა. ხანუმოვმა იგი არ მიიღო, რადგან უწყლო ადგილი იყო და პლანტაციისათვის გამოუსადეგი. ზუბალაშვილი, მთავრობა რომ დაეინტერესებინა, 1842 წელს უმტკიცებდა მას, რომ 500 დესეტინა მიწაზე გაშენებული პლანტაციიდან მიღებული ქვიშა-შაქრის ნაწილს თბილისის ქარხანა მოიხმარს, ნაწილს კი რუსეთის შაქრის ქარხნებიო. მთავრობამ მიმართა სამეგრელოს მთავარ დადიანს, რათა კომპანიაში შესულიყო და შაქრის პლანტაციებისათვის საჭირო მიწები მიეცა, მაგრამ დადიანისაგან უარყოფითი პასუხი მიიღო. ამის შემდეგ მთავარმართებელმა კვლავ მიმართა კასპიის ოლქის უფროსს, მაგრამ 1842 წლის დეკემბერში მოვიდა სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მომართვა, სადაც საბოლოოდ უარს ამბობდა კომპანიისათვის ლენქორანში მიწების მიცემაზე, რადგან სახელმწიფო გლეხებს სჭირდებათო[3].

ამრიგად, შაქრის კომპანიამ ამიერკავკასიაში შაქრის პლანტა-

---

[1] იქვე.
[2] იქვე, ფურც. 114.
[3] იქვე.

ციების გასაშენებლად მთავრობისაგან დაპირებული მიწები ვერ მიიღო, ხოლო თალიშის სახანოში და იმერეთში ჩატარებულმა წარმატებებიმ ცდებმა. რომელიც კომპანიას 12000 მან. დაუჯდა[1], ფუჭად ჩაიარა.

ცარიზმის მოხელეები შაქრის პლანტაციების გაშენების ჩაშლას თვით კომპანიონებს აბრალებდნენ, თითქოს მათ არ ისურვეს პლანტაციების გაშენება. მეფისნაცვალი ვორონცოვი გენ. რეადისადმი მიცემულ ინსტრუქციაში 1854 წელს წერდა: „კონდიციები შაქრის კომპანიის მხრივ არ იქნა შესრულებული და როდესაც პრივილეგიის ვადა შაქარ-ფხვნილზე გათავდა, მაშინ ყველაფერი შეჩერდა და კომპანია გაკოტრდა"[2]. ასევე აბრალებდა კომპანიას მეფის თითქმის ყველა მოხელე იმ გარემოებას, რომ პლანტაციები არ იქნა გაშენებული. როგორც ზემოთ დავინახეთ, ნამდვილად ასე არ იყო. სინამდვილეში მეფის მოხელეებმა კომპანიას არ მისცეს სათანადო მიწები პლანტაციების გასაშენებლად და მით ხელი შეუწყვეს წარმოების ჩაშლას. იგივე ვორონცოვი იმავე ინსტრუქციაში, ცარიზმის კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკის გამო ეჭვს გამოთქვამდა თბილისში ახლად მოწყობილი მაუდის ფაბრიკის წარმატებასა და არსებობაზე.

შაქრის წარმოების ჩაშლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, შემდეგაც თვლიდნენ პლანტაციების გაუშენებლობას. 1868 წელს, როგორც ჩანს პროფ. პედცოლდტი, აღნიშნავდა რა შაქრის ქარხნის დახურვის მიზეზებს, ერთ-ერთ მიზეზად იგი თვლიდა იმას, რომ კომპანიას არ გამოუყვეს მიწები შაქრის ლერწმის პლანტაციების გასაშენებლად[3].

წარმოების გაუმჯობესების მიზნით. ზუბალაშვილმა გადაწყვიტა მიეწვია შაქრის ლერწმიდან შაქრის-ფხვნილის მიღების ოსტატები, აგრეთვე ბადაგისა და რომის წარმოების ოსტატები. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა ლონდონში, ოსტატ ჯონსონთან, მაგრამ იმ ხანებში მთავრობამ კომპანიას საბოლოოდ უარი უთხრა პლანტაციებისათვის მიწების მიცემაზე ლენქორანში. ამის შემდეგ ზუბალაშვილმა უარი განაცხადა ჯონსონისა და სხვა ოსტატების მოწვევაზე. ბოლო წლებში შაქრის წარმოება შემცირდა. 1845 წელს მუშაობა ქარხანაში თაქტიურად შეწყდა[4], ხოლო 1846 წელს თბილისის შაქრის ქარხანა

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 280, л. 3.
[2] Акты, т. X, дз. 97.
[3] ЦГИАЛ, ф 1268, оп. 13 (1868), д. 63, л. 84.
[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 744, л. 287.

საბოლოოდ დაიხურა. ქარხნის ქონება წარმოების დახურვის შემდეგ კომპანიონებმა ურთიერთშორის გაინაწილეს[1].

ჩვენ ვრცლად აღვნიშნეთ ის მიზეზები, რამაც გამოიწვია შაქრის წარმოების მარცხი საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის შაქრის წარმოებას თვით ცარიზმის მოხელეები ერთ-ერთ „საუცხოო ქარხანად"[2] თვლიდნენ და მასზე დიდი მოთხოვნა იყო ამიერკავკასიაში, კოლონიური რეჟიმის ბატონობის პირობებში იგი ჩაშლილ იქნა.

მთავრობას ხელი უნდა შეეწყო თბილისის შაქრის წარმოებისათვის, რადგან ამიერკავკასიაში შაქარზე მოთხოვნილება წლითი-წლობით იზრდებოდა. უცხოეთიდან შემოტანილ საქონელთა შორის შაქარს თითქმის ყოველთვის პირველი ადგილი ეჭირა. ზუბალაშვილის შაქრის ქარხნის მუშაობის დროს შაქრის შემოტანა ნნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო მისი დახურვის შემდეგ იგი სწრაფად გაიზარდა და წლითი-წლობით მატულობდა. 1839 წელს საქართველოს გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ თბილისის შაქრის ქარხანას შეუძლია წლიურად გამოუშვას 34.000 ფუთი შაქარი, რაც 2-ჯერ და კიდევ მეტად აღემატება უცხოეთიდან ამიერკავკასიაში შემოტანილ შაქარსო[3], ე. ი. იმ წლებში უცხოეთიდან დაახლოებით შემოჰქონდათ 15—16 ათასი, მაქსიმუმ 17 ათასი ფუთი შაქარი. 1845 წელს კი, როდესაც თბილისის შაქრის ქარხანაში წარმოება თითქმის შეწყვეტილი იყო, უცხოეთიდან ამიერკავკასიაში შემოიტანეს 21577 ფუთი შაქარი — 153105 მან. ღირებულების[4], ხოლო 1846 წელს, როდესაც თბილისის ქარხანა საბოლოოდ დაიხურა, უცხოეთიდან შემოიტანეს 28145 ფუთი შაქარი — 199797 მანეთისა[5]. 1847 წელს იგი კიდევ უფრო გაიზარდა. ამ წელს შემოიტანეს 33676 ფუთი შაქარი — 276021 მანეთისა[6]. ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ოლქის მმართველი გენ. ლეიტ. ეერებცოვი, უცხოეთიდან შაქრის შემოზიდვის გაზრდის მთავარ მიზეზად აცხადებდა თბილისის შაქრის ქარხნის დახურვას: „შაქრის შემოზიდვის თანდათანობით გაძლიერება ხდება ნაწილობრივ ჩაის

---

[1] საქ. ცსსა. ფონდი 26, აღწერა 2, საქმე 549. აღსანიშნავია, რომ ქარხნის ქონების განაწილების წინ კომპანიონებს შორის დავა ატყდა. მეფის ზოგიერთი მოხელე ამ „უთანხმოებას" თვლიდა ქარხნის დახურვის მიზეზად. (ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 744, л. 287) ნამდვილად კი დაეა მათ შორის მაშინ დაიწყო, როდესაც წარმოება ფაქტიურად დახურული იყო.

[2] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 744, л. 287.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 9113, ფურც. 67.

[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 2, д. 977, л. 4.

[5] იქვე.

[6] იქვე.

მოხმარების გავრცელებით მხარეში, ხოლო განსაკუთრებით თბილისის შაქრის ქარხნის დახურვის შედეგად"[1].

შემდეგ წლებშიც შაქრის შემოზიდვა განუწყვეტლივ იზრდებოდა. 1849 წელს შაქარი შემოტანილ იქნა 40718 ფუთი 276.156 მანეთის[2]; 1850 წელს — 40940 ფუთი 281499 მანეთის[3]; 1851 წელს — 53.656 ფუთი 338273 მან.[4]; 1853 წელს — 57276 ფუთი 414151 მან.[5]; რუსეთ-თურქეთის ომის დროს შაქრის შემოზიდვა ამიერკავკასიაში, როგორც საერთოდ ყველა სხვა ნაწარმისა, შემცირდა. ომის შემდეგ კი იგი კვლავ დიდი სისწრაფით იზრდება: 1856 წელს შემოიტანეს 44009 ფუთი შაქარი 390.373 მანეთისა[6]; 1857 წელს — 64015 ფუთი 506998 მან.[7]; 1858 წელს კვ შემოიტანეს 73553 ფუთი შაქარი 592623 მან.[8] უცხოეთიდან ამიერკავკასიაში შემოტანილ საქონელთა შორის შაქარს ყოველ წელს პირველი ადგილი ეკავა[9].

შაქრის მოხმარების ასეთი ზრდა ამიერკავკასიაში გამოწვეული იყო ევროპულ ჩვეულებათა გავრცელებით. შემოზიდული შაქრის დიდი ნაწილის მომხმარებელი საქართველო იყო, განსაკუთრებით თბილისი. ამიტომ თბილისის შაქრის ქარხნის არსებობასა და განვითარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რაზედაც არაერთხელ მიუთითებდა მთავრობას ზუბალაშვილი. ეს გარემოება სხვებსაც ესმოდათ და ბევრი მათგანი ცდილობდა ზუბალაშვილის დაწყებული საქმის გაგრძელებას. ამ მხრივ მოვიყვანთ ერთ მაგალითს. 1848 წლის ივლისში თბილისელმა მოქალაქე ალექსანდრე ანანოვმა მეფისნაცვალ ვორონცოვს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი. ანანოვი ითხოვდა მიეცათ მისთვის ის პრივილეგია, რომელიც ზუბალაშვილის კომპანიას მიანიჭეს[10]. ალექსანდრე ანანოვს ინგლისსა და საფრანგეთში ყოფნის დროს სპეციალურად შეუსწავლია შაქრის წარმოების საქმე[11]. მას სურვილი ჰქონდა განეახლებინა შაქრის წარმოება ზუბალაშვილის ქარხანაში. ამ მხრივ ზუბალაშვილისაგან მან ნებართვა მიიღო. ამავე დროს ანანოვი მთავრობას პირდებოდა ჩაეტა-

---

[1] იქვე.
[2] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 4. д. 245. л. 5.
[3] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 5. д. 338. л. 7.
[4] ЦГИАЛ. ф. 1268. по. 6. д. 205. л. 5.
[5] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 8. (1854). д. 159. л. 6.
[6] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 9 (1857). д. 271. л. 7.
[7] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 9 (1858). д. 259. л. 6.
[8] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 10 (1859). д. 165. л. 6.
[9] ЦГИАЛ. ф. 1268. оп 4. д. 245. лл. 4—5: оп. 6. д. 205. л. 5.
[10] საქ. ცსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 124, ფურც. 1.
[11] იქვე.

რებინა შაქრის ჭარხლის მოყვანის ცდები ამიერკავკასიაში[1]. მაგრამ მთავრობამ ამ თაოსნობას მხარი არ დაუჭირა, ანანოვს პრივილეგიის მიცემაზე უარი უთხრა და საქმე ამით დამთავრდა.

იაკობ ზუბალაშვილი იმ დროის უკვე ჩამოყალიბებული კაპიტალისტი იყო. იგი ჭკვიანი და დიდი ენერგიის კაცი ჩანდა. სავსებით სწორად მიუთითებდა „მშობლიური" (ადგილობრივი) მრეწველობის განვითარების აუცილებლობაზე და სახელმწიფოს როლზე ამ საქმეში. იგი პირველი ქართველი მრეწველი იყო, რომელმაც საქართველოში მრეწველობის განვითარების მიზნით, ადგილობრივი (თუ შეიძლება ითქვას ეროვნული) ბაზრის დაცვა მოითხოვა მფარველობითი ბაჟებით. ამავე დროს იგი ტიპიური წარმომადგენელი იყო იმ კაპიტალისტური მეწარმეობის, რომელიც უსაზღვრო გაფართოებისაკენ მიისწრაფოდა. შაქრის გარდა, მან თბილისში (დიდუბეში) ამ წარმოების მახლობლად, შვედ ვატმანთან ერთად 1837 წელს მოაწყო რომისა და არაყის ქარხანა[2]. ქარხანა ამზადებდა არაყს, რომსა და სპირტს. არაყსა და სპირტს ღებულობდნენ პურისა და ხილისაგან, ხოლო რომს შაქრის ბადაგისაგან. ქარხანაში იდგა ერთი ორთქლის მანქანა[3]. წარმოება აქაც კაპიტალისტურ წესზე იყო მოწყობილი. იგი დაქირავებულ შრომას ემყარებოდა[4]. ასევე ზუბალაშვილს ტერ-გუკასოვთან ერთად ალექსანდრეპოლში გააჩნდა კირის ქარხანა, რომელიც 1837 წელს მოაწყვეს. ქარხანაში იყენებდნენ ქალაქის მცხოვრებთა ნებითდაქირავებულ შრომას[5].

თბილისის შაქრის წარმოების დახურვის შემდეგ, მე-19 საუკუნის 50-იან წლებში, იაკობ ზუბალაშვილს ჩვენ ვხედავთ მოიჯარადრეობის ასპარეზზე.

ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა თბილისის შაქრის წარმოების ისტორია და დავახასიათეთ მისი სოციალ-ეკონომიური ბუნება. მასში აშკარად ჩანს რეფორმამდელი ხანის საქართველოში კაპიტალისტური წარმოების არსებობა მრეწველობაში, ქვეყნის ეკონომიური განვითარების შედეგად ბურჟუაზიულ თაოსნობათა საჭიროება, ნათლად ჩანს კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკაც.

მართალია, თბილისის შაქრის საწარმო დაიხურა, მაგრამ ასეთი მსხვილი კაპიტალისტური საწარმოს არსებობა რეფორმამდელ საქართველოში, კაპიტალისტური წარმოების არსებობაზე მიუთითებს.

---

[1] იქვე.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 35—37; საქმე 6351, ფურც. 26—28.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6351, ფურც. 14.

საწარმოს დაცემა არ ნიშნავდა უნიადაგობას ბურჟუაზიული ურთიერთობისათვის და იგი არ უარყოფს ასეთი ურთიერთობის არსებობას. ამ შემთხვევაში მთავარია საწარმოს არა დაცემის, არამედ მისი არსებობის ფაქტი, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება საწარმოში, საზოგადოებრივი წყობა მასში, ექსპლოატაციის ფორმა საწარმოში. კაპიტალიზმის განვითარების პროცესში რიგი საწარმოები ეცემოდნენ, ზოგი ადრე და ზოგი გვიან, მაგრამ მათ ნაცვლად გაცილებით მეტი კაპიტალისტური საწარმოები ჩნდებოდნენ და შესაბამისად იზრდებოდა დაქირავებული შრომა, საწარმოო პროდუქცია, იზრდებოდა ახალი ურთიერთობა. ასე იყო ყველა ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში, ასე იყო საქართველოშიც.

რა თქმა უნდა, ასეთ საწარმოებს მფარველობა და მხარდაჭერა ჭირდებოდა. კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკა ამას გამორიცხავდა.

მინის წარმოება

საქართველო მე-19 საუკუნეში, ისე როგორც ყოველთვის, ღვინით განთქმული და მდიდარი ქვეყანა იყო. საქართველოს უმაღლესი მთავრობის პროკურორის პერვოვის 1832 წლის ცნობით, თბილისში ითვლებოდა 30.000 მცხოვრები, რომლებიც ყოველდღიურად სვამდნენ 7.000-მდე თუნგ ღვინოს[1]. ყოველწლიურად თბილისში იხარჯებოდა 700.000-მდე ვედრო ღვინო და 35000-მდე ვედრო ჭაჭის არაყი. მთელ საქართველოში ყოველწლიურად იხარჯებოდა 2750000-მდე ვედრო ღვინო და 200000-მდე ვედრო არაყი. საქართველოში ყოველწლიურად ყიდდნენ დაახლოებით 1500000-მდე ვედრო ღვინოს და 150000-მდე ვედრო არაყს[2].

რუსეთს ღვინით უმთავრესად საფრანგეთი ამარაგებდა, რაც წლიურად მას 21 მილიონ ფრანკამდე უჯდებოდა. ამიტომ რუსეთის მთავრობა თავიდანვე სათანადო ზომებს იღებდა საქართველოში მეღვინეობის გაუმჯობესებისათვის, რათა იმპერიის ცენტრალური გუბერნიები ქართული ღვინით მოემარაგებინა. მაგრამ ამას ხელს უშლიდა ორი გარემოება: ცუდი სამიმოსვლო გზები და სატრანსპორტო ჭურჭლის უქონლობა. რუსეთიდან საქართველოში შუშის ნაწარმის ჩამოტანა კი ძნელდებოდა მისი მტვრევადობისა და ტრანსპორტის სიძვირის გამო. ადგილობრივი ტიკები რუსეთში ღვინის შესატანად უვარგისი იყო, რადგან ღვინოს ღირსე-

[1] 3 თუნგი უდრიდა 1 რუსულ ვედროს.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 2. აღწერა 1, საქმე 2716, ფურც. 5—14.

ბას უკარგავდა. ამიტომ მთავრობა დაინტერესებული იყო საქართველოში მინისა და საკასრო წარმოების განვითარებით, რის შედეგად ღვინოს რუსეთში კასრებითა და ბოთლებით შეიტანდნენ.

საქართველოში მინის ჭურჭელზე დიდი მოთხოვნილება იყო. მაშინ, როდესაც უბრალო ბოთლი რუსეთში ღირდა 6-8 კაპიკი სპილენძით, თბილისში იგი იყიდებოდა 10 კაპიკ ვერცხლად[1] და მისი უკმარობა დიდად იგრძნობოდა. გარდა ამისა მინის ჭურჭლეულს საჭიროებდა არმია და სახაზინო აფთიაქი, რომელთა მომარაგება რუსეთიდან ძნელი ხდებოდა.

საქართველოს მთავრობის მოხელეებმა აცნობეს რუსეთში, რომ აქ მინის საწარმოს მოწყობა სავსებით შესაძლებელი იყო.

1821 წ. გენ. მაიორ თავად ერისთავმა ქსნის ხეობაში მოაწყო მინის „ქარხანა"[2], გამოიწერა საამისო ოსტატი სათანადო მოწყობილობით. მაგრამ ეს საქმე მაშინ მარცხით დამთავრდა, რადგან მეწარმეებმა არ იცოდნენ წარმოების საქმე და თანაც მთავრობის მხრივ „მხარდაჭერა ვერ ჰპოვეს"[3].

1828 წელს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ ზავილეისკის თხოვნის თანახმად, პეტერბურგიდან თბილისში გამოგზავნეს მინის წარმოების სპეციალისტი ივანე ლევაშევი. მას იქ მისცეს ინსტრუქცია, სადაც აღნიშნულია, რომ პირველად საქართველოში უნდა მოეწყოს მინის ქარხანა, რომელმაც უნდა დაამზადოს: 1) თეთრი და ნახევრად თეთრი ჭურჭლები, 2) ბოთლები და 3) საფანჯრე მინა[4].

თბილისიდან ლევაშევი გაგზავნილ იქნა სხვადასხვა რაიონებში. მან მოიარა ქართლი, კახეთი და იმერეთი, შემდეგ იგი იყო ბაქოს პროვინციაში. მთელ ამიერკავკასიაში მინის წარმოებისათვის ყველაზე უკეთეს ადგილად მიიჩნია ბორჯომის ხეობა, (ბორის მაზრა)[5]. აქ. მისი აზრით, მოიპოვებოდა საუცხოო ქვიშა და თიხა. აქვე იყო მდიდარი სახაზინო ტყე, რომელზედაც თუმცა თავადი ავალიშვილები და აბაშიძეები პრეტენზიას აცხადებდნენ. მაგრამ მთავრობა მას უარყოფდა, რადგან, მისი განცხადებით, ჯერ ერთი, ტყე რუსის ჯარის მიერ „ბრძოლით მოპოვებული" იყო და, მეორე, ამ ტყით ყოველთვის ახალციხელები სარგებლობდნენ, ხოლო აღნიშნულ თავადებს არასდროს უსარგებ-

---

1 ი ქ ვ ე. ფურც. 20.
2 საქ. ცსა. ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 932.
3 Акты. т. VII, გვ. 163.
4 ЦГИАЛ. ф. 18. оп. 2. д. 560. л. 13.
5 ЦГИАЛ. ф 18. оп. 2. д. 561. л. 2.

ლიათო[1]. დაბოლოს, მთავრობა იმოწმებდა მეფე ვახტანგის კანონს, რომლის ძალითაც მიწისმფლობელი თეკი 30 წლის განმავლობაში არ ფლობდა მიწას, კარგავდა მასზე უფლებას[2].

ლევაშევს მინის ქარხნის მოსაწყობად გამოუგზავნეს მოადგილე და 6 ოსტატი[3] და იგი საქმეს შეუდგა. მან შეადგინა ქარხნის მოწყობის ხარჯთაღრიცხვა, რომლის საფუძველზე ხაზინას თხოვა 28850 მანეთი[4], მაგრამ ხაზინამ ხარჯთაღრიცხვა დიდად მიიჩნია და აღნიშნული თანხა ლევაშევს არ მისცა. ამავე დროს აღნიშნულ ტყეზე მიწისმფლობელები კვლავ დაობდნენ და ლევაშევს საქართველოში სახაზინო მინის ქარხანა ვერ მოუწყვია[5]. სამაგიეროდ იგი მოიწვია საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორმა ზავილეისკიმ და კერძო მინის ქარხანა მოაწყობინა[6]. საამისოდ ზავილეისკიმ 1831 წლის დასაწყისში, ახალციხის მაზრაში იყიდა საკმაოდ დიდი ტყიანი ადგილი და იმავე წლის ბოლომდე მოწყობილი იქნა ქარხანა[7]. ქარხანა მოაწყვეს თავად ლევან აბაშიძის მამულში. მალე, ზავილეისკიმ ქარხანა გადაიტანა აწყურში, მტკვრის ნაპირას. ქარხანა უშვებდა დაბალი ხარისხის შუშეულს.

1834 წელს ზავილეისკიმ რუსეთიდან ჩამოიყვანა ოსტატები: ჟუკოვი (1450 მან. ასიგნაციად წელიწადში), ბობიკოვი, ვესელოვსკი და პავლოვი (თითოეული 1000 მან. ასიგნაციად წელიწადში)[8]. პეტერბურგიდან მოიტანეს ჰოლანდიური მინის სადნობი ღუმელი. საწარმო ატარებდა „პეტროვსკის მინის ქარხნის" სახელწოდებას. ქარხანა მოთავსებული იყო ქვის შენობაში. საქარხნო ნაგებობანი შეიცავდა: მინის სადნობ შენობას — 1, სამეთუნეოს — 1, სამჭედლოს — 1, საწყობს — 1, და ოსტატების საცხოვრებელ 2 ფლიგელს[9].

ზავილეისკიმ საწარმოს ზედამხედველად დანიშნა თავისი ბიძაშვილი, გუბერნსკი სეკრეტარი ზავილეისკი. წარმოების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო შტაბს კაპიტანი თავადი ლევან აბაშიძე.

---

[1] იქვე, ფურც. 5.
[2] იქვე.
[3] იქვე, ფურც. 3.
[4] იქვე.
[5] იქვე, ფურც. 54, 71
[6] იქვე, ფურც. 30. ჩვენ ხელთ არსებული საარქივო მასალებით, ლევაშევს საქართველოში ვხედავთ 1834 წლის ბოლომდე. საქართველოში იგი სამოქალაქო სამსახურში შევიდა. იყო გუბერნსკი სეკრეტარი (ЦГИАЛ. ф. 18. оп. 2, д. 561. л. 71) ამის შემდეგ რა ბედი ეწია ჩვენ არ ვიცით.
[7] იქვე, ფურც. 17, 30.
[8] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 3795, ფურც. 34.
[9] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 17.

ძალე ცხადი გახდა, რომ როგორც მეწარმეებმა, ისე ოსტატებმა, ცუ-ცად იცოდნენ მინის წარმოება. მინის ნაწარმი კვლავ ცუდი ხარისხის გამოდიოდა, რის გამო ბაზარზე მომხმარებელს ვერ პოულობდა. წარ-მოების არარენტაბელობის გამო ქარხნის მეპატრონე სათანადო ხელფასით ვერ აკმაყოფილებდა არა თუ მარტო მუშებს, არამედ ოსტატებსაც, რის გამო ხშირად საქმე ადგილობრივ ხელისუფლე-ბამდე და სასამართლომდეც კი მიდიოდა.

დიდი ცდების შემდეგ, 1839 წელს საწარმომ გაცილებით უკე-თეს შედეგს მიაღწია პროდუქციის ხარისხის მხრივ. ამ წლის ივლის-ში ქ. ბელევიდან (ტულის გუბერნია) გამოიწერეს ცეცხლგამძლე თიხა, რამაც დიდად შეუწყო ხელი წარმოების გაუმჯობესებას. მი-ნის წარმოებისათვის ხმარობდნენ შემდეგ მასალებს: თიხას — მოჰ-ქონდათ ქ. ბელევიდან, ქვიშას — მოჰქონდათ სურამიდან, ერევნის სოდას — მოჰქონდათ თბილისიდან, მარილს — მოჰქონდათ კულპის ქარხნიდან, ნაცარსა და კირს, რომელთაც თვით ადგილზე, ქარ-ხანასთან გამოსწვავდნენ. ქარხანა ამზადებდა სხვადასხვაგვარ ბოთლებს, ტოლჩებს, სხვადასხვა სიდიდის ჩაფებს, ბანკებს შტოფებს, სხვადასხვა სიდიდის საალთიანო ჭურჭლეულს, სამელნეებს, ტაშტებს, პირსაბნებს, ქილებს და სხვ. გამომუ-შავებული პროდუქცია ფასობდა 5 კაპიკიდან 40 კაპიკამდე. ასე, მაგალითად: „ფრანგული ბოთლი“ ღირდა 5 კაპიკი, „შამპანუ-რი ბოთლი“ — 7 კაპ., სხვადასხვა სიდიდის ჩაფები — 10-დან 40 კაპიკამდე, მეოთხედ ვედროიანი ბოთლი — 20 კაპ., ნახევარ ვედ-როიანი ბოთლი — 40 კაპ., და ა. შ.

ზავილეისკის მინის ქარხანა მანუფაქტურული ტიპის კაპიტა-ლისტური საწარმო იყო. საწარმოში მხოლოდ და მხოლოდ დაქირა-ვებული შრომა იყო გამოყენებული. დაქირავებულნი იყვნენ რო-გორც ოსტატები, ასევე მუშები. აქ იყვნენ: 9 ოსტატი[1], 16 მუშა, 1 ეკონომისტი და 1 ნოქარი[2]. წარმოებაში გატარებული იყო შრო-მის სისტემატური დანაწილება. როგორც მინის მანუფაქტურებში, აქაც წარმოების პირველ, მოსამზადებელ სტადიაში ხდებოდა საშუ-შე მასალის დამზადება; მეორე სტადიაში — თხევადი მინის მასის გადამუშავება: მინის ჭურჭლის ჩამოსხმა, ჩაბერვა, გაკრიალება და სხვ., მესამე სტადიაში ხდებოდა საშრობი ღუმელიდან შუშეულის გამოტანა, დახარისხება და ყუთებში ჩალაგება. ქარხანაში მანქანე-ბი არ გააჩნდათ და წარმოების მთელი ეს პროცესი ხელით შრომას

[1] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 3795, ფურც. 34.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 16,

ემყარებოდა. დამოკიდებულება ქარხნის მფლობელებსა და დაქირავებულ მუშა-ოსტატებს შორის ცუდი იყო, რაც ხშირად გამოიხატებოდა მეწარმეების მხრივ დაქირავებული შრომის ხელფასის აუნაზღაურებლობით, ხოლო დაქირავებულ მუშა-ოსტატთა მხრივ წარმოებიდან წასვლის მუქარით.

აღვნიშნეთ, რომ საწარმომ ყველაზე უკეთესს შედეგს 1839 წელს მიაღწია. ამ წელს დამზადებულ იქნა 42000 სხვადასხვა მინის ჭურჭელი — 20000 მან. ღირებულების[1]. იმედი ჰქონდათ წარმოების უფრო გაუმჯობესებისა, მაგრამ 1840 წლის იანვრიდან მუშაობა საწარმოში შეწყდა, რადგან არ გააჩნდათ მინის დასამზადებელი სხვადასხვა საჭირო მასალა და თვით საქარხნო ნაგებობანი კაპიტალურ რემონტს ითხოვდა. ამიტომ 1840 წლის აგვისტოში საწარმოს მეპატრონემ ზავილეისკიმ მთავარმართებელ გოლოვინს თხოვა მისი მინის ქარხანა ხაზინას მიეღო, რადგან კერძო პირს გაუჭირდება მისი მართვაო[2]. სამაგიეროდ ზავილეისკი ხაზინისაგან ითხოვდა წარმოების მოწყობაზე მის მიერ გაღებული კაპიტალის ნახევარს — 20000 მანეთს[3] (ე. ი. ზავილეისკის განცხადებით. ქარხნის მოწყობაზე მას გაუღია 40000 მან). ხაზინამ უარი განაცხადა მიეღო „სავალალო მდგომარეობაში“ მყოფი ზავილეისკის საწარმო[4]. მეწარმეებმა თავის მხრით შეუძლებლად ცნეს წარმოების გაგრძელება და აწყურის მინის ქარხანა 1840 წლის ბოლოს დაიხურა.

აწყურის მინის წარმოების დახურვის შემდეგ, მალე, 1841 წელს, ტიტულიარნი სოვეტნიცა ი შ ხ ნ ე ლ მ ა თბილისში მოაწყო მინის ქარხანა[5]. ქარხანაში მოწყობილი იყო 1 მანქანა და 2 ღუმელი. დაქირავებული ჰყავდა ერთი უცხოელი ოსტატი და ოთხი მუშა ადგილობრივ მცხოვრებთაგან[6]. რა პროდუქციას უშვებდა ეს საწარმო და რა ბედი ეწია მას, ჩვენ ამის შესახებ სათანადო მასალები არ გვაქვს. ჩანს, რომ იგი მალე დახურულა ორი მიზეზით: ან ვერ მოუწყვიათ კარგად წარმოების საქმე, და ან, მას შემდეგ, რაც ელიზბარ ერისთავმა 1843 წელს მინის დიდი წარმოება გახსნა ოვარებში (გორის მაზრა), მისთვის კონკურენცია ვერ გაუწევია და მეწარმე იშხნელს წარმოებისათვის თავი გაუნებებია.

მინის წარმოების ამ რიგ წამოწყებათა შემდეგ, მას ხელი მოჰკიდა გორის მაზრის მემამულემ, თავად ე ლ ი ზ ბ ა რ ე რ ი ს თ ა ვ-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 17.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 5806.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე, ფურც. 7.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6351, ფურც. 26—28.
[6] ი ქ ვ ე.

შ ა. მას, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული ჰქონდა წინამორბედთაოსანთა მარცხის მიზეზები. ამავე დროს, მან კარგად იცოდა, რომ ამიერკავკასიაში მინის ნაწარმზე მოთხოვნილება დიდი იყო.

ელიზბარ ერისთავმა მინის ქარხანა მოაწყო 1842 წელს თავის მამულში, სოფელ ღვარებში (გორის მაზრა), მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ეს ადგილი მდიდარი იყო წყლითა და ტყით და ამ მხრივ წარმოების ერთ მთავარ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. მისი უშუალო თანაშემწე საწარმოს მოწყობის საქმეში თავადი დიმიტრი ერისთავი იყო. ერისთავებს ამ საქმეში ტრადიციაც ჰქონიათ. გადმოცემით, სოფელ ღვარებში მათ წინაპრებსაც მოუწყვიათ მინის წარმოება XVIII საუკუნეში. ელიზბარ ერისთავმა მინის ქარხანა მოაწყო „მთავრობისაგან ყოველგვარი დახმარების გარეშე"[1], როგორც ზავილეისკის, ასევე ერისთავის მინის ქარხანა „პეტროვსკის" სახელს ატარებდა.

ქარხანამ მუშაობა დაიწყო 1843 წელს[2]. ამ წელს ქარხანამ დაიწყო ბოთლებისა და სხვა ჭურჭლეულის დამზადება[3]. ქარხნის ამუშავების პირველ წლებში მინის ნაკეთობაზე ერისთავებს შეკვეთას აძლევდა საინჟინრო უწყება. 1842 წელს საინჟინრო უწყებამ ქარხანას შეუკვეთა 2514 მანეთის მინა[4], 1843 წელს — 1130 მან.[5], სოლო 1844 წელს — 4047 მან. მინა[6]. 1844 წლიდან ერისთავებს მისცეს თბილისის „სათადარიგო აფთიაქის" შუშეულით მომარაგების პრივილეგია[7]. ამავე წელს მეწარმეებმა ხაზინისაგან მიიღეს დახმარების სახით 3000 მანეთის სესხი, ქარხნის გაუმჯობესებისათვის[8]. ამ დროიდან ქარხნის მდგომარეობა გაუმჯობესდა. შემოსავალმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა საწარმოო ხარჯებს.

ქარხანა პირველ წლებში ღებულობდა მწვანე მინის ჭურჭლებს ღვინისა და სააფთიაქო საჭიროებისათვის. მართალია, გამომუშავებული პროდუქცია დაბალი ხარისხისა იყო, მაგრამ ზავილეისკის ქარხნის მიერ გამომუშავებულ პროდუქციას გაცილებით ჯობდა. ქარხნის ამუშავებისთანავე, ერთდროულად ერისთავებმა ცდები ჩაატარეს საფანჯრე მინის მიღებისათვის, მაგრამ მწვანე გამოსდიოდათ. მაინც 1845 წელს მიაღწიეს საშუალო ხარისხის საფანჯრე მინა მიეღოთ. შეკვეთის გარდა მინის პროდუქციას ჰყიდდნენ თბი-

---

[1] საქ. ცსსა ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 18, ფურც. 1.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 2786, ფურც. 2.
[3] იქვე.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 18, ფურც. 4.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 2786, ფურც. 3.
[8] საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 18, ფურც. 7.

ლისსა და გორის მაზრაში. 1843 წელს (პირველ წელს) ქარხანამ ვა-მოუშვა 6000 მანეთის პროდუქცია[1]. 1845 წელს ქარხნის მფლობელებმა მიიღეს 2050 მან. მოგება (წმინდა შემოსავალი). ღვარების მინის წარმოებამ თავიდანვე დიდი „ყურადღება მიიქცია“ მთავრობის მხრივ[2].

1845 წლის მაისში ელიზბარ და დიმიტრი ერისთავებმა მოხსენებითი ბარათი წარუდგინეს მეფისნაცვალ ვორონცოვს. რომელშიც აღნიშნავდნენ საქართველოს ყოფილი მთავარმართებლების ერმოლოვისა და როზენის ცდებს, დაეფუძნებიათ საქართველოში მინის წარმოება; აგრეთვე მათი წინამორბედების — გენ. ერისთავისა (ქსნის ხეობაში) და ზავილეისკის (აწყურში) მოწყობილი მინის საწარმოთა მარცხს. მათ კი, აღნიშნავდნენ ისინი, შეძლეს მოეწყოთ მინის წარმოება „მთავრობის მხრივ ყოველგვარი დახმარების გარეშე“. ერისთავების განცხადებით, მათ საწარმოს დიდი სარგებლობა მოჰქონდა მთავრობისა და მხარისათვის, „ასეთი საწარმოს არსებობა აუცილებელი პირობაა მეღვინეობის გაუმჯობესებისა და ღვინით ვაჭრობისათვის“[3]-ო; ბოთლი, რომელიც ღირდა 15—20 კაპიკი, ქარხნის მოწყობის შემდეგ იყიდება 8 კაპიკად[4]; ამას გარდა „საფანჯრე მინებით სავსე ყუთს (200 ცალი მინით), რომელშიდაც ხშირად ნახევარი დამტვრეულია, ვაჭრები ყიდიან 30 მან. ჩვენ კი ასეთივე ყუთს მთელი მინებით ვყიდით 20 მანეთად“-ო[5]. მრეწველები ითხოვდნენ: თბილისის სახაზინო აფთიაქსა და საინჟინრო უწყებას მათთვის მიეცათ ის ორი წლის თანხა, რომელიც გადადებული ჰქონდათ რუსეთიდან სხვადასხვა მინეულის ჩამოტანისათვის. სამაგიეროდ ერისთავები ვალდებულებას იღებდნენ აფთიაქისა და საინჟინრო უწყებისათვის მინის ნაწარმი შედარებით ნაკლებ ფასებში მიეცათ, აქამდე თბილისის აფთიაქს მოსკოვიდან ამარაგებდნენ. ერისთავების თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა, რამაც დადებითი შედეგი მოიტანა ქარხნისათვის.

1846 წელს ელიზბარ ერისთავმა კვლავ მოითხოვა ხელშეკრულების დადება 3 წლით, რომლის თანახმად მას თბილისის სახაზინო აფთიაქისათვის უნდა მიეწოდებია მინის ჭურჭლები, ხოლო ხაზინას ამ ხნის (3 წლის) მანძილზე გასაცემი თანხა ერთად უნდა მიეცა მრეწველისათვის, 2158 მან. რაოდენობით. ეს თხოვნაც დაკმაყოფი-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 744, л. 91.
[2] იქვე, ფურც. 287.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 18, ფურც. 2.
[4] იქვე.
[5] იქვე.

ლებულ იქნა[1]. ქარხანა აფთიაქს აწოდებდა სხვადასხვა სახისა და ფარისხის მინის ჭურჭლეულს: თეთრ და შეწვანე ცილინდრულ ბანკებს, ძაბრებს, მენზურებს (საწყვისი), ცილინდრულ შუშებს, ბოთლებს, ამბულებს, კოლბებს, როდინებს და სხვა მრავალს[2].

1847 წელს თვით მთავრობამ სთხოვა ერისთავებს მინის ჭურჭლები დაემზადებინათ სტავროპოლის სახაზინო აფთიაქისათვისაც. ერისთავებმა თანხმობა განაცხადეს, მაგრამ მოითხოვეს წინდაწინ მიეცათ ძათთვის ფული. 3750 მანეთი. ვორონცოვმა თავისი მოხელეები გაგზავნა ქარხნის შესამოწმებლად, რომელიც „საკმაოდ კარგ მდგომარეობაში“ აღმოჩნდა. ამიტომ ვორონცოვი დათანხმდა, მეწარმეებისათვის მიეცათ აღნიშნული თანხა[3]. ამიერიდან სტავროპოლის სახაზინო აფთიაქს ერისთავის მინის ქარხანა ამარაგებდა.

ქარხნის წარმატებებმა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მას 1844 წლიდან მიენიჭა თბილისის სახაზინო აფთიაქის მომარაგების პრივილეგია. დიდად წაახალისეს მეწარმეები. მათ განიზრახეს მინის ქარხნის გარდა მოეწყოთ ფაიფურის „ფაბრიკაც“[4]. 1846 წელს დიმიტრი ერისთავმა ფაიფურის „ფაბრიკის“ აგებისათვის გამოითხოვა 10 წლიანი პრივილეგია. საწარმოს მოწყობა მას სურდა იმავე სოფელ ღვარებში. ერისთავებს ასეთი საწარმოს მოწყობა საქართველოში საჭიროდ მიაჩნდათ, რადგან რუსეთიდან ყოველწლიურად იწერდნენ ფაიფურის ჭურჭლებს სხვადასხვა საჭიროებისათვის. მისი მოტანა კი თვით ჭურჭლის ფასი ჯდებოდა. მთავრობამ ნება კი დართო ფაიფურის „ფაბრიკა“ მოეწყოთ, მაგრამ პრივილეგიის მიცემაზე უარი უთხრა. დიმიტრი ერისთავმა კი პრივილეგიების გარეშე ვერ გაბედა ასეთი საწარმოს მოწყობისათვის მოეკიდა ხელი[5].

1847—1848 წლებში ღვარების მინის ქარხანა ასეთ მდგომარეობაში იყო: ქარხანა მოწყობილი იყო ერთ დიდ ხის შენობაში. მასში იდგა 12 ღუმელი; მათ შორის საადნობი ღუმელი — 1, მინის გასაწმენდი — 1, დიდი საწრთობი ღუმელი — 4, პატარა საწრთობი ღუმელი — 2, გამოსაწვავი ღუმელი — 1, სამასალო — 1, მინის წარმოებისათვის იყენებდნენ შემდეგ მასალებს: თიხას, სოდას, პოტაშუმს (ყალაქვა), სილას, ნაცარს,შაბს. ამ მასალათა ერთ ნაწილს ყიდულობდნენ თბილისში, ნაწილს კი გორის მაზრაში[6]. ქარხანაში

---

[1] საჭ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 57, ფურც. 1—10.
[2] იქვე.
[3] იქვე. ფურც. 32.
[4] საჭ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 9020, ფურც. 1—7.
[5] იქვე.
[6] საჭ. ცსსა, ფონდი 26, აღწერა 2, საქმე 617, ფურც. 42.

დამზადებული კვადრატული არშინი მინა ღირდა 1 მან. და 40 კაპიკი[1]. ბოთლები და სხვადასხვა სიდიდის ჭურჭლეული ბაზარზე იყიდებოდა 10 კაპიკიდან 2 მანეთამდე[2]. ამ წლებში საწარმო ამზადებდა 50000-მდე ცალ მინის ნაკეთობას[3], რომლის ღირებულება საშუალოდ 7500 მანეთამდე აღწევდა. ქარხანაში მუშაობდა 21 კაცი[4] ამათ შორის ოსტატი იყო — 6 (2 უცხოელი და 4 რუსი), შავი მუშა იყო 15 კაცი, ერისთავის ყმები[5]. ქარხნის მეპატრონე სარგებლობდა თავისი მებეგრე ყმების მუქთი შრომით, მაგრამ მათ შრომას იგი იყენებდა შეშის მოჭრასა და წარმოების მოსამზადებელ სტადიაში. ერისთავი ამისათვის იყენებდა 200 გლეხი ოჯახის შრომას[6].

წარმოების გაუმჯობესების მიზნით ელიზ. ერისთავმა გამოიწერა ოსტატები და ქ. ბელევიდან მოიტანა ცეცხლგამძლე თიხა. წლიურად ქ. ბელევიდან მოჰქონდა 1000 ფუთი თიხა. ფუთი თიხის ჩამოტანა უჯდებოდა 3 მან. 1848 წლიდან კი თიხის მოტანა მან დაიწყო ყუბანის ნაპირებიდან, ხუმარიდან, რომელიც გაცილებით იაფი უჯდებოდათ: ფუთი 80 კაპიკად[7]. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქარხნის მდგომარეობა და იგი იმ დროის „კარგად მოწყობილ“[8] საწარმოდ იქცა და მთელ მხარეს ამარაგებდა. 1849 წელს გაზეთი „კავკაზ“-ი წერდა: „В селении Гвареби, на правом берегу Куры, действует с успехом стеклянный завод, который снабжает целый край бутылками, аптечною посудой и оконными стеклами. Завод этот принимает теперь обширные размеры“[9]. თბილისის გუბერნატორის 1850 წლის ანგარიშში ეს ქარხანა მიჩნეულია ერთ-ერთ „შესანიშნავ“ საწარმოდ: „В числе множества различных заводов замечательны стеклянный и лесопильный, состоящие в имении князей Эристовых в Горийском уезде“[10].

აღვნიშნეთ, რომ ქარხანა 1845 წლიდან უშვებდა საშუალო ხა-

---

1 საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 125, ფურც. 27—28.
2 იქვე.
3 საქ. ცსსა, ფონდი 26, აღწერა 2, საქმე 617, ფურც. 51—56.
4 იქვე, ფურც. 42.
5 იქვე.
6 საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 2786, ფურც. 3.
7 იქვე.
8 ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, д. 134, л. 20.
9 «Кавказ», 1849, № 20.
10 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 7, д. 25, л. 35.

რისხის საფანჯრე მინას. ერისთავმა მრავალრიცხოვანი ცდები ჩაატარა უკეთესი, „ბოჰემიური“, თეთრი საფანჯრე მინის მიღებისათვის[1]. ამ მიზნით მან ქარხანაში მოიწვია ინჟინერ-ტექნოლოგი ბ ი ხ ო ლ დ ტ ი[2]. პოტასიუმის, ადგილობრივი სოდისა და გლაუბერის მარილის, ასევე პროფესორ აბიხის რჩევით სპარსეთიდან იგივე გლაუბერის მარილის გამოწერით, ბოლოს „მიღებული იქნა ძალიან კარგი საფანჯრე მინა“[3] და მისი ნიმუშები 1853 წელს წარუდგინეს ეიერონცოვს[4]. მაგრამ ამ დროს დაიწყო ყირიმის ომი (1853—1855 წწ). ელიზბარ ერისთავი გაწვეულ იქნა არმიაში. ამიტომ იგი იძულებული გახდა შეეწყვიტა მუშაობა საფანჯრე მინის წარმოებაზე და მხოლოდ მინის ჭურჭლები ეწარმოებინა.

1855 წელს, მოულოდნელად, უცნობი მიზეზების გამო ღვარების მინის ქარხანა დაიწვა, „ხანძრის მიზეზები“ გაუგებარი („ბნელი“) იყო თვით ელიზბარ ერისთავისათვის. ქარხნის გარდა დაიწვა მზა ნაწარმი 3.000 მანეთისა[5]. მიუხედავად ამ კატასტროფისა მეპატრონე დაუღალავი ენერგიის კაცი აღმოჩნდა და ქარხანა კვლავ აღადგინა. 1856 წელს საწარმომ გამოუშვა 9500 მან. პროდუქცია[6]. 1857 წელს — 9750 მან. პროდუქცია[7]. 1858 წელს — 10000 მან. პროდუქცია[8]. დიმიტრი ყიფიანი ერისთავების ასეთი ენერგიული მოღვაწეობის შესახებ 1857 წელს აღნიშნავდა:

„...князья Элизбар и Димитрий Эристовы устроили в начале 40-х годов стеклянный завод в своем имении, руководствуясь тем непогрешительным расчетом, что при совершенном отсутствии в Закавказском крае стеклянного производства, предприятие их не могло не увенчаться успехом и делу этому они посвятили все свои средства; не щадили ни личных трудов, ни времени... Князья Эристовы выдержали упорную и продолжительную борьбу с препятствиями и затруднениями всякого рода, сколько в устройстве завода, столько в особенности, в сбыте его изделий“.[9]

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 2786, ფურც. 3.
[2] იქვე.
[3] იქვე, ფურც. 4.
[4] იქვე.
[5] იქვე.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9 (1858 г.), д. 101, л. 64.
[7] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, (1858 г.), д. 311, л. 27.
[8] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, (1860 г.), д. 170, л. 63.
[9] ЗКОСХ, 1857 г., вз. 52—54.

ღვარების მინის ქარხანა აღდგენის შემდეგ კვლავ ამარაგებდა თბილისისა და სტავროპოლის სახაზინო აფთიაქებს[1]. 60-იანი წლების დასაწყისში საწარმოო პროდუქცია გაიზარდა. მთელი კავკასიის აფთიაქებიდან, რომლებსაც ქარხანა ჭურჭლეულით ამარაგებდა. მეპატრონე წლიურად ღებულობდა 6-8 ათასს მანეთს; ამღენივე თანხას ღებულობდა კერძო პირებისაგან. ე. ი. წლიურად საწარმო, დაახლოებით 16000 მანეთის პროდუქციას უშვებდა. ელიზბარ ერისთავის განცხადებით ამ თანხის დიდი ნაწილი საწარმოო ხარჯებს უნდებოდა და, თუ ყმა-გლეხების შრომას არ მივიღებდით მხედველობაში, წელიწადში მას რჩებოდა 4000 მან[2].

1864 წელს ქარხანა ასეთ მდგომარეობაში იყო[3]: 1) ქარხნის მთავარ შენობაში (სიგრძე 11 საჟენი, სიგანე 9 საჟენი) მოწყობილი იყო 1 მინის სადნობი 6 ტიგელიანი (დერგიანი) ღუმელი, რომელთანაც შეერთებული იყო მასალის საშრობი ღუმელი. აქვე იყო 3 საშანდაკებული ღუმელი, 3 შუშის საშროში ღუმელი და 1 გამოსაწვავი ტიგელი.

2) ქარხანა შეიცავდა სათუნე განყოფილებას (შენობის სიგრძე — 11 საჟენი, სიგანე — 3 საჟენი), სადაც ცეცხლგამძლე თიხისაგან აკეთებდნენ ტიგელებს, ქოთნებს, აგურს და შუშის სადნობი ღუმელის სხვადასხვა ნაწილებს. აქვე იყო საშრობი ღუმელი, თიხის შესანახი ხის ყუთები. ამ შენობასთან გარეთ იყო წყლის თვალი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა თიხისა და სხვა მასალათა დასაფხვიერებელი 3 სანაყველი.

ამათ გარდა ქარხანა შეიცავდა წისქვილსა და სამჭედლოს, სააფთიაქო ჭურჭლეულობისათვის მინის თავსაცავთა საჩარხავ სახელოსნოს, ძველ შენობას საფანჯრე მინების დასამზადებლად, ბეღელს მასალათა შესანახად, სახლებს მუშებისა და ოსტატების საცხოვრებლად, სამზარეულოს მუშებისათვის, გომურს კამეჩებისათვის და სხვ. საქარხნო ნაგებობანი გაკეთებული იყო მთლიანად ფიჭვისა და ნაძვის მასალისაგან[4]. იგი ინჟინერ-ტექნოლოგ ბიხოლდტის მიერ შეფასებულ იქნა 1000 მანეთამდე[5].

---

1 საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 2786, ფურც. 5.

2 იქვე.

3 1864 წელს ქარხანა აღწერა და დაწვრილებით შეაფასა ინჟინერ-ტექნოლოგმა ბიხოლდტმ (საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 2786, ფურც. 18—23).

4 იქვე, ფურც. 18.

5 იქვე, ფურც. 19.

ქარხანაში მინის ნაწარმს ღებულობდნენ 2 დღე-ღამეში. აქედან 36 საათი ენდებოდნენ მინის გამოდნობას, დანარჩენ დროს კი მინის მასის დამუშავებას. თვეში ამზადებდნენ 9—10 ათასამდე ბოთლს. ბოთლების დამზადება ხდებოდა 6—7 თვეს და ამ დროში საწარმო უშვებდა 60—70 ათასამდე ბოთლს, 6—7 ათასი მანეთი ღირებულებისას. შემდეგი 5—6 თვის განმავლობაში ამზადებდნენ საოფთიაქო ჭურჭლეულს 6-8 ათასი მანეთისას[1]. ამრიგად, ბიხოლდტის გამოანგარიშებით ქარხნის წლიური შემოსავალი შეადგენდა 12—14 ათასს მანეთს[2]. ნამდვილად კი იგი მეტს შეადგენდა, რადგან თვით ელიზბარ ერისთავის განცხადებით ქარხნის წლიური შემოსავალი, 16000-მდე მანეთს უდრიდა და გარდა ამისა ჩვენ გვაქვს უწყისები საქართველოში არსებული „ფაბრიკა-ქარხნების“ შესახებ, სადაც ღვარების მინის ქარხნის წლიური პროდუქცია 60-იან წლებში ნაჩვენებია 15—16 ათასი მანეთის რაოდენობით[3]. საწარმოო ხარჯები წლიურად კი შეადგენდა 10000-მდე მანეთს[4]. იგი გამოიხატებოდა ყოველ თვენახევარ — ორ თვეში სადნობი ტიგელების გამოცვლისა და წლიურად ღუმელის ორჯერ განახლებაში რასაც ჭირდებოდა 1000-მდე ფუთი ცეცხლგამძლე თიხა, რომელიც ყუბანის ნაპირებიდან მოჰქონდათ, გორიდან სილის მოტანაში, თბილისის საპნის ქარხნებისაგან 7200 ფუთი ნაცრისა და ნარჩენების შეძენაში, ღვარებიდან ქარხნის პროდუქციის წაღებაში თბილისსა და სტავროპოლში, ქარხნის რემონტში, თბილისში მაღაზიის ქირისა და ნოქრის ხელფასში, წარმოებაში დაქირავებული მუშებისა და ოსტატების ხელფასის გასტუმრებაში და სხვა[5]. ამრიგად, ყმების მუქთი შრომის მიუთვლელად საწარმოს წმინდა შემოსავალი, ანუ მოგება წლიურად შეადგენდა 5—6 ათასს მანეთს.

წარმოების პროცესი ხელით შრომას ემყარებოდა და გატარებული იყო შრომის სისტემატური დანაწილება. ისე, როგორც საერთოდ, ბოთლების მანუფაქტურულ საწარმოებში, აქაც, ბოთლების წარმოება 3 სტადიას გაივლიდა. ბოთლების მანუფაქტურა „ნაწილდება სამ არსებითად განსხვავებულ ფაზად. ჯერ-ერთი, მოსამზადებელი ფაზა: სამინე ნაზავების დამზადება, — ქვიშის, კირის და სხვ. ერთმანეთში არევა, — და ამ ნაზავების თხევად მინის მასად დად-

---

[1] იქვე.
[2] იქვე.
[3] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 10, 1865 г., д. 127, лл. 67—69; оп. 11, 1866 г., д. 142, лл. 70—72.
[4] საქ. ცსსა. ფონდი 10, საქმე 2786, ფურც. 19, იქვე, ფურც. 19—20.

ნობა"[1]. მეორე ფაზაში ხდება „ბოთლების დამზადება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ანუ თხევადი მინის მასის გადამუშავება ბოთლებად"[2]. მესამე ფაზაში „წარმოებს საშრობი ღუმელიდან ბოთლების გამოღება, მათი დახარისხება, შეფუთვა და სხვ"[3]. მარქსის მიერ დახასიათებულ სამივე ამ ფაზას გაივლიდა ბოთლების წარმოება ღვარების საწარმოში: სამინე ნაზავების (მასალების) დამზადებას (პირველი, მოსამზადებელი ფაზა), თხევადი მინის მასის გადამუშავებას ბოთლებად (მეორე ფაზა), და ღუმელიდან დამზადებული ბოთლების გამოტანას, მათ დახარისხებას და ყუთებში ჩალაგებას (მესამე ფაზა).

აღსანიშნავია, რომ ერისთავის მინის ქარხანაში ხდებოდა წარმოების საშუალებათა დამზადება, თვით მწარმოებლები ამზადებდნენ თიხისაგან ცეცხლგამძლე სადნობ ქოთნებს[4], როგორც ინგლისში, სადაც „მინის მსხვილი მანუფაქტურები" თვითონვე ამზადებდნენ „ცეცხლგამძლე სადნობ ქოთნებს, რადგან ამ უკანასკნელთა ღირსებაზეა არსებითად დამოკიდებული ვარგისი გამოვა პროდუქტი თუ უვარგისი"[5].

ქარხანაში გამოყენებული იყო, როგორც დაქირავებული, ასევე ყმების შრომაც. ყმების შრომას იყენებდნენ მხოლოდ წარმოების მოსამზადებელ, ანუ პირველ ფაზაში. მინის წარმოების მეორე და მესამე ფაზაში გამოყენებული იყო დაქირავებული შრომა, განსაკუთრებით მეორე ფაზაში, სადაც ბოთლების ნამდვილი წარმოება ხდებოდა. ყმებს იყენებდნენ მხოლოდ შეშის მოტანასა და დაჭრაში, ნაცრის დაწვაში და სილის მოტანაში[6]. საკუთრივ ქარხანაში კი მათგან რამოდენიმე შავი მუშა მუშაობდა რიგ-რიგობით. ელიზ. ერისთავი ამ ყმების შესახებ აღნიშნავდა, რომ ისინი ....взамен обычных повинностей занимаются исключительно почти подвозом и рубкою дров для завода, палят золу, подвозят песок и круглый год по известной очереди дают для завода по нескольку человек чернорабочих".

ამრიგად, ღვარების მინის მანუფაქტურაში ჩვენ ვხედავთ, როგორც კაპიტალისტურ, ისე ფეოდალური ექსპლოატაციის წესს, ხოლო 1864 წლიდან, როდესაც ყმური დამოკიდებულება გაუქმებულ იქნა, საწარმო წმინდა კაპიტალისტურ მანუფაქტურად იქცა.

---

[1] კ. მარქსი — კაპიტალი, ტ. I. თბ., 1954, გვ. 440—441.
[2] იქვე, გვ. 441.
[3] იქვე.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 2786, ფურც. 18.
[5] კ. მარქსი — კაპიტალი, ტ. I. 1954, გვ. 442.
[6] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 2786, ფურც. 5.

რუსეთში მინის ქარხნების მეტი ნაწილი გლეხების მფლობელებს ეკუთვნოდათ. ეს საწარმოები მათ მოწყობილი ჰქონდათ ტყით მდიდარ ადგილებში. გლეხებს საწარმოთა მეპატრონენი იყენებდნენ მინის წარმოების როგორც დამხმარე, ისე მთავარ ოპერაციისათვის[1]. ეს ქარხნები, როგორც ღვარების მინის ქარხანა, სრულყოფილი არ იყვნენ. 60-იანი წლების დასაწყისიდან კი, როდესაც რუსეთში ბატონყმობა გაუქმდა, რუსეთის აღნიშნული მინის საწარმოები გაუმჯობესებულ იქნენ და ახალ საწყისებზე მოეწყვნენ[2]. ეს კარგად იცოდა ელიზბარ ერისთავმა და საგლეხო რეფორმის წინ განიზრახა ქარხნის გაუმჯობესება. ინჟინერ-ტექნოლოგ ბიხოლდტს ასევე აუცილებლად მიაჩნდა ქარხნის გაუმჯობესება იმ დროის მოთხოვნილების შესაბამისად[3], რუსეთში გაუმჯობესებული მინის ქარხნების მსგავსად: „С освобождением же крестьян для дальнейших действий этот завод, подобно многим Русским заводам, должен быть перестроен на более рациональных началах для получения выгод, или он должен будет прекратить свое действие в скором времени“[4]. განსაკუთრებით საჭიროდ მიაჩნდა მას ღუმელების გამოცვლა[5]. ბიხოლდტი სავსებით შესაძლებლად თვლიდა საწარმოს გაუმჯობესებას, და მისგან წლიურად 30 ათასი მანეთის პროდუქციის მიღებას[6]. ქარხანას უკეთ მოწყობის შემთხვევაში, სრული შესაძლებლობა აქვს კონკურენცია გაუწიოს უცხოურ მინასთ[7].

1864 წლის აგვისტოში ელიზბარ ერისთავმა ღვარების მინის ქარხნის გაუმჯობესების მიზნით მეფისნაცვალს 25000 მანეთი თხოვა სესხად, უპროცენტოდ[8]. მოხსენებით ბარათში ერისთავი აღნიშნავდა ქარხნის უდიდეს მნიშვნელობას ხაზინისათვის: „посуда стоит ей (ხაზინას — დ. გ.) только тех издержек, которых стоила прежде одна лишь доставка из Москвы до Тифлиса стеклянной посуды.»[9] და შემდეგ: «Самая же посуда, получаемая из моего завода, казне приходится теперь совершенно даром»[10]. ერისთავი წერდა, რომ მას სურს თავისი საწარმო გააუმჯობესოს რუსეთის სრულყო-

---

1 ი ქ ვ ე, ფურც. 22.
2 ი ქ ვ ე.
3 ი ქ ვ ე, ფურც. 20.
4 ი ქ ვ ე, ფურც. 22.
5 ი ქ ვ ე, ფურც. 19.
6 ი ქ ვ ე, ფურც. 21.
7 ი ქ ვ ე, ფურც. 5.
8 ი ქ ვ ე, ფურც. 7.
9 ი ქ ვ ე, ფურც. 4—5.
10 ი ქ ვ ე, ფურც. 5.

ფილი მინის ქარხნების დონემდეო[1]. ამავე დროს მას სურდა მოეწყო მინის დიდი რაოდენობით გასაღება კახეთში და სხვა ადგილებში[2]. განსაკუთრებით მას სურდა მოეწყო ბოთლების დიდი რაოდენობით გაყიდვა თელავში[3], რადგან ღვინოს აქ დიდი რაოდენობით აყენებდნენ. ერისთავი რწმენას გამოთქვამდა, რომ მისი ქარხანა არასდროს დაეცემოდა, რადგან მოთხოვნილება მინის ნაწარმზე თანდათან იზრდებოდა.

1865 წლის თებერვალში მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ერისთავს მისცეს 25.000 მანეთი სესხი 18 წლით[4]. ელიზბარ ერისთავმა გააუმჯობესა ღვარების მინის ქარხანა და კვლავ ამარაგებდა მინის ნაწარმით ამიერკავკასიას და მათ შორის თბილისისა და სტავროპოლის სახაზინო აფთიაქებს[5], მაგრამ ეს ენერგიული მეთაოსნე გენ. მაიორი ელიზბარ ერისთავი 1872 წელს გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრეებმა კი წარმოებას თავი ვერ გაართვეს და იგი იმავე 1872 წელს უცხოელ ეპშტეინს გადასცეს. ეპშტეინს მინის წარმოება ბოჰემიაში შეესწავლა. ამიტომ, ბუნებრივია, მან გაცილებით უკეთ იცოდა წარმოების საქმე და უფრო გამოცდილი იყო, ვინემ ერისთავი. ეპშტეინმა თვით სოფ. ღვარებში აღმოაჩინა ბოთლის წარმოებისათვის „საუცხოო“ მასალები, იგი აცხადებდა, რომ „ეს მასალები... სათანადო გამოყენებისას მოგვცემს საუკეთესო შედეგებს-ო“[6].

ჩვენს მიზანს არ შეადგენს რეფორმის შემდგომი ხანის წარმოების განხილვა. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად ეპშტეინის ხელში წარმოების გაუმჯობესებისა და უკეთესი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა, ღვარების მინის ქარხანა მალე დაიხურა. ღვარების მინის ქარხნის დახურვის შემდეგ მინის ნაწარმზე ფასები აიწია, რადგან მოთხოვნა მასზე თანდათან იზრდებოდა. ქვეყანა დიდად საჭიროებდა ასეთ საწარმოს. ამიტომ 1882 წელს ბარონ კუჩენბახმა ბორჩალოს მაზრაში „სავსებით ევროპულ ყაიდაზე“ მინის დიდი ქარხანა მოაწყო[7].

---

1 იქვე, ფურც. 7.
2 იქვე.
3 იქვე, ფურც. 24.
4 იქვე, ფურც. 42.
5 იქვე, ფურც. 100.
6 С. Гулишамбаров, ОФИЗТГ, 1887, გვ. 217.
7 იქვე, გვ. 219.

საპნის კეთება ძველი დროიდანვე იცოდნენ საქართველოში XIX საუკუნეში საპნის წარმოება ჩვენში თანდათან გაუმჯობესდა.

პირველად, გაუმჯობესებული და შედარებით საკმაოდ მსხვილი საპნის საწარმო თბილისში მოაწყო იაგორ ლორის-მელიქოვმა 1834 წელს. საწარმოში იდგა 6 ქვაბი, 200 ჩაფი, 25 საპნის გასაცივებელი ყუთი[1]. მანქანა „ქარხანაში" არ გააჩნდათ. საწარმო ამზადებდა პირველი ხარისხის საპონს, რომლის თითოეული ფუთი ღირდა 2 მან. და 70 კაპ. და მეორე ხარისხის საპონს, რომლის თითოეული ფუთი ღირდა 1 მან. და 80 კაპ. წლიური პროდუქცია დაახლოებით შეადგენდა 2500 ფუთ საპონს. აქედან 1000 ფუთი პირველი ხარისხისა იყო, 1500 ფუთი კი მეორე ხარისხისა. წლიურად გამოშვებული პროდუქცია 4500 მანეთის ღირებულებას შეადგენდა[2]. საწარმოო წელიწადი 7 თვით განისაზღვრებოდა — აპრილიდან ოქტომბრამდეც. ივ თვეებში მუშაობა არ წარმოებდა. წარმოება ნებითდაქირავებულ შრომას ემყარებოდა. საწარმოში იყო 1 ოსტატი და 18 ნებით დაქირავებული მუშა — ქართველები და სომხები[3]. გამოშვებული პროდუქციის გასაღება ხდებოდა მეტწილად თბილისში, ნაწილობრივ კი ამიერკავკასიის სხვადასხვა მხარეში.

1841 წელს ამ საწარმოს გვერდით თბილისელმა მოქალაქემ სტეფანე მელეინოვმა მოაწყო მეორე საპნის სარეწი. საწარმოში იდგა 4 ქვაბი, 100 ჩაფი, 7 საპნის საშრობი ყუთი. მანქანები არ გააჩნდათ[4]. წლიურად ამზადებდნენ 1300 ფუთ საპონს; აქედან ნახევარი პირველი ხარისხისა იყო, რომლის თითოეული ფუთი ღირდა 3-მანეთი; მეორე ხარისხისა კი 1 მან. და 50 კაპ. წლიური პროდუქციის ღირებულება 3.000-მდე მან. შეადგენდა. საწარმოში დაქირავებული ჰყავდათ 1 ოსტატი და 10 მუშა ადგილობრივ მცხოვრებთაგან[5].

საპნის ეს საწარმოები თანდათან ზრდიდნენ გამოშვებული პროდუქციის ოდენობას. 1843 წელს მათ გამოუშვეს 27.000 მან. პროდუქცია[6], 1844 წელს — 15000 მანეთისა[7]. წარმოების

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 35—37.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6351, ფურ. 26—28.
[5] იქვე.
[6] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 1. д. 744. л. 91.
[7] საქ. ცსსა. ფონდი №6, საქმე 8093, ფურც. 10.

გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა დაქირავებული მუშების რიცხვი. 1847 წელს ამ სარეწებში იდგა 36 ქვაბი. დაქირავებული ჰყავდათ 35 კაცი. გამოშვებული პროდუქცია კი შეადგენდა 16590 მანეთს[1]. წარმოებისათვის საჭირო მასალებს მეწარმეები იძენდნენ თბილისშივე ადგილობრივი მრეწველებისაგან და ვაჭრებისაგან.

1843 წელს უცხოელმა, ჰესენის დეპარტამენტის მცხოვრებ ფრანც შულცმა თბილისში მოაწყო საპნის „ქარხანა" „ევროპულ ყაიდაზე". გარდა საპნისა საწარმო ამზადებდა ქონისა და სტეარინის სანთლებს. მალე შულცმა განიზრახა მოეწყო უფრო დიდი და სრულყოფილი საპნისა და სანთლების საწარმო თბილისში. ამისათვის მან 1844 წელს ითხოვა სახაზინო მიწის ორი ნაკვეთი (500 კვ. საჟენი) გარეუბან კუკიაში — ერთი მტკვრის ნაპირზე და მეორე—ზღვალაშვილის შაქრის ქარხნის მახლობლად[2]. შულცთან „ამხანაგობაში" შევიდა თბილისელი მოქალაქე იაგორ ხატისოვი. 1844 წლის 24 ივლისს მათ შორის დაიდო კონტრაქტი 5 წლით საპნისა და სანთლების საწარმოს ერთად მოწყობის შესახებ[3]. კონტრაქტის საფუძველზე მათ ერთიმეორესთან შეთანხმებით უნდა დაექირავებინათ მუშები წარმოებისათვის, ნოქრები ნაწარმის გაყიდვისათვის და სხვ. ამ საწარმოთა მოწყობისათვის ხატისოვმა ვალდებულება აიღო გაეღო 5.000 მანეთი 5 წლით, უპროცენტოდ[4]. შულცმა მთავრობას სთხოვა 5-წლიანი პრივილეგია.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ შულცისა და ხატისოვის წამოწყება სასარგებლო საქმედ ცნო.[5] 1845 წელს ფინანსთა მინისტრმა ნება დართო მიეცათ შულცისათვის 5-წლიანი პრივილეგია[6]. ხოლო 1846 წელს ვორონცოვის განკარგულებით შულცს წარმოების მოსაწყობად მისცეს მიწის ნაკვეთი დიდუბეში კასტელას ყოფილი აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მახლობლად. აქ მალე შეუდგნენ საწარმოს მოწყობას, მაგრამ იმავე 1846 წელს, შულცი ჩამოცილდა ხატისოვს. სამაგიეროდ, ხატისოვთან „ამხანაგობაში" შევიდა სტეფანე ხატისოვი და მათ მოაწყვეს საპნის საწარმო. იაგორ ხატისოვს ამ საქმეში გამოცდილება ჰქონდა. მას აქამდე ჰქონდა საპნის სარეწი ავლაბარში, რომელიც 3 წელიწადს მუშაობდა. 1848 წლის აგვისტოში ხატისოვების საწარმომ დაიწყო საპნისა და სანთლების წარ-

---

1 საქ. ცსსა, ფონდი 4. აღწერა 5, საქმე 125. ფურც. 26—27.
2 საქ. ცსსა, ფონდი 205. აღწერა 1, საქმე 220, ფურც. 3—4.
3 იქვე. ფურც. 31—32.
4 იქვე.
5 Акты. т. X, гр. 835.
6 ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 1, д. 771, л. 13.

მოება[1]. საწარმოს შენობა ქვისა იყო; საწარმოსთან მოაწყვეს დუქანი ნაწარმის გაყიდვისათვის. 40-იან წლებში თბილისში არსებულ საპნის საწარმოებს შორის ხატისოვის საპნის ქარხანა ყველაზე უკეთესი იყო: „Мыло лучших сортов выделывается на заводе, устроенном гражданином Степаном Хатисовым. На этом заводе, кроме мыла льются свечи и очищается масло для ламп"[2]. რაც შეეხება შულცის მიერ 1843 წელს მოწყობილ საპნის ქარხანას, ჩანს, მას მალე შეუწყვეტია არსებობა.

40-იანი წლების დასაწყისში ახალციხის მაზრაში არსებობდა 5 საპნის საწარმო. თითოეული მათგანი წლიურად, საშუალოდ აწარმოებდა 200 მანეთის პროდუქციას, თითო საწარმოზე საშუალოდ მოდიოდა 2 დაქირავებული მუშა და 1 ოსტატი. არსებობდა სანთლის საწარმოც[3].

საპნის მკეთებელი საწარმოები ბევრი იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში და 50-იანი წლებიდან იზრდებოდა მათი რიცხვი. ასე მაგალითად: 1851 წელს თბილისში ითვლებოდა 3 საპნის საწარმო 24.050 მან. წლიური პროდუქციით[4]; 1857 წელს — 7 საპნის საწარმო[5]; 1858 წელს — 8 საპნის საწარმო 31250 მან. წლიური პროდუქციით[6]. 1860 წელს თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 9 საპნის საწარმო, აქედან ერთი სიღნაღის მაზრაში (სოფ. ანაგაში). ამ უკანასკნელის წლიური პროდუქცია შეადგენდა 5000 მანეთს[7]; 1865 წელს კი თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 11 საპნის საწარმო. აქედან 8 თბილისში 18000 მან. წლიური პროდუქციით, 1 თბილისის მაზრაში და 2 სიღნაღის მაზრაში 9.600 მან. წლიური პროდუქციით[8]. მიღებულ პროდუქციას მთელ ამიერკავკასიაში ყიდდნენ.

საპნის საწარმოებისა და მათი პროდუქციის ზრდასთან ერთად, ცხადია, იზრდებოდა დაქირავებული შრომის გამოყენება ამ საწარმოებში და ამდენად კაპიტალისტური წარმოების წესზე მათი მოწყობა. შედარებით მსხვილი, ზოგიერთი საპნის საწარმო კაპიტალისტურ მანუფაქტურას განეკუთვნებოდა.

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 205, აღწერა 1, საქმე 220, ფურც. 72.

[2] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, 1848, д. 134, л. 20.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 13—15; საქმე 6351, ფურც. 20—21.

[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 8, 1854, д. 21, л. 114.

[5] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 9, 1858. д. 311, л. 27.

[6] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 10. 1860. д. 170, л. 63.
ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 10. 1861, д. 228, лл. 118—119.

[8] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 11, 1866, д. 142, лл. 70—72.

ასევე ვითარდება რეფორმამდელ ხანაში ტყავის წარმოება. მეტყავეთა ხელოსნური და ამქრული ორგანიზაციის გვერდით საქართველოში თანდათან გაჩნდნენ და განვითარდნენ ტყავის კაპიტალისტური საწარმოებიც. ასეთები იყვნენ 30-იან წლებში 3 ტყავის საწარმო[1], მათ შორის მიხეილ სარაჯიშვილისა და თამამშევის ტყავის „ქარხნები" თბილისში[2]. 40-იანი წლების დასაწყისში ახალციხის მაზრაში არსებობდა 2 ტყავის საწარმო. საწარმოებში მუშაობდნენ დაქირავებული მუშები, ოსტატები და შეგირდები. ერთ მათგანში დაქირავებული იყო 25 კაცი ადგილობრივ მცხოვრებთაგან. საწარმო წელიწადში უშვებდა 1150 მანეთის პროდუქციას[3].

1843 წელს თბილისში ითვლებოდა ერთი ტყავის საწარმო 5200 მან. წლიური პროდუქციით[4]. 1847 წელს ითვლებოდა 3 ტყავის საწარმო 14948 მან. წლიური პროდუქციით. საწარმოებში დაქირავებული იყო 108 მუშა და ოსტატი[5]. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ამ დროს სოფელ დრეს ტყავის ქარხანა.

1847 წელს დეისტვიტ. სტატსკი სოვეტნიკ ანდრეევსკიმ სოფ. დრეში (თბილისის გარეუბანი), თავის მამულში, მოაწყო ტყავის ქარხანა. ქარხანა მოთავსებული იყო ქვის შენობაში, რომლის სიგრძე უდრიდა 10 საჟენს, სიგანე 7 საჟენს. ქარხანაში მოწყობილი იყო 16 დაზგა, 18 როფი (რომელიც შემდეგ 28-მდე გაზარდეს), 2 სათელი და 1 სანაყველი მანქანა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა ცხენძრავას[6]. ქარხანაში მოთავსებული იყო წყალსადენი. წარმოებისათვის იყენებდნენ მუხის, ბზის, ვერხვის, ნაძვის და ტირიფის ქერქებს; კირს, რომელსაც ადგილზე იძენდნენ და თევზის ქონს, რომელსაც თბილისში ყიდულობდნენ[7]. საწარმო ამზადებდა იუხტის (რუსული ტყავი) — შავსა და თეთრს, თალათინებს, საქოშე ტყავს, მოუქნელ ტყავს, დათრიმლულ ცხვრის ტყავს, საუნაგრე ტყავს და სხვ[8]. სულ წელიწადში ამზადებდნენ 6-დან 8 ათასამდე ცალ-

---

[1] Статист. опис. Зак. Кр., 1835, გვ 144.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე №№ 6249, 6601.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 13—15; საქმე 6351, ფურც. 20—21.

[4] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 1, д. 744. л. 91.

[5] საქ. ცსსა, ფონდი 26, აღწერა 2, საქმე 617, ფურც. 44—46; ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 125, ფურც. 26—27.

[6] საქ. ცსსა, ფონდი 26, აღწერა 2, საქმე 617, ფურც. 67.

[7] იქვე, ფურც. 36—37.

[8] იქვე, ფურც. 67.

ტყავს. წლიური პროდუქციის ღირებულება აღწევდა 10000-დან 17000 მანეთამდე[1]. პროდუქციას მეტწილად თბილისში ასაღებდნენ.

წარმოებაში გამოყენებული იყო მხოლოდ დაქირავებული შრომა. დაქირავებული იყო 6 ოსტატი (2 გერმანელი, 3 რუსი და 1 სომეხი) და 16 მუშა ადგილობრივ მცხოვრებთაგან[2]. ქარხანაში გატარებული იყო შრომის დანაწილება: ნედლი ტყავისაგან ლეშის გაცლა, ტყავის დამარილება, ქატოში დალბობა, ბეწვის გაცლა, ტყავის მოქნა, გაფხეკა და სხვ. ამრიგად, დრეის ტყავის ქარხანა მთელ რიგ სხვა ასეთივე საწარმოებთან ერთად კაპიტალისტურ მანუფაქტურას წარმოადგენდა.

სხვა საწარმოებთან ერთად იზრდებოდა ტყავის წარმოება და გამომუშავებული პროდუქცია. ასევე შეიმჩნეოდა ტყავის საწარმოების გამსხვილება. ასე მაგალითად, 1860 წელს თბილისში არსებობდა 3 ტყავის საწარმო, 66700 მან. წლიური პროდუქციით[3]. მათი რიცხობრივი ზრდა შეიმჩნევა განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან. 1863 წელს თბილისში ითვლებოდა 10 ტყავის საწარმო 68200-მან. წლიური პროდუქციით[4]. 1865 წელს კი ითვლებოდა 11 საწარმო, 66000 მან. წლიური პროდუქციით[5]. თბილისის გარდა ტყავის საწარმოები არსებობდა გორში, სიღნაღში და თელავში. 1851—52 წლებში გორში ვხედავთ 2 ტყავის საწარმოს 250—300 მანეთის წლიური პროდუქციით[6]. 1856 წელს—ერთ ტყავის საწარმოს 458 მან წლიური პროდუქციით[7], 1857 წელს 560 მან. წლიური პროდუქციით[8], 1858 წ. 750 მან. წლიური პროდუქციით[9] და ა. შ. სიღნაღში 1856 წელს არსებობდა 1 ტყავის საწარმო 1600 მან. წლიური პროდუქციით[10], 1857 წელს კი 3 საწარმო 6000 მან. წლიური პროდუქციით[11], 1858 წელს სამივე ამ საწარმომ გამოუშვა 9000 მანეთის პროდუქცია[12]. თელავში არსებობდა 2 ტყავის საწარმო. 1860 წელს მათ მოგვცეს 882 მანეთის პროდუქცია[13]. სულ თბილისის გუ-

---

[1] იქვე ფურც. 36—37; საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 125, ფურც. 27—28.
[2] იქვე.
[3] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 10. (1861) д. 228. л. 118.
[4] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 10 (1864). д. 137, л. 64.
[5] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 11. (1866). д. 142. л. 70.
[6] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 8 (1854). д. 21, л. 4; ф. 1263, оп. 44 (1854), д. 2426, л. 173.
[7] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 9. (1858). д. 101, л. 64.
[8] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 9. д. 311. л. 27.
[9] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 10. (1860). д. 170. л. 63.
[10] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 9. (1858). д. 101. л. 64.
[11] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 9. д. 311, л. 24.
[12] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 9 (1860). д. 170. л. 63.
[13] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 10. (1861). д. 228. лл. 118—119.

ბერნიაში 1865 წელს ითვლებოდა 18 ტყავის საწარმო[1] 71850 მანეთი წლიური პროდუქციით[2]. ტყავის ამ საწარმოების უმრავლესობა დაქირავებული შრომითა და შრომის დანაწილებით, მანუფაქტურული ტიპის კაპიტალისტურ სახელოსნოებს უნდა მივაკუთვნოთ.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში ჩნდება ბამბის ძაფსართავი წარმოება. 1837 წელს სიღნაღის მოქალაქეებმა (სახაზინო გლეხებმა) ძმებმა შაევრდოვებმა სიღნაღში მოაწყვეს ბამბის ძაფსართავი „ფაბრიკა"[3], (მეორე ცნობით იგი მოუწყვიათ 1836 წელს)[4]. ფაბრიკა შეიცავდა 2-სართულიან ქვის შენობას და გააჩნდა სხვადასხვა საჭირო ნაგებობანი.

ფაბრიკის ქვედა სართულზე დადგმული იყო მანქანები: 4 მანქანა ბამბის დაშლისათვის და 2 მანქანა ბამბის რთვისათვის საჭირო ყველა მასალის მოსამზადებლად. აქვე იყო მოწყობილი თვალი (ბორბალი), რომელიც მოქმედებაში მოჰყავდა 2 უღელ ხარს. სატრიალებელ თვალს მოძრაობაში მოჰყავდა ფაბრიკის ქვედა და ზედა სართულის მანქანები[5]. ზედა სართულზე მოწყობილი იყო 4 დიდი და 5 პატარა ძაფსართავი მანქანა. ფაბრიკის შენობის სიგრძე უდრიდა 10 საჟენზე მეტს, სიმაღლე კი 4 საჟენს[7]. ფაბრიკის მთავარი შენობის წინ აშენებული იყო სახლი, სადაც ცხოვრობდნენ დაქირავებული ოსტატები და მუშები. ფაბრიკის მოწყობა დაჯდა 30000-მანეთამდე[6]. საწარმოს განაგებდა ჯუანშერ შაევრდოვი.

ნორმალური მუშაობის დროს საწარმოში მუშაობდა 4 ოსტატი, 25 მუშა და გამწევი ძალა—4 უღელი ხარი, მანქანების მოძრაობაში მოსაყვანად. ჯუანშერ შაევრდოვმა ოსტატები გამოიწერა მოსკოვიდან. მათ იგი მაღალ ხელფასს აძლევდა. ასევე მანქანები მოტანილ იქნა მოსკოვიდან[7].

საწარმოში ამუშავებდნენ მხოლოდ ბამბას, რომელსაც ყიდულობდნენ ამიერკავკასიის სხვადასხვა პროვინციებში. მიღებულ ბამბის ძაფს ყიდდნენ მოსკოვში, რაშიდაც მნიშვნელოვან მოგებას

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწერა 3, საქმე 1077, ფურც. 1—2.
[2] საქ. ცსსა ,ფონდი 414, აღწერა 1, საქმე 18, ფურც. 11—12.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 41.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 5543, ფურც. 3.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 41—42.
[6] იქვე.
[7] იქვე.

ილებდნენ[1]. სიღნაღის ბამბის საწარმომ რამდენიმე წელს იარსება. 1840 წელს რუსეთიდან მოყვანილი ოსტატები სამშობლოში წავიდნენ, რის გამო ამ წლის მაისიდან მუშაობა შეჩერებულ იქნა საწარმოში და შემდეგ იგი არც განახლებულა, რადგან მეპატრონემ სათანადო მცოდნე ოსტატები ვერ იშოვა. ეს იყო ძირითადი მიზეზი სიღნაღის ბამბის ძაფსართავი „ფაბრიკის" დახურვისა.

ეს საწარმო კაპიტალისტური მანუფაქტურა იყო. აქ გამოყენებული იყო მხოლოდ დაქირავებული შრომა (დაქირავებული ჰყავდათ 30-მდე კაცი) და არსებობდა შრომის დანაწილება.

1850 წელს იმერეთში, სოფელ სებეკაში, ცნობილმა მემამულე ნიკო ჩიჯავაძემ, აბრეშუმისა და თამბაქოს საწარმოთა გვერდით მოაწყო ბამბის საწარმოც. პირველ წლებში ბამბისა და თამბაქოს საწარმოები უშვებდნენ 400 მან. პროდუქციას. მიღებულ ნაწარმს ყიდდნენ ქუთაისის გუბერნიაში[2]. რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1853—1855 წწ.), როგორც აბრეშუმისა და თამბაქოს, ასევე ბამბის წლიური საწარმოო პროდუქცია შემცირდა[3] ხოლო 1855 წელს იგი შეწყდა[4]. ომის დამთავრების შემდეგ ნ. ჩიჯავაძემ აღნიშნული საწარმოები აღადგინა. 1856 წელს აბრეშუმსახვევ და ბამბის საწარმოებმა გამოუშვეს 800 მან. პროდუქცია[5], ხოლო შემდეგ წლებში პროდუქცია გაიზარდა. 1860 წელს სამივე საწარმომ გამოუშვა 2.500 მან. პროდუქცია[6]. ნ. ჩიჯავაძემ თავის მამულ სებეკაში გააშენა საუცხოო ბამბა, მას ბამბის საუცხოო ნაწარმისათვის არაერთხელ მიულია ჯილდო[7]. მისი ბამბის ნაწარმი მაღალ შეფასებას ღებულობდა თბილისის, რუსეთისა და ლონდონის გამოფენებზე"[8].

1857 წელს გრ. მიკირტუმოვმა ბამბის მნიშვნელოვანი ფაბრიკა მოაწყო თბილისში (ავლაბარში)[9]. იგი იყო პირველი მანქანური ბამბის საწარმო.

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან მეთამბაქეობა საქართველოში თანდათან ვითარდებოდა. მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა მის განვითარებას, რადგან იცოდა, რომ ჩვენში საამისოდ საუცხოო პირობები იყო. თამბაქოს მოსავლიანობა განსაკუთრებით იზრდება

---

[1] იქვე.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 4. აღწერა 5. საქმე 125. ფურც. 56, 82, 94, 101. ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 8 (1855), д. 335, л. 21.
[4] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 6, д. 165, л. 24.
[5] ЦГИАЛ, ф. 1268, оп 9 (1858), д. 101, л. 244.
[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1861), д. 228, л. 149.
[7] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9 (1858), д. 101, л. 175. ЗКОСХ, 1861, № 1—2 გვ. 65; ЗКОСХ, 1864, გვ. 47.
[8] იქვე.
[9] «Кавказ» 1858, № 77; 1862, № 69.

50-იანი წლებიდან. ამ წლებიდანვე იწყება ჩვენში თამბაქოს გადამ-მუშავებელი საწარმოების მოწყობა.

თამბაქოს პირველი გადამმუშავებელი საწარმო („ფაბრიკა") საქართველოში მოაწყო მემამულე ნიკო ჩიჯავაძემ 1850 წელს, თავის მამულში, ქუთაისის გუბერნიის სოფელ სებეკაში[1]. ბამბის საწარმოსთან ერთად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი წლიურად უშვებდა 400 მან. პროდუქციას, რომელსაც ქუთაისის გუბერნიაში ყიდდნენ. ყირიმის ომის დროს თამბაქოს საწარმოო პროდუქცია, როგორც სხვებისა, შემცირდა, ხოლო 1855 წელს შეწყდა. ომის შემდეგ იგი კვლავ აღდგენილ იქნა. აღდგენის შემდეგ ეს საწარმო მეტ პროდუქციას უშვებდა. ნ. ჩიჯავაძეს თავის მამულში მთელ რიგ კულტურებთან ერთად მოჰყავდა თამბაქოც. 1863 წელს თბილისის გამოფენაზე წარდგენილი ბამბის, აბრეშუმისა და თამბაქოს საუცხოო ნაწარმისათვის დაჯილდოებულ იქნა ოქროს მედლით[2].

50-იან წლებში გაცილებით მსხვილი საწარმოები ეწყობა თბილისში.

ნიკო ჩიჯავაძის შემდეგ თამბაქოს გადამმუშავებელი საწარმო მოაწყო ამბარცუმ ენფიანჯიანცმა 1852 წელს ქ. თბილისში. ამავე 1852 წელს მეორე ასეთივე საწარმო მოაწყო მისმა ძმამ ბენიამინ ენფიანჯიანცმა[3]. 1858 წელს ნ. ბოზარჯიანცმა მოაწყო მესამე თამბაქოს საწარმო თბილისში[4]. ენფიანჯიანცმა და ბოზარჯიანცმა აიტანეს მთელი რიგი სიძნელეები და საწარმოებმა არსებობა შეინარჩუნეს, ხოლო საგლეხო რეფორმის შემდეგ, მექანიკური დაზგების შემოღებით მათი თამბაქოს მანუფაქტურული საწარმოები ფაბრიკებად იქცნენ.

თბილისში თამბაქოს საწარმოები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი მალე იხურებოდა, რიცხობრივად იზრდებოდა. ამავე დროს იზრდებოდა გამომუშავებული პროდუქციის ოდენობა: 1860 წელს თბილისში 6 თამბაქოს საწარმო ითვლებოდა[5]; 1863 წელს 7 საწარმო 21000 მან. წლიური პროდუქციით[6]. 1864 წელს — 8 საწარმო 24000 მან. წლიური პროდუქციით[7]. 1865 წელს კი — 10 თამბაქოს საწარმო 30000 მან. წლიური პროდუქციით[8]. მაშასადამე,

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 4, ააღწერა 5, საქმე 125, ფურც. 56, 82, 94, 101.
[2] ЗКОСХ, 1864, № 1—2, გვ. 65.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 740.
[4] С. Гулишамбаров, ОФЗТГ, 1887, გვ. 26.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 255, საქმე 1467, ფურც. 18.
[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1864), д. 137, л. 64.
[7] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1865), д. 127, л. 67.
[8] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 11 (1866), д. 142, л. 70.

ითეულ საწარმოზე. საშუალოდ მოდიოდა 3000 მანეთის პროდუქცია.

საწარმოებში გამოყენებული იყო მხოლოდ დაქირავებული შრომა. ბევრ საწარმოში 15-ზე მეტი დაქირავებული მუშა ითვლებოდა. დაქირავებულნი იყვნენ, როგორც მოზარდები ასევე მცირეწლოვანებიც. 1864 წელს თბილისის თამბაქოს „ფაბრიკები" — კარაპეტ და ბენიამინ ენფიანჯიანცებისა, აღწერა ინჟინერ-ტექნოლოგმა ბიბოლდტმა, რომელიც წერდა, რომ ამ საწარმოებში „მუშაობენ 10-დან 15 კაცამდე მცირეწლოვანი მუშები და არ მინახავს არავითარი განმასხვავებელი რამ სხვა ამგვარი საწარმოებისაგან[1]."

თამბაქოს საწარმოებში მანქანები არ გააჩნდათ, წარმოების მთელი ოპერაციები ხელით წარმოებდა და გატარებული იყო შრომის სისტემატური დანაწილება: თამბაქოს ფოთლის დახარისხება, დაკრა, აწონა და კოლოფებში ჩაწყობა, პაპიროსად მისი გაკეთება, პაპიროსისათვის ქაღალდის მუნდშტუკის (სატუჩეს) გაკეთება, გარკვეული რაოდენობის პაპიროსის ქაღალდის კოლოფში ჩაწყობა და ბოლოს მისთვის ბანდეროლის გაკეთება, — ყველაფერი ეს ცალკეულ დამოუკიდებელ ოპერაციებად წარმოებდა[2].

ამრიგად, რეფორმამდელი ხანის თბილისის თამბაქოს საწარმოები თავისი ტექნიკური მხარითა და წარმოების ორგანიზაციით კაპიტალისტური მანუფაქტურები იყვნენ. საგლეხო რეფორმის შემდეგ ზოგიერთი მათგანი (ენფიანჯიანცისა და ბოზარჯიანცის) მანქანების შემოღებით, კაპიტალისტურ ფაბრიკებად იქცნენ. მუშებს შრომა თამბაქოს საწარმოებში მეტად ანტიჰიგიენურ და ცუდ პირობებში უხდებოდათ, რის გამო, მათ და მებატონე კაპიტალისტებს შორის ცუდი დამოკიდებულება იყო.

გადავდიოართ რა მაუდის წარმოებაზე, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრეწველობის ამ დარგის განვითარებას საქართველოში განსაკუთრებით უშლიდა ხელს ცარიზმის კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკა. ეს აშკარად გამოიხატა დრეში მოწყობილი მაუდის წარმოების მიმართ.

საქართველოში და საერთოდ კავკასიაში მეცხვარეობის ფართოდ განვითარება და ადგილობრივი ცხვრის მატყლის საუცხოო ღირსება, მდიდარ საფუძველს წარმოადგენდა აქ მაუდის მრეწველობის განვითარებისათვის. ჯერ კიდევ იმპერიასთან საქართველოს

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 740, ფურც. 74.

[2] С. Гулишамбаров, ОФЗТГ 1887, გვ. 30.

შეერთების პირველ წლებშივე, სახელდობრ 1803 წელს, საქართველოს მთავარმართებელმა გენ. ციციანოვმა (რომელსაც რუსულმა ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ „გენიალური" უწოდა) აღძრა საკითხი მეფის მთავრობის წინაშე საქართველოში ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მაუდის ფაბრიკის მოწყობის შესახებ. მაგრამ მთავრობამ, რომელიც მეტროპოლიის მრეწველობის (ამ შემთხვევაში მაუდის მრეწველობის) ინტერესებს იცავდა, ციციანოვის თხოვნას უარით უპასუხა, ამ საქმის „ნაადრევად" მიჩნევის მომიზეზებით. ასევე უნაყოფოდ რჩებოდა შემდეგშიაც სხვა მთავარმართებლების (ტორმასოვი და სხვ.) შუამდგომლობა. ცარიზმი თვლიდა, რომ მაუდის მრეწველობის განვითარება საქართველოში, კონკურენციის გაწევით ზიანს მიაყენებდა რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებში არსებულ მაუდის ფაბრიკებს.

რაც დრო გადიოდა, მეცხვარეობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ამიერკავკასიაში დამზადებული მატყლის რაოდენობა. XIX — საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ამიერკავკასიაში დამზადებული მატყლი გაგზავნილ იქნა ოდესაში, მოსკოვსა და ლონდონში. იქაურ ბაზრებზე იგი შეფასებულ იქნა 3-ჯერ და 4-ჯერ მეტად, ვიდრე ადგილზე იყო შესყიდული.

მეფისნაცვალი ვორონცოვი, რომელიც უთუოდ ყველა დანარჩენ მეფის მოხელეებზე გაცილებით მაღლა იდგა, კარგად ხედავდა აქ, საქართველოში მაუდის წარმოებისათვის უტყუარ საფუძველს და შეეცადა მის დანერგვას ჩვენში.

1852 წლის იანვარში პრუსიელმა კარლ მაიცნერმა, მეფისნაცვალ ვორონცოვს წარუდგინა კონდიცია თბილისში მაუდის ფაბრიკის მოწყობის შესახებ. ფაბრიკა უნდა მოწყობილიყო სოფელ დრეში (თბილისის რაიონი) მდინარე ვერაზე. ეს სოფელი ეკუთვნოდა დეისტ. სტ. სოკეტ. ანდრეევსკის. ამიტომ ვორონცოვთან კონდიციის წარდგენამდე, მაიცნერმა მასთან სათანადო ხელშეკრულება გააფორმა. მიწის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით, ფაბრიკისათვის საჭირო მიწით მაიცნერს უნდა ესარგებლა 12 წლით, ანდრეევსკისათვის 150 მანეთის გადახდით წელიწადში. 12 წლის გასვლის შემდეგ საფაბრიკო ნაგებობანი წყლის თვალით უნდა გადასულიყო მიწისმფლობელის ხელში, თუ ახალი ხელშეკრულება არ გაფორმდებოდა, ხოლო მანქანები, ინსტრუმენტები, მასალები და სხვა ნივთები მაიცნერის საკუთრებაში რჩებოდა.

მთავრობასთან დადებული ხელშეკრულებით მაიცნერი ვალდებულებას იღებდა ფაბრიკა მოეწყო ერთ წელიწადში. ფაბრიკას უნდა ეწარმოებინა საარმიო მაუდი კავკასიის ჯარისა და ჰოსპიტლები-

სათვის[1]. ფაბრიკა ხაზინას არშინ მაუდს მისცემდა 2 კაპიკით ნაკლებად[2] საერთო ფასთან შედარებით. ხაზინის მიერ ამ ფაბრიკის მაუდის მისაღებ რაოდენობას მთავრობა დაამტკიცებდა. ეს იქნებოდა წარმოების არსებობის საწინდარი.

ფაბრიკაში მოწყობილ მანქანებს მოძრაობაში მოიყვანდა 2დ. ვერის წყლის ენერგია. ფაბრიკასთან მოეწყობოდა ცხვრის გაკრეჭა, მატყლის სარეცხი, საპენტი, საშრობი და დამახარისხებელი საწარმოები. მიღებულ კარგ ხარისხის მატყლს გააგზავნიდნენ რუსეთისა და უცხოეთის ბაზრებზე, ხოლო მეორე ხარისხის მატყლს ფაბრიკა საარმიო მაუდად გადაამუშავებდა. პროექტით წარმოებისათვის უნდა აეგოთ 2 სართულიანი შენობა. ფაბრიკას ექნებოდა სამი განყოფილება: სააპარატო, საფეიქრო და მაუდის გამომყვანი. ამ განყოფილებებში (საამქროებში)მოწყობილი იქნებოდა: მატყლის საპენტი, საჩეჩი, სართავი მანქანები; ნართის სახვევი, ძაფის გამომყვანი, სუფთად მრთველი, მაუდის საშრობი მანქანები; ხელისა და მექანიკური დაზგები, სამღებრო ქვაბები და სხვა[3].

მაიცნერმა ფაბრიკის მოწყობისათვის მოითხოვა 15000 მანეთი სესხი უპროცენტოდ[4]. სესხის გადახდას იგი დაიწყებდა საწარმოს ამუშავების პირველი წლიდანვე. ვორონცოვმა კონდიცია მაშინვე დაამტკიცა და ბრძანება გასცა მიეცათ მისთვის 15000 მანეთი სესხი[5]. ამავე, 1852 წლის თებერვალში მაიცნერი მოსკოვში წავიდა მანქანების საყიდლად. თბილისიდან მოსკოვში მანქანების საყიდლად ხაზინამ გაგზავნა 5000 მანეთი[6]. 1852 წლის მაისში განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე ილიაშევიჩს დაევალა თვალყური ედევნებინა ფაბრიკის მოწყობის საქმისათვის[7]. მაიცნერი მოსკოვიდან დაბრუნდა ივლისში, ჩამოიტანა სათანადო მანქანები, ჩამოიყვანა ოსტატები და შეუდგა ფაბრიკის მოწყობას. მან ხაზინას დამატებით თხოვა 8600 მანეთი[8]. ხაზინამ ფული მისცა, მაგრამ ეჭვი შეიტანა მაიცნერის პატიოსნებაში და მაუდის ფაბრიკის დამთავრების საქმე მიანდო ილიაშევიჩს, მაიცნერი კი წარმოებას ჩამოაცილეს. ილიაშევიჩს ფაბრიკის საბოლოო მოწყობისათვის მისცეს 13500

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 7, д. 215, л. 15.
[2] იქვე.
[3] Акты, т. XI, გვ. 769.
[4] იქვე. გვ. 768.
[5] იქვე, გვ. 772.
[6] იქვე. გვ. 769.
[7] იქვე, გვ. 772.
[8] იქვე, გვ. 770.

მანეთი. ამრიგად, ფაბრიკის მოწყობა სულ დაჯდა 37100 მანეთი და იგი სახაზინო წარმოებად იქცა.

1853 წლის ბოლოსათვის მაუდის ფაბრიკის მოწყობა თბილისში საბოლოოდ დამთავრდა. ახლა საჭირო იყო ხაზინას მიეღო ფაბრიკის მიერ გამოშვებული მაუდი, რადგან საარმიო მაუდის ფაბრიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში იარსებებდა, თუ ხაზინა მისგან მაუდს მიიღებდა არმიისათვის. ამიტომ, ვორონცოვმა 1853 სექტემბერში მთავრობისაგან გამოითხოვა ნებართვა — დრეის მაუდის ფაბრიკისათვის მიეცათ ნება, 10 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად 90000 არშინი მუქი, მწვანე და შავი მაუდი მიეწოდებინა ხაზინისათვის არმიის შესამოსად[1]. იმავე წლის ნოემბერში კი ვორონცოვი მთავრობას სწერდა: „...я никогда не решился бы приступить к учреждению здесь суконной фабрики без крайней осмотрительности, без предварительного подробного и самого отчетливого обсуждения всех условий, могущих упрочить существование фабрики, не взвесив с математическою точностью все выгоды от оной произойти могущия"[2].

მიუხედავად ამისა, ფინანსთა მინისტრმა უარი განაცხადა დახმარებოდნენ დრეის მაუდის ფაბრიკას, რადგან იგი ზიანს მიაყენებს რუსეთის მაუდის მრეწველებსო. იგი იმავე ნოემბრის თვეში წერდა: „...Я нисколько не оспариваю изъяснения князя Воронцова, что дарование испрашиваемых им особых для Дрейской фабрики преимуществ будет способствовать развитию овцеводства и суконоделия в Закавказском крае; но... по мнению моему едва-ли удобно допустить, чтобы промышленности означенного края было оказываемо поощрение в ущерб промышленности внутренних губерний"[3]. 1853 წლის დეკემბერში ფაბრიკას უარი უთხრეს 1854 წლისათვის დაემზადებინა მაუდი არმიისათვის, რადგან ხაზინის მიერ დრეის ფაბრიკის მაუდის მიღება ზიანს მიაყენებს რუსეთის შიდა გუბერნიებში არსებულ მაუდის ფაბრიკებს, რომლებიც თვით ამარაგებენ მაუდით არმიასო[4]. სამაგიეროდ, თბილისის მაუდის ფაბრიკას დაპირდნენ, რომ 1855 წლისათვის შეიტანდნენ არმიისათვის მაუდის მიმწოდებელ ფაბრიკათა რიცხვში. მაგრამ

---

[1] იქვე.
[2] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 7, д. 350, л. 12.
[3] იქვე, ფურც. 25.
[4] Акты, т. XI, გვ. 770.

შემდეგ წლებშიც უარი უთხრეს და მაუდის წარმოება თბილისში დასაცემად განწირული აღმოჩნდა. 1854 წელს ვორონცოვმა დატოვა კავკასია. მან შიში გამოთქვა, რომ რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა არსებობის საშუალებას არ მისცემდა თბილისის მაუდის ფაბრიკას. იგი გენ. რეადისადმი მიცემულ ინსტრუქციაში წერდა: „ამჟამად ჩვენ... კავკასიის კორპუსისათვის ჯარისკაცის მაუდის დამზადებელი ფაბრიკის წარმატების იმედი გვაქვს... მაგრამ რუსეთში ჯარისკაცის მაუდის ფაბრიკისათვის დამტკიცებული წესების მიხედვით, ფინანსთა მინისტრი სიძნელედ თვლის დიდი რაოდენობით აქაური მაუდის მიღებას და ვშიშობ, რომ ეს სასარგებლო საქმე, ესოდენ ხელსაყრელი როგორც ხაზინისათვის, ისე აქაური უზარმაზარი მეცხვარეობისათვის, რომელიც თითქმის ყოველგვარი გასალების გარეშე რჩება, სავსებით შეჩერდება"[1]. მართლაც ასე მოხდა. ხაზინამ არცერთ წელს არ დართო ნება თბილისის მაუდის ფაბრიკას, არმიისათვის მაუდი დაემზადებინა. ფაბრიკა შეკვეთების უქონლობის გამო არ მოქმედებდა. მუშების მეტი ნაწილი დათხოვნილ იქნა.

1856 წელს ფაბრიკა დაათვალიერა მეფისნაცვალმა მურავიოვმა. ფაბრიკა წესიერ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მურავიოვმა მოითხოვა ფაბრიკა რომელიმე კერძო პირს, კაპიტალისტს, მიეღო, მაგრამ ასეთი არავინ გამოჩნდა. ამიტომ ფაბრიკა იმავე წელს შესთავაზეს თვით სოფ. დრეს მფლობელ ანდრეევსკის, რომლის მიწაზე იგი მოწყობილი იყო, მაგრამ მან უარი განაცხადა მიეღო, რადგან „პირადად მე არ გამაჩნია სათანადო პრაქტიკული ცოდნა ამგვარი საწარმოს მართვისათვის-ო"[2]. 1856 წელს, დრეის მაუდის ფაბრიკა კონტრაქტით გადაეცა ფრანგ რიშონჩეს 1865 წლამდე[3]. მაგრამ მან შეუძლებლად მიიჩნია საწარმოს არსებობა და მალე იგი საბოლოოდ დაიხურა. მანქანები კი 1860 წელს გადმოტანილ იქნა თბილისში.

დრეის მაუდის ფაბრიკის ისტორიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეფორმამდელი ხანის საწარმოთა შორის. მის მიმართ აშკარად გამოჩნდა ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიური პოლიტიკა. იგი იმპერიის მაუდის მრეწველობამ უკანონო შობილად სცნო, და ზემოთ აღნიშნული პოლიტიკა იყო მხოლოდ ის ერთადერთი მიზეზი, რომელმაც ბოლო მოუღო მის არსებობას.

---

[1] Акты. т. X. гз. 97.
[2] Акты. т. XI. гз. 773.
[3] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 9. (1858 г.). д. 101. л. 9.

სამთამადნო და სამთო-საქარხნო, მექანიკური, აგურისა და სხვათა წარმოებანი

მრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს საქართველოში სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოება შეადგენდა.

XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. პირველი ნახევრის სამთო-საქარხნო წარმოების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ჩვენ გვეხმარება კაპიტალიზმის გენეზისის შესწავლის საკითხში, რადგან ამ ურთიერთობის ფონზე მას თავისი გარკვეული ადგილი ეჭირა.

სამთო-საქარხნო წარმოების საქმეს, ისე როგორც საერთოდ მრეწველობის განვითარებას საქართველოში. შედარებით მყარი საფუძველი ჩაეყარა XVIII ს. მეორე ნახევარში. ერეკლეს დროინდელ საქართველოს მრეწველობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა სამთო წარმოებას ეჭირა. მხედველობაშია ახტალის ვერცხლისა და ალავერდის სპილენძის საბადოების დამუშავება XVIII ს. 60-იანი წლებიდან. ახტალის ვერცხლის საბადოების დამუშავება წარმოებდა გაცილებით ადრეც, ერეკლე მეორემდე. ერეკლემ აღადგინა და გაფართოვა იგი.

ახტალისა და ალავერდის ვერცხლისა და სპილენძის საბადოების დამუშავება ერეკლემ დაიწყო ანატოლიელი ბერძნების საშუალებით. მან 60-იანი წლების დასაწყისში დიდი საჩუქრებისა და დაპირებების შედეგად მოახერხა გიუმიშხანეს პროვინციიდან (თურქეთშია) ბერძენ ოსტატთა 800 ოჯახის (2000-მდე სულის რაოდენობით ორივე სქესისა) ჩამოყვანა საქართველოში[1]. პირველად განახლდა ახტალის ვერცხლის სადნობი წარმოება 1763 წელს[2]. ხოლო 1770 წელს ალავერდის სპილენძსადნობი ქარხანა. ახტალის ვერცხლის ქარხნები მდებარეობდა მემამულე მელიქიშვილების მიწებზე, ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნები კი არღუთინ-დოლგორუკოვების მიწებზე.

ერეკლე მეფესა და ბერძნებს შორის საბადოების ექსპლოატაციის გამო ასეთი კონდიცია იყო დადებული: ახტალის ქარხნებში მიღებული ოქრო მთლიანად მიჰქონდა მეფეს, ხოლო წარმოებული ვერცხლიდან კი 25 % ნატურით, დანარჩენ 75 % ვერცხლს, მეფე უბრუნებდა ბერძნებს ფულის სახით — ვერცხლის აბაზებით[3].

---

[1] С. Эсадзе, Очерк истории горного дела на Кавказе, Тиф., 1903, გვ. 15.

[2] С. Гулишамбаров, ОФЗТГ, Тиф., 1888, გვ. 175.

[3] С. Эсадзе, Очерк., გვ. 15.

ალავერდის ქარხნებში მყოფი ბერძნები, რომლებიც სპილენძს საკუთარი სახსრებით აწარმოებდნენ, მეფეს აძლევდნენ მიღებული სპილენძის 10% (მეათედს). ამას გარდა, მეფეს დამატებით ეძლეოდა ლითონის 2%, სამეფო ხელისუფლების მიერ ქარხნების მუშახელით უზრუნველყოფისათვის[1].

ახტალის მფლობელი მემამულე მელიქიშვილები, რომელთა მიწებზე იყო ვერცხლის საბადოები და ქარხნები, წლიურად, მიწისა და ტყისათვის იღებდნენ 300 მანეთს, ხელფასს — 300 მანეთს, ქარხნების ზედამხედველობისათვის. 600 მანეთის გარდა, წლიურად ისინი ღებულობდნენ ტყვიისა და ვერცხლის ნაწილს ნატურით[2]. ალავერდის მფლობელი მემამულე არღუთინ-დოლგორუკოვები წლიურად იღებდნენ ასევე — 600 მანეთს და სპილენძის მეათედ ნაწილს ნატურით.

ქარხნების მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით, სამეფო ხელისუფლებამ ქარხნებს მიაწერა ბორჩალოსა და ყაზახის სოფლები და დაავალდებულა ისინი ქარხნებისათვის მიეცათ განსაზღვრული რაოდენობა გლეხებისა — ფეხოსანი და ცხენოსანი. ყოველთვიურად სამუშაოზე გამოდიოდა 200—250 კაცამდე მიწერილი ყმა-გლეხი. ქარხნებზე მიწერილი ყმა-გლეხები მუშაობდნენ წარმოების დამხმარე სამუშაოებზე. ისინი ჭრიდნენ ხე-ტყეს, წვავდნენ ნახშირს და ეზიდებოდნენ ქარხნებში, რისთვისაც ბერძენი ოსტატებისაგან ღებულობდნენ გარკვეულ საზღაურს[3].

საქარხნო სამუშაოებზე — მაღაროებსა და ქარხნებში ბერძენი ოსტატებისა და მათი თანამემამულეების გარდა, მუშაობდნენ ნებითდაქირავებული მუშები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ, განსაკუთრებით იმერეთიდან. მათ ქირაობდნენ როგორც ბერძენი ოსტატები, ასევე სამეფო ხელისუფლება.

წარმოებაზე ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, მოკლედ განვიხილოთ ახტალისა და ალავერდის ქარხნების მუშაობა ცალცალკე.

ახტალის ქარხანაში ბერძენი ოსტატები ვერცხლის მადანს იღებდნენ წერაქვებითა და ბურღვის საშუალებით. ბერძნები ამ სამუშაოს ასრულებდნენ ორ-ორი, ან სამ-სამი, ხოლო ხანდახან 10 კაცამდე ერთად მუშაობით. ზოგიერთი მათგანი კი ამ სამუშაოს დაქირავებული მუშებით ასრულებდა[4].

---

[1] იქვე, გვ. 15—16.
[2] История горной промышленности Закавказья в документах т. I, Грузия, Тб., 1936, საბუთი № 45 გვ. 85.
[3] იქვე, საბუთი № 68, გვ. 140.
[4] იქვე, საბუთი № 45, გვ. 86.

მადნის ამოტანა მაღაროდან ხდებოდა ადგილობრივ დაქირავებული მუშებით[1]. ზედაპირზე მადანს გაარჩევდნენ, რის შემდეგ იგი მიჰქონდათ მაღაროებთან ახლო მოწყობილ ქარხნებში. აქ ცილინდრისმაგვარ ღუმელებში ხდებოდა მისი გამოწვა. მადნის გამოწვას აწარმოებდნენ ბერძნები და მათ მიერ ადგილობრივ დაქირავებული მუშები[2]. შემდეგ ხდებოდა გამომწვარი მადნის გამოდნობა სათანადო სადნობ ღუმელებში. გამოდნობის პროცესის შედეგად ღებულობდნენ ტყვიასა და ვერცხლს[3].

ხე-ტყის მოჭრაზე, მის დაწვასა და ნახშირის ქარხანაში გადატანაზე ყოველთვიურად მუშაობდა 100 მიწერილი გლეხი. ამას გარდა, მეფე ყოველთვიურად ქირაობდა 120—150 შეიარაღებულ კაცს ქარხნებში საბერველთა ბერვისათვის და სხვა საქარხნო სამუშაოსათვის[4]. წარმოებისათვის საჭირო ყველა მასალა: რკინა, ფოლადი, წამალი, სანთელი, გოგირდი და სხვა მეფის ხარჯზე მოჰქონდათ[5].

წარმოების მეთვალყურეობისათვის მეფე ნიშნავდა „მინბაშს", რომელიც საქარხნო მიწების მფლობელი მემამულე იყო. მინბაშებად იყენებენ ავთანდილ მელიქიშვილი, ხოლო შემდეგ მისი მემკვიდრე სოლომონ მელიქიშვილი. მინბაშს უნდა განეწესებინა მიწერილი გლეხები სამუშაოზე, ასევე მეფის მიერ დაქირავებული 120—150 კაცი საბერველთა ბერვისათვის ქარხნებში; თვალი უნდა ედევნებინა წარმოებაში წესრიგისათვის, ბერძნებს მუშებისათვის საზღაური დროულად ეძლიათ და წარმოებიდან ლითონი არ მოეტაცათ. ამას გარდა, სურსათისა და წარმოებისათვის საჭირო ყველა მასალის მოტანა მას ევალებოდა[6].

ახტალის ვერცხლისსადნობი ქარხანა ამუშავების დროიდან წელიწადში იძლეოდა 150, 200, 300 და მეტ ლიტრა ვერცხლს, ხოლო „ერთ წელიწადს" მიღებულ იქნა 408 ლიტრა, ანუ 91 ფუთი და 23 გირვანქა ვერცხლი. უფრო ხშირად წლიურად ღებულობდნენ 200 ლიტრა ვერცხლს[7].

სამეფო შემოსავალი ახტალის წარმოებიდან წლიურად შეადგენდა 77574 მანეთს, ხარჯები 29.293 მანეთს, ე. ი. მეფის სუფთა შემოსავალი უდრიდა 48281 მანეთს.

ბერძნების შემოსავალი კი შეადგენდა 69 920 მანეთს, ხარჯე-

---

1 იქვე, გვ. 86—87.
2 იქვე, გვ. 87.
3 იქვე, გვ. 88.
4 იქვე, გვ. 84.
5 იქვე, გვ. 85.
6 იქვე, გვ. 86.
7 С. Эсадзе, Очерк., გვ. 14.

ბი — 25000 მანეთს, ე. ი. ბერძნების სუფთა შემოსავალი უდრიდა 44920 მანეთს[1].

ახტალის ვერცხლისსადნობი ქარხანა XVIII ს. 60-იანი წლებიდან 1785 წლამდე, ვიდრე მას ომარ-ხანი აიობრებდა, საუცხოო წდგომარეობაში იყო და, როგორც ზემოთ დავინახეთ, იმ დროისათვის მნიშვნელოვან პროდუქციას იძლეოდა.

ალავერდის ქარხანაში ბერძენი ოსტატები შეადგენდნენ „ამხანაგობას", რომელშიც გაერთიანებული იყო 10-15-მდე ოსტატი. თითოეული ოსტატი თავისთვის ქირაობდა მუშებს. XVIII ს. მიწურულს და XIX ს. დამდეგს, როდესაც ქარხანა მოიჯარადრეების ხელში იყო ვადასული აქ ჩანს 3 „ამხანაგობა" 46 ბერძენი ოსტატით, რომელთაც დაქირავებული ჰყავდათ 170 კაცი[2]. ზოგიერთ ბერძენ ოსტატს დაქირავებული ჰყავდა 8-16 მუშამდე[3]. ეს დაქირავებული მუშები „ჩვეულებრივ მოდიოდნენ" ქართლიდან, ყაზახიდან, იმერეთიდან და ჯავახეთიდან. დაქირავებული მუშების ნაწილს ბერძნებიც შეადგენდნენ[4]. დაქირავებული მუშები წელიწადში მუშაობდნენ 8 თვეს და თავიანთ პატრონებს — ბერძენ ოსტატებს ამარაგებდნენ მადნით მთელი წლისათვის[5].

სპილენძის მადნის ამოღება უმეტესად ხდებოდა ამობურღვით-მაღაროდან მადანი ზედაპირზე ამოჰქონდათ დაქირავებულ მუშებს. შემდეგ ხდებოდა მადნის გამოწვა ცილინდრისებრ საწვავ ღუმელებში. გამოწვის შემდეგ ხდებოდა სპილენძის მადნის გამოდნობა სათანადო სადნობ ღუმელებში, რის შედეგად ღებულობდნენ შავ სპილენძს. შავ სპილენძს შემდეგ წმენდნენ ბრძმედებში. მთელი ეს საწარმოო პროცესები წარმოებდა სათანადო ოსტატებითა და ნებითდაქირავებული მუშებით[6]. (არსებობს ახტალისა და ალავერდის ქარხნების მუშაობის პროცესის დაწვრილებითი აღწერა, რომლის აქ მოტანა საჭირო არაა).

ისე როგორც ახტალაში, ალავერდის ქარხნებზეც მეფის ბრძანებით მიწერილნი იყვნენ ყმა-გლეხები, რომლებიც დამხმარე საქარხნო სამუშაოებს ასრულებდნენ, როგორიც იყო ხე-ტყის მოჭრა, დაწვა, ნახშირის გადაზიდვა და სხვ.

აქაც საქარხნო მიწების მფლობელი მემამულე (არლუთინ-

---

[1] იქვე, საბ. № 45, გვ. 89—90.
[2] იქვე, გვ. 96—97.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 97.
[5] იქვე.
[6] იქვე, გვ. 98—99.

ღოლგორუკოვი) მეფის მიერ წარმოების მეთვალყურედ. მიუბრალად ინიშნებოდა. რომლის მოვალეობაზე ზემოთ არის ნათქვამი.

1785 წლამდე, ვიდრე ომარ-ხანი აარხრებდა წარმოებას. ალავერდის სპილენძის მაღაროებიდან ამოჰქონდათ 200000-მდე ფუთი მადანი, რომლისაგანაც ღებულობდნენ 12000 ფუთ სუფთა სპილენძს. ფუთი სპილენძის საშუალო ფასი იყო 8—10 მანეთი. მაშასადამე, ქარხნის წლიური პროდუქცია უდრიდა 100 ათას მანეთზე მეტს. აქედან მეფეს ეძლეოდა 12 %, ე. ი. მეფის წლიური შემოსავალი ალავერდის სპილენძის წარმოებიდან შეადგენდა 12 ათასს მანეთზე მეტს.

საერთოდ სამთო-საქარხნო წარმოების შემოსავალს ქართველი მეფეების ბიუჯეტში დიდი ადგილი ეკავა. კაპიტან იაზიკოვის ცნობით, რომელიც 1770 წელს იმყოფებოდა საქართველოში. მეფის 150000 მანეთის შემოსავალში მარტო ახტალის ქარხნის შემოსავალს ეჭირა 50000-მდე მანეთი ვერცხლით. ერთად აღებული, ალავერდისა და ახტალის ქარხნებიდან კი, მეფის წლიური შემოსავალი, როგორც ვხედავთ 60 ათას მანეთზე მეტი იყო. გვიან, როდესაც ახტალის საბადოები გამოფიტულ იქნა, შემოსავალი სამთო წარმოებიდან შემცირდა, მაგრამ ბიუჯეტში მაინც ინარჩუნებდა მნიშვნელოვან წილს. საქართველოს ანექსიის წინ, მეფის შემოსავლის 89.350 მანეთში, ალავერდის სპილენძის წარმოებიდან შემოსავალი შეადგენდა 10050 მანეთს[1].

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. სამთო საქმის წარმოებას ხელი მოჰკიდა რუსეთის მთავრობამ. შეიქმნა „საქართველოს სამთო ექსპედიცია". 1803 წლიდან ახტალისა და ალავერდის ქარხნები გადავიდა ხაზინის ხელში. სამთო წარმოების „დებულებით", ხაზინა, ფუთი სპილენძის მადნის ამოღებისათვის ბერძენ მადნის მრეწველებს უხდიდა 7,5 კაპიკს. ფუთი მადნის გამოწვისათვის 6.5 კაპ.. ხოლო ფუთი შავი სპილენძის გამოდნობისათვის 12 კაპიკს[2]. გამოდნობილი შავი სპილენძის 1/5 ნაწილი ხაზინას მიჰქონდა უფასოდ, როგორც გადასახადი და ბერძნებს საზღაურს მისი 4/5 ნაწილისათვის უხდიდა. ახტალის ქარხანაში ბერძენი მადნისმრეწველების მიერ ამოღებული და მოტანილი ვერცხლის მადნის 1/10 ნაწილს ხაზინა ღებულობდა უფასოდ. როგორც გადასახადს. 9/10 ნაწილისათვის კი ბერძენ ოსტატებს ყოველ გამოდნობილ მის-

---

[1] Акты, т. I, გვ.. 197.

[2] История горной... საბუთი № 73, გვ. 157; С. Эсадзе, Очерк., გვ. 94—95.

ხალ ვერცხლზე უხდიდა 5 კაპიკს[1]. მემამულეები, რომელთა მიწებზე იყო საბადოები და ქარხნები მოწყობილი, ხაზინის მიერ წარმოების მეთვალყურეებად ინიშნებოდნენ და ამისათვის ხელფასს ღებულობდნენ. ამის გარდა, მათ ეკუთვნოდათ გამოდნობილი სპილენძის $^{1}/_{10}$ ნაწილი[2]. ქარხნების მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სამთო ექსპედიციამ, ქარხნებს მიაწერა გლეხები იმავე სოფლებიდან, როგორც ეს იყო ქართველი მეფეების დროს (ყაზახი, შულავერი. შინიხი და სხვ.)[3]. ქარხნებზე მიწერილ სოფლებს უნდა გამოეგზავნათ ნახევარი ფეხოსანი და ნახევარი ცხენოსანი. პირველნი მოჭრიდნენ ხე-ტყეს, დაწვავდნენ ნახშირს და სხვ. ხოლო მეორენი ქარხნებში მოზიდავდნენ ხე-ტყეს, ნახშირს, მადანს და სხვა მასალებს[4], რისთვისაც ისინი გარკვეულ საზღაურს იღებდნენ[5]. საწარმოო პროცესები — მადნის ამოღება, გამოწვა, გამოდნობა და დაწმენდა XIX ს. რეფორმამდელ ხანაში ისევე და ისეთივე ხელოსნური ტექნიკით წარმოებდა, როგორც XVIII საუკუნეში და ამიტომ მას აქ ჩვენ აღარ გავიმეორებთ.

იმისათვის რომ გამოდნობილი სპილენძი არ დაგროვილიყო ხაზინაში, 1804 წელს დაარსდა 2 სახაზინო კანტორა სპილენძის გასაყიდად — თბილისში და ელისავეტპოლში[6]. თბილისში ფუთ სპილენძს ყიდდნენ 11 მანეთად, ელისავეტპოლში კი 11,5 მანეთად. ამას გარდა მიმართავდნენ სხვა რიგ ღონისძიებებს, რათა სპილენძის გასაღებისათვის ფართო ბაზარი შეექმნათ.

მიუხედავად ამისა, XIX ს. რეფორმამდელ ხანაში ალავერდის სპილენძის წარმოება ვერ იძლეოდა იმდენ პროდუქციას, რამდენსაც იგი XVIII ს. მეორე ნახევარში, ვიდრე ქარხნებს ააოხრებდნენ. 1803 წლიდან 1810 წლამდე, ალავერდის ქარხანაში მიღებულ იქნა 28000 ფუთი დაწმენდილი სპილენძი[7]. რაც შეეხება ახტალის ვერცხლის წარმოებას, აქ მაღაროები გამოფიტული აღმოჩნდნენ და სრულიად უმნიშვნელო ოდენობის ვერცხლს ღებულობდნენ. 1803 წლიდან 1813 წლამდე აქ მიღებულ იქნა მხოლოდ 9 ფუთზე ცოტა მეტი ვერცხლი, რომელიც პეტერბურგის ზარაფხანაში გაგზავნეს[8].

---

[1] იქვე.

[2] История горной..: საბუთი, № 78, გვ. 165—171. С. Эсадзе, Очерк.... გვ. 82—85.

[3] იქვე. საბუთი № 68, გვ. 140.

[4] იქვე. გვ. 141.

[5] იქვე. საბუთი № 76, გვ. 162—163.

[6] იქვე. საბუთი № 375, გვ. 480.

[7] იქვე, საბუთი № 272, გვ. 340.

[8] იქვე, საბუთი № 322, გვ. 413.

1816 წელს ხაზინამ ალავერდისა და ახტალის საწარმოები გადასცა ბერძნებს. ახალი დებულებით ბერძნები ხაზინას უხდიდნენ გამოდნობილი სპილენძის $^1/_{10}$ ნაწილს უფასოდ და ასევე ლითონის 2% ქარხნებზე მიწერილი სახაზინო გლეხებისათვის[1]. საქარხნო მიწების მფლობელებს მიჰქონდათ წარმოებული სპილენძის $^1/_{10}$ ნაწილი. რაც შეეხება ახტალის ქარხანას, ამ დროს მისი ვერცხლის მაღაროები საბოლოოდ გამოფიტულად სცნეს და ამიტომ ბერძენ მრეწველთა ნაწილი ალავერდისა და შამბლუღის სპილენძსადნობ ქარხნებში გადავიდა.

1818 წელს ბერძნებმა სახაზინო მიწაზე. შამბლუღში მოაწყვეს სპილენძის სადნობი ქარხანა (ალავერდიდან 12 ვერსზე). მაგრამ პროდუქციას უმნიშვნელოს იძლეოდა[2]. 1820 წლის ცნობით ალავერდის ქარხანაში იდგა მადნის გამოსაწვავი ღუმელი — 45, სადნობი ღუმელი — 7. ბრძმედი შავი სპილენძის დაწმენდისათვის — 6[3]. შამბლუღის ქარხანაში იდგა 13 ღუმელი მადნის გამოწვისათვის და 1 სადნობი ღუმელი შავი სპილენძის მისაღებად. შავი სპილენძი დასაწმენდად მიჰქონდათ ალავერდის ქარხანაში[4]. ქარხნების ბერძნების ხელში გადასვლის შემდეგ პროდუქციის გამოშვების ოდენობის მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. წლიური საქარხნო პროდუქციის ოდენობაზე ჩვენ გვაქვს რიგი წლების ცნობები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევენ წარმოების მასშტაბზე. ალავერდის ქარხანაში სპილენძი გამოადნეს 1819 წელს 1715 ფუთი[5], 1820 წ. — 2084 ფუთი. 1847 წელს ალავერდისა და შამბლუღის ქარხანაში ერთად — 5400 ფუთი[6]. 1858 წ. ალავერდის ქარხანაში — 7299 ფუთი[7], 1859 წ. — 8360 ფუთი[8], 1861 წ. — 4807 ფუთი, 1862 წ. — 5.893 ფუთი, 1865 წ. — 7268 ფუთი[9]. შამბლუღის ქარხანაში სპილენძის წარმოება გაცილებით ნაკლები იყო. ასე მაგალითად, 1820 წელს აქ გამოადნეს 266 ფუთი შავი სპილენძი, 1861 წელს — 817 ფუთი, 1862 წელს — 1997 ფუთი[10]. წარმოე-

---

1 ი ქ ვ ე, საბუთი № 414. გვ. 543.
2 ი ქ ვ ე, საბუთი № 408, გვ. 534.
3 ი ქ ვ ე.
4 ი ქ ვ ე, საბუთი № 442, გვ. 573.
5 ი ქ ვ ე, საბუთი № 413, გვ. 125.
6 საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 125. ფურც. 3. 6.
7 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 39. ფურც. 97—98:
8 საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 1519, ფურც. 6.
9 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 159, ფურც. 7.
10 ი ქ ვ ე.

ბულ პროდუქციას ჰყიდდნენ ამიერკავკასიაში და საზღვარგარეთაც გაჰქონდათ.

როგორც ვიცით, ხაზინა წარმოებისაგან იღებდა წარმოებული ლითონის მეათედს (საგადასახადო სპილენძს). იგი მას ჰყიდდა საჯარო ვაჭრობით[1]. სპილენძის შემსყიდველებად გამოდიოდნენ უმთავრესად თბილისელი მოქალაქეები და ვაჭრები: ავთანდილ კვეზერელოვი, დავით ბიბილური, თომა შადინოვი, გიორგი ქართველიშვილი და სხვები[2]. ფუთი სპილენძი იყიდებოდა 10—12 მანეთად.

1846 წლამდე სპილენძის ქარხნებზე მიწერილი იყო 34 სოფელი[3]. მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვს ამ სოფლების მოსახლეობამ სთხოვა გაეთავისუფლებინათ ისინი საქარხნო სამუშაოებისაგან[4]. ვორონცოვმა მხედველობაში მიიღო მათი თხოვნა და 1849 წლის 23 ნოემბრის ბრძანებით, 1850 წლის 1-ლი იანვრიდან ალავერდის ქარხნებზე მიწერილი გლეხები განთავისუფლებულნი იქნენ დამხმარე საქარხნო სამუშაოებისაგან. როგორც იყო შეშის მოჭრა, ნახშირის დამზადება და ქარხნებში მიზიდვა. სამაგიეროდ, ბერძენი მადნისმრეწველები განთავისუფლებულნი იქნენ 2 %-იანი გადასახადისაგან. ქარხნებზე მიწერილი გლეხების შრომის სარგებლობისათვის რომ იხდიდნენ[5]. წარმოებული სპილენძის 10 % კი კლავინდებურად უნდა ეხადათ ბერძნებს ხაზინის სასარგებლოდ[6]. ამიერიდან ალავერდის ქარხნებში იძულებითი შრომის ჩამოცილების შედეგად, წარმოების დამხმარე სამუშაოებზეც ნებითდაქირავებულ შრომას იყენებდნენ.

1850 წელს ალავერდის ქარხანაში ითვლებოდა ოსტატები („მადნისმრეწველები") და მუშები 137 კაცი[7], შამბლულის ქარხანაში — 29 კაცი[8]. სამთო-საქარხნო სამუშაოებზე სხვადასხვა სოფლებიდან მოსული მუშების რიცხვი აღწევდა 157 კაცს[9]. როგორც ვხედავთ, ამ წელს ორივე ქარხანაში მუშაობდა 300-ზე მეტი ოსტატი, სამთო-საქარხნო და დამხმარე მუშა.

1854 წელს ალავერდისა და შამბლულის ქარხანაში ითვლებოდა 49 ოსტატი და 91 მუშა, სულ 140 კაცი[10]. საქარხნო ტერიტორიაზე,

---

1 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქ. 39.
2 საქ. ცსსა, ფონდი 264. საქმე №№ 33, 245, 293.
3 ЦГИАЛ. ф. 37. оп. 65. д. 2193, л. 1.
4 იქვე.
5 იქვე. ფურც. 25.
6 იქვე.
7 საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 11, ფურც. 63—65.
8 იქვე. ფურც. 65—66.
9 იქვე.
10 საქ. ცსსა, ფონდი. 264, საქმე 20, ფურც. 105—106.

მოწყობილი იყო დუქნები და პერსაცხობები, რომელიც საჭირო იყო წარმოების პერსონალისათვის. ამ წელს აქ ითვლებოდა 11 მაღუქნე და 61 მეპურე[1].

1865 წლის ცნობით ალავერდის სპილენძის წარმოებაში ღიღ-ღამეში მაღაროებში სამუშაოდ გამოდიოდა 120 კაცამდე, მადნის გამოწვაზე მუშაობდა 60 კაცი, მადნის შავ სპილენძად გადადნობაზე — 55 კაცი, შავი სპილენძის სუფთა სპილენძად დაწმენდაზე — 20 კაცი[2]. მუშის ხელფასი ღღეში იყო 40 კაპ. ოსტატისა კი 80 კაპიკიდან 1 მან. და 60 კაპიკამდე[3]. როგორც ვხედავთ, სპილენძის წარმოებაში მუშაობდა ოსტატებისა და დაქირავებული მუშების მნიშვნელოვანი კონტინგენტი. როგორც ჩანს, წარმოებაში დამხმარე სამუშაოებზე მომუშავეთა რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო ოსტატების და საქარხნო მუშების რიცხვთან. ასე მაგალითად, 1866 წელს ალავერდის ქარხანაში მუშების რიცხვი შეადგენდა 250 კაცს. აქედან დამხმარე სამუშაოებზე მუშაობდა მხოლოდ 25 კაცი. შამბლუღის ქარხანაში ითვლებოდა 48 კაცი. აქედან საქარხნო სამუშაოებზე მუშაობდა 40, დამხმარე სამუშაოებზე — 8[4]. ამ წელს ალავერდის ქარხანაში მადნის გამოწვისათვის მოწყობილი იყო 120 ცილინდრული ახური, შავი სპილენძის გამოდნობისათვის 4 ღუმელი, შავი სპილენძის დაწმენდისათვის 3 ბრძმედი. შამბლუღის ქარხანაში მადნის გამოწვისათვის მოწყობილი იყო 15 ცილინდრული ახური, შავი სპილენძის გამოდნობისათვის 1 ღუმელი[5].

სამთო-საქარხნო წარმოება, ისე როგორც XVIII საუკუნეში, დაბალ ტექნიკურ ბაზაზე იყო მოწყობილი. წარმოების ყველა სტადია — დაზვერვითი სამუშაო, მადნის ამოღება და გამოდნობა, დაბალი ხელოსნური ტექნიკით წარმოებდა. როგორც წარმოების პროცესიდან დავინახეთ საწარმოებში არსებობდა შრომის სისტემატური დანაწილება. ქარხნებში არ იყენებდნენ არც წყლის ძალას და არც ცხენძრავას. ასევე, ცხადია, ქარხნებს მით უფრო არ გააჩნდათ ორთქლის მანქანები. ამიტომ ეს საწარმოები ფაბრიკები არ ყოფილან. ტექნიკური დონითა და შრომის ორგანიზაციით ახტალისა და ალავერდის ბრძმედიანი ქარხნები მსხვილი სამთო მანუფაქტურები იყვნენ.

რეფორმამდელ ხანაში საქართველო დიდ ნაკლებობას განიცდიდა თუჯისა და რკინის მხრივ. ადგილობრივ მოპოვებული რკინა,

---

[1] იქვე.
[2] საქ. ცსსა. ფონდი 264. საქმე 159, ფურც. 112.
[3] იქვე, ფურც. 7.
[4] „Кавказский календарь", 1869, отд. II, зд. 165.
[5] იქვე.

ასზე მოთხოვნის უმნიშვნელო ნაწილს აკმაყოფილებდა, დიდი ნაწილი კი რუსეთიდან შემოჰქონდათ დარიალის ხეობით, შავი და კასპიის საზღვაო გზებით.

მე-19 საუკუნის 50-იან წლებში რუსეთიდან ამიერკავკასიაში შემოჰქონდათ 150000 ფუთი რკინა და მისი ნაკეთობანი, აქედან მარტო თბილისი, ყოველწლიურად ხმარობდა 35.000 ფუთამდე რკინასა და მის ნაკეთობას[1]. რუსეთიდან რკინის მოტანა დიდ სატრანსპორტო ხარჯებს ითხოვდა. ამიტომ იგი ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით თბილისში ძვირი იყო. 1852 წელს ფუთი რკინა საშუალოდ ფასობდა: ბაქოში 1,64 მანეთი, ხოლო თბილისში 2,97 მანეთი. ფუთი ფოლადი ბაქოში ღირდა 2,35 მანეთი, თბილისში კი — 4,16 მანეთი[2]. ქვეყნის ეკონომიური განვითარება უფრო და უფრო ითხოვდა ლითონს. დაიწყო ადგილობრივი რკინის სამადნეების აღმოჩენა და შესწავლა. გეოლოგების ყურადღება მიიპყრო ბოლნისის რკინის სამადნოებმა. აკადემიკოს აბიხმა და სამთო საქმის მმართველმა ივანიცკიმ ბოლნისის რკინა მაღალხარისხოვნად მიიჩნიეს, მაგრამ შედარებით გვიან დაიწყო აქ თუჯისა და რკინის ჩამომსხმელი ქარხნის აგება.

1860 წელს ბადენის ოდესელმა კონსულმა ერნსტ ლიბმა თავს იდო ბოლნისის ხეობაში (ბორჩალოს უბანი), სოფელ ჩათახში, მოეწყო რკინისა და თუჯის ქარხანა. ამ წლის 26 ივნისს დაიდო ხელშეკრულება მთავრობასა და ლიბს შორის, რომლის თანახმად, ლიბს ქარხნის მოწყობისათვის მიეცა 20000 მანეთი სესხი 10 წლით[3]. ლიბს უნდა დაემუშავებინა ბოლნისის სამადნოები და ქარხანა მოეწყო ბრძმედებით ან ღუმელებით თუჯისა და რკინის მისაღებად. საწვავისათვის ლიბს იქ მიეცა სახაზინო ტყე. ტყეს ეჭირა 2.069 დესეტინა, მაგრამ ლიბმა იგი არასაკმაოდ ცნო და 1861—62 წლების კონტრაქტებით მან მემამულე შანშიაშვილისაგან მიიღო 1500 დესეტინა ტყე[4]. შანშიაშვილისაგან მიღებულ მიწაზე გაყვანილ იქნა საკმაოდ ფართო არხი. იგი საკმაო წყალს აწვდიდა ქარხნის ჰაერსაბერ მანქანას ამოძრაობისათვის.

ლიბი მოტყუვდა თავის პირვანდელ ანგარიშებში და ხაზინა იძულებული შეიქნა კვლავ ეძლია დამატებითი სესხი. ამავე დროს, ლიბმა მნიშვნელოვანი სესხი აიღო კერძო პირებისაგან. 1862 წელს

---

[1] ვ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქარ. და ამიერკ-ში. გვ. 242.

[2] იქვე.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 1251, ფურც. 2.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 1457, ფურც. 45—55.

ლიბი გარდაიცვალა. ქარხანა დაუმთავრებელი დარჩა, ხოლო სეფეხ შეადგენდა 182086 მანეთს; აქედან 88019 მანეთი ხაზინისა იყო, 94067 მანეთი კი კერძო პირებისა. ლიბის ქვრივმა მარია ლიბმა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს უფროსს — კრუზენშტერნს 5.000 მანეთი სთხოვა სილეზიიდან მოსატანი ცეცხლგამძლე თიხისაგან ბრძმედის მოსაწყობად[1]. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ამავე წელს ქარხანა გადავიდა ვიტესა და პრუსიელ ბერნულის ხელში. მათ დაამთავრეს ქარხნის მოწყობა. სულ ქარხნის აგებისათვის დაიხარჯა 217076 მანეთი (ხაზინისა 108009 მანეთი; კერძო პირებისა — 109076 მანეთი)[2].

ქარხანა შეიცავდა: ბრძმედს, სამსხმელო საამქროს, ჰაერსაბერ მანქანას (ეს მანქანა სილეზიიდან მიიღეს და შედგებოდა ორ საბერიანი თუჯის ცილინდრისაგან. ჰაერსაბერი მანქანა მოძრობაში მოჰყავდა წყლის თვალს, ამ უკანასკნელს კი შანშიაშვილის მიწაზე გაყვანილი არხის წყალი ამოძრავებდა), სადურგლოს, სამკეღლოს, ფურნეს, საჯინიბოს, ფარდულს — მუშა ხარებისათვის, ფარდულს — აგურისა და კრამიტის გამოწვისათვის, მრავალ სახლსა და ყაზარმას მუშების, ოსტატებისა და სხვა მომსახურე პერსონალისათვის და სხვ.[3].

მალე წარმოება გაფართოებულ იქნა: სამსხმელო განყოფილებაში თუჯის გადასადნობად მოწყობილ იქნა 2 ბრძმედი. მოეწყო აგრეთვე მექანიკური და კრიცის ფაბრიკა, 6 სამკეღლო ქურა, შეშის საშრობი ღუმელები; რკინის მოპოვების გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით დაიწყეს საპუდლინგო ფაბრიკის მშენებლობა, რისთვისაც 2 ორთქლის მანქანა შეუკვეთეს. რკინის საბადო, ქარხნიდან მდებარეობდა 6 ვერსზე.

ქარხანა ამუშავებულ იქნა 1862 წლის ბოლოს (28 დეკემბერს)[4]. ადგილობრივი ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. 1863 წელს ქარხანაში მიღებულ იქნა 29839 ფუთი თუჯი, 30000 მანეთი ღირებულებისა[5]. 1864 წელს — 31789 ფუთი თუჯი, ამ წელს ქარხანამ გამოიმუშავა 40000 მანეთის პროდუქცია[6]. ამდენივე პროდუქცია გამოიმუშავა 1865 წელს[7]. ქარხანაში ამზადებდნენ თუჯის სხვადა-

---

[1] იქვე. ფურც. 41.

[2] პ. გ ო გ ო შ ვ ი ლ ი — კაპიტ. განვითარება... გვ. 244.

[3] იქვე.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 17, საქმე 8962, ფურც. 77.

[5] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 1864, д. 137, лл. 64—66.

[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1865, д. 127, лл. 67—69; ф. 37, оп. 15, д. 1988, л. 30.

[7] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 11, 1866, д. 142, лл. 70—72.

სხვა ნაკეთობებს. ასე მაგალითად, ქარხანაში დამზადებულ იქნა თბილისში 60-იან წლებში მოწყობილი საავადმყოფოსათვის ყველა საჭირო ხელსაწყო[1]. 1863 წ. ქარხანაში დამზადეს 12199 ფუთი თუჯის ნაკეთობა, 1864 წ. — 16.685 ფუთი თუჯისა[2]. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაში პირველად ამ ქარხანაში იქნა გაკეთებული ორთქლის მანქანა[3]. წარმოებული პროდუქცია იგზავნებოდა ამიერკავკასიაში. დაქირავებული მუშების რიცხვი ქარხანაში დღეში საშუალოდ იყო 150 კაცამდე. 1866 წელს კი მუშების რიცხვი 200 კაცამდე ასულა. მუშათა კონტინგენტი შედგებოდა ქართველების, რუსების, სომხებისა და სხვებისაგან[4]. მიუხედავად იმისა, რომ რკინისა და თუჯსასხმელ ქარხანას საქართველო და ამიერკავკასია ძლიერ საჭიროებდა, ჩათახის წარმოება მყარ საფუძველზე ვერ დადგა და 1875 წელს რიგი მიზეზების გამო მუშაობა შეწყვიტა. როგორც ჩანს, ბოლნისის რკინის საბადოები საკმარისი არ აღმოჩნდა ისეთი დიდი წარმოებისათვის, როგორიც ჩათახის რკინისა და თუჯსასხმელი ქარხანა იყო და ეს უკანასკნელი საჭირო რაოდენობით ვერ ეებულობდა ნედლეულს. XIX ს. 70—80-იან წლებში კი სატრანსპორტო გზების გაუმჯობესების შედეგად რუსეთიდან ამიერკავკასიაში დიდი რაოდენობით შემოდის რკინა.

რეფორმამდელ ხანაში უნდა აღინიშნოს სახაზინო საწახნაგო ფაბრიკის (Гранильная фабрика) მოწყობა თბილისში, რომელიც ამუშავებდა კავკასიის ძვირფასს ქვებს — იასპებს, მეწამულ ქვას, მარმარილოს, ობსიდიანს და სხვ. ფაბრიკა მოეწყო 1849 წელს[5]. 1850 წელს კი მოეწყო კარტონის ქვის ფაბრიკა, რომელიც ამზადებდა სხვადასხვა სამოქალაქო და საეკლესიო არქიტექტურულ ნაკეთობანს. ეს ფაბრიკა 1855 წელს დაიხურა შეკვეთების უქონლობის გამო, მაგრამ იგი კვლავ აღდგენილ იქნა 1856 წელს და შეუერთდა საწახნაგო ფაბრიკას[6]. ფაბრიკა მეტწილად ამუშავებდა ალგეთის ქვას, ადგილობრივ და საზღვარგარეთის მარმარილოს, ობსიდიანს და სხვას. იგი აკეთებდა საეკლესიო და მეტწილად სამოქალაქო არქიტექტურის ნაკეთობებს. შენობებისათვის, თეატრისათვის და სხვ. საწარმოში მუშაობდნენ დაქირავებული მუშები და ოსტატები, ასევე სამხედრო უწყებისა და სამთო უწყების ხალხი. ფაბრიკა სახაზინო

---

[1] «Кавказский календарь» 1869 г., отд. II-ое, გვ. 177.

[2] ЦГИАЛ. ф. 37, оп. 65, д. 1988, л. 30.
«Кавказский календарь», 1869 г., отд. II-ое, გვ. 177.

[3] იქვე.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 1835, ფურც. 13.

[5] იქვე.

ყო. დრო და დრო მას განაგებდნენ: ინჟინერი ლემკული, ივანიცკი, აკადემიკოსი-არქიტექტორი სიმონსონი და სხვ. ფაბრიკას ჰყავდა ტექნიკური ზედამხედველები.

წარმოების გაფართოებისა და გაფართოების მიზნით, ეკატერინბურგის მექანიკურ ქარხანას შეუკვეთეს ოთხი ორთქლის მანქანა. 1854 წელს ეკატერინბურგის ქარხანამ თბილისის საწარმოო ფაბრიკისათვის დაამზადა ოთხი ძლიერი ორთქლის მანქანა, რომელიც დაჯდა 1700 მანეთამდე[1]. ეს მანქანები თბილისში მოიტანეს 1857 წელს[2]. ფაბრიკაში მათი საბოლოო მოწყობა დაჯდა 1000 მანეთამდე[3]. მანქანებს შეშით ამუშავებდნენ. ფაბრიკაში მანქანების შეკეთებას აწარმოებდა მექანიკოსი ზომმერი, ხოლო თუჯის საჭირო ნაკეთობანი მოჰქონდათ შტიუსეს მექანიკური ქარხნიდან[4]. ფაბრიკაში თანდათან მეტად იყენებდნენ დაქირავებულ შრომას და ბოლოს იგი გაბატონდა. 1863 წელს აქ მხოლოდ ნებითდაქირავებული შრომა იყო გამოყენებული. საწარმოში ჰყავდათ მოწაფეები და ქარგლები.

ფაბრიკამ გამოიმუშავა პროდუქცია (მანეთებში):

1858	წელს	— 3400	მანეთის[5]
1860		— 3000	[6]
1861		— 3020	
1862		— 7500	[8]
1863		— 12000	[9]
1864		— 12000	[10]
1865		— 15000	[11]

გამომუშავებულ პროდუქციას, ადგილობრივი მოხმარების გარდა, აგზავნიდნენ პეტერბურგს, იმპერატორის სასახლეში.[12] საგლეხო რეფორმის შემდეგ მრავალი ასეთი კერძო საწარმოები წარმოიშვა

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 1823, ფურც. 1—2.
[2] იქვე.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 1835, ფურც. 13.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 810, ფურც. 97.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1860, д. 170, л. 63.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1861, д. 228, л. 118.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1862, д. 134, л. 93.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1863, д. 108, л. 110.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1864, д. 137, л. 64.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1865, д. 127, л. 67.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 11, 1866, д. 142, л. 70.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1860, д. 170, л. 63.

თბილისში, და ამიტომ, 1868 წელს ეს საწახნაგო ფაბრიკაც კერძო პირს გადაეცა[1].

რეფორმამდელ საქართველოში აწარმოებდნენ ნავთობის ამოღებას. ნავთობს იღებდნენ ნავთლუღში, შირაქში, მირზაანში და ელდარის ველზე. საბადოები ეკუთვნოდა ხაზინას. 1847 წელს მიხ. ვორონცოვმა ნავთლუღის საბადოები გადასცა ქ. თბილისს საკუთრებაში. ქ. თბილისი კი ამ საბადოებს სცემდა იჯარით და წლიურად ღებულობდა დაახლოებით 5.500 მანეთ შემოსავალს[2]. შირაქის, მირზაანის და ელდარის ნავთის საბადოები იყო ამიერკავკასიის სახაზინო პალატის განკარგულებაში და მის მიერ იცემოდა საიჯარო მფლობელობაში[3]. 1848 წლიდან დაიწყეს ამ საბადოთა იჯარით გაცემა. 1848—1854 წლებში 1.050 მანეთად წელიწადში, 1854—1858 წლებში 1.660 მანეთად, 1858—1864 წლებში 2.800 მანეთად წელიწადში[4]. მოიჯარადრეებად გამოდიოდნენ მოქალაქეები და ვაჭრები. ასე მაგალითად, 60-იან წლებში საბადოები იჯარით ჰქონდათ აღებული თბილისელ მოქალაქეებს სოლომონ კიტოევსა და სოლომონ ვარდანოვს[5]. წლიური პროდუქციის ოდენობა სხვადასხვა წელს სხვადასხვა იყო. ასე მაგალითად, 1863 წელს შირაქსა და ნავთლუღში მოპოვებულ იქნა 11000 ვედრო ნავთი, 1864 წელს კი 6.500 ვედრო. 1866 წელს, მარტო შირაქში ამოიღეს 5339 ვედრო ნავთი[6]. რეფორმისშემდგომ ხანაში ნავთობის მოპოვება საქართველოში შედარებით იზრდება, მაგრამ წარმოების მოცულობა მაინც უმნიშვნელო რჩებოდა, რადგან ამ პერიოდში გიგანტური ნაბიჯებით მიიწევდა წინ ბაქოში ნავთის ამოღება და რკინიგზების გაყვანის შემდეგ საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდიოდა იაფი ნავთი.

რეფორმამდელ საქართველოში იწყება ქვანახშირის დამუშავებაც. ტყიბულის ქვანახშირის საბადო ცნობილი გახდა XIX ს. 20-იანი წლების მიწურულს. 1830 წელს მასზე მიუთითა სამთო ინჟინერმა კრიჟანოვსკიმ[7]. 1846 წელს ვორონცოვმა ბრძანება გასცა ამოეღოთ ტყიბულში 2000 ფუთი ქვანახშირი და მიეტანათ იგი რედუტ-კალეში სამხედრო გემზე მისი გამოცდისათვის[8]. ქვანახშირი ვარგისად ცნეს. ამიტომ ვორონცოვმა მას დიდი ყურადღება მიაქცია და განიზრახა შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემები მოემარა-

---

[1] С. Гулишамбаров, ОФЗТГ, 1887, г., გვ. 205.
[2] იქვე, გვ. 188.
[3] «Кавказский календарь», 1869 отд. II, გვ. 174.
[4] С. Гулишамбаров, ОФЗТГ, გვ. 189.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 768, ფურც. 29.
[6] Сборн. статист. св. о кавк., т. I, 1869, გვ. 88, 93.
[7] «Кавказский вестник», 1901, № 11 გვ. 94.
[8] იქვე.

გებინა ტყიბულის ქვანახშირით. ტყიბულის ქვანახშირის საბადო იმყოფებოდა მემამულეთა მიწებზე. ამიტომ 1846 წელს მთავრობამ მათთან დადო შეთანხმება 36 წლით, რის თანახმად ხაზინას უფლება ეძლეოდა ამოეღო და გაეზიდა ქვანახშირი, ხოლო მიწისმფლობელებისათვის უნდა ეხადა ¾ კაპიკი ყოველი ამოღებული და გატანილი ფუთისათვის[1]. 1847 წელს ტყიბულში ამოღებულ იქნა 23000 ფუთი ქვანახშირი[2]. 1848 წელს — 60000-მდე ფუთი[3], შემდეგში საბადო უმთავრესად კერძო დამუშავებას განიცდის.

ტყიბულის ქვანახშირის დამუშავება განუწყვეტლივ წარმოებდა 1854 წლამდე, მაგრამ უმნიშვნელო ოდენობით, რადგან ცუდი გზების გამო მისი გაზიდვა ძნელი იყო და ძვირი ჯდებოდა. თურქეთთან ომის დროს, 1854 წლიდან მუშაობა შეწყდა. შემდეგ წლებში კვლავ ხდებოდა ტყიბულის ქვანახშირის მეცნიერული შესწავლა აკადემიკოს აბიხის, სამთო ინჟინრების: ანტიპოვის, ბაცევიჩის, სოროკინის, პერნოლეს, გეოლოგ სიმონოვიჩის და სხვათა მიერ. მაგრამ ტყიბულის ქვანახშირის მნიშვნელოვანი დამუშავება დაიწყო გაცილებით გვიან, XIX ს. 80-იან წლებში.

1845 წელს მეცნიერ გეოლოგ აბიხის მიერ ჭიათურაში აღმოჩენილ იქნა მარგანეცი. მისი დამუშავება კი როგორც ცნობილია დაიწყო გაცილებით გვიან, XIX ს. 70-იან წლებში. საერთოდ, სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოება განსაკუთრებით ვითარდება საქართველოში რეფორმისშემდგომ ხანაში.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში და ასევე საქალაქო ცხოვრების ზრდა მოითხოვდა შრომის საშუალებათა მკეთებელი წარმოების მოწყობას. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა 50-იანი წლებიდან.

1850 წელს, თბილისში მცხოვრებ შვეიცარიელმა შტიუსემ მეფისნაცვალ ვორონცოვს სთხოვა 2 დესეტინა მიწა თბილისში მექანიკური საწარმოს მოსაწყობად[4]. იმავე წელს, ვორონცოვის განკარგულებით მას მისცეს 4819 კვადრატული საჟენი მიწის ნაკვეთი თბილისსა და ნავთლუღს შორის — მირზაბათში, აღნიშნული საწარმოს მოსაწყობად[5]. 1851 წლის იანვარში, შტიუსემ ვორონცოვს სესხად სთხოვა 10000 მანეთი, მექანიკურ-სამსხმელო ქარხნის მოსაწყობად, რომელიც ამიერკავკასიას, მისი აზრით, მეტად ესაჭიროებოდა[6].

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 208, ფურც. 23.
[2] «Кавказский вестник», 1901, № 11 გვ. 94.
[3] Акты, т. X გვ. 867.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 205, აღწერა 1, საქმე 484, ფურც. 11.
[5] ი ქ ვ ე, ფურც. 14.
[6] საქ. ცსსა, ფონდი 241, აღწერა 3, საქმე 39, ფურც. 1.

იგი ვალდებულებას იღებდა საწარმო 1 წელიწადში მოეწყო. ვორონცოვი დადებითად გამოეხმაურა შტიუსეს თხოვნას. ასევე კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ სავსებით მოიწონა შტიუსეს წინადადება და თავისი წევრების — ანდრეევსკის, მაქსიმოვიჩისა და ივანიცკის შემადგენლობით შექმნა კომისია, რომელსაც უნდა განეხილა შტიუსეს პროექტი და მეთვალყურეობა გაეწია ქარხნის მოწყობისათვის. შტიუსემ კომისიასთან დადო კონდიცია, რომლის თანახმად: 1) იგი ვალდებულებას იღებდა ხელშეკრულების დამტკიცებიდან 1 წელიწადში მოეწყო მექანიკური-სამხსმელო საწარმო. 2) შტიუსე ითხოვდა 10000 მანეთს უპროცენტოდ 5 წლის ვადით, რის შემდეგ დაიწყებდა გადახდას და დაფარავდა 10 წლის მანძილზე. 3) ქარხნის მთელი მოწყობილობა — მანქანები, ინსტრუმენტები, აპარატები, საქარხნო ნაგებობანი მიწით და საჭირო მასალები ხაზინის სესხის საწინდრად ითვლებოდა. 4) ფული შტიუსეს უნდა მიეღო საჭიროებისდა მიხედვით. 5) ქარხნისათვის საჭირო მანქანები და ინსტრუმენტები შტიუსეს საზღვარგარეთიდან უნდა შემოეტანა უბაჟოდ. 6) თუ შტიუსე სიკვდილის ან ავადმყოფობის შემთხვევაში ვერ მოაწყობდა ქარხანას, მაშინ ამ საქმეში პასუხისმგებელი იქნებოდა მისი ნათესავი შვეიცარიელი ლიუდვიგ ლეიტიგერნი. 7) რადგან კომისიამ მოითხოვა საწარმოს უფრო ფართო მასშტაბით მოწყობა, ამიტომ შტიუსესთვის დამატებით უნდა ნიეცათ სესხათ 5.000 მან.[1]

კონდიცია დამტკიცებულ იქნა და შტიუსე შეუდგა ქარხნის მოწყობას. მან ვენიდან (ავსტრია) გამოიწერა სათანადო ოსტატები და მანქანა-ინსტრუმენტები, რომელიც 1852 წლის დასაწყისში მიღებულ იქნა თბილისში. 1852 წლის დასაწყისში საწარმოს მოწყობა ძირითადად დამთავრებული იყო. მას აკლდა მხოლოდ სამსხმელი ღუმელი და ცხენძრავა.

ქარხანა შედგებოდა ორი ძირითადი შენობისაგან: სამსხმელი და მექანიკური. მათ ასაგებად დაიხარჯა 7404 მან.; ვენაში მანქანა-ინსტრუმენტების საყიდლად დაიხარჯა 2069 მანეთი, თბილისში მათი მოტანისათვის — 1775 მანეთი, და სხვა საჭიროებისათვის სულ დაიხარჯა 11935 მანეთი[2]. ამის შემდეგ შტიუსემ ფული მიიღო თუჯის, რკინის, ნახშირისა და სხვათა საყიდლად; 1852 წლის 15 აგვისტოს თბილისის მექანიკურმა ქარხანამ მუშაობა დაიწყო[3].

---

[1] საქ. ცსსა. ფონდი 10, საქმე 39, ფურც. 10—13.

[2] იქვე, ფურც. 49—50.

[3] იქვე, ფურც. 63.

1853 წლის მაისში საწარმო აღწერეს თბილისის გუბერნიის არქიტექტორმა ბელოიმ, ნადვორნი სოვეტნიკმა ბლომბერგმა და ინჟინერ-ტექნოლოგმა ლემკულიმ. ქარხანა შედგებოდა 1) კრამიტით დახურული ორსართულიანი ქვის სახლისაგან (სიგრძე 12⅔ საჟენი, სიგანე 5⅔ საჟენი). ამ შენობაში იყო მექანიკური განყოფილება. ამ განყოფილების ქვედა სართულზე თუჯის ნაკეთობათაგან მოწყობილი იყო სადურგლო, საზეინკლო და სახარატო. აქ იდგა ერთი რუსული ღუმელი. ზედა სართულზე მოთავსებული იყო სამზარეულო და სხვ.[1] 2) მექანიკური განყოფილების გვერდით, ქვის ერთსართულიან ფლიგელში (სიგრძე 24 საჟენი, სიგანე — 4 საჟენი) მოთავსებული იყო სამსხმელო განყოფილება. გარდა ამისა, აქ იყო სარდაფი, საჯინიბო, 1 ცხენძრავა მანქანების მოძრაობაში მოსაყვანად, სამეჭედლო და სხვ. სამსხმელო განყოფილებაში იყო 2 სამსხმელო ღუმელი — ერთი დიდი და მეორე პატარა[2].

ვენის ტაბორის ფაბრიკიდან გამოწერილ მანქანებისა და იარაღებს შორის სახარატო ნაწილში იყო 1 დიდი თვითხარატება (сомоточка) თუჯის დაზგით (რომლის სიგრძე 18 ფუტს შეადგენდა, ხოლო სიგანე 19 დიუმს) და სახარატო დაზგა[3]. სამსხმელო ბრძმედებს შეეძლოთ ჩამოესხათ წელიწადში 4.000-მდე ფუთი თუჯი[4]. ქარხანა (ნაგებობანი, მანქანები, ინსტრუმენტები და სხვ.) მთლიანად შეფასებულ იქნა 21243 მანეთად[5]. თბილისის ეს სამსხმელო მექანიკური წარმოება მოწყობილი იყო უცხოეთიდან მოტანილი „მეტად ზუსტი ნაკეთობის მანქანებზე"[6].

როგორც ვიცით საწარმომ მუშაობა დაიწყო 1852 წლის 15 აგვისტოდან. ამ წელს ქარხანამ გამოიმუშავა: სახაზინო დაკვეთით — 1355 მანეთის პროდუქცია. კერძო დაკვეთით 4.320 მანეთის პროდუქცია; სულ 1852 წელს საწარმომ გამოიმუშავა 5.675 მანეთის პროდუქცია[7]. სხვა ცნობით ამ წელს საწარმომ გამოიმუშავა 10000 მანეთის პროდუქცია[8]. ამ წელს საწარმოში ჩამოასხეს 633 ფუთი თუჯი[9]. 1853 წელს ქარხანამ გამოიმუშავა: სახაზინო დაკვეთით 7199 მანეთის პროდუქცია, კერძო დაკვეთით 3.959 მანეთის პროდუქცია. სულ — 11158 მანეთის პროდუქცია. ამ წელს ჩამოსხმულ

---

[1] იქვე, ფურც. 90.
[2] იქვე.
[3] იქვე, ფურც. 105.
[4] იქვე.
[5] იქვე, ფურც. 112—117.
[6] Акты. т. X, გვ. 887.
[7] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 39, ფურც. 105.
[8] ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 44 (1854 г.). д 2426, л. 173.
[9] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 39, ფურც. 106.

<ქნა 1297 ფუთი თუჯი. 1854 წელს ქარხანამ გამოიმუშავა: სახაზინო დაკვეთით — 11837 მანეთის პროდუქცია, კერძო დაკვეთით 4267 მანეთის პროდუქცია, სულ — 16164 მანეთის პროდუქცია. ამ წელს ჩამოსხმულ იქნა 2176 ფუთი თუჯი[1].

ეს ციფრები ქარხნის მნიშვნელოვან წარმატებას მოწმობდნენ. ქარხანა შეკვეთებს ღებულობდა მთელი ამიერკავკასიიდან: „На оном (ქარხანაში — დ. გ.) не успевают совершать заказы в огромном количестве, со всех концов Закавказья делаемыя"[2]. საწარმო ამზადებდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და აწარმოებდა მათ შეკვეთებას. რკინა და თუჯი, რომელთაც ეს საწარმო ამუშავებდა მეტად ძვირი უჯდებოდათ, რადგან რუსეთიდან მოჰქონდათ. საჭირო იყო ადგილობრივ მათი მოძებნა და დამუშავება. 1852 წელს გერმანელთა კოლონიის — კატერინენფელდის ახლოს, სახაზინო მიწაზე აღმოჩენილ იქნა რკინის მადნის „უზარმაზარი ფენები". რადგან საწარმოს საკმაოდ არ გააჩნდა ნედლეული, ამიტომ შტიუსე შეეცადა დაემუშავებია იგი, ბრძმედის მოწყობით, მაგრამ ვერ შეძლო. შტიუსემ მადანი მოიტანა ქარხანაში და მისი ღირსება შეამოწმა. გამოდნობის დროს მიღებულ იქნა „60% ძალიან კარგი თუჯი", მაგრამ მისი მოტანა ქარხანაში დიდ ხარჯებს ითხოვდა, გამოდნობა მოითხოვდა ნახშირის დიდ რაოდენობას, რის გამოც შტიუსემ მიატოვა იგი. ამავე დროს, ქარხნის წარმატებებს ხელი შეუშალა ყირიმის ომმა. ომის დროს გაძვირდა შორეული ადგილებიდან თუჯის, რკინისა და ნახშირის მოტანა, თანაც შეკვეთები მცირდებოდა. 1855 წელს ქარხანამ გამოიმუშავა: სახაზინო დაკვეთით — 3191 მანეთის პროდუქცია, კერძო დაკვეთით — 3460 მანეთის პროდუქცია, სულ 6651 მანეთის პროდუქცია[3]. კიდევ უფრო შემცირდა გამომუშავებული პროდუქცია 1856 წელს. ამის გამო, მეპატრონე იძულებული გახდა დაქირავებული მუშების ნაწილი გაეშვა და საერთოდ წარმოება შეემცირებინა[4]. საწარმოო ხარჯების შემცირების მიზნით შტიუსემ განიზრახა მანქანების მოძრაობაში მოყვანით, ცხენძრავა შეეცვალა წყლის თვალით, რომელიც მტკვარზე უნდა მოეწყო. ამით, მისი აზრით, საწარმოს ხარჯები „ყოველწლიურად შემცირდებოდა 3.000 მანეთამდე", ხოლო ბრძმედის მოქმედება კი გაორკეცდებოდა[5]. მოაწყო თუ არა შტიუსემ

---

[1] იქვე.
[2] ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 7, д. 215, л. 19.
[3] იქვე, ფურც. 112—113.
[4] იქვე, ფურც. 114—117.
[5] იქვე.

წყლის თვალი მდ. მტკვარზე, ჩვენ ამის შესახებ სათანადო ცნობა არა გვაქვს.

1856 წლიდან შტიუსეს უნდა დაეწყო ხაზინიდან მიღებული 15.000 მანეთი სესხის გადახდა. მან რამდენჯერმე ითხოვა გადახდის ვადის გადადება. მთავრობა აკმაყოფილებდა მის თხოვნას. 1860 წელს შტიუსემ თბილისში, მდ. მტკვარზე, მოაწყო დიდი ზომის ამერიკული სისტემის საფქვავი წისქვილი[1]. მის მოსაწყობად მან სასურსათო უწყებიდან მიიღო 40.000 მანეთი სესხი. ამრიგად, სესხის სახით მას მიღებული ჰქონდა 55.000 მანეთი. საფქვავი წისქვილი სისტემატურად და კარგად მუშაობდა. ამ საწარმოში შემოსული თანხით იგი იხდიდა 55000 მან. სესხს. 1868 წლისათვის მას გადახდილი ჰქონდა 23898 მანეთი[2]. ამავე წელს შტიუსე გარდაიცვალა და წისქვილი გადავიდა კოლეეესკი ასესორის შმიდტის ხელში და დარჩენილ ვალს ის იხდიდა.

რაც შეეხება მექანიკურ თუჯსასხმელ საწარმოს, ჩანს რომ იგი არ დაცემულა რეფორმამდელ ხანაში. თბილისის გუბერნიაში არსებული „ფაბრიკა-ქარხნების" 1861 წლის უწყისში. თუჯსასხმელი და საფქვავი წისქვილის (რომელიც შტიუსეს ეკუთვნოდა) მიერ გამოშუშავებული პროდუქცია ერთადაა აღნიშნული[3]. ამავე დროს თუჯსასხმელ და საფქვავ წისქვილს ერთ საწარმოო დაწესებულებად თვლიან იმავე უწყისში („Чугунно-литейный завод с мукомольною мельницей")[4]. ცხადია, შტიუსეს საწარმოები იგულისხმება. 1857 წელს თბილისის თუჯსასხმელმა საწარმომ გამოუშვა 21000 მანეთის პროდუქცია[5]. 1858 — წელს 10000 მანეთის პროდუქცია[6]. 1860 წელს გამოუშვა 10679 მანეთის პროდუქცია[7], 1861 წელს — საფქვავ წისქვილთან ერთად გამოიმუშავა 16679 მანეთის პროდუქცია[8]. 1862 წელს თუჯსასხმელმა საწარმომ გამოიმუშავა 2.000 მანეთის პროდუქცია, საფქვავმა წისქვილმა კი 39.000 მანეთის პროდუქცია[9]. 1864 წელს თბილისის მექანიკურ-საზეინკლო სახელოსნომ გამოუშვა 6.000 მანეთის პროდუქცია[10], 1865 წელს კი 10.000 მანე-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1862), д. 134, л. 10.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 10, საქმე 39, ფურც. 168.
[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1862 г.), д. 134, л. 93
[4] იქვე.
[5] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9 (1858), д. 311, л. 27.
[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1860), д. 170, л, 63.
[7] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1861), д. 228, л. 118.
[8] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1862), д. 134, л. 93.
[9] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1863), д. 108, л. 110.
[10] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1865), д. 127, л. 67.

თის[1]. შტიუსეს გარდა, „თუჯის ქარხანა“ თბილისში ჰქონდა პოლ-კოვნიკ ყორღანოვს[2].

მექანიკური სახელოსნოების გაჩენას საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სახელოსნოებში ამზადებდნენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. წარმოების საშუალებათა მწარმოებელი სახელოსნოები კი, საერთოდ, სრულ მანუფაქტურულ საწარმოებს წარმოადგენდნენ. მარქსი წერს, რომ „მანუფაქტურის ერთ-ერთ ყველაზე სრულ ქმნილებას შეადგენდა ის სახელოსნო, სადაც თვით შრომის იარაღები იწარმოებოდა“[3]. ასეთ სახელოსნოებში და ამ შემთხვევაში შტიუსეს საწარმოშიც შრომის დანაწილების მთელი საფეხური იყო. ბურღს, საჭრელს, სახარატო დაზგას თავთავისი მუშები ჰყავდა, იერარქიულად დანაწილებულნი მათი დახელოვნების ხარისხის მიხედვით. თბილისის მექანიკური თუჯსასხმელი სახელოსნო, დაქირავებული შრომითა და შრომის ასეთი დანაწილებით სრული მანუფაქტურული საწარმო იყო.

XIX საუკუნის მეორე მესამედში და განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან, ყველაზე სწრაფად ვითარდება ჩვენში აგურის წარმოება. აგურს იყენებდნენ სხვადასხვა აღმშენებლობასა და საწარმოო დაწესებულებებში. რაც მეტად იზრდებოდა საქართველოში სამრეწველო დაწესებულებები და საქალაქო ცხოვრება, იმდენად მოთხოვნა აგურზე მატულობდა. აგურის წარმოება ყველა სხვა წარმოებაზე სწრაფად იზრდებოდა და ასევე მის მიერ გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობა. აგურის წარმოება ვითარდებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, უფრო მეტად კი აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში.

XIX ს. 30-იან წლებში თბილისში 30 აგურის საწარმო იყო[4]. 40-იანი წლების დასაწყისში თბილისში არსებობდა 14 აგურის საწარმო[5]; 1843 წელს — 40 საწარმო, რომლებმაც გამოუშვა 8.900 მანეთის პროდუქცია[6], 1847 წელს — 44 აგურის საწარმო (58 ღუმელით). ამ საწარმოებში მუშაობდა 74 ოსტატი და 114 დაქირავებული მუშა, ე. ი. თითო საწარმოზე დაახლოებით მოდიოდა 4,3 კაცი. ამ წელს მათ გამოიმუშავეს 33.948 მან. პროდუქცია[7].

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 11 (1866), д. 142, л. 70.

[2] Акты, т. X, გვ. 887.

[3] კ. მარქსი — კაპიტალი, ტ. I 1954 წ., გვ. 468.

[4] Статист. опис. Зак. кр., 1835, გვ. 144.

[5] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 8093, ფურც. 10.

[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 744, л. 91.

[7] საქ. ცსსა, ფონდი 26, აღწერა 2, საქმე 617, ფურც. 44—46; ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 125, ფურ. 26—27.

ქუთაისში 1847 წელს არსებობდა 2 აგურის საწარმო — 1000 მანეთის პროდუქციით[1]; 1848 წელს — 3 აგურის საწარმო 1200 მანეთის პროდუქციით[2]. 1860 წელს ქუთაისში უკვე ითვლებოდა 6 აგურის საწარმო („ქარხანა") 5680 მანეთის პროდუქციით[3]. აგურის საწარმოები ეკუთვნოდათ: ერთი — გაბაევს, 800 მანეთის პროდუქციით, 1 ოსტატითა და 4 დაქირავებული მუშით (ადგილობრივ მცხოვრებთაგან); მეორე — მღვდელ ნაცვალოვს 1600 მანეთის პროდუქციით, 2 ოსტატითა და 8 დაქირავებული მუშით; მესამე — აზნაურ აბულაძესა და გლეხ დადუნაშვილს, 1.600 მანეთის პროდუქციით, 4 ოსტატითა და 10 დაქირავებული მუშით, (ადგილობრივ მცხოვრებთაგან); მეოთხე — აზნაურ ფირან ვარდანეიშვილს 320 მანეთის პროდუქციით, 1 ოსტატითა და 8 დაქირავებული მუშით[4]. ასეთივე აგურის საწარმოები მოაწყვეს ამ დროს ქუთაისში გლეხმა ივანე გურულმა, იურკევიჩმა, ფირანოვმა, სტეფანე აკოფოვმა და სხვ. მათ საშუალოდ დაქირავებული ჰყავდათ 2—3 მუშა და წლიურად ამზადებდნენ 200—300 მანეთის პროდუქციას[5]. აგურის საწარმოები 50-იანი წლებიდან არსებობდა გორში, ახალციხეში, სიღნაღში, თელავში და სხვაგან.

50-იანი წლებიდან კვლავ იზრდებოდა აგურის წარმოება თბილისის გუბერნიაში. 1851 წელს თბილისში ითვლებოდა 80 აგურის საწარმო 71000 მანეთის წლიური პროდუქციით[6]. მთელ გუბერნიაში კი 87 აგურის საწარმო ითვლებოდა[7]. ჩვენ ხელთ გვაქვს აგურის წარმოების შესახებ თითქმის ყველა წლის ცნობა. ამ ცნობებით აგურის საწარმოების რაოდენობა და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქცია ხან გაზრდილი და ხან შემცირებული ჩანს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გარკვეული დროის მონაკვეთების გავლის შემდეგ იგი იზრდება. თანაც, ხშირად ხდებოდა ამ საწარმოების გამსხვილება. 1860 წელს თბილისში ითვლებოდა 45 აგურის საწარმო, რომლებმაც მოცემულ წელს გამოიმუშავეს 93.200 მანეთის პროდუქცია[8]. ამავე წელს გორში ითვლებოდა 4 აგურის საწარმო 1500 მანეთის პროდუქციით, დუშეთის უბანში — 4 აგურის საწარმო 2500 მანეთის პროდუქციით, თელავში — 17 აგურის საწარმო 2832 მანეთის პროდუქციით, სიღნაღში — 13 აგურის საწარმო 2644 მან.

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, д. 132, л. 55.
[2] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, д. 148, л. 48.
[3] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 5, д. 99, л. 56.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 125, ფურც. 47—48.
[5] იქვე, საქმე 125.
[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 8, 1851, д. 21, л. 114.
[7] იქვე, ფურც. 40.
[8] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10 (1861), д. 228, л. 118.

პროდუქც., კარდანახში — 2 საწარმო 400 მან. პროდუქც., ანაგაში — 2 საწარმო 400 მან. პროდუქც., ჯულაანში — 3 საწარმო 600 მან. პროდუქც., ქვედა მაჩხაანში — 1 საწარმო 200 მან. პროდუქც., ზედა მაჩხაანში — 2 საწარმო 400 მან. პროდუქც., ველისციხეში — 3 აგურის საწარმო 2000 მანეთის წლიური პროდუქციით[1] და სხვა. სულ, 1860 წელს თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 101 აგურის საწარმო, რომელთაც გამოიმუშავეს 107176 მანეთის პროდუქცია[2]. 1863 წელს თბილისში ითვლებოდა 60 აგურის საწარმო, მათ ამ წელს გამოიმუშავეს 227750 მანეთის პროდუქცია[3]. 1864 წელს კი თბილისში ითვლებოდა 93 აგურის საწარმო, რომელთაც გამოიმუშავეს 372.000 მანეთის პროდუქცია[4]; 1865 წელს თბილისში ითვლებოდა 95 აგურის საწარმო, რომლებმაც მოგვცეს 380.000 მანეთის პროდუქცია[4]. ამავე წელს თბილისის გუბერნიის აგურის საწარმოებმა (თბილისის ჩათვლით) მოგვცეს 400000-მდე მანეთის პროდუქცია[5]. საშუალოდ თითო საწარმოზე მოდიოდა 4.000 მან. პროდუქცია. 60-იან წლებში უმჯობესდება აგურის წარმოება, მასში შემოაქვთ მანქანები. 1861 წელს თბილისში ეწყობა ორი აგურის საწარმო, რომლებშიც დადგეს მანქანები და აგურს მანქანების საშუალებით აწარმოებდნენ. ერთი ეკუთვნოდა ბრიტანეთის ქვეშევრდომ რაისს, მეორე ჰანოვერელ ტანნერს[6]. ასეთივე აგურის ქარხანა მოაწყო სამიმოსვლო გზათა უწყებამ დუშეთთან[7]. აგურის ეს ქარხნები სრულიად ახალი მოწყობილობით იყვნენ აღჭურვილნი. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, 50-იანი წლებიდან ვიდრე საგლეხო რეფორმამდე, იქ 8—10 აგურის საწარმო („ქარხნები") არსებობდა. 1863 წელს კი ქუთაისში მოეწყო აგურის მანქანური წარმოება. აქ ორთქლის მანქანის საშუალებით აწარმოებდნენ აგურს, ორთქლის მანქანას ჰქონდა 10 ცხენის ძალა, ქარხანაში იდგა 5 დაზგა. დაქირავებული მუშები და ოსტატები 13 კაცს შეადგენდა[8]. რეფორმამდელი ხანის აგურის საწარმოები („ქარხნები"), კაპიტალისტური ხასიათის საწარმოო დაწესებულებანი იყვნენ. წარმოებაში გამოყენებული იყო დაქირავებული შრომა და შრომის ექსპლუატაცია. საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი განეკუთვნებოდა

---

[1] იქვე, ფურც. 118—119.
[2] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1864, д. 137, л. 64.
[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1865, д. 127, л. 67.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწერა 3, საქმე 1078, ფურც. 29.
[5] იქვე, ფურც. 29—31.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1862, д. 134, л. 10.
[6] იქვე.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1864, д. 137, л. 225.

კაპიტალისტურ მანუფაქტურას. 60-იანი წლებიდან კი, როგორც დასავლეთ საქართველოში აქა-იქ ჩნდება აგურის მანქანური წარმოება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამრეწველო საწარმოებს გარდა, საქართველოში, რეფორმამდელ პერიოდში არსებობდნენ მთელი რიგი სხვა კაპიტალისტური საწარმოები. ასეთები იყო: არაყისა და რომის, სამღებრო[1], ზეთსახდელი, სამეთუნეო, კრამიტის, სპილენძის საქვაბე, ლუდის, სადურგლო, სპილენძის ჭურჭლეულის, სანთლის, სახერხი, საფქვავი, საზეინკლო, ეტლის, სასარაჯო, პურის საცხობი, შაკარონის, კირის საწარმოები („ქარხნები") და მრავალი სხვა.

40-იანი წლების დასაწყისში თბილისში, შაქრის, საპნის, ტყავის, აგურის და სხვა საწარმოების გარდა არსებობდა არაყისა და რომის, საქვაბე, სამღებრო, ლუდისა და სხვა ქარხნები. არაყისა და რომის საწარმო ეკუთვნოდა იაკობ ზუბალაშვილს. ქარხანაში მოწყობილი ჰქონდათ ორთქლის მანქანა. საშუალოდ საწარმო ამზადებდა წლიურად 6.000 მანეთის პროდუქციას. მასში მუშაობდა 1 ოსტატი და 6 მუშა ნებითდაქირავებულნი, ადგილობრივ მცხოვრებთაგან[2]. საქვაბე „ქარხანა" ეკუთვნოდა ზავრიევს. საწარმო ამზადებდა სხვადასხვა სპილენძის ჭურჭლებს. წლიურად უშვებდა 2.000 მანეთის პროდუქციას. საწარმოში მუშაობდა 14 ოსტატი, 14 შეგირდი და 26 მუშა. ყველა ესენი ნებითდაქირავებულნი იყვნენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან[3]. სამღებრო სარეწები ჩვენში XIX საუკუნემდეც არსებობდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ქართლ-კახეთში სულ 50—60-მდის სამღებრო უნდა ყოფილიყო[4]. XIX საუკუნის დასაწყისიდან სამღებროები კერძო სარეწებად იქცნენ[5]. 1827 წელს ქართლ-კახეთში 85 სამღებრო იყო; აქედან თბილისში 18 სამღებრო არსებობდა[6]. 40-იან წლებში თბილისში მოეწყო შედარებით მსხვილი სამღებრო, რომელიც კაპიტალისტურ საწარმოს წარმოადგენდა. ეს სამღებრო საწარმო ეკუთვნოდა ვინმე ყორჩიბაშს. საწარმოში მუშაობდა 7 ოსტატი, 12 შეგირდი და 14 შავი მუშა. ყველა ისინი ნებითდაქირავებულნი იყვნენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან[7]. ამათ

---

[1] სამღებროთა შესახებ დაწვრილებით იხილეთ ნ. ბერძენიშვილი — სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში. (მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკ. 6, თბ., 1937).

[2] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 35—37; საქმე 6351, ფურც. 26—28.

[3] იქვე.

[4] ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, მსკი. ნაკ. 6, თბ. 1937, გვ. 445.

[5] იქვე, გვ. 438.

[6] საქ. ცსაა, ფონდი 16. საქმე 3503. ფურც. 5—6.

[7] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 35—37; საქმე 6351, ფურც. 26—28.

გარდა, არსებობდა ლუდის 5 საწარმო[1]. სოფ. დიდ ენაგეთში (თბილისთან ახლო), ყორღანოვს ჰქონდა ზეთსახდელი საწარმო. წელიწადში ღებულობდნენ 430 ვედრო ზეთს — 860 მანეთისა. აქ მუშაობდა 2 ოსტატი და 5 მუშა ნებითდაქირავებულნი[2]. 1847 წელს თბილისში რიგ საწარმოებთან ერთად, არსებობდა 12 სამეთუნეო საწარმო, 2 კრამიტის საწარმო. კრამიტის საწარმოში იდგა 4 ღუმელი. ამ წელს კრამიტის საწარმოებმა გამოუშვეს 7070 მანეთის პროდუქცია. კრამიტის საწარმოებში მუშაობდა 72 დაქირავებული მუშა და ოსტატი (26 ოსტატი და 46 მუშა). სპილენძ-საქვაბე საწარმომ ამ წელს გამოუშვა 18.592 მანეთის პროდუქცია; საწარმოში მუშაობდა 44 დაქირავებული მუშა და ოსტატი ადგილობრივ მცხოვრებთაგან[3]. ლუდის ხუთმა საწარმომ, ამავე წელს გამოუშვა 3.905 მანეთის პროდუქცია; საწარმოებში მუშაობდა 5 ოსტატი და 12 დაქირავებული მუშა[4]. ამ დროს, ქ. გორში არსებობდა სახერხი საწარმო 300 მანეთის წლიური პროდუქციით, კარაქის საწარმო (ეკუთვნოდა იაკობ გულიშამბაროვს) 3240 მანეთის წლიური პროდუქციით[5] და სხვა საწარმოები. საწარმოებში გამოყენებული იყო ნებითდაქირავებული შრომა.

1863 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ კოსნატში მოწყობილ იქნა არაყის ქარხანა. იგი მოაწყო კუზმინსკიმ საკუთარ მიწაზე. ქარხანაში იდგა ორთქლის მანქანა და სპილენძის აპარატები. საწარმოში მუშაობდნენ: 1 არაყის გამომხდელი (უცხოელი), 1 მემანქანე (რუსი), 4 მეკასრე (რუსები), 1 მეწისქვილე, 27 მუშა — იმერლები, ყველანი ნებითდაქირავებულნი. ქარხნის შენობა აგურისა იყო, ნედლეულად იყენებდნენ სიმინდს, რომელსაც ადგილზე იძენდნენ, და რუსეთიდან მოტანილ ქერსა და ტუხტს. მიღებულ სპირტს აწვდიდნენ ქუთაისის გუბერნიაში დაბანაკებულ არმიას, ვედრო სპირტს 3 მან. და 75 კაპიკად[6].

აქ, ჩვენ შევეხეთ ზოგიერთ კაპიტალისტურ საწარმოს, რადგან სათანადო „საფაბრიკო-საქარხნო“ უწყისებში უშუალოდ მითითებულია ამ საწარმოებში დაქირავებული შრომის გამოყენების შესა-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 16. საქმე 8093, ფურც. 10.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 16, საქმე 6351, ფურც. 33.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 26, აღწერა 2, საქმე 617, ფურც. 44—46; ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 125, ფურც. 26—27.

[4] იქვე.
საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 5, საქმე 125. ფურც. 39—41.
ЦГИАЛ. ф. 1268. оп. 10, 1864. д. 137 л. 225; оп. 10, 1865. д. 127, л. 207; საქ. ცსსა, ფონდი 416, აღწერა 3, საქმე 1078, ფურც. 98.

ხებ. ეს გარემოება კი საერთოდ, წარმოდგენას გვაძლევს XIX საუკუნის მეორე მესამედში, საქართველოში არსებული მრავალი სხვა საწარმოებისა და მათში დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ.

სამრეწველო საწარმოების სოციალ-ეკონომიური ბუნება

ამჟამად, ჩვენ უნდა განვიხილოთ რეფორმამდელი ხანის საქართველოს სამრეწველო საწარმოების სოციალური ბუნება, უნდა გავარკვიოთ მათი ეკონომიური წყობა. კაპიტალისტური ურთიერთობის არსებობის დადასტურებისათვის, აუცილებელია დავამტკიცოთ წარმოების კაპიტალისტური წესის არსებობა, უნდა დავამტკიცოთ სამრეწველო საწარმოთა კაპიტალისტური ხასიათი. წინაალმდეგ შემთხვევაში, მსჯელობა, რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების შესახებ, ზოგადი და დაუსაბუთებელი იქნებოდა.

როგორც დავინახეთ, ჩვენს მიერ განხილულ სამრეწველო საწარმოებში — აბრეშუმის, შაქრის, მინის, ტყავის, საპნის, ბამბის, თამბაქოს, სამთამადნო და სამთო-საქარხნო, მექანიკურ, აგურის, კრამიტის, სამეთუნეო ჭურჭლეულის და მთელ რიგ სხვა საწარმოებში გამოყენებული იყო ნებითდაქირავებული შრომა. ნებითდაქირავებულნი იყვნენ როგორც წარმოების ოსტატები, ასევე მუშები.

თუ ვინ იყვნენ ნებითდაქირავებულნი — მემამულეების ნებართვით გაშვებულნი; ბატონყმური დამოკიდებულებისაგან თავდახსნილნი, გაქცეული ყმა-გლეხები, საწარმოო საშუალებებს (მიწას, წარმოების იარაღებს) მოწყვეტილნი თუ თავისუფალი ხელოსნები, სიბუთებში ამის შესახებ არაფერია აღნიშნული. მაგრამ ცხადია, რომ დაქირავებულ მუშათა პერსონალი აღნიშნულ კატეგორიათა ადამიანებისაგან შედგებოდა, რომლებიც აქ ფულის შოვნის მიზნით მუშაობდნენ და მიწერილნი კი არ იყვნენ ქარხნებზე, არამედ მეწარმეებთან თავისუფალი გარიგების საფუძველზე — ნებითდაქირავებული მუშები. დაქირავებულ მუშათა რიცხვის რა ნაწილს შეადგენდა ცალ-ცალკე აღნიშნულ კატეგორიათა ადამიანები ესეც არაა ცნობილი. მნიშვნელოვანი ნაწილი დაქირავებული მუშებისა, უნდა ვიფიქროთ, ყმა-გლეხთა კატეგორიას ეკუთვნოდა.

წარმოება, სადაც ყმა-გლეხების ნებითდაქირავებული შრომაა გამოყენებული ჩაითვლება თუ არა კაპიტალისტურად? რიგი მკვლევრები, რომლებიც ასეთ საწარმოებს არაკაპიტალისტურად აცხადებენ, მიზეზად მოაქვთ მარქსის ის დებულება, რომ კაპიტალიზმი

თავიდანვე იურიდიულად ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულ, საწარმოო საშუალებისაგან მოწყვეტილ, „ჩიტივით თავისუფალ“ მუშას საჭიროებს. ამ დებულების ასეთი გაგება სწორი არ არის, რადგან საწარმოო საშუალებისაგან მოწყვეტილი, „ჩიტივით თავისუფალი“ მუშა, ანუ ნამდვილი პროლეტარი კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენციაა მისი განვითარების პროცესში და იგი მისი განვითარების უმაღლეს სტადიაზე გვხვდება. საწარმოთა (მანუფაქტურა, ფაბრიკა) სოციალური ბუნების გამოსარკვევად, პირველყოვლისა საჭიროა შევისწავლოთ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება წარმოებაში, საზოგადოებრივი წყობა საწარმოში. როგორც აღვნიშნეთ „ნებითდაქირავებული მუშების“ კატეგორიაში ნაწილი ყმა-გლეხი იგულისხმება, მაგრამ მათი დაქირავება და მუშაობა წარმოებაში, ასევე მათი სახელწოდება „ყმა-გლეხი“. ჩვენ აქ, მიგვითითებს არა ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმაზე, არამედ მათ წოდებრივ კუთვნილებაზე. ამიტომ, სამრეწველო საწარმოთა ეკონომიური ბუნების (წყობის) დახასიათებისას მთავარი არის დაქირავებული მუშების და ასევე ოსტატების არა წოდებრივი კუთვნილება (ამ შემთხვევაში „ყმა-გლეხი“), არა ის, თუ რა იურიდიული საფუძველი აქვთ მათ სოფელში მიწისა და ბატონის მიმართ, არამედ ექსპლოატაციის ფორმა წარმოებაში რაც ზემოთ განხილულ საწარმოებში ნებითდაქირავებულ შრომაში გამოიხატებოდა; მთავარია მუშების დამოკიდებულება მეწარმეებთან, ე. ი. საზოგადოებრივი წყობა წარმოებაში. ამ შემთხვევაში კი ექსპლოატაციის ფორმა განხილულ საწარმოებში ახალია, კაპიტალისტურია და იგი ფეოდალური ექსპლოატაციისაგან არსებითად განსხვავდება. საწარმოთა მეპატრონეებთან თავიანთ დამოკიდებულებაში დაქირავებული ყმა-გლეხები გამოდიოდნენ სამუშაო ძალის თავისუფალ გამყიდველებად. იურიდიულად ისინი ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, ფაქტიურად კი დროის მოკლე ან ხანგრძლივ მონაკვეთში თავიანთ სამუშაო ძალას ყიდდნენ. საწარმოები, ასეთი დაქირავებული შრომით, ახალი ტიპი იყო ფეოდალურ საზოგადოებაში და თავისი სოციალური სტრუქტურით მკვეთრად განსხვავდებოდა ფეოდალური სახელოსნო-საწარმოებისაგან.

ჩვენს მიერ განხილულ საწარმოებში, თავისუფალი შრომის წარმომადგენლების გვერდით (ასეთები იყვნენ თავისუფალი ოსტატ-ხელოსნები და მუშები) ყმა-გლეხების დაქირავებული შრომის გამოყენება მიგვითითებს კაპიტალისტური ექსპლოატაციის სფეროს გაფართოებაზე, რაც გამოიხატება ამ სფეროში ყმური შრომის წარმომადგენლების მოქცევაში. მანუფაქტურაში ნებითდაქირავებული

ყმა-გლეხი, მრეწველი-მეპატრონისათვის ყმა კი არ არის, არამედ სამრეწველო მუშაა.

ისე, როგორც ფეოდალიზაციის პროცესში ფეოდალი იმორჩილებდა, აყმევებდა და მიწაზე ამაგრებდა თავისუფალ მსვნელ-მთესველს, ასევე ახლაც, კაპიტალი იმორჩილებდა და თავისი გავლენის სფეროში აქცევდა არა მარტო თავისუფალ მუშებსა და ხელოსნებს, არამედ მიწაზე მიმაგრებულ ყმა-გლეხებსაც. ახლა, პირუკუ პროცესია ამ მხრივ. ფეოდალიზმი მიწაზე ამაგრებდა უშუალო მწარმოებელს, კაპიტალი კი მიწიდან წყვეტს მას. რა თქმაუნდა, ეს პირუკუ-პროცესები ერთბაშად არ ხდება არც ფეოდალიზმის და არც კაპიტალიზმის დროს. იგი ხდება თანდათანობით და სხვადასხვა ფორმებში (გამონაკლისს შეადგენს ინგლისი, სადაც ეს გარემოება — უშუალო მწარმოებლის ექსპროპრიაცია ერთბაშად მოხდა ე წ. „კლასიკურ“ ფორმაში).

სამრეწველო საწარმოებში — მანუფაქტურებსა და ფაბრიკებში ყმა-გლეხების შრომა იმის ნიშანი იყო, რომ კაპიტალი იპყრობდა ბატონყმური ერთიერთობის სფეროში და არღვევდა მას, გაჰყავდა ამ ურთიერთობის სფეროდან უშუალო მწარმოებელი — ყმა-გლეხი, ხან დროებით (საწარმოებში დაქირავებული ყმა-გლეხების ნაწილი საქართველოში წლის გარკვეულ დროის განმავლობაში იყვნენ მოწყვეტილნი მიწას, და ბატონყმურ ურთიერთობას). ხან მუდმივად (ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გლეხთა თავდახსნის პროცესი, გლეხთა გაქცევა და კაპიტალის მიერ მოწყობილ წარმოებაში თავის შეფარება, გლეხთა მიერ მიწის ნაკვეთის დაკარგვა-ექსპროპრიაცია და სხვ.).

სამრეწველო საწარმოს სოციალური ბუნების დახასიათებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს კაპიტალმა ყმა მოწყვიტა მიწას დროებით თუ მუდმივად, მთავარი ისაა, რომ იგი მოწყვიტა მიწას გარკვეულ დროში და საკუთარ წარმოებაში ჩაბა.

სამრეწველო საწარმოების ნებითდაქირავებული მუშების დიდი ნაწილი (ყმა-გლეხები, ასევე ყმური დამოკიდებულებისაგან თავისუფალნი, ხელოსნები და სხვები) მოწყვეტილი არ იყო საწარმოო საშუალებებს — მიწას, წარმოების იარაღებს და სხვ. მათ გააჩნდათ თავიანთი მეურნეობა სოფელში, დაკავშირებულნი იყვნენ მიწათმოქმედებასთან. მაგრამ, ასევე, ეს გარემოება სამრეწველო საწარმოებს არ უკარგავდა კაპიტალისტურ ხასიათს. ცნობილია, რომ კაპიტალიზმის მანუფაქტურულმა პერიოდმა ევროპაშიც კი ვერ შეძლო მოეხდინა სამრეწველო მუშების სრული გამოყოფა მიწათ-

მოქმედებისაგან[1], საესებით ვერ მოწყვიტა მრეწველი მიწათმოქმედებას. მანუფაქტურაში მომუშავე კავშირს ინარჩუნებდა მიწასთან. კ. მარქსი წერს, რომ მხოლოდ „განვითარებული კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობისას მუშას არ ეკუთვნის მისი წარმოების პირობები — მინდორი, რომელზედაც იგი ხვნა-თესვას ეწევა, ნედლი მასალა, რომელსაც დაამუშავებს და სხვ.“[2] ამრიგად, „ჩიტივით თავისუფალი“ პროლეტარი — ყოველგვარი საწარმოო საშუალებებისაგან მოწყვეტილი, მხოლოდ განვითარებული, მომწიფებული კაპიტალიზმის დროს გვხვდება. ასეთი პროლეტარი კაპიტალიზმის განვითარების ხანგრძლივი პროცესის შედეგია, და ეს — გლეხისა და ხელოსნის მიწისა და სხვა საწარმოო საშუალებებისაგან მოწყვეტა ამ პროცესში ხდება თანდათანობით, დროთა განმავლობაში. მისი სიჩქარის დონე კაპიტალიზმის განვითარების სიჩქარეზეა დამოკიდებული. ამიტომ, ლენინი საესებით სამართლიანად შენიშნავდა შემდეგს: „ჩვენს ლიტერატურაში ხშირად ძალიან შაბლონურად ესმით თეორიის ის დებულება, რომ კაპიტალიზმი თავისუფალ უმიწაწყლო მუშას საჭიროებს. ეს საესებით მართალია, როგორც ძირითადი ტენდენცია, მაგრამ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმი განსაკუთრებით ნელა და ფორმების უაღრესი სხვადასხვაობით იჭრება“ და რომ „ნადელიანი სოფელი მუშის ტიპი ყველა კაპიტალისტური ევეყნის თვისებას წარმოადგენს“[3]. ლენინი ასეთ გლეხებს პროლეტარიატის ტიპებად თელიდა, რომლებიც სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში დაქირავებულ შრომას ეწეოდა[4]. მანუფაქტურა „არ აღლევევს დაქირავებული მუშის კავშირს მიწასთან“, წერს ლენინი, „მხოლოდ უკანასკნელი, უმაღლესი სტადია (ე. ი. მანქანური ინდუსტრია — დ. გ.) წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარების მწვერვალს, **მ ხ ო ლ ო დ ი გ ი** ქმნის საესებით ექსპროპრიირებულ, ფრინველივით თავისუფალ მუშას“[5]. აკრიტიკებს რა ნაროდნიკებს ლენინი შენიშნავს, რომ უმიწაწყლო მუშა აუცილებელი პირობა არაა **ს ა ე რ თ ო დ** კაპიტალიზმისათვისო, იგი მხოლოდ მანქანური ინდუსტრიისათვის არის აუცილებელი პირობაო[6]. მაშასადამე, უშუალო მწარმოებლის მიწისაგან საესებით მოწყვეტა ხდება კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადიის — მანქანური ინდუ-

---

[1] იხ. კ. **მ ა რ ქ ს ი**, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 937—939. ვ. ი. **ლ ე ნ ი ნ ი**, თხზ. ტ. 3, გვ. 510, 520.
[2] კ. **მ ა რ ქ ს ი**, კაპიტალი, ტ. III, ნაწ 2, გვ. 127.
[3] ვ. ი. **ლ ე ნ ი ნ ი**, თხზ. ტ. 3, გვ. 193.
[4] **ი ქ ვ ე**.
[5] ვ. ი. **ლ ე ნ ი ნ ი**, თხზ. ტ. 1, გვ. 529:
[6] **ი ქ ვ ე**.

სტრიის დროს. ლენინმა სასტიკად გააკრიტიკა კაპიტალიზმის აბსტრაქტული თეორია, რომლისთვისაც „არსებობს მხოლოდ განეითარებული და სავსებით ჩამოყალიბებული კაპიტალიზმი, ხოლო მისი წარმოშობის საკითხი განზე რჩება"[1].

რეფორმამდელი ხანის საქართველოს ზოგიერთ სამრეწველო საწარმოებში ნებითდაქირავებული შრომის გარდა გამოყენებული იყო იძულებითი შრომა. ასეთები ცოტა. მაგრამ საკმაოდ მსხვილი საწარმოები იყო: იძულებითი შრომა გამოყენებული იყო, როგორც დავინახეთ, თბილისის აბრეშუმსახვევ, ღვარების მინის, ალავერდის, ახტალის და შამბლუღის სამთო მანუფაქტურებში და თბილისის საწახნაგო ფაბრიკაში. აღნიშნულ საწარმოთა ეკონომიური ბუნების გარკვევისას ჩვენ მას გვერდს ვერ ავუვლით. იძულებით შრომას, ალავერდის, ახტალის და შამბლუღის სამთო მანუფაქტურებში ეწეოდნენ მათზე მიწერილი სახაზინო ყმა-გლეხები. რომლებსაც იყენებდნენ დამხმარე სამუშაოებზე, როგორიც იყო შეშის მოჭრა, მისი დაწვა და ნახშირის ქარხნებში გადაზიდვა. თვით ქარხნებში კი — ლითონის წარმოებაზე მათ არ იყენებდნენ. ღვარების მინის მანუფაქტურაში იძულებით შრომას ეწეოდნენ წარმოებაზე მიწერილი მემამულე ელიზ. ერისთავის ყმები, რომლებსაც ასევე დამხმარე სამუშაოზე იყენებდნენ. საბატონო ვალდებულებათა მაგივრად ისინი ჭრიდნენ ხე-ტყეს და დამზადებული შეშა მიჰქონდათ ქარხანაში, წვავდნენ ნაცარს, ეზიდებოდნენ ქარხანაში სილას და ამას გარდა რიგრიგობით რამდენიმე კაცი შავ მუშად მუშაობდა წარმოებაში. თვით მინის წარმოებისათვის საჭირო კვალიფიციურ სამუშაოებზე კი მათ არ იყენებდნენ. აქ მუშაობდნენ დაქირავებული ოსტატები. თბილისის აბრეშუმსახვევ მანუფაქტურაში იძულებითი შრომის კონტინგენტს შეადგენდნენ პატიმარი ქალები. ისინიც ძირითადად დამხმარე სამუშაოებზე მუშაობდნენ, როგორიც იყო აბრეშუმის პარკების შერჩევა-დახარისხება, წყლის მოზიდვა წარმოებაში და სხვ. მათი რიცხვი დიდი იყო, მაგრამ, როგორც დავინახეთ, უმრავლესობა უქმად იჯდა ყაზარმაში. შემდეგში, ნაწილი პატიმარი ქალებისა შეაჩვიეს აბრეშუმის ამოხვევას, მაგრამ ამ საქმეში მათი გამოყენება პერიოდულად ხდებოდა. უმთავრესად კი წლების მანძილზე წარმოების ძირითად კვალიფიციურ სამუშაოებზე — აბრეშუმის ამოხვევასა და ძახვაზე—ნებითდაქირავებული შრომა იყო გამოყენებული. თბილისის საწახნაგო ფაბრიკაში არათავისუფალ შრომას ეწეოდა სამხედრო უწყების ხალხი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 3, გვ. 730.

წარმოებაში გამოყენებული მიწერილ ყმა-გლეხთა იძულებითი შრომა, რა თქმა უნდა, ბატონყმური ელემენტი იყო. მაგრამ ეს გარემოებაც წარმოებას არ უკარგავდა კაპიტალისტურ ხასიათს, რადგან კაპიტალისტური წარმოება არ გამორიცხავდა იძულებითი შრომის გამოყენებას. კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა და განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახეს იღებდა და სხვადასხვა ისტორიულ ხანაში სხვადასხვა ფაზებს გადიოდა, ე. ი. კაპიტალიზმის ფორმირების პროცესი ფეოდალიზმის წიაღში სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ხდებოდა. რიგ ქვეყნებში (აღმოსავლეთ ევროპა, რუსეთი დ სხვ.) და მათ შორის საქართველოშიც, კაპიტალიზმის ჩასახვა და განვითარება ხდებოდა ფეოდალიზმის ბატონობის დროს. ამიტომ აქ, ბატონყმური მეურნეობის ბატონობის პირობებში, კაპიტალი იმორჩილებდა არა მარტო თავისუფალ, არამედ იძულებით შრომასაც, რადგან ხშირ შემთხვევაში თავისუფალი შრომა ვერ აკმაყოფილებდა კაპიტალის მოთხოვნილების დონეს ამ მხრივ, ვინაიდან თავისუფალი შრომის მუშახელი შედარებით ცოტა იყო ქვეყანაში.

იძულებითი შრომის გამოყენებისაგან კაპიტალიზმი თავისუფალი არ ყოფილა მის ერთადერთ კლასიკურ ქვეყანაში — ინგლისშიც კი. მარქსი აღნიშნავს, რომ ინგლისში, ჰენრიხ VII-ესა და ჰენრიხ VIII-ის დროს (ეს დრო ინგლისში კაპიტალიზმის მანუფაქტურის პერიოდია — დ. გ.) მიწიდან აყრილმა ადამიანებმა პირველად სცადეს მათხოვრობა, მაწანწალობა, ყაჩაღობა და სხვა ამგვარი, მაგრამ ისინი შრომის ბაზარზე გარეკილნი იქნენ მათრახებით, სამარცხვინო ბოძებითა და სახრჩობელებით[1]. ასე შეუქმნეს კაპიტალს არსებობის პირობები პირველ ხანებში.

შემდეგაც, მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის „ყმაწვილობის პერიოდში", იმავე ინგლისში, როგორც მარქსი წერს „ფაბრიკებიც ძალდატანებით" აგროვებდნენ „თავიანთ მუშებს"[2].

იძულებით შრომას მანუფაქტურულ პერიოდში, XVII—XVIII საუკუნეებში ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში (XIX საუკუნეშიც) და სხვა ქვეყნებში.

საფრანგეთში ყმა-გლეხების იძულებითი შრომის გამოყენებაზე ი. კუჩინსკი აღნიშნავს, რომ 1715 წელს, იქ, მანუფაქტურებში მუშათა უმრავლესობა იურიდიულად იმყოფებოდა ფეოდალურ ბატონყმურ დამოკიდებულებაში, და რომ რეგლამენტაცია ეწეოდა

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები", 1952 წ., გვ. 59—60.
[2] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი", ტ. 1, გვ. 949.

არა მარტო მათ სამუშაო დღეს, არამედ მთელ მათ ცხოვრებას: საკმელის მიღებას, რელიგიურ ცხოვრებას, ძილის დროს, ტანსაცმელს, ხელფასს და ა. შ.[1]

გერმანიაში, ბრანდერბურგის დიდი კიურფიურსტის 1686 წლის განსაკუთრებული ედიქტით „გამოსასწორებელ", „სართავ" და „მანუფაქტურულ" დაწესებულებებში თუ საჭირო იქნებოდა ძალით უნდა მოეთავსებინათ უმუშევრები და მათი შვილები[2]. როგორც გერმანელი მკვლევრები მიუთითებენ, იმ დროს გერმანიის მანუფაქტურებში უმთავრესად მუშაობდნენ სხვადასხვა არათავისუფალი ხალხი — „მათხოვრები", „მაწანწალები", „დამნაშავეები", „უპატრონოები" და ა. შ.[3] პროფ. ტუგან-ბარანოვსკი წერს, რომ დასავლეთ ევროპაში „მანუფაქტურები ხშირად ჩნდებოდნენ იძულებით შრომაზე დამყარებული". ხელისუფლება იყენებდა ციხეებში, უპატრონოთა სახლებში, გამოსასწორებელ და სხვ. დაწესებულებებში მყოფ არათავისუფალი მოსახლეობის ფართო კონტინგენტს, უფლებას აძლევდა კერძო მეწარმეებს მე-17-18 საუკუნეებში ესარგებლად მათი შრომით, შრომის განსაზღვრული ანაზღაურებით და ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში აარსებდნენ მანუფაქტურებს. ამრიგად, კერძო მეწარმეები ღებულობდნენ საჭირო რაოდენობით იაფ მუშახელს[4]. რუსეთში XVIII—XIX საუკუნეებში სამთო კაპიტალისტურ მანუფაქტურებში იძულებითი შრომის გამოყენება მეტად დიდი მასშტაბით საერთოდ ცნობილია საისტორიო ლიტერატურაში და მასზე აქ შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია.

ისე როგორც ყმა-გლეხთა დაქირავებული შრომა, ასევე მიწერილ ყმა-გლეხთა შრომის გამოყენება ალავერდის და ახტალის საწარმოებში, ნიშნავდა კაპიტალის ექსპლოატაციის სფეროს გაფართოებას, მასში არათავისუფალი შრომის წარმომადგენლების მოქცევას. ამ შემთხვევაშიც კაპიტალი იჭრებოდა ბატონყმური ურთიერთობის სფეროში და არღვევდა მას, აცლიდა რა ამ ურთიერთობას უშუალო მწარმოებელს დროებით თუ მუდმივად, საკუთარ წარმოებაში აბამდა. ის გარემოება, რომ ქარხნებზე ყმა-გლეხების მიწერა სახელმწიფო ხელისუფლების განკარგულებით ხდებოდა იმის მაჩვენებელიცაა, რომ კაპიტალი აიძულებდა მას სამსახური გაეწია, მისი არსებობისათვის სათანადო პირობები შეექმნა.

---

[1] Ю. Кучинский, «История условий труда во Франции», 1950, Москва, გვ. 14.

[2] Проф. М. И. Туган-Барановский, «Крепостная фабрика», გვ. 140—141. («Великая реформа» т. III, Спб. 1911).

[3] იქვე.

[4] იქვე.

ამა თუ იმ საწარმოს კაპიტალისტური ბუნებისათვის საკალდებულო არ იყო მასში ოსტატები და მუშები უკლებლივ, ყველა ნებითდაქირავებულნი ყოფილიყვნენ. „იქ, სადაც სასაქონლო წარმოება ბატონობს — წერს ლენინი — და დაქირავებულ შრომას იყენებენ არა შემთხვევით, არამედ სისტემატურად, უკვე არსებობს კაპიტალიზმის ყველა ნიშანდობლივი თვისება. შეიძლება ვილაპარაკოთ მის განუვითარებლობაზე, ჩანასახ მდგომარეობაზე, მის განსაკუთრებულ ფორმებზე"[1]. თბილისის აბრეშუმსახვევი, ღვარების მინის, ალავერდისა და ახტალის მანუფაქტურებში ნებითდაქირავებულ შრომას იყენებდნენ არა პერიოდულად, არამედ სისტემატურად, წარმოების ძირითად, კვალიფიციურ სამუშაოებზე: ლითონის, აბრეშუმისა და შუშის წარმოებაზე. შრომის ანაზღაურება ხდებოდა ფულით. ქარხნებში მიწერილი ყმა-გლეხთა იძულებით შრომას, რომლებიც ფეოდალურ ვალდებულებას იხდიდნენ და ასევე პატიმარი ქალების შრომას, როგორც ვიცით, იყენებდნენ დამხმარე სამუშაოებზე. ამიტომ, იძულებითი შრომის გამოყენება წარმოების დამხმარე სამუშაოებზე არ უკარგავდა ამ საწარმოებს კაპიტალისტურ ხასიათს, რადგან იძულებითი შრომის გამოყენება, როგორც დავინახეთ საერთოდ უცნობი არ ყოფილა კაპიტალიზმისათვის.

ამასთან დაკავშირებით, სავსებით შესაძლებელია, ხე-ტყის დამუშავებისათვის ღვარების, ალავერდის, ახტალის და შამბლუღის ქარხნებზე მიწერილ ყმა-გლეხთა შრომა არასაქარხნო სამუშაოებად ჩავთვალოთ. ეს ყმები, რომლებიც ფეოდალურ გადასახადს იხდიდნენ სამრეწველო მუშები არ არიან. თვით ქარხნებში მომუშავენი კი სამრეწველო მუშები იყვნენ და ზედმეტ ღირებულებას ქმნიდნენ. თუ ეს ასეა და ხე-ტყის დამუშავებისათვის, ქარხნებზე მიწერილ ყმა-გლეხთა არათავისუფალ შრომას არასაქარხნო სამუშაოებად ჩავთვლით, ხოლო ასეთ მიწერილ ყმა-გლეხებს არასაქარხნო მუშებად, ე. ი. ქარხნების ეკონომიური ბუნების დახასიათებისას მათ საქარხნო პერსონალიდან ამოვიღებთ, მაშინ კიდევ უფრო გაიზრდება ღვარების მინის მანუფაქტურის, ალავერდისა და ახტალის სამთო მანუფაქტურების ეკონომიური ბუნების კაპიტალისტური ხარისხი. ასეთი მოსაზრება, მიწერილ ყმა-გლეხთა დამხმარე სამუშაოთა შესახებ ჩვენ უსაფუძვლოდ არ მიგვაჩნია. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, მათი მხედველობაში მიღებაც არ უკარგავს ქარხნებს კაპიტალისტურ ხასიათს, იგი მხოლოდ ამცირებს მის დონეს.

კაპიტალიზმის განვითარების პროცესში კაპიტალისტური სა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 2, გვ. 450.

წარმოების განვითარების დონე ერთნაირი როდი იყო. სამუშაო ძალის „სასაქონლო ფორმის“ განვითარებით ვითარდებოდა კაპიტალიზმი. სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმას კი, განვითარების პროცესში გააჩნდა სხვადასხვა საფეხური და ხარისხი. ამის მიხედვით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან კაპიტალისტური საწარმოები. ამ საფეხურებისა და ხარისხის სიმრავლეს განსაზღვრავდა კაპიტალისტურ საწარმოებში ჩაბმული მუშახელის სხვადასხვა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა. საწარმოები, თავისი განვითარების დონით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, თუ ვინ წარმოადგენდა მათ სამუშაო ძალას: მიწერილი ყმა-გლეხი, ბატონისაგან გაქცეული ნებითდაქირავებული ყმა-გლეხი, ბატონის ნებართვით წასული დაქირავებული ყმა-გლეხი, ყმური დამოკიდებულებისაგან თავდახსნილი დაქირავებული გლეხი, რომელიც ჯერ კიდევ არაა მოწყვეტილი საკუთარ მეურნეობას, თუ საკუთრებით ექსპროპრირებული, „ჩიტივით თავისუფალი“ ნებითდაქირავებული მუშა. ეს უკანასკნელი — ყოველგვარ საწარმოო საშუალებებს მოწყვეტილი, ე. წ. „ჩიტივით თავისუფალი“ მუშის დაქირავებული შრომა, სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმის უმაღლესი ხარისხია. „სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმის განვითარების დონე — წერს ლენინი — ახასიათებს კაპიტალიზმის განვითარების დონეს“[1] აქ იგულისხმება დაქირავებული შრომის როგორც ხარისხი, ასევე მისი გავრცელების მასშტაბი.

ისე როგორც სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმას, დაქირავებულ შრომას გააჩნდა განვითარების სხვადასხვა დონე და ხარისხი. ასევე კაპიტალისტურ საწარმოებს გააჩნდათ განვითარების სხვადასხვა ხარისხი. საწარმოს (მანუფაქტურის, ფაბრიკის) კაპიტალისტური ხარისხი, ამ მხრივ მისი განვითარების დონე დამოკიდებული იყო სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმის, დაქირავებული შრომის ხარისხზე. ასე მაგალითად, ბატონყმური დამოკიდებულებისაგან თავდახსნილი, თავისუფალი გლეხებისა და ხელოსნების ნებითდაქირავებულ შრომაზე დამყარებული საწარმოს კაპიტალისტური ხარისხი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ყმა-გლეხების ნებითდაქირავებულ შრომაზე დაფუძნებული საწარმოსი, ან კიდევ, ყოველგვარ საწარმოო საშუალებებს მოკლებული მუშების ნებითდაქირავებულ შრომაზე დამყარებული კაპიტალისტური საწარმოს ხარისხი მაღალი იყო, შედარებით იმ კაპიტალისტურ საწარმოსთან, რომელიც ეყრდნობოდა ისეთი თავისუფალი ნებითდაქირავებული მუშების შრომას,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 1, გვ. 528.

რომელთაც მიწის ნაკვეთები და მეურნეობა გააჩნდათ სოფელში. ასევ მაგალითად, თბილისში მოწყობილი ზუბალაშვილის შაქრის ქარხნის კაპიტალისტური ხარისხი შედარებით მაღალი იყო, ვიდრე თბილისის აბრეშუმსახვევი საწარმოსი ან იგივე ალავერდის, ახტალის და შამბლუღის სამთო ქარხნების, რადგან ზუბალაშვილის ქარხანაში ზოლოდ ნებითდაქირავებული შრომა იყო გამოყენებული, ხოლო აბრეშუმსახვევსა, ალავერდის, ახტალის და შამბლუღის ქარხნებში კი ნებითდაქირავებულ შრომასთან ერთად იძულებითი შრომაც. საამისოდ უამრავი მაგალითების მოტანა შეიძლება რეფორმამდელი საქართველოს სამრეწველო საწარმოებიდან.

კ. მარქსი, კაპიტალიზმის განვითარების პროცესში უშვებდა წარმოების წესის განუვითარებელ ფორმებს, არასრულყოფილ კაპიტალისტურ საწარმოებს, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარების პროცესში იცვლებოდნენ კაპიტალისტური წარმოების წმინდა ფორმით, წმინდა, ადეკვატური კაპიტალისტური საწარმოებით[1]. ასევე ლენინი არასრულყოფილ კაპიტალისტურ საწარმოებს უპირისპირებდა „წმინდა კაპიტალისტურ" საწარმოებს[2]. არასრულყოფილ კაპიტალისტურ საწარმოებს ლენინი უწოდებდა „დაბალ", „განუვითარებელ", „ჩანასახ მდგომარეობაში" მყოფ, კაპიტალიზმს[3]. მაშასადამე, კაპიტალიზმის ჩასახვისა და მისი განვითარების პირველ პერიოდში არსებობდნენ განუვითარებელი, დაბალი, არასრულყოფილი კაპიტალისტური საწარმოები, მაგრამ მაინც კაპიტალისტური საწარმოები. ასეთ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება რეფორმამდელი საქართველოს ალავერდის, ახტალის და შამბლუღის სამთო მანუფაქტურები, თბილისის აბრეშუმსახვევისა და ღვარების მინის მანუფაქტურული საწარმოები და თბილისის საწახნაგო ფაბრიკა. ისინი არასრულყოფილი, არაწმინდა, განუვითარებელი კაპიტალისტური საწარმოებია, მაგრამ მაინც კაპიტალისტური. განვითარების პროცესში რიგი არასრულყოფილი, განუვითარებელი კაპიტალისტური საწარმოები სრულყოფილ კაპიტალისტურ საწარმოებად იქცეოდნენ. ასე მაგალითად, იგივე ალავერდისა და შამბლუღის საწარმოებს, როგორც დავინახეთ, 1850 წლიდან ჩამოცილდა მიწერილ ყმა-გლეხთა იძულებითი შრომა, რითაც წარმოების კაპიტალისტური ხარისხი ამაღლდა, ხოლო 1864 წლის საგლეხო რეფორმის შემდეგ წარმოება მთლიანად ემყარებო-

---

[1] კ. მარქსი, „კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები," 1952, გვ. 67—68.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3. გვ. 554—555, 577—578.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 528, ტ. 2, გვ. 450.

და ყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული მუშების ნებითდაქირავებულ შრომას. ეს, რა თქმა უნდა, წარმოების კაპიტალისტური დონის კიდევ მეტ გაზრდაზე მიუთითებს. როგორც ვიცით, XIX ს. 40-იანი წლებიდან თბილისში არსებობდა საწახნაგო (მარმარილოსა და სხვა ძვირფასი ქვების დამამუშავებელი) ფაბრიკა. პირველ ხანებში მასში მუშაობდა სახაზინო, სამთო და სამხედრო უწყების ხალხი. მათ გვერდით მუშაობდნენ ნებითდაქირავებულნიც, მაგრამ მცირე რაოდენობით. თანდათან, წლების მანძილზე, ფაბრიკაში ნებითდაქირავებული შრომა იზრდებოდა და ბოლოს იგი გაბატონდა და ფაბრიკა წმინდა, სრულყოფილ კაპიტალისტურ საწარმოდ იქცა. საამისო მაგალითები შორს წაგვიყვანდა.

რეფორმამდელ საქართველოში მანუფაქტურების წარმოშობა, წარმოების კაპიტალისტური წესის ჩასახვისა და მისი არსებობის მაჩვენებელი იყო. მანუფაქტურა ფეოდალიზმის დამახასიათებელი და მისი ნიშანი არ არის. წარმოების ფეოდალური წესი განვითარების პროცესში მას არ შეიცავს. მანუფაქტურული წარმოება კაპიტალისტური მრეწველობის ერთ-ერთი საფეხურია (წვრილი სასაქონლო წარმოება — მანუფაქტურა — მანქანური ინდუსტრია). განვითარების პროცესში იგი მრავალფეროვანი იყო, მაგრამ კაპიტალისტური ბუნების. მარქსი აღნიშნავს, რომ მანუფაქტურა არის „საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესის“ „სპეციფიკურად კაპიტალისტური ფორმა“ და იგი შეიძლება განვითარდეს მხოლოდ „კაპიტალისტური ფორმით“[1].

აღნიშნულ ხანაში, როგორც ცნობილია, ალავერდისა და ახტალის ქარხნები, თბილისის აბრეშუმსახვევი და საწახნაგო საწარმოები, ჩათახის, რკინისა და თუჯსასხმელი ქარხანა მოწყობილი იყო სახელმწიფოს მიერ და სახაზინო საწარმოებად ითვლებოდნენ. ეს გარემოება სრულებით არ უკარგავდა მათ კაპიტალისტურ ხასიათს, რადგან სახელმწიფო და კერძო საწარმოებს შორის ის განსხვავება იყო, რომ ერთში მოქმედებდა სახელმწიფო კაპიტალი, მეორეში კი — კერძო კაპიტალი. არც ის იყო საკვალდებულო, რომ კაპიტალისტური საწარმო მაინცდამაინც ვაჭარს მოეწყო. ხშირად წარმოების მომწყობი და მეპატრონე მემამულე იყო, რომელიც ერთდროულად მემამულეც იყო და მექარხნე-მეფაბრიკე კაპიტალისტი (ელიზ. ერისთავი, ნ. ჩიჯავაძე და სხვ.). საამისო მაგალითები ჩვენ უამრავი გვაქვს საქართველოში, როგორც რეფორმამდელ, ისე მის

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 462—463.

შემდგომ ხანაშიც. ასე რომ, მრეწველ-მეპატრონეთა წოდებრივი ნომენკლატურა არ ცვლიდა წარმოების სოციალურ არსს.

ამრიგად, შრომაში განხილული რეფორმამდელი ხანის საქართველოს სამრეწველო საწარმოები, კაპიტალისტური საწარმოები იყვნენ, რომლებსაც გააჩნდათ კაპიტალისტური განვითარების სხვადასხვა დონე.

რეფორმამდელ საქართველოში ადგილი ჰქონდა კაპიტალისტური საწარმოებისა და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის ზრდას, დაქირავებული შრომისა და სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდას, რასაც ახლა შევეხებით.

კაპიტალისტური საწარმოებისა და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის ზრდა. სამრეწველო მოსახლეობის ზრდა. კაპიტალიზმის განვითარების გზები მრეწველობაში

XIX საუკუნის 30-იანი და განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან, საქართველოში იზრდებოდა სამრეწველო საწარმოების რიცხვი და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქცია. მართალია, განვითარების პროცესში მრავალი სამრეწველო საწარმო ეცემოდა, მაგრამ მათ ნაცვლად გაცილებით მეტი საწარმოები ჩნდებოდნენ. ზრდის ეს პროცესი შეიმჩნეოდა არა მარტო თბილისის, არამედ ქუთაისის გუბერნიაშიც, თუმცა ამ უკანასკნელში იგი შედარებით სუსტად მიმდინარეობდა. გაცილებით სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობა თბილისის გუბერნიაში და უპირველეს ყოვლისა მის ცენტრ თბილისში. ჩვენ ხელთ გვაქვს თბილისის და ქუთაისის გუბერნიის „ფაბრიკა-ქარხნების“ უწყისები: 40-იანი წლებიდან ზოგიერთი, ხოლო 50-იანი წლებიდან — თითქმის ყველა. უწყისები შედგენილია ცარიზმის მოხელეების მიერ, ისინი შეიცავენ მთელ რიგ ნაკლოვანებებს, ცნობები ხშირად არასწორადაა მოცემული, ასევე ხშირად უწყისებში გამორჩენილია მთელი რიგი საწარმოები. მიუხედავად ამისა, ამ უწყისებში კარგად ჩანს მრეწველობის ყოველწლიური ზრდა რეფორმამდელი ხანის საქართველოში.

1843 წელს მთელ საქართველოში ითვლებოდა 116 სამრეწველო საწარმო. ამ წელს მათ გამოიმუშავეს 146575 მანეთის პროდუქცია[1].

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 744, л. 91.

შედარებით მსხვილმა საწარმოებმა მოგვცეს პროდუქცია (მანეთებში)

თბილისის საწარმოებმა

შაქრის	— 66.905	მანეთის პროდუქცია
ლუდის	— 2.550	„
ტყავის	— 5.200	
საპნის	— 27.000	
აგურის	— 8.900	

გორის მაზრის ხე-ტყის სახერხმა საწარმომ გამოუშვა 3000 მან. პროდუქცია, ღვარების მინის ქარხანამ — 6000 მანეთისა; ქუთაისის მაზრის, სოფელ ტობანიერის არყის საწარმომ — 700 მანეთისა, გურიის მაზრის სოფელ აკეთის თიხის ჭურჭლის საწარმოებმა 1200 მანეთის პროდუქცია[1]. და სხვა.

1844 წელს საქართველოში არსებულმა საწარმოებმა გამოუშვეს 200.000 მანეთის პროდუქცია[2]. მრეწველობა თავმოყრილი იყო ქალაქებში, განსაკუთრებით კი თბილისში. თბილისის გუბერნატორის 1847 წლის ანგარიშში ამის შესახებ ვკითხულობთ: „Промыслы губернии преимущественно сосредоточиваются в городах. В Тифлисе число промышленников с каждым годом возрастает"[3].

1851 წელს თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 131 საწარმო — 178.323 მანეთი წლიური პროდუქციით[4]. ამათ შორის თბილისში ითვლებოდა:

საწარმოები	საწ. რიცხვი	წლიური პროდუქცია
აგურის	80	71000 მან.
სამეთუნეო	9	2250
კირის	2	3700
საპნის	3	24050
ტყავის	2	12000
სპილენძსასხმელი	1	3200
ჭურჭლეულის	1	20000 [5]

თბილისის მაზრის სოფელ დრეს ტყავის ქარხანამ, ამ წელს გამოიმუშავა 10.000 მანეთის პროდუქცია. ამ უწყისით ღვარების

---

[1] იქვე.
[2] იქვე, ფურც. 190.
[3] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, 1848, д. 134, л. 19.
[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 8. 1854, д. 21, л 114.
[5] იქვე.

ბინის ქარხანამ გამოუშვა 4000 მანეთის პროდუქცია[1], მაგრამ ეს სწორი არ არის, რადგან ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს ქარხანა გაცილებით მეტ პროდუქციას უშვებდა ყოველწლიურად.

თბილისის სამხედრო გუბერნატორის 1851 წლის ანგარიშის თანახმად, თბილისში, ადგილობრივ მოსახლეთაგან ითვლებოდა 5—6 ვაჭარი კაპიტალისტი, რომელთაც, საშუალოდ, თითოეულს 100000 მანეთი ჰქონია. ასევე სიღნაღში, ვაჭრებს შორის ითვლებოდა 4 ვაჭარი კაპიტალისტი, რომელთაც ერთად გააჩნდათ 100000 მანეთი. აქვე გუბერნატორი შენიშნავს: „Как сюда, так и в других местах не входят капиталисты-промышленники, коих в одном Сигнахе с его уездом можно насчитать до 8 или 9 человек с 300.000 р. серебром"[2]. გუბერნატორის ეს განცხადება მნიშვნელოვანია. იგი განასხვავებს მრეწველ კაპიტალისტებს ვაჭრებისაგან და, რაც მთავარია, მრეწველი კაპიტალისტების ხელში უკვე ჩანს დიდი კაპიტალი ტრიალებს; მათ დიდი თანხა აქვთ დაბანდებული წარმოებაში. თუ კი მარტო სიღნაღში ასეთი მრეწველი კაპიტალისტი 8—9 კაცი იყო 300.000 მანეთით, ცხადია, თბილისში მათი რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა და მათ საგრძნობლად მეტი კაპიტალიც ექნებოდათ. მთლიანად საქართველოში კი, უნდა ვიფიქროთ, მრეწველ კაპიტალისტების ხელში ბევრჯერ მეტი კაპიტალი იყო, ვიდრე იგი „ფაბრიკა-ქარხნების" უწყისებშია მოცემული.

1852 წელს თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 154 საწარმო 211820 მანეთი წლიური პროდუქციით[3]. თბილისის საწარმოებიდან აღსანიშნავი იყო: აგურის, სახერხი, კრამიტის, სამეთუნეო, საპნის, ტყავის, ჭურჭლის, ჩანთლის, თუჯსასხმელი და სხვა საწარმოები; თბილისის მაზრაში — დღეს ტყავის ქარხანა, გორის მაზრაში — მინის, სახერხი, ზეთსახდელი და სხვა საწარმოები.

1856 წელს თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 172 საწარმო. მათ მიერ გამომუშავებული წლიური პროდუქცია კი 1852 წელთან შედარებით შემცირებული ჩანს. იგი უწყისით 112.126 მანეთს უდრიდა[4]. მაგრამ ეს სწორი არ არის, რადგან თბილისის გუბერნატორის იმავე წლის ანგარიშში (სადაც ეს უწყისია მოთავსებული) „სა-

---

[1] იქვე.
[2] იქვე.
[3] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 44, 1854, д. 2426, лл. 107, 173.
[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп 9. 1858, д. 101, л. 64.

ქარხნო“ პროდუქციის ღირებულება 150000 მანეთითაა განსაზღვრული,[1] თუმცა ეს უკანასკნელიც სრული არაა და კვლავ შემცირებულია. თვით უწყისში აღნიშნულია, რომ მთელი რიგი საწარმოებისა შესახებ ცნობები არ მიგვიღია[2]. გარდა ამისა, უწყისით ნაჩვენებ „საქარხნო“ პროდუქციაში არ შედის შტიუსეს თუჯსასხმელი ქარხნისა და თბილისის სპილენძსასხმელი 2 საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება. შტიუსეს ქარხანამ ამ წელს გამოუშვა 10700 მანეთის პროდუქცია, სპილენძსასხმელმა საწარმოებმა კი 16645 მანეთისა[3]. ასევეა 1857 წელს. ამ წლის უწყისით თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 195 სამრეწველო საწარმო 157529 მანეთი წლიური პროდუქციით[4]. ე. ი. 1852 წლის პროდუქციასთან შედარებით მაინც ნაკლები. უწყისში კვლავ არ შედის თბილისის თუჯსასხმელი და სპილენძსასხმელი საწარმოების პროდუქცია. შტიუსეს თუჯსასხმელმა საწარმომ ამ წელს გამოუშვა 21000 მანეთის პროდუქცია, ხოლო სპილენძსასხმელებმა — 16700 მანეთისა[5]. ცხადია როგორც 1856 წლის, ისე 1857 წლის ზემოთ მოცემული ცნობები სრული არაა და ამ წლებში საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია გაცილებით მეტი იყო, ვიდრე იგი უწყისებშია მოცემული.

1858 წელს თბილისის გუბერნიაში ირიცხებოდა 239 საწარმო. ამ წელს მათ გამოიმუშავეს 512321 მანეთის პროდუქცია[6]. (ელისავეტპოლის მაზრაში ითვლებოდა 36 სამრეწველო საწარმო 69500 მანეთის წლიური პროდუქციით). თბილისში აღსანიშნავი იყო შემდეგი საწარმოები:

	საწ. რიცხვი	წლიური პროდუქცია
საწახნაგო	1	3400 მან.
აბრეშუმსახვევი	1	4800 „
თუჯსასხმელი	1	10000
ბამბის	1	1500
სპილენძის ჭურჭლის	1	4200
არყის	1	100000
ლუდის	2	4050
ტყავის	1	66150

---

1 იქვე, ფურც. 10.
2 იქვე, ფურც. 64.
3 იქვე.
4 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, 1858, д. 311, л. 27.
5 იქვე.
6 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1860, д. 170, л. 63.

საპნის	8	31250
სახერხი	2	3000
სანთლის	4	13990
კრამიტის	1	11000 „
აგურის	48	58000 „[1]

გორისა და მის მაზრაში აღსანიშნავი იყო ტყავის, აგურის, არყის სახდელი, სახერხი, მინისა და სხვა საწარმოები. ამათ შორის აგურის ოთხმა საწარმომ ამ წელს გამოუშვა 5000 მანეთის პროდუქცია, სახერხმა — 2750 მანეთისა, მინისამ — 10.000 მანეთისა და სხვ. სიღნაღში ითვლებოდა 10 აგურის საწარმო 6000 მან. წლიური პროდუქციით, 3 ტყავის საწარმო 9000 მან. წლიური პროდუქციით, არყის სახდელი — 40, 13176 მან. წლიური პროდუქციით, 1 საპნის — 11000 მან. წლიური პროდუქციით[2] და სხვა.

1860 წელს თბილისის გუბერნიაში 306 სამრეწველო საწარმოა აღრიცხული. მათ ამ წელს გამოიმუშავეს 387058 მანეთის პროდუქცია[3].

1861 წელს თბილისის გუბერნიაში „ფაბრიკა-ქარხნების უწყისის“ თანახმად ითვლებოდა 386 საწარმო, მათ ამ წელს გამოიმუშავეს 453897 მანეთის პროდუქცია[4].

1862 წელს თბილისის გუბერნიაში ირიცხებოდა 378 საწარმო, რომლებმაც აღნიშნულ წელს გამოიმუშავეს 707360 მანეთის პროდუქცია[5]. მათ შორის თბილისის საწარმოებმა მოგვცეს 545190 მანეთის პროდუქცია, ხოლო გუბერნიის დანარჩენმა საწარმოებმა 162170 მანეთის პროდუქცია.

თბილისის საწარმოებიდან აღსანიშნავი იყო:

	საწ. რიცხვი	წლიური პროდუქცია
საწახნაგო ფაბრიკა	1	7500 მან.
სადურგლო	1	14000
თუჯსასხმელი	1	2000
საფქვავი	1	39000
ბამბის	1	24000
სპილენძის ჭურჭლეულის	1	4200

---

[1] იქვე.
[2] იქვე.
[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1861, д. 228, лл. 118—119.
[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1862, д. 134, лл. 93—94.
[5] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1863, д. 108, лл. 110—113.

ლუდის	2	2915	
საზეინკლო	1	10000	
ტყავის	6	66000	
საპნის	6	22000	
სანთლის	3	6500	
აგურისა და კრამიტის	71	283000	
აგურის (მანქანური წარმოების)	1	25000	„
ეტლის	4	16750	„[1]

1863 წელს თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 417 საწარმო, რომლებმაც ამ წელს გამოიმუშავეს 688708 მანეთის პროდუქცია[2].

თბილისის შედარებით მსხვილმა საწარმოებმა ამ წელს გამოიმუშავეს:

	საწ. რიცხვი	წლიური პროდუქცია
საწახნაგო	1	12000 მან.
თუჯსასხმელი	1	3000
სადურგლო	1	15200
სპილენძის ჭურჭლის	1	4020
ბამბის	1	24500
პურსაცხობი (მანქანური წარმოების)	1	3000
ლუდის	1	3000
სანთლის	2	2000
სახერხი	19	26950
საზეინკლო	1	11000
ტყავის	10	68200
საპნის	8	16820
სამეთუნეო	5	2000
აგურის	60	227750
კრამიტის	11	10870
კირის	1	1000
პაპიროსისა და თამბაქოს	17	21000 „
ეტლის	4	17100 „[3]

ჩათახის თუჯსასხმელ და რკინის ქარხანამ გამოიმუშავა 30000 მანეთის პროდუქცია, ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის საწარმოებმა — 73000 მანეთისა, დუშეთის უბნის სოფელ საშაბუროს

[1] იქვე, ფურც. 110.
[2] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1864, д. 137, лл. 64—66.
[3] იქვე.

აგურის საწარმომ — 15000 მანეთის, ატენის (გორის მაზრა) სახერხმა საწარმომ 4000 მან., ღვარების მინის ქარხანამ 10000 მან., სიღნაღის აგურის საწარმოებმა (13 საწარმო) 3680 მან., ტყავის (2 საწარმო) — 3828 მან., სოფელ ანაგის (სიღნაღის უბანი) საპნის საწარმომ 10000 მანეთის პროდუქცია[1] და სხვ.

1864 წელს თბილისის გუბერნიაში გუბერნატორის ანგარიშის თანახმად იყო 479 საწარმო, რომლებმაც აღნიშნულ წელს მოგვცეს 319913 მანეთის პროდუქცია[2].

თბილისის შედარებით მსხვილმა საწარმოებმა გამოიმუშავეს:

	საწ. რიცხვი	წლიური პროდუქცია
საწახნაგო ფაბრიკა	1	12000 მან.
საზეინკლო-მექანიკური	1	6000
სპილენძის ჭურჭლის	1	4500
პურსაცხობის და მაკარონის (მანქანური წარმოების)	1	2000
ლუდის	4	3000
სანთლის	2	2000
სახერხი	33	49000
ტყავის	10	60000
საპნის	8	17000
აგურის	93	370000
კრამიტის	11	14000
ბაპიროსისა და თამბაქოს	8	24000 „
ეტლის	5	21000 „[3]

ჩათახის რკინისა და თუჯის ქარხანამ გამოიმუშავა 40000 მანეთის პროდუქცია, ბარონ კუჩენბახის ყველის მკეთებელმა საწარმომ 5000 მანეთისა. დუშეთის უბნის სოფელ საშაბუროს აგურის საწარმომ 1000 მანეთის, ატენის სახერხმა საწარმომ 4000 მან., ღვარების მინის ქარხანამ 16000 მან., სიღნაღის ტყავის საწარმოებმა (2 საწარმო) — 4000 მან., ანაგის საპნის საწარმომ — 12000 მან., ფასანაურის აგურის საწარმომ 5000 მანეთის პროდუქცია[4] და სხვ.

1865 წელს თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 461 საწარმო[5], აქედან 236 საწარმო ითვლებოდა ქ. თბილისში, თბილისის მაზრაში

---

[1] იქვე.
[2] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1865, д. 127, лл. 67—69.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 414, აღწერა 1, საქმე 18, ფურც. 11—12.

30 საწარმო, ქ. გორში — 31 საწარმო, გორის მაზრაში — 4 საწარ-მო, ქ. სიღნაღში — 10 საწარმო, სიღნაღის მაზრაში — 40 საწარმო, ქ. თელავში — 36 საწარმო, მთიულეთის ოკრუგში — 1 საწარმო, თიანეთის ოკრუგში — 11 საწარმო, ელისავეტპოლსა და მის მაზრა-ში — 62 საწარმო[1]. 1865 წელს ყველა ამ სამრეწველო საწარმომ გამოიმუშავა 1199550 მანეთის პროდუქცია[2]. მათ შორის სპილენძის საწარმოებმა — 400000 მანეთის პროდუქცია, აგურის — 394.000 მანეთისა, საპნის — 27850 მანეთის, თამბაქოს — 30000 მან., ტყავის — 71850 მან., არყის — 10400 მან., თუჯსასხმელი — 40000 მან., სამეთუნეო — 29850 მან., მინის — 15000 მან., ეტლის — 25000 მან., სახერხმა საწარმოებმა — 60000 მანეთის პროდუქცია[3]. საწახნაგო საწარმომ — 15000 მანეთის, მექანიკური-საზეინკლო საწარმომ 10000 მანეთის პროდუქცია[4] და სხვ.

ზემოთ აღნიშნული „ფაბრიკა-ქარხნების" უწყისების მონაცე-მები ნათლად გვიჩვენებს კაპიტალისტური საწარმოებისა და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის ზრდას რეფორმამდელი ხანის საქართველოში. თუ 1851 წელს თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 131 საწარმო 178.323 მანეთი წლიური პროდუქციით, 1865 წელს მათ რიცხვმა 461 მიაღწია, რომლის წლიური პროდუქცია 1199550 მანეთს შეადგენდა. „ფაბრიკა-ქარხნების" ეს უწყი-სები, რომელთაც მაზრის უფროსები, ქალაქის პოლიციმეისტე-რები თუ სხვა მოხელეები ადგენდნენ და მანუფაქტურისა და ვაჭრობის დეპარტამენტს წარუდგენდნენ, როგორც აღვნიშ-ნეთ, შეიცავენ მთელ რიგ ნაკლოვანებებს. უწყისებში სრულად არ არის აღნუსხული ყველა საწარმო, ხშირად მნიშვნელოვანი საწარმოებიც. ასე მაგალითად, მთელი რიგი წლების უწყისებში გამოტოვებულია თბილისის პაპიროსისა და თამბაქოს საწარმოები, რომლებიც 50-იანი წლებიდან არსებობდნენ და მნიშვნელოვანი რაოდენობის პროდუქციას ამზადებდნენ. ასევე ხშირად გამოტოვე-ბულია თბილისის საინსტრუმენტო და სამღებრო საწარმოები, ალა-ვერდისა და შამბლულის სპილენძის საწარმოები და სხვა. ამავე დროს უწყისებში ხშირად არასწორად არის მოცემული მთელ რიგ საწარმოთა მიერ გამომუშავებული პროდუქციის ოდენობა მანეთებ-ში. იგი თითქმის ყოველთვის შემცირებულად არის ნაჩვენები. ამის მიზეზი თვით საწარმოების მეპატრონეები იყვნენ, რომლებიც

---

[1] იქვე.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 11, 1866, д. 142, л. 70.

ენობებს ხშირად არასწორად აწვდიდნენ. ისინი ყოველთვის გამომუშავებული პროდუქციის ნაკლებ რაოდენობაზე მიუთითებდნენ, ვიდრე სინამდვილეში იყო. ყველა ამ გარემოებას თუ გავითვალისწინებთ დავინახავთ, რომ საქართველოში მეტი სამრეწველო საწარმო არსებობდა და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქცია გაცილებით მეტი იყო, ვიდრე იგი „ფაბრიკა-ქარხნების“ უწყისებშია ფიქსირებული. მაშასადამე, სამრეწველო საწარმოთა და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქცია რეფორმამდელ საქართველოში ასე იზრდება:

თ ბ ი ლ ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა

წლები	საწ. რიცხვი	პროდუქცია
1835	48	50000 მან.
1851	131	178323
1852	154	211820
1858	239	512321
1862	378	707360
1864	479	819913
1865	461	1199550

ქუთაისის გუბერნიაში მრეწველობა, თბილისის გუბერნიასთან შედარებით, გაცილებით სუსტად იყო განვითარებული, მაგრამ საწარმოებისა და მათი პროდუქციის ზრდა აქაც შეიმჩნეოდა.

ქ უ თ ა ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა

წლები	საწ. რიცხვი	პროდუქცია
1847	12	6735 მან.[1]
1850	17	11780 „[2]
1855	22	21540 „[3]
1861	42	23398 „[4]

აქ ეს საწარმოები იყო: ტყავის, საპნის, აბრეშუმის, ბამბის, თამბაქოს, არყის, აგურისა და სხვ.

ამრიგად, საგლეხო რეფორმის წინ საქართველოში არსებობდა 500-ზე მეტი შედარებით მსხვილი და წვრილი სამრეწველო საწარმო, ე. ი. 1835 წელთან შედარებით მათი რიცხვი გაიზარდა 10 ჯერ,

[1] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, д. 132, л. 55.
[2] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 5, д. 99, л. 56.
[3] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 6, д. 165, л. 24.
[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1862, д. 134, л. 126.

ბოლო პროდუქცია 30-ჯერ და მეტად. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საწარმოთა ოფიციალურ უწყისებში შემცირებულია როგორც საწარმოთა რიცხვი, ასევე განსაკუთრებით მათი წლიური პროდუქცია. აქ უნდა აღინიშნოს, რომ, საერთოდ ცარიზმის მოხელეებს „ფაბრიკა-ქარხნების უწყისებში“ ფაბრიკებისა და მანუფაქტურების გვერდით შეჰქონდათ რიგი შედარებით მსხვილი ხელოსნური და შინამრეწველური სარეწებიც, რადგან ისინი არ ანსხვავებდნენ მათ ერთიმეორისაგან. ამიტომ რეფორმამდელ ხანაში არსებული 500-ზე მეტი სამრეწველო საწარმო უკლებლივ ყველა მანუფაქტურა და ფაბრიკა არ ყოფილა. ნაწილი საწარმოებისა ხელოსნური და შინამრეწველური იყო.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაწყებული ვიდრე საგლეხო რეფორმამდე, საქართველოში კაპიტალისტური საწარმოების ზრდით თანდათან ფართოვდებოდა ბურჟუაზიული ურთიერთობა და მასში მოსახლეობის უფრო და უფრო მეტი რაოდენობა ექცეოდა.

კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება რეფორმამდელ ხანაში, განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან იწვევდა სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდას, ქალაქების მოსახლეობის ზრდას, ე. ი. თანდათან ხდებოდა სოფლის „მოსახლეობის მიზიდვა მიწათმოქმედებიდან სავაჭრო—სამრეწველო მოსაქმეობისაკენ“ (ლენინი). ლენინი აღნიშნავს, რომ „იმ ქალაქთა მოსახლეობა, რომელნიც მსხვილ ინდუსტრიულ და სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენენ, გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე, საზოგადოდ ქალაქთა მოსახლეობა“[1].

რეფორმამდელ ხანაში (განსაკუთრებით 30-იანი წლებიდან) იზრდებოდა საქართველოს მოსახლეობა. 1835 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 450.000 სული მოსახლეობა[2], 1856 წელს — 483035 სული[3]. 1865 წელს კი მოსახლეობის რიცხვი უდრიდა 602954 სულს[4].

1835 წელს დასავლეთ საქართველოს (იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი) მოსახლეობა უდრიდა 289.000 სულს[5]. 1665 წელს კი მარტო ქუთაისის გუბერნიაში იგი შეადგენდა 430000 სულს[6]. რეფორმამდელ პერიოდში მოსახლეობის საერთო ზრდასთან

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, გვ. 663.
[2] Статист. опис., გვ. 130, 179.
[3] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9. (1858), д. 101, л. 2.
[4] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 11 (1866), д. 142, л. 2.
[5] Статист. опис., გვ. 157, 164, 168, 169, 172.
[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 11 (1866), д. 142, л. 127.

შედარებით მეტად იზრდებოდა ქალაქების — თბილისის, გორის, ქუთაისის, სიღნაღის და თელავის მოსახლეობა.

გორის მოსახლეობა 1835 წელს უდრიდა 3000 სულს[1], 1865 წელს კი 5054 სულს[2] შეადგენდა.

სიღნაღის მოსახლეობა 1835 წელს უდრიდა 3500 სულს[3]. 1865 წელს კი 9687 სულს[4].

თელავის მოსახლეობა 1835 წელს უდრიდა 2680 სულს[5], 1865 წელს კი 7300 სულს[6].

ქუთაისის მოსახლეობა 1835 წელს უდრიდა 2.000 სულს[7]. 1865 წელს კი 11807 სულს შეადგენდა[8].

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად იზრდებოდა თბილისი და მისი მოსახლეობა. თბილისის მოსახლეობა შეადგენდა:

1835 წელს	— 25290	სულს[9]
1843	— 33790	„[10]
1850	— 34891	„[11]
1852	— 35196	„[12]
1856	— 37534	„[13]
1860	— 44421	„[14]
1861	— 49404	„[15]
1862	— 60776	„[16]
1863	— 62116	„[17]
1865	— 67253	„[18]

---

1 Статист. опис. Закавказ. края, Спб., 1835, გვ. 148.
2 Сборн. стат. свед. о Кавказе, Тиф., 1869, отд. II, გვ. 64.
3 Статист. опис... გვ. 148.
4 Сборн статис... გვ. 64.
5 Статист. опис... გვ. 148.
6 Сборн. статис... გვ. 44.
7 Статист. опис... გვ. 161.
8 Сборн: статис... გვ. 65.
9 Статист, опис... გვ. 142.
10 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 744, л. 97.
11 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 7, д. 25, л. 92.
12 ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 44, 1854, д. 2426, л. 178.
13 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, 1858, д. 101, л. 62.
14 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1861, д. 228, л. 123.
15 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1862, д. 134, л. 98.
16 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1863, д. 108, л. 122.
17 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1864, д. 137, л. 70.
18 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 11, 1866, д. 142, л. 76.

გარდა მკვიდრი მოსახლეობისა, თბილისში დიდი რაოდენობით იმყოფებოდა დროებით მოსულნი ამიერკავკასიიდან, სპარსეთიდან და სხვა ადგილებიდან. ასე მაგალითად, 1863 წელს თბილისში დროებით მოსული მოსახლეობა 48—50 ათასს სულს უდრიდა, ე. ი. მკვიდრი და დროებით მცხოვრებთა რიცხვი აღნიშნულ წელს თბილისში 100000 სულს აღემატებოდა[1].

60-იანი წლების დასაწყისში თბილისი უკვე მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი ხდება. ვითარდება მრეწველობა და შესაბამისად სამრეწველო მუშათა რიცხვი. თბილისის სამხედრო გუბერნატორი 1847 წელს გუბერნიის ანგარიშში აღნიშნავდა: „В Тифлисе число промышленников с каждым годом возрастает"[2]. ქ. თბილისის პოლიციმეისტერის 1862 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „Против прошлого года устройство заводов увеличивается, по случаю предстоящей потребности от народонаселения и расширения города"[3]. ქალაქის მოსახლეობა თანდათან ჰკიდებდა ხელს სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობას. „Коренных крестьян, которых можно признать сельскими обывателями города всего: казенных 27451, церковных 3207, помещичьих 3079, дворовых людей 1472, итого 35209 душ. Немногие из них занимаются сельским хозяйством, прочие же промыслами и ремеслами, нанимаются сидельцами в лавки и питейныя заведения, а другие, имея порядочное состояние, сами ведут торговлю... Сельское хозяйство в полном значении этого слова в городе вовсе нет. Жители занимаются извозами, другими промыслами и хозяйством"[4] რეფორმამდელ ხანაში თბილისი ხდება მთელი ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრი: „Тифлис есть центр всей закавказской торговли, обороты которой сравнительно с потребностями края довольно значительны, хотя определить их положительными цифрами невозможно по необъявлению торгующими своих капиталов"[5]. 1846 წელს თბილისში არსებული სავაჭრო კაპიტალის რაოდენობას, როგორც აღნიშნული გვაქვს, ვარაუდობდნენ 5 მილიონ მანეთამდე[6]. 1862 წელს თბილისის სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 2 მილიონ მანეთამდე (1988200 მან.)[7] თბილისში საქონელი მოჰქონდათ ყველა მხრიდან და შემდეგ აქედან ასევე გაჰქონდათ კავკასიის ყველა მხარეში.

---

[1] Сборн. статист.., отд. II гз. 83—84.
[2] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 4, 1848, д. 134, л. 19.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 17, საქმე 8957, ფურც. 145—146.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 17, საქ. 8957, ფურც. 146.
[5] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 2, д. 775, л. 14.
[6] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, 1862 г. д. 134, л. 6.
[7] საქ. ცსსა, ფონდი 17, საქმე 8957, ფურც. 214.

კაპიტალიზმის განვითარების საკითხში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს დაქირავებული შრომის გამოყენებისა და გავრცელების მასშტაბს, რადგან „კაპიტალიზმი სასაქონლო წარმოების განვითარების ის სტადია არის, როდესაც თვით სამუშაო ძალაც იქცევა საქონლად"[1]. სტალინი წერს, რომ „კაპიტალისტური წარმოება არის სასაქონლო წარმოების უმაღლესი ფორმა"[2]. საქართველოში, რეფორმამდელ ხანაში, დაქირავებული შრომის გამოყენება მრეწველობაში თანდათან ფართოვდება. იგი იზრდებოდა სამრეწველო საწარმოების ზრდასთან ერთად. რეფორმამდელი საქართველოს მრეწველობაში აშკარად ჩანს დაქირავებული შრომის სულ უფრო მეტად გამოყენებისა და უფრო მსხვილი კაპიტალისტური სახელოსნოების შექმნის ტენდენცია. როგორც საერთოდ, საქართველოშიც კაპიტალის ყოველ დაგროვებასთან ერთად იზრდებოდა დაქირავებული შრომის მოთხოვნა. კაპიტალისტური წარმოების მიზანი ზედმეტი ღირებულების წარმოებაა, ხოლო ამ უკანასკნელის წყაროს დაქირავებული შრომა წარმოადგენს. რაც მეტად იზრდება დაქირავებული მუშების რიცხვი საწარმოებში, იმდენად იზრდება ზედმეტი ღირებულებაც, რადგან კაპიტალისტი, ვთქვათ 10 მუშას იმდენს ვერ ამოსწოვს, რამდენსაც 20 მუშას. მარქსი წერს: „ზედმეტ ღირებულებას მხოლოდ კაპიტალის ცვალებადი ნაწილი (დაქირავებული მუშები — დ. გ.) წარმოშობს, და... ზედმეტი ღირებულების მასა ორი ფაქტორით განისაზღვრება: ზედმეტი ღირებულების ნორმით და იმავდროულად დასაქმებულ მუშათა რიცხვით"[3]. „კაპიტალის ზრდა გულისხმობს მისი ცვალებადი, ანუ სამუშაო ძალად გადაქცეული. შემადგენელი ნაწილის ზრდას"[4].

XIX ს. 30-იან წლებში თბილისის გუბერნიაში არსებულ სამრეწველო საწარმოებში ირიცხებოდა დაახლოებით 250—300 დაქირავებული მუშა. 1865 წელს კი აქ სამრეწველო საწარმოებში მუშები, ოსტატები და შეგირდები შეადგენდა 6809 კაცს[5] (ამ რიცხვში რა თქმა უნდა არ შედიან ამქრები). დაქირავებული შრომის გამოყენება იზრდებოდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოში. უნდა ვიფიქროთ, რომ საგლეხო რეფორმის წინ მთელ საქართველოში, სხვადასხვა სამრეწველო საწარმოებში ითვლებოდა 5—6 ათასამდე დაქირავებული მუშა. სამრეწველო საწარმოებში დასაქმებული

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 3. გვ. 688.
[2] ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ., გვ. 16.
[3] კ. მარქსი. კაპიტალი ტ. I, გვ. 515.
[4] იქვე, გვ. 773.
[5] საქ. ცსსა, ფონ. 414, აღწერა 1, საქმე 16, ფურცელი 11—12.

დაქირავებული მუშების გარდა იყვნენ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშები, მშენებელი დაქირავებული მუშები, მტვირთავები და სხვ. საგლეხო რეფორმის წინ ნებითდაქირავებულ შრომას უკვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქვეყნის ეკონომიკაში.

წარმოებაში ჩაბმულ მომუშავეთა რიცხვის ზრდის დროს ჯერ მეპატრონე ფიზიკური მუშაობისაგან ითავისუფლებს თავს. ეს ხდება მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის დროს. ხოლო, როდესაც „დაქირავებული მუშების რიცხვი აღწევს 10-ს ან გადაამეტებს ამ ციფრს", მეპატრონე, ფიზიკური მუშაობის გარდა, თავს ანებებს მუშებზე პირად ზედამხედველობასაც და ზედამხედველად ოსტატს ნიშნავს. აქ უკვე იგი პატარა კაპიტალისტი ხდება. მუშებზე მეთვალყურეობის ფუნქციას იგი გადასცემს დაქირავებულ მმართველებსა და ოსტატებს. რომლებიც მეპატრონე კაპიტალისტის სახელით მართავენ საწარმოს. „როგორც ჯარი საჭიროებს სამხედრო უფროსებს, — წერს მარქსი — სწორედ ასევე მუშების მასაც. რომელიც ერთისა და იმავე კაპიტალის მბრძანებლობის ქვეშ ერთად მოქმედებს, საჭიროებს სამრეწველო ობერ-ოფიცრებს (გამგეებს...) და უნტერ-ოფიცრებს (შრომის ზედამხედველებს...). რომელნიც შრომის პროცესის განმავლობაში კაპიტალის სახელით მბრძანებლობენ"[1]. ჩვენ უამრავი მაგალითები გვაქვს რეფორმამდელი ხანის კაპიტალისტური საწარმოებისა, სადაც მუშების მეთვალყურეები და საწარმოთა მმართველები დაქირავებული ოსტატები იყვნენ (შაქრის, ტყავის, რომის, საპნის და სხვა საწარმოები). მთელ რიგ საწარმოებში, როგორც დაეინახეთ, თავმოყრილი იყო 15 და მეტი დაქირავებული მუშა და ამრიგად, როგორც ლენინი აღნიშნავს, ასეთი საწარმოების მეპატრონეები „ნამდვილი" კაპიტალისტები იყვნენ. დაქირავებული მუშების მეტი რიცხვის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგან კაპიტალისტური სახელოსნოს განსხვავება წვრილი მრეწველის სახელოსნოსაგან თავდაპირველად, მხოლოდ ერთდროულად მომუშავე მუშების რიცხვში მდგომარეობს. „მუშათა უფრო დიდი რიცხვის მოქმედება ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილზე (ან, თუ გნებავთ, შრომის ერთსა და იმავე ასპარეზზე), ერთი და იმავე სახის საქონლის საწარმოებლად, ერთი და იმავე კაპიტალისტის მბრძანებლობით, ისტორიულად და ლოგიკურად კაპიტალისტური წარმოების ამოსავალ პუნქტს შეადგენს"[2].

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 422.
[2] იქვე, გვ. 409.

რეფორმამდელი ხანის სამრეწველო საწარმოები საქართველოში ძირითადად განეკუთვნებოდნენ მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის ტიპის წვრილ კაპიტალისტურ სახელოსნოებს (სადაც მუშაობდნენ ცოტად თუ ბევრად დაქირავებული მუშები, რომლებიც წარმოებაში შრომის დანაწილების გარეშე ერთნაირ სამუშაოს ასრულებდნენ) და მანუფაქტურულ საწარმოებს. მანუფაქტურული საწარმოების დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო თბილისში.

40—50-იან და განსაკუთრებით 60-იან წლებში, ზოგიერთ საწარმოში შემოღებულ იქნა ორთქლის მანქანები. როგორც დავინახეთ, ასეთი საწარმოები იყო: თბილისში — რომიარაყის, საწახნაგო, ზეტცერის საავეჯო, მაკარონის, პურსაცხობისა და აგურის (ერთი) საწარმოები, ჩათახის თუჯსასხმელი საწარმო, დუშეთის აგურის საწარმო, სოფ. კოსნატის (იმერეთი) არყის საწარმო, ზუგდიდისა და ორპირის აბრეშუმსახვევი საწარმოები და სხვ. ეს საწარმოები იმ დროის ფაბრიკებს წარმოადგენდნენ. ორთქლის მანქანების შემოღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან კაპიტალიზმის მანქანური პერიოდი იწვევს ნამდვილ გადატრიალებას წარმოების წესში. მაგრამ ორთქლის მანქანების გამოყენება ზოგიერთ საწარმოებში სრულებით არ წარმოადგენდა საერთო დამახასიათებელ მოვლენას და იგი წარმოების ტექნიკური ბაზისის საერთო მდგომარეობას სრულებით ვერ სცვლიდა რეფორმამდელ საქართველოში.

ჩვენს მიერ განხილულ საწარმოებში ტექნიკურ საფუძველს ხელით წარმოება შეადგენდა. უფრო მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები, რომლებიც მანუფაქტურები იყვნენ. მიმართავდნენ შრომის სისტემატურ დანაწილებას. ასეთებს წარმოადგენდნენ ტყავის, თამბაქოს, აბრეშუმის, შაქრის, აგურის, მექანიკური და მთელი რიგი სხვა საწარმოები. მანუფაქტურული სარეწების საერთო ნიშანი ხელით წარმოების შენარჩუნება და შრომის სისტემატური დანაწილება არის. წარმოების პროცესის სხვადასხვა სადეტალო ოპერაციებს სხვადასხვა სპეციალისტი-ხელოსნები ასრულებენ. ასეთი სპეციალისტების მომზადება კი სწავლას ითხოვდა. ამიტომ „მანუფაქტურის ბუნებრივი თანამგზავრია შ ე გ ი რ დ ო ბ ა“[1]. შეგირდობა მანქანური ინდუსტრიის დროს ჰქრება, „როცა მანქანები minimum-ამდე ამცირებენ სწავლების პერიოდს, ან როცა ისეთი მარტივი სადეტალო ოპერაციები ჩნდება, რომ მათი შესრულება ბავშვებსაც კი შეუძლიათ“[2]. რეფორმამდელი ხანის კაპიტალისტურ სარეწებში

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, მეოთხე გამოც. გვ. 502.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 503.

ჩვენ უხვად შევხვდით შეგირდებს (მოწაფეებს), კაპიტალისტური მანუფაქტურის ამ ფრიად დამახასიათებელ ნიშანსა და „ბუნებრივ თანამგზავრს".

ახლა საინტერესოა გავარკვიოთ საკითხი: რომელი გზით განვითარდა კაპიტალიზმი საქართველოს მრეწველობაში? მარქსი წერს, რომ „ფეოდალური წარმოების წესიდან გადასვლა სრულდება ორგვარად... მწარმოებელი იქცევა ვაჭრად და კაპიტალისტად. ეს არის ნამდვილი რევოლუციის მომხდენი გზა. ანდა ვაჭარი დაეუფლება უშუალოდ წარმოებას"[1]. ამ შემთხვევაში წარმოების ძველი წესი შედარებით კონსერვირდება და ინახება, აღნიშნავს მარქსი. მარქსის მიერ აღნიშნული წარმოების კაპიტალისტურ წესზე გადასვლის მეორე გზა — ვაჭრის მიერ წარმოების დამორჩილება, როგორც ლენინი განმარტავს, გულისხმობს შემდეგს: ვაჭარი-შემსყიდველი თანდათან იმორჩილებს წვრილ მრეწველს. ჯერ ვაჭარი წვრილი მრეწველისაგან ყიდულობს საქონელს და ბაზარზე ყიდის. შემდეგ წვრილი მრეწველი ხელმოკლეობის გამო, ვაჭარ-შემსყიდველისაგან სესხულობს ფულს, და, შემდეგ ვალში აძლევს თავის საქონელს. აქ შემსყიდველი მევახშე ხდება, წვრილი მრეწველი კი თანდათანობით კაბალაში ექცევა. შემდეგში, ვაჭარი-შემსყიდველი წვრილ მრეწველს აძლევს საქონელს იმ ნაწარმის ფასში, რომელიც მან უნდა წაიღოს წვრილი მრეწველისაგან. აქ ვაჭარი „შინამრეწველს" სწყვეტს მზა ნაწარმის ბაზარს. დაბოლოს, ვაჭარი-შემსყიდველი წვრილ მრეწველს აძლევს ისეთ ნედლეულს ან დამხმარე მასალებს, რომელნიც მას სჭირდება წარმოებისათვის. აქ უკვე ვაჭარი შემსყიდველი. საბოლოოდ იმორჩილებს „შინამრეწველს", რადგან იგი მან ჯერ მოსწყვიტა მზა ნაწარმის ბაზარს, ახლა კი — ნედლეულის ბაზარს. ამის შემდეგ ვაჭარი-შემსყიდველი მის მიერ მიცემულ ნედლეულს განსაზღვრულ ფასებში ამუშავებინებს. შინამრეწველი ფაქტიურად ხდება დაქირავებულ მუშად, რომელიც მუშაობს კაპიტალისტისათვის თავის სახლში; აქ შემსყიდველის საკუთრო კაპიტალი იქცევა სამრეწველო კაპიტალად[2]. შემდგომი განვითარება იწვევს კაპიტალისტური მანუფაქტურის წარმოშობას: წარმოებაში შემოაქვთ შრომის სისტემატური დანაწილება. ვაჭარი-შემსყიდველი გამოყოფს ზოგიერთ დეტალობრივ ოპერაციას და დაქირავებული მუშების საშუალებით აწარმოებს მას თავის სახელოსნოში შინ სამუშაოს დარიგებასთან ერთად და მასთან კავშირში. იქმნება შრომის

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი. ტ. III, ნაწ. 1, 1932, გვ. 291.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, მეოთხე გამოც. გვ. 428—430.

დანაწილებაზე დამყარებული მსხვილი სახელოსნოები, რომლებიც ხშირად ამავე შემსყიდველებს ეკუთვნით[1]. ეს არის წარმოების კაპიტალისტურ წესზე გადასვლის ის გზა, როდესაც ვაჭარი იმორჩილებს წარმოებას. რეფორმამდელ საქართველოს მრეწველობაში, წარმოების კაპიტალისტურ წესზე გადასვლა და მანუფაქტურის ამ გზით წარმოშობას არ ჰქონია ადგილი[2]. რა თქმა უნდა, ვაჭარი-შემსყიდველები რეფორმამდელი ხანის საქართველოში მრავლად იყვნენ, მაგრამ მათ სავაჭრო კაპიტალს წვრილ სარეწებში არ გაუვლია განვითარების ის სტადიები. რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ. ვაჭარი-შემსყიდველების მოქმედება ამ მხრივ პირველი ნაბიჯებით მთავრდებოდა და არ ხდებოდა მათ მიერ წარმოების დაპყრობა. მაგრამ, როგორც აღნიშნულია, არსებობს კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლისა და მანუფაქტურის წარმოშობის მეორე გზაც — როდესაც თვით „მწარმოებელი იქცევა ვაჭრად და კაპიტალისტად", ანდა როდესაც ვაჭრები უშუალოდ ხელს ჰკიდებენ საწარმოთა მოწყობას, აბანდებენ წარმოებაში ფულად კაპიტალს, და, ამრიგად მრეწველი კაპიტალისტები ხდებიან[3]. რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება ამ გზით წარმოებდა. რიგ შემთხვევაში წვრილ საქონელმწარმოებელთა დაშლის შედეგად მათგან გამოდიოდნენ კაპიტალისტური მეწარმეები, რიგ შემთხვევაში კი მსხვილი ვაჭრები უშუალოდ აწყობდნენ სამრეწველო საწარმოებს — მეტწილად მანუფაქტურებს და მრეწველი კაპიტალისტები ხდებოდნენ (ზუბალაშვილები, სარაჯიშვილი, თამამშევი, შაევრდოვი და მრავალი სხვ). სამრეწველო საწარმოებს — მანუფაქტურებს რეფორმამდელ ხანაში აარსებდნენ პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლებიც (თავადი ნ. ჩიჯავაძე, თავ. ელიზ. ერისთავი და სხვ.) და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში საქართველოში, ზოგჯერ სამრეწველო საწარმოების (მანუფაქტურების) მოწყობა ხდებოდა სახელმწიფოს მხარდაჭერითა და ხელშეწყობით. ამიტომ რიგი მათგანი სახაზინო საწარმოები იყვნენ. უველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში კაპიტალისტური საწარმოების,

---

[1] ი ქ ვ ე. გვ. 450.

[2] მოსაზრება, იმის შესახებ, რომ საქართველოში სავაჭრო კაპიტალს წვრილ სარეწებში არ გაუვლია განვითარების ის სტადიები, რომლებიც ბოლოს კაპიტალისტური მანუფაქტურების წარმოშობას იწვევდა, ეკუთვნის პროფ. ა. კიკვიძეს (იხ. მისი შრომა: საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, თბ. 1955, გვ. 226—227) ჩვენ არ ვიცით ამ მხრივ როგორაა საქმე რეფორმისშემდგომ ხანაში, რადგან ეს პერიოდი ამჟამად ჩვენი კვლევის ობიექტი არაა. რაც შეეხება ამ მოსაზრებას რეფორმამდელ საქართველოს მრეწველობის მიმართ, ჩვენ იგი სწორად მიგვაჩნია.

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 1, 1932, გვ. 291; 292, 293.

ძირითადად მანუფაქტურების წარმოშობა და განვითარება ქვეყნის ეკონომიური განვითარების შედეგად ხდებოდა. მანუფაქტურული წარმოება საქართველოში არსებობდა რეფორმისშემდგომ ხანაშიც. მართალია, ყველა საწარმოს არ გაუვლია კაპიტალისტური მრეწველობის ყველა საფეხური, დაწყებული მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციიდან დამთავრებული მანქანური წარმოებით — ფაბრიკით. კიდევ მეტი, კაპიტალიზმის განვითარების პროცესში რიგი კაპიტალისტური საწარმოები, მათ შორის მანუფაქტურები ეცემოდნენ, ე. ი. ყველა წვრილი კაპიტალისტური სახელოსნო არ გადაზრდილა მანუფაქტურულ წარმოებად, ხოლო ყველა მანუფაქტურული საწარმო—ფაბრიკად, მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ იყო სავალდებულო და იგი არ უარყოფდა მანუფაქტურული საფეხურის არსებობას. კაპიტალისტურმა მრეწველობამ საქართველოში განვლო მანუფაქტურული საფეხური და იგი წინ უსწრებდა მანქანური წარმოების შემოსვლას.

მოკლე დასკვნები

ჩვენ განვიხილეთ სასაქონლო წარმოების, ბურჟუაზიულ მეურნეობათა და კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, ვიდრე საგლეხო რეფორმამდე. იგი ცხადყოფს, რომ 30-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც ომები ამიერკავკასიაში რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა და მშვიდობიანობა დამყარდა, ქვეყანა ეკონომიურად სწრაფად დაწინაურდა. საქართველოს საზღვრების დაცვა და უშიშროება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო მისი სოციალ-ეკონომიური განვითარებისათვის. ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ XIX ს. დასაწყისიდან საქართველო გაცილებით მეტად იქნა ჩაბმული მსოფლიო საქონელბრუნვაში. შედარებით მოკლე დროში, საქართველოს ესოდენ სწრაფი დაწინაურება იმის მაჩვენებელი იყო, რომ აქ აქამდე არსებობდა სათანადო საფუძვლები სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის, ახალი მწარმოებლური ძალების განვითარებისათვის, თუ საგარეო მტრების ალაგმვით ქვეყანაში მშვიდობა დამყარდებოდა. ეს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ ერეკლე II სამრეწველო წამოწყებებში კარგად ჩანდა[1]. შემთხვევითი არ იყო, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალ მრავალ ოლქებს შორის საგლეხო რეფორმის წინ, ერთ-ერთი, სოციალ-ეკონომიურად დაწინაურებული ქვეყანა საქართველო იყო.

XIX საუკუნის 30-იანი და განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან საქართველოში, წინა პერიოდთან შედარებით სწრაფად ვითარდება სასაქონლო წარმოება, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ირღვევა ნატურალურ კარჩაკეტილი მეურნეობა. გლეხური და მემამულური მეურნეობანი სულ უფრო და უფრო ებმებოდნენ საქონელგაცვლაში.

აღნიშნულ პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები ხდება. იზრდება მარცვლეულის მოყვანა, ვითარდება მევენახეობა-მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მებამბეობა და სხვა. საქართველოს ცალკეულ რაიონებში ვითარდებოდა სოფლის მეურნეობის ესა თუ ის დარგი, ესა თუ ის კულტურა (მარცვლეული მეურნეობა, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მებამბეობა, მეთამბაქოეობა, მესაქონლეობა თუ სხვ.), რაც იწვევ-

---

[1] იხ. ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში. მასალები საქ. და კავ. ისტორიისათვის. ნაკ. 6, თბ. 1937, გვ. 446. საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, თბ. 1950, გვ. 404; საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 207—208.

და მათ სპეციალიზაციასა და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებას. ამ რაიონებს შორის სულ უფრო მეტად ვითარდებოდა საქონელ გაცვლა და მტკიცდებოდა მათ შორის ეკონომიური კავშირი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სულ უფრო მეტი ნაწილი გამოდიოდა ბაზარზე, ასევე იზრდებოდა მისი გატანა საზღვარგარეთ. შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და სასაქონლო წარმოების განვითარებამ რეფორმამდელ ხანაში, ნიადაგი მოამზადა ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარებისათვის, რაც გამოიხატა ბურჟუაზიულ მეურნეობათა და კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობაში.

ბურჟუაზიულ მეურნეობებში განვითარებული იყო სავაჭრო მიწათმოქმედება. წარმოებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნიკური გადამუშავება. ფართოდ იყენებდნენ ექსპლოატაციის კაპიტალისტურ წესს — ნებით დაქირავებულ შრომას, ზოგიერთ ბურჟუაზიულ მეურნეობაში ახერხებდნენ საზღვარგარეთული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენებას. სოფლად ბურჟუაზიულ ურთიერთობის შეჭრის შედეგად ზოგი საბატონო მეურნეობანი ადგება ბურჟუაზიული ევოლუციის გზას, და არსებითად ასეთი მეურნეობანი კაპიტალისტური მეურნეობის ხასიათს ატარებდნენ. რეფორმამდელ ხანაში ბურჟუაზიული ურთიერთობა სოფლად შეიჭრა აგრეთვე გლეხურ მეურნეობაში, რის შედეგად გლეხობა დიფერენცირდებოდა. წარმოიშვა შეძლებულ გლეხთა ფენა, რომელთაც მსხვილი მეურნეობანი გააჩნდათ, სადაც ღარიბ და უმიწაწყლო გლეხთა დაქირავებულ შრომას იყენებდნენ. შეძლებული გლეხები ახდენდნენ ყმური დამოკიდებულებისაგან თავის გამოსყიდვას და ეწეოდნენ თავისუფალ მეწარმოებას. სასაქონლო წარმოების განვითარებამ კაპიტალისტური განვითარების გზას დააყენა საბატონო მეურნეობათა მეტად უმნიშვნელო ნაწილი, უმრავლესობა კი დაღუპვის პირას მიიყვანა. ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების შედეგად ფულზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ რეფორმამდელ ხანაში არნახულად გაზარდა მემამულეთა დავალიანება. მემამულეები კარგავდნენ მამულებსა და ყმებს. ბატონყმობის გაუქმების წინ ქართველ თავადაზნაურობას სახელმწიფო და კერძო ვალებში დაგირავებული ჰქონდა მამულების (ყმებითურთ) მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი (მარტო თბილისის გუბერნიაში თითქმის მესამედი), რაც ფეოდალური მეურნეობის კრიზისისა და მისი მოშლის მაჩვენებელი იყო.

რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობა ვითარდება მრეწველობაშიც. წვრილი სასაქონლო წარმოების გვერ-

დით ჩნდებიან მანუფაქტურები, ხოლო აქა-იქ მანქანური წარმოების საწარმოები — ფაბრიკები. ქვეყნის ეკონომიური განვითარების შედეგად იზრდებოდა კაპიტალისტური, საწარმოების რიცხვი და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქცია. იზრდებოდა სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობა მიწათმოქმედი მოსახლეობის ხარჯზე. სავაჭრო და სამრეწველო საქმიანობაში ებმებოდა მოსახლეობის სულ უფრო მეტი ნაწილი. იზრდებოდა ქალაქების — თბილისის, გორის, სიღნაღის, ქუთაისის მოსახლეობა. კაპიტალისტური მრეწველობა უმთავრესად ვითარდებოდა ქ. თბილისში. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების შედეგად საქართველოში იზრდებოდა დაქირავებული შრომის გამოყენება. საგლეხო რეფორმის წინ დაქირავებულ შრომას უკვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქვეყნის ეკონომიკაში.

კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვამ და განვითარებამ რეფორმამდელ საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის რღვევა და კრიზისი გამოიწვია, მაგრამ ეს ურთიერთობა ჯერ კიდევ გაბატონებულ ძალას წარმოადგენდა ქვეყანაში და იგი ხელს უშლიდა ახალი მწარმოებლური ძალების განვითარებას. ამიტომ ახალი საწარმოო ძალების განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ბატონყმობის მოსპობა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში სწრაფად წავიდა წინ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954.

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 1, 2, თბ., 1932.

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952.

კ. მ ა რ ქ ს ი, დაქირავებული შრომა და კაპიტალი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1950.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი, თხზ., ტ. I, IV გამოც.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში, თხზ. ტ. 2, IV გამოც.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ. ტ. 3. IV გამოც.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის საკითხისათვის, თხზ., ტ. 4, IV გამოც.

ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, თხზ., ტ. 2.

ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, თბ., 1954.

ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, თბ., 1952.

პოლიტიკური ეკონომია. სახელმძღვანელო, თბ., 1955.

* * *

ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა — საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1950; საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო, 1958 წ.

ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ. მნათობი, 1954 № 6.

ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სამღვბროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში (მსკი, ნაკვ. VI, 1937).

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. თბ., 1941.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში (მსკი, ნაკვ. III, თბ., 1939).

ალ. გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი, ზ ა ვ ი ლ ე ი ს კ ი, რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის დაფუძნების პროექტი (რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, თბ., 1949).

მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957.

ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე) თბ., 1954.

შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ქალაქები XIX ს. პირველ ნახევარში (ხელნაწერი), 1949.

ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დაქირავებული შრომა საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში (საკანდიდატო დისერტაცია), თსუ, 1955.

შ. ჩ ხ ე ტ ი ა, დ. ყიფიანი და საგლეხო რეფორმა საქართველოში (საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950).

ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801 წლიდან 1831 წლამდე, თხზულებანი, თბ., 1940

И. А н т е л а в а, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века (до крестьянской реформы 1864 года), Сухуми, Акад. наук Гр. ССР, 1955.

И. А н т е л а в а, К вопросу о характере экономического развития Грузии в предреформенный период. (Труды абхазского института, 1956 г.).

З. А н ч а б а д з е. К вопросу о роли торгово-ростовщического капитала в дореформенной Грузии (Матер. по ист. Грузии и Кавк. вып. 30, Тб., 1954).

П. Г у г у ш в и л и. Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX-XX вв, т. I, Тб., 1957.

С. Г у л и ш а м б а р о в, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тиф., 1888.

С. Г у л и ш а м б а р о в, Обзор фабрик и заводов Закавказского края, Тиф., 1894.

Ю. К у ч и н с к и й, История условий труда во Франции, Москва, 1950.

Ф. М а х а р а д з е, Грузия в XIX столетии, Тб., 1933.

М. Туган-Барановский. Крепостная фабрика («Великая реформа», т. III, СПБ, 1911).

С. Эсадзе, Очерк истории горного дела на Кавказе, Тиф., 1903.

Некоторые замечания на книгу «Обозрение российских владений За-Кавказом», Спб., 1840.

История СССР, т. II, под ред. М. Ц. Нечкиной, М., 1954.

დოკუმენტების კრებულები და სტატისტიკური ცნობარი

ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ნაწ. II, თბ., 1953.

შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950.

П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. I, Тб., 1938.

Акты Кавказской археографической комиссии. т. I—XII.

Колониальная политика российского царизма в Азербайджане в 20—60-х гг. XIX в., ч. I, М-Л., 1936.

История горной промышленности Закавказья в документах т. I, Грузия, Тб., 1936.

Обозрение российских владений за Кавказом, ч. I, II. Спб., 1838.

Статистическое описание Закавказского края, спб., 1835.

Статистическое описание губерний и областей Российской империи, т. XVI, ч. 5, Спб. 1858.

Сборник статистических сведений о Кавказе, Тиф., 1869.

Сборник материалов для описания Тифлисской губернии, т. I, вып. I, Тиф., 1870.

ПСЗРИ, т. II, Спб., 1827 г., т. IV, Спб., 1830. (Собрание второе).

პერიოდიკა

„გუთნის დედა“.

„საქართველოს მოამბე“.

„ცისკარი“.

«Кавказский вестник»

«Кавказский календарь».

«Кавказ“.

ЗКОСХ.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი

ფონდი 2, აღწ. 1, საქმე №№ 932, 2605, 2716, 2727, 2900, 3109, 3229, 3286, 3795, 4076, 4493, 4526, 4576, 4787,

4803, 5075, 5116, 5539, 5806, 6402, 8290, 8887, 9003, 9113, 9258.
აღწ. 2, საქმე №№ 1565, 1737, 3232.
აღწ. 3, საქმე № 323.

ფონდი 4, აღწ. 5. საქმე №№ 11, 18, 57, 87, 124, 125, 456.

ფონდი 10, საქმე №№ 125, 325, 374, 496, 507, 740, 810, 1103, 1251, 1457, 1519, 1690, 1815, 1835, 2083, 2212, 2786, 2859, 4439, 4478, 9024.

ფონდი 16, საქმე №№ 3503, 3956, 4925, 5532, 5543, 5554, 6105, 6244, 6351, 6774, 6885, 7395, 8093, 8888, 9020.

ფონდი 17, საქმე №№ 8954б, 8957а, 8957б, 8962.

ფონდი 26, აღწ. 2, საქმე №№ 459, 617, 706.
აღწ. 6, საქმე № 119.

ფონდი 48, საქმე №№ 304, 387.

ფონდი 205, აღწ. 1, საქმე №№ 220, 484.

ფონდი 211, საქმე №№ 42, 93.

ფონდი 238, საქმე №№ 17, 755, 141, 180, 181.

ფონდი 241, აღწ. 3, საქმე №№ 11, 12, 13, 15, 39.

ფონდი 254, აღწ. 1, საქმე № 608, 609, 19023, 19055.

ფონდი 255, საქმე № 1467.

ფონდი 264, საქმე №№ 11, 20, 33, 39, 159, 208, 245, 293, 768.

ფონდი 270, საქმე № 1, 2, 3.

ფონდი 272, საქმე №№ 1, 2, 3, 4, 5, 8, 11, 12, 13, 15, 16, 24, 26, 29, 32, 39, 44, 46, 49.

ფონდი 414, აღწ. 1, საქმე № 18.

ფონდი 416, აღწ. საქმე №№ 900, 1074, 1077, 1078.

ფონდი 1105, საქმე №№ 44, 562.

განსაკუთრებული საქმეთა ფონდი, საქმე №№ 51, 52, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60.

Центр. Гос. Исторический Архив Ленинграда

Фонд 18, оп. 2, д. №№ 15, 395, 396, 397, 398, 399, 400, 535; 560, 561, 586.

Фонд 37, оп. 65, д. № 1988, 2193.

Фонд 1263, оп. 41, 1851 г. д. № 2203,
оп. 44 1854 г. д. № 2426.

Фонд 1268, оп. 1, д. №№ 235, 242, 245, 250, 258, 280, 744, 771.

оп. 2, д. №№ 775, 977, 1035.
оп. 4, д. № 245.
оп. 5, д. № 316, 338.
оп. 6, д. № 205, 359.
оп. 7, д. №№ 25, 27,, 215, 221, 350, 370.
оп. 8, 1854, д. №№ 21, 159, 340,
1855, д. №№ 138, 335.
оп. 9, 1857, д. № 271,
1858, д. №№ 101, 259, 311.
оп. 10, 1859, д. № 226,
1860, д. № 170,
1861, д. № 228,
1862, д. № 134,
1863, д. № 103,
1864, д. № 137,
1865, д. № 110, 127,
оп. 11, 1866, д. № 142,
оп. 13, 1868, д. № 63.
Фонд 1281, оп. 4, д. №№ 132, 134, 148.
оп. 5, д. №№ 99, 117, 166, 177.
оп. 6, д. № 165.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3

თავი პირველი

რუსეთის ცარიზმის კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში 6

თავი მეორე

სასაქონლო მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარება. ნატურალური მეურნეობის რღვევა 20

თავი მესამე

საბატონო მეურნეობათა ბურჟუაზიული ევოლუცია და ბურჟუაზიულ მეურნეობათა წარმოშობა 52

სოლომონ გურგენიძის, ალექსანდრე ჭავჭავაძის და დიმიტრი აფხაზის მეურნეობანი 52

ბარონ ნიკოლაის ბურჟუაზიული მეურნეობა ლოქინოში 56

კუჩენბახის ბურჟუაზიული მეურნეობა 64

ანანოვის ბურჟუაზიული მეურნეობა ეარცხეში 66

იე. მუხრან-ბატონის მეურნეობა 68

სოლომონ ანდრონიკაშვილის მეურნეობა 72

ნიკო ჩიჯავაძის მეურნეობა 74

ბურჟუაზიულ მეურნეობათა განვითარების შემაფერხებელი მიზეზები 83

ბურჟუაზიული ურთიერთობის შევრა გლეხურ მეურნეობაში. ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობა 91

თავი მეოთხე

კაპიტალისტური სამრეწველო საწარმოები საქართველოში რეფორმამდელ ხანაში 106

აბრეშუმის წარმოება 106

აბრეშუმსახვევი საწარმოები დასავლეთ საქართველოში 123

შაქრის წარმოება 131

მინის წარმოება 151

საპნის, ტყავის, ბამბის, თამბაქოსა და მაუდის წარმოება 166

სამთამადნო და სამთო-საქარხნო, მექანიკური, აგურისა და სხვათა წარმოებანი . . 179

სამრეწველო საწარმოების სოციალ-ეკონომიური ბუნება 203

კაპიტალისტური საწარმოებისა და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის ზრდა. სამრეწველო მოსახლეობის ზრდა. კაპიტალიზმის განვითარების გზები მრეწველობაში 214

მოკლე დასკვნები 232

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 235

ДЕРМИША АНДРЕЕВИЧ ГОГОЛАДЗЕ

КАПИТАЛИСТИЧЕСКИЕ ПРЕДПРИЯТИЯ В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ И ПРОМЫШЛЕННОСТИ ДОРЕФОРМЕННОЙ ГРУЗИИ
(1830—1864 гг.)

(на грузинском языке)

Издательство Академии наук Грузинской ССР

Тбилиси — 1959

* * *

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

* * *

რედაქტორი ი. ანთელავა
გამომცემლობის რედაქტორი თ. ბოკუჩავა
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი თ. ლონდარიძე

გადაეცა წარმოებას 21.7.59; ანაწყობის ზომა 6 × 10; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 18.12.59; ქაღალდის ზომა 60 × 92 1/16;
ქაღალდის ფურცელი 7,50; საბეჭდი ფურცელი 15,12; საავტორო
ფურცელი 13,8; საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 14,0;
შეკვეთა 1002; უე 03800; ტირაჟი 1000

ფასი 10 მან. 25 კაპ.

სტამბა „ლენინსკოე ზნამია", ქ. თბილისი, ძნელაძის ქ. № 21
Тип. «Ленинское знамя», г. Тбилиси, ул. Дзнеладзе, 21.